

# ქვეთიანი



114<sub>12</sub>  
2003

2003

7/8

განმომის 1924 წლიდან



ქართული  
ჯურისპიდიცია

# ქართული

წელიწადი 79-ე

№7-8

2003 წელი

მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება

დამფუძნებლები:

საქართველოს მწერალთა კავშირი  
და ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია

## შინაარსი

### *პროზა, პოეზია*

|   |    |
|---|----|
| ზაირა არსენიშვილი - მოთხრობები .....  | 3  |
| გივი ბარაია - ლექსები .....   | 22 |
| ნოზარ ბაშვილი - ძაღლი. მოთხრობა .....   | 24 |
| იური კახნიაშვილი - ლექსები .....  | 34 |
| ელა გოჩიაშვილი - ჭეჭეთოვის ღამე. ლექსი .....  | 35 |
| მილორად კავიანი - ხანგრძლივი ღამეული მგზავრობა გემით.<br>მოთხრობა. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ ..... | 37 |
| ჯაშიდ ჯითმალი - მოთხრობები. არაბულიდან თარგმნა<br>იზოლდა გრძელიძემ .....                        | 41 |

### *კრიტიკა, აუკლიტისტიკა*

|   |    |
|---|----|
| ნაზი ხაღია - მას „არც წარსულის, არც მომავლის არ ეძინია“ .....   | 47 |
| თაილი ღვინიაიანი - ნინო თარიშვილის ბახსენება .....  | 53 |
| ლევან ცაგარელი - თომას მანის „შეცვლილი თავები“ - როგორც სიმბო-<br>ლურ-ალეგორიული და ფსიქოგრაფიული მოთხრობა .... | 59 |
| პოთა ზოიკა - სიკედილის კოსმა .....  | 72 |

### *მწერლის არქივიდან*

|  |    |
|--|----|
| ირაკლი აბაშიძე - განუწყვეტელი 55... .. | 77 |
|--|----|




**შინაარსი**
*(გაგრძელება)*
**მეცნიერება**

|   |    |
|---|----|
| ბაჩანა ბრეგვაძე – ნარმართული სამება .....   | 79 |
| გიორგი ძავთარაძე – იბერიის სამეფოს „არსებობის არსი“ ძველი<br>საისტორიო წყაროების მიხედვით ..... | 94 |

**ხელოვნება**

|                                       |     |
|---------------------------------------|-----|
| რევაზ აღაშია – ვასილი კანდინსკი ..... | 155 |
|---------------------------------------|-----|

**სარკველი**

|  |     |
|--|-----|
| ლუკინაე სამოსატელი – ძეგბთა ძეგბა სამშობლოს. წინასიტყვაობა და<br>თარგმანი გურამ გოგიაშვილისა ..... | 159 |
| ვალტარ ბენიაშინი – პოლ ვალარი. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ .....  | 164 |
| ალექსანდრ ბენი – რელიგიისა და მეცნიერების შესახებ.<br>თარგმნა მანანა მიქელაძემ .....               | 168 |

**ბიბლიოგრაფია**

|  |     |
|--|-----|
| მაკა ჯოხაძე – „ვა, სოფელო...“ .....                          | 176 |
| ანდრო ბუაჩიძე – მოძრაობა წრები .....                         | 178 |
| იუზა ევზენიძე – საინტერესო მონოგრაფია დიდ მამულიშვილზე ..... | 181 |

მთავარი რედაქტორი

თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:

მარიამ აგიაშვილი

ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)

აკაკი მინდიაშვილი

მანანა მიქელაძე

მზია შატბერაშვილი



გამომცემლობა „სანი“

თბილისი 0105, შავთელის ქ. №26

ტელ: (995 32) 98 65 92 e-mail: zazaberishvili@yahoo.com

ზაირა არსენიშვილი

ბაბუსას ნაამბობი

მამ, ვილას ვეტყვი ჩემი გულის  
ჯავრსა, ვილასთან ამოვყრი გულის  
ბუხარსა, თუ თქვენთანაც არა, თქვე-  
ნი ჭირიმეთ. იქ მარუა იყო ჩემი გულის  
მეპასუხე და აქ თქვენა ხართ. ეუპ, მო-  
უკედეს იმას ჩემი თავი და თქვენი ცუ-  
დი კი ღმერთმა ნუ გამაგონოს. ერთი  
ეს ხურჯინი ამომაცლევინეთ, ყველა-  
ფერი მივაბინავ-მოვაბინაოთ... ბევრი  
კი ვერაფერი ნამოგიღეთ. რა ვქნა,  
ალარა გყვეართ ძველი ბაბუსა. გული  
მერჩის, თორემა სადღაა ძველებური  
ჯანი და ღონე. მთელ ქალაქს იგრე შე-  
მოვივლიდი, გულს ქარს არ ამოვალე-  
ბინებდი, სოფელს ზომ არცა ვთვლი-  
დი და არცა. ეხლა ეს თქვენი კიბეები  
ძლივს ქასქასით ამოვათავე. ვაი, ჩვე-  
ნი ბრალიცა! ე, ხურჯინიც ელდარმა  
ამომიტანა და თვითონ გაიქცა. სა-  
ხურჯინე კი არა იყო რა, პატარა კალა-  
თასაც ძლივს გააესებდა, მაგრამ ხო  
ვიცი ქალაქელების ამბავი, სოფლუ-  
რად ჩამოსვლა გიყვართ, ე, ძველი  
ხურჯინიც თქვენი ხათრით ავკიდე  
ელდარსა... რას იტყვიან ქალაქელე-  
ბიო, - სულ იმას მაყვედრიდა, კარგა  
ვერ გაგივსია ხურჯინიო... ცოტაოდუ-  
ნი პური გამოგიცხეთ, ერთი-ორი ნა-  
ზუქიც მიგიკარით, აი, ეს დედალი და  
ესეც ორი აცმულა ჩირი, ჩემო გოგო,  
ვითომ ბებიაშენს გამოუღ ზავნია.

ალარ იტყვით, ამ კრუხ-წინილობა-  
სა და ბალ-ბოსტნობის დროს რამ ნა-

მომიყვანა? (მერე პიოც მიზის ერთ  
თორმეტიოდე კვერცხზე, ზეგ უნდა  
დაჩეკოს, თუ დაჩეკა). რამ ნამომიყვა-  
ნა და თქვენმა სურვილმა. თქვენ ხომ  
მთლად ხელი აგვიქნიეთ და ქვაც მოგ-  
ვაგორეთ... ისე გადაბრუნდება წელი-  
ნადი, ჩვენსკენ პირს არ იზამთ, ზაფ-  
ხულშიც ან ჩამოხვალთ, ან არა, ისიც  
ერთი-ორი დღით. პოდა, არც თქვენა,  
არც ჩვენა - არ ივარგებს! მალალმა არ  
დაინიაო, დაბალმა არ აინიაო და ვერ  
აკოცეს ერთმანეთსაო! განა აქამდი-  
სინაც არ ჩამოვიდოდი, მაგრამა მარუ-  
ას შემდეგ მიჭირს ნასვლა-ნამოსვლა.  
მე და ის ერთად მიედი-მოვდიოთ შენ-  
ყობილად. ეხლა, ვენაცვალე ტელევი-  
ზორის გამომგონებელსა, რაც ჩვენ  
სოფელში დომანას ბიჭმა და წინტი-  
კურმა ჩამოიტანეს, ჩემმა ესმამ ძილი  
და მოსვენება დაკარგა, თქვენს მტერ-  
სა და აუად მახსენებელს დაეკარგოს  
ძილიცა და ღვიძილიც. სულ ის იძახა:  
სანამ ჩვენ ზალაშიაც ტელევიზორს  
არ დავინახავ, ვერ მოვისვენებო. ელ-  
დარსაც ჭკეპში დაუჯდა, ნამოვიდა და  
მეც ნამომიყვანა: ქალაქელებს რო  
სჩივი, იმათაცა ნახავ და გული-გუ-  
ლიო რო იძახი, კარგ ექიმსაც გაგასინ-  
ჯებო. მოვდიოდი და მომიხაროდა,  
ენახავ-მეთქი ჩემს ქალებს, უუამბობ-  
მეთქი ჩვენს ამბავს, ისინიც ან ავს  
მეტყვიან, ან კარგსა, გავიგებთ ერთ-  
მანეთისას-მეთქი!

სამარტვენი  
პარლამენტი  
ეროვნული

მარუას შემდეგ მაინც ძალიან დავმარტოვდი. მივდგები თუ მოვდგები, სულ ის მიდგა თვალწინ. აღარაფრის გული და თავი არა მაქვს, კიდევ ბალები მაძლებინებენ, თორემა მეც, ალბათ, გაუდგებოდი გრძელი ქვეყნისკენ. ექვს წველ ცოლ-ქმარში მე და ჩემი მაზლილა დავრჩით. ყველანი გაიკრიფნენ. კოტიამ აკი მეც მითხრა: ძალო, ეხლა შენ ჩადექი რიგში, შენც მალე გაგაფრიალებთო. თითქოს გუშინ იყოვო, წყალზე რომ გამოვიშლებოდი თქვესივე რძალი, მღვდლის ცოლი იტყოდა, სოფიო: ნეტავი, ქალებო, დათოიანთ ქალსაო (ვითომ ჩემ დედამთილს) აგეთი რძლების ხელშიო. სადლა არიან, სადა, ნავიდნენ, ნახურხურდნენ. მარუა და მელა შევრჩით ერთმანეთსა და ისიც ნავიდა, გადაიქცა ხესავით. ამალლების სნორზე ჩაებაინავით. უნანური და უყვედური იყოს, რაც იმას ცრემლი დაეცა. მაგრამ მაინც დოშაანთ ნინომ რო იცის ტირილი - ტყუილია, იმან დაიკვებოს. თვითონაც იტირა და ხალხიც აქვითქვითა. „ვაიმე, მარუაე, მშურს შენი ბედო, თვალილა მრჩება ეგრე რო გხედავო. ნეტავი და მე მივდიოდე ჩემ ბიჭებთანა და შენ აქ დარჩენილიყავ შენს ეზო-ყურეშიო. ვაიმე, ჩემო ბიჭებო, ჩემო შვილებო! რო შეგეგებებიან, მარუაე, გზას რო გადმოგიჭრის ჩემი ვალიკო, უთხარი, შემიცოდონ, ნამომიყვანონ“. ლაზათი დაადვენეს ჩემ მარუას, ეენაცვალე იმის სულსა, გააპატიოსნეს. მართლა რომ ცრემლიანი მიცვალებული იყო!!

ამალლების შესამე დღეს დილაადრიანად ჩვენებიანთ ნაზომ მოიბრინა, სახეზე ფერი აღარ ადევს, გული ხელით უჭირავს და ჩქარა, ძალუა მარუა ცუდად გახდაო. თქვენმა მტერმა და დუშმანმა ნახოს, რაც ჩემმა თვალემა ნახა. გადაეტრიალებინა მარუას

თვალეები და გეგონებოდა, ნეტავი უკრავსო, იგრე სუნთქავდა. იგრე სტვირივით ამოუვიდა სული.

ეპ, სიკვდილი გადანყვტილი საქმეა და ისე ვერ დამჩაგრავდა, ჩემ მაზლს რომა თავზე ხელი არ აელო და ამ სიბერეში თოხარიკობა არ დაენყო. ციხე შიგნიდან გატყდებაო და სნორედ ნიკუამ კი არ ჩაპკრა მარუას საფლავში ფეხი და იმის მონაგარზე სხეები გაახარა. ვინა მერე, ვინა, გენაცვალეთ, აღარ იკითხავთ მარუას კვალში ვინ ჩაყენა? ვინა და ის დედალი პრისტავი რუსი დაშა. იქ მარუას დაუყენა თვალი და აქ თავისთავს! გული მიდულს, გული! დაგანახვით ერთი მარუას ეზო-ყურეში როგორა პარპაშებს რუსი დაშა, გეგონებთ იქ დაბადებულა და გაზრდილაო, როგორ დააბოტებს თავის ადლიან ფეხებსა და როგორ სთელავს და სჯეგავს მარუას ჯეჯილივით მწვანესა.

სულ ის იყო ჩემი სათქმელი: ეგრე ფეხჩაუკრეფავად რო მუშაობ, გაუფრთხილდი თავესა, შვილი შენ არა გყავს და ძირი, რა თავს იკლავ, შე კარგო ადამიანო მეთქი!? ისე არაფერი გააბრაზებდა იმ თვალდამდგარს, როგორც უშვილობის ხსენება. როგორ არა მყავსო, მამ ჩემი ძმისშვილები ვინ არიანო, ენაცვალთო იმათ თავიანთი მამიდაო. მაინც სულ ისინი ეკერა პირზე, იმათთვის იყო მდნარი და მკვდარი. შარშან სამაისოდ ელოდებოდა ორივეს, იმის შემდეგ ორი კვირა აღარ უცოცხლია, ჩავედი და რასა ვხედავ: აუესია ვარცილი და ცომსა ზელავს. აბა, იმას ცომის თავილა ჰქონდა?! დაგენახნათ იმის დანის პირივით გალესული სახე, იმისი დაკარნახებული, ყვავის კლანჭებივით ხელები! მაგრამ შეუპოვარი იყო და კრიჭაში ედგა თავის თავსა. ვეუბნები: დედაკაცო, რა თავი გადაგიდვია, ის მაინც არ გაგივია, ერ-



თი პური მეტი მიეცი და პური ხაბაზს გამოაცხოზინეო. ეს რო გაიგო, ფიცხლავ აიღო თავი და შემომაკვესა თვალები: რეებს ამბობ, ჩემო რძალოვო (როცა გაბრაზდებოდა, სახელს აღარ მეტყოდა) – შემომიტია, რეებს ამბობო? არ შევაჭმევენებ ჩემ ჯანსა და ღონეს მინასაო, არ შევაჭმევენებო, მიუყური ცარიელა ძვლებსა და ხრას რამდენიც უნდაო. მაინც ეგრე მოხდა. ისე დაილია, რომ სასახლეში მთლად ჩაიკარგა. მერე ისევ ჩვენებიანთ მელანამ მოიფიქრა: მოდით, ქალებო, ჩავაცვათ კიდეე რამდენიმე კაბაო და რაც კი რამა პქონდა, სულ თან გავატანეთ. საწყალს ორი ნაშთივი ქიშმირის შალეები პქონდა და ისინიც მოვახვიეთ. კიდეე კარგი, ამ დედალ პრისტავს ხელი არაფერში გავაყრევენეთ. ეჰ, მეც ვამბობ რაა, ტანსაცმელი რასა პქვია, ყველაფერს არ დაეპატრონა და ქვეშ არ ამოიდო?! ვაი, ჩვენს მოსწრებას! ჩემი მარუას მოკონინებულ ოჯახს ვინ გადააჯდა!

ეგ დაშა და კლუბის დარაჯი ერთად ჩამოიხინცნენ რუსეთიდანა. ომი დიდხნის გათავებული არ იყო და ვითომო იმ წლებში დიდი მოუსაველიანობა იყოვო, თან ეს ნაომარი ქვეყანაა და არაფერი გვქონდა სასულდგმულოდო. სწორედ მალაზიაში ვიყავ ჩასული, მზე ჩასვლაზე იყო, გავიხედოთ და ორნი მოდიან. ერთსა რალაცა ძველისძველი ჯღანები თასშებით გადაება და მხარზე გადაეკიდნა, ხელში კიდეე პატარა ბოლჩა ეჭირა, ეს იყო და ესა მაგისი ავლადიდება. ფეხები მუგუზალივითლა პქონდა მოქცეული, თავზე კი ქათქათა ხილაბანდივით თავშალი გადაეფრიალებინა. ეს ხილაბანდი და მთლად გამორეცხილ-გამოხეხილი თვალეები მეცა თვალში. აცეცებდა აქეთ-იქით მშიერი მელასავით. ეს დაშა გახლდათ, როგორც მერე შევიტყე-

გვერდზე კიდეე ის ბრეტელა რამა მოსდევდა. განერიდებულ ქიქარზე მუშტივითლა მოქცეოდა თმებგადალოკილი თავი. ბევრი სიარულით ქანცგანყვეტილი სწორედ აქლემივით ადგამდა ფეხებს, მუხლებში თითქოს სახსრები ეხსნებოა, აილებდა ფეხსა და მონყვეტით დასდგამდა. სახეზე ხომ ნიშანწყალი პქონდა ნაშლილი. კიდეე რალაც სიცოცხლის ნიშანს ის ბრეტელა თვალეები აძლევდა იმის სახესა, თორემა მკედარიც მკედარია და ისიც მკედარი გვეგონებოდათ, მოსიარულე მკედარი.

ჰოდა, დასდგომოდნენ გზასა ეგრე ცალთვალა ძაღლებივით და მოდიოდნენ კაი დაბარებულეზივით. შემოდგომა იყო და მაშინეე ჩვენს მურნეობაში აიყვანეს მკრეფავებად. ორიოდ კვირის შემდეგ ჩვენი ვენახის ორლობეში შემომხვდნენ ორივენი ერთად. თვალეებილა დავაჭყიტე: დაშა ხაშით გაფუებულს დამსგავსებოდა და ის ნისქვილის ქვაზე დასაფქეავი რაიაც კარგა მოჭენჭიანებულიყო. სადლა ნავიდოდნენ? გიფი ქორნილიში შევიდა – ჩემ სახლს ესა სჯობიაო. რალა გავანვრილო – დარჩნენ – დარჩნენ. რაია მალე კლუბის დარაჯად დადგა, დაშამ კიდეეა ღვინის სარდაფში, ჩვენ მურნეობაშივე დაინყო მუშაობა. ღვინო იგრე შეიტკბო და შეითვისა, ჭიქებს ჭიქებზე სცლის ეხლაცა. ვინ იცის, რამდენჯერ შევსწრებივარ, როგორ გამოსკდებოდა და გამოთვრებოდა, მიწვებოდა სადმე ღობის ძირას და სლოკინით გულს ველარ იოხებდა. ესაო, ვანკა მიგონებსო, ესაო, მარუსკამ მახსენაო... მერე საცა მოხედებოდა, ნამოგორდებოდა და ამ სლოკინსლოკინში კიდეეაც ჩაეძინებოდა. გასულ შემოდგომაზე ჩაველ მურნეობაში ყურძნის ფულის ასალებადა. დაშა მარნის ნინა ტრიალებდა. მე კანტო-

რაში შევედი. ხალხით იყო სავსე. ვიფიქრე, გარეთ დავიცდი-მეთქი. როგორც ჩამოვცდი კიბეებს, მარნის ფარდულთან დაშა კი არა ზის? გაუშლია ხილაბანდი, დაუდგამს ცალყურით მაჭარი, ერთი-ორი კუტი დაუგდია, ნეფლი ხახვის კონა და იმას არჩედა. დამინახა თუ არა. ყელისწევით თხოვნა დამინყო – მოდიო. მეჩქარება-მეთქი, მცოდნოდა მაშინ ჩემი მაზლის ამბავი, ეგრე წყნარად თუ გავცემდი პასუხს!? ნამოდგა, მოვიდა ჩემთან და შემომანჩქრია ღვინის სუნი: „შენი ჩირიმე, ერთი ჩიქა მაჩარი დავლიოთ“. ეტყობოდა რაღაცა ჰქონდა სათქმელი. იმას უკვე კარგად ეყლაპა სასმელი, სულ ოხშივარი ასდიოდა. სახე ნამოჭარხლებოდა და სწორედ მთვრალ ბატსა ჰგავდა, მაინც ბატს უგავს ის თვალეზი. ძალის-ძალად მიმიყვანა და დამსუა. მიჰყვა-მოჰყვა ციხასა და ბარისას, ხან ესა თქვა, ხან ისა, თან ჭიქებს ჭიქებზე სცლიდა. მალე სლოკინი აუტყდა. სათქმელშიც სწორედ სლოკინმა უშველა. ერთი ამოასლოკინა და შემომამტერა კიდევ თავისი ბატის თვალეზი. მერე კალთაზე ხელი დამკრა და კრეჭით მეუბნება: შენი მაზლი მახსენებსო. თითქოს სახრე გადამიჭირესო, იგრე დამემართა. კომები გამოვიკარ და ნამოვდექი. ჩემი მაზლი რა შუაა, ცოტანი გეყოლებიან იმოდენა რუსეთში მომგონებლები-მეთქი! ბევრი ბევრია და მთავარი ერთიაო. ქვანაკრავივით გამოვტრიალდი და ნამოვედი. განა არა, წინათაც რაღაცას მისთქვამ-მოსთქვამდნენ, მაგრამ ჩემი შვილების მზემ, ყური არავისთვის მითხოვებია. ეხლა კი ყველაფერი მენიშნა. განსაკუთრებით ერთი ამბავი მომაგონდა. მაშინაც შემოდგომა იყო, ამ რამდენიმე წლის წინა. მარუამ მთხოვა კაკლის მტერევა მიშველეო. ბუხრის აქეთ-იქიდან გავიშალეთ

ფარდაგის ნაჭრებმა დასტეხა და წინელის კალთა და კბილი მტერევა დავიწყეთ. მარუა გუნებაზე ვერა ჩანდა, ძალიან იყო ამრეზილი და დარუშული. პირგაკერილი ამტერევედა კაკალსა, თან ნამინუთას კარისკენ გაიყურებოდა. ვერ მოვითმინე და ვუთხარი:

– რა პირი გაგიკერია, მარუავ, ან ავი თქვი, ან კარგი, კაცი თქმით არის.

– იპ, ჩემო რძალო! – გაიქნია თავი და გაიკერა ისევე პირი.

– რა იყო, დედაკაცო, ვის გაუბრაზებიახარ?

– ვინ გამაბრაზებდა, ვინა, აგე ის კაცი, მზე რო გადაინეერა, ნავიდა, ვენახს შემოვიელიო და ჯერაც არსადა ჩანს. აქ კიდევა გიგლა ბარე ორჯერ მოვიდა: შემომითვალა ქვევრების გარეცხეაო და რა ვქნაო.

– მერე მაგაზე იკრავ შუბლსა და ილონებ გულსა? ხო იცი, მარუავ, ჩემი მაზლი საქმეს არ გაიმრუდებს, შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს.

– იპ, ჩემო რძალო. – ნამოავლო ნაჭუჭებით სავსე ბაღიას ხელი, ბუხარში ჩაცალა, ქეთლი შემოიტანა და ზედადგარზე შემოედგა. მერე ისევე მოირთხა ფეხი და გაგულისებით დაინყო კაკლის რჩევა. ქეთლმა შიშინი რო დაინყო, ისევე ნამოდგა, განჯინა გამოალო, ჭოლი გაეკეთებინა, – ის გამოილო, ყველი, პურები დაალავა და ისევე კაკალს მიუჯდა, რა მარჯვე იყო სანყალი საქმეში! შევხედოთ და ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, ქვევით კარმა გაიჭრიალა და ჩემი მაზლის ჩახველებაც ვიცანი. მარუამ უფრო გაახურა მუშაობა, თავიც არ აუღია. აქამდისინ სუ კარს გაჰყურებდა და ეხლა თავიც არ აუღია.

– ოპ, ჩემ რძალს ვახლავარ! – და ჩემი მაზლი ძალზე გაიბადრა, მე რო დამინახა.

– საღამო მშვიდობისა, ჩემო მაზლო.



– მუშაობთ, მუშაობთ, შა; კაკალს არჩევთ! თავი აიღე, დედაკაცო, რას ჩაგირგავს „თავი აიღეო“ – გაიგონა მარუამა, ფიცხლავ აპკრა ნიკაპსა და შუაკვესა ჩემ მაზლსა თავისი შავი თვალები. სიბრაზისაგან თითქო უფრო გაშავებოდა. ჯერ გამომძიებელივით მიამტერდა, მერე იგრე გადახარა თავი, იგრე გაინოდა თავისი ყვავის კლანჭივით ხელი, რომ მივხვდი, რალაცა არ ეჭაშნიკა.

– დაიცა, დაიცა, მიდექერთი გვერდზე, მიდექ! აი, ეგრე! ეხლა შემობრუნდი! შოო, სად აიკარ მაგოდენა ბირკა მაგ წინდებზედა, ან უკან შარვალზედა?

– ბირკაა? – გააგრძელა ჩემმა მაზლმა და თან ფეხებზე დაიხედა. მართლაცდა ყელიანი წინდები და შარვლის ტოტები ბირკისაგან მწვანედა და ნითლადა შქონდა მოქცეული. მაინც რა თვალი შქონდა მარუას, როგორ მაშინვე შენიშნა.

– დიახ, ბირკა, ბირკა! სად აიკარმეთქი, კაცო?!

– სადა და სადაც ვიყავი, ჩვენ ვენახში.

– ოი, ისემც გატიალდება და გაოხრდება ის ვენახი, სადაც შენ იყავი, რაც ჩვენმა ვენახმა ბირკა არ იცოდეს!!

მართლაც მარუას ისე შქონდა ვენახი მოვლილი, სათიბში ბირკას კი არა, მგონი გვირილასაც არ აქაჭანებდა.

აქ კი აირია ჩემი მაზლი.

– რა ვიცი, ან ორლობეში მომედებოდა, ან...

– ორლობეში, კაცო, ორლობეში? რეებს ამბობ!

– შენ ბირკას კი ნუ კითხულობ, ედედაკაცი რო დავისვია და ამუშავებ, მოდი ერთი ლუკმა გავტეხოთ.

„ლუკმა გავტეხოთო“, იგეთი ხელმოჭერილი იყო, მუჭიდან წყალი არ გა-

უვიდოდა და რატომ მჭიმინჯეჯერ ვიფიქრე: მართლა სადღაცაა ეს ხედილას იყო, ეგრე არხეინად რო ამბობს ლუკმის გატეხას-მეთქი. სანყალმა მარუამ ალარაფერი თქვა, მაგრამ ეტყობოდა კი, გული საგულეს ალარა შქონდა. ჯერ იგრედაც რა ფეროვანი ის იყო და სულ ბოღმის ფერი გადაჰკრავდა. ეხლალა ვფიქრობ, რომა ხალხის მითქმა-მოთქმა მართალი იყო და მაგლოთ ბატთან წინათვე შქონდა ჩემ მაზლს კარავი გაშლილი. იმიტომაც გაბედა იმ დაშამა ჩემი მაზლის ჩემთან ხსენება.

იმ მეურნეობაში ნახვის შემდეგ არ გაუვლია ორ-სამ დღესა და შევხედოთ – ნამოუცვია მკლავზე ნწული კალათა და ზევითენ კი არ მოაბოტებს?! ვითომა და ტყეში მიდის ნაბლზე! მაგრამ ვის აუბლესავდა თვალებს? იგეთი გულამოთხლეშილი კაბა ჩაეცო, ძუჭუები შა და შა უჩანდა კიდეცა. მაშინვე ვიფიქრე, აქ ხეხანაირად არის საქმე მეთქი და მეც ჩვენი საბძლისკენ წავედი, საბძლის უკან ჩრდილში დავდექი და ზევით გავიხედე. რასა ვხედავ, რის ტყე, რა ტყე, გაუსწორდა თუ არა ჩვენ ორლობეს, ნაბიჯს უკლო. მერე ვითომც აქ არაფერი იყო, შემოუხვია და შემოუდგა აღმართს. ჩემი მაზლი მარანში ჩასულიყო და ქვევრებს უვლიდა. მინდოდა გადამეძახნა: ჩემო მაზლო, საპატარძლო მოგდის-მეთქი, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე. ცოტა ხნის შემდეგ დაშამ შუალაჯა მარანში და კარიც მოკეტეს. რაკი ერთი და ერთი გაიტეხინა, მერე მოუხშირა ჩვენკენ სიარულს. ამოვივლიდა ამოთხლეშილი კაბითა და ტიტველა მკლავზე სამათხოვრო კალათა ნამოცმული, მიიკეტავდნენ მარნის კარებსა, მოუსხდებოდნენ ქვევრსა და ლოთობდნენ ერთად, მერე კი მოჰყვებოდნენ გორა-

ობასა. ამოგანგლულებილა გამოდი-  
ოდნენ მარნიდან.

ერთხელ ჩემი მაზლიდან ნამო-  
სულსა, დაშას თავის ბუნაგამდის ვე-  
ლარ ჩაელნივნა და ეკლესია რა ნათ-  
ლისმცემლისა, იმის კართან გადაქცე-  
ულიყო. სწორედ გორასავით იდო. მო-  
ლორთხილი კაბა ნამოხდოდა და  
უნიფხო, შიშველა კურტუმი დაირასა-  
ვით უჩანდა, დაკვრალა უნდოდა. ცა-  
ლი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე კი-  
დევა სამათხოვრო კალათისთვის ჩა-  
მოედო, დახეთ მძინარე ლოთსაც არ  
დავიწყნოდა კალათა! შემოვებევიენით  
ქალები. ჩემ სიაჯკაცეს ვამბობ, პირ-  
დაპირ კურტუმზე გავეკარი ფეხი. ადე,  
აეხირე, შე დედაკაცების თავის მომჭ-  
რელო-მეთქი. ბაიბურში არ იყო. კალა-  
თაში ჩავიხედე, ერთი ტურნატეხილი,  
სიმინდის ქურჩით თავდაცული ხელა-  
და ჩაედგა, დამტერული პურები ჩა-  
ეყარა, კომბოსტოს ფოთოლში გამოხ-  
ვეული მწნილი კიტრისა და ერთი პეშ-  
ვიც ნიგოზი. ეტყობა, რაც დარჩათ,  
მოხებეტნა და მოაქონდა. ჩემი შვილე-  
ბის სიცოცხლემ, კურტუმზე ფეხი გავ-  
კარი - ვერაფერიც ვერა გაიგო რა, კა-  
ლათას ნაუვლე ხელი და მაშინათვე  
გულისხმაში ჩავარდა, დახეთ თავის  
მათხოვრობასა. კისერი მოიბრუნა და  
შემომაჭყიტა თავისი ბატივით თვა-  
ლები.

- შტო ხოჩიშო? - და ერთი ისეთი  
ამოასლოკინა, გულ-მუცელი ამოაყო-  
ლა, თან ამოანჩქრია ღვინის სუნი.

აბა, „შტოვო“ გავიგონე? - ადე,  
აეხირე, შე დედაკაცების თავის მომჭ-  
რელო-მეთქი. რო გადაპკიდებიხარ იმ  
ბებერ კაცსა, გინდა განა ქონება და  
ცხოვრება ხელში ჩაიგდო! აი, შე უნა-  
მუსო, ლობეებზე გადასელა-გადმოს-  
ვლას რო ვერ ასწრებდი და რუსის ბა-  
რბანს არ მოხვედრია იმდენი, რაც  
შენს გვერდებსა-მეთქი. მაგ საქოთე

მუცლისთვინა მთელ ქვეყნს უნიფ-  
ხო და ფეხშველა შემოგვლეს და დაი-  
თახებულე განა ეხლა ბებერი კაცი, და-  
გიდგა განა დარი-მეთქი!

ადგა, აჩქეჩა, მოლორთხილი კაბა  
მოიბრუნა და ხელი ჩამოისვა, ტიტვე-  
ლა მკლავზე ნამოიცივა სამათხოვრო  
კალათა და სლოკინ-სლოკინით დაუყ-  
ვა გზასა. ჩასცდა ცოტა, მობრუნდა და  
ამომძახა: - რამდენიც გინდა გავარი,  
სერავენაო, კაცს უკვარვარო. იმის პი-  
რიდან ეგეთი ქართული რო გავიგონე,  
რეტი დამესხა, „უკვარვარო“. დედაკა-  
ცებმა დამიჭირეს, თორემა უნდა დავ-  
დევენბოდი და კარგისები მომეხსენე-  
ბინა. მაგრამ იჩხუბე - არ იჩხუბე, რა  
ბედენაა.

ძალიან მიჭირდა, ძალიან ჩემ მაზ-  
ლთან ლაპარაკი, მაგრამ ყელამდე რო  
მოვიყარე ბოლმით, თავზე ხელი ავი-  
ლე, ერთხელაც გადავედი. საჩეხის  
ჩრდილში იჯდა და ჭიგოსა სჩეკავდა.  
რო დავინახე იმისი ყბებგადგმული,  
ნამოჭარხლებული პირისახე, ნარბე-  
ბამდე ჩამოჩქრილი მტუტისფერი თმა  
(დრო და ჭამი თმებზე კი არ ეტყობა,  
ცუდად ნაჩქრ მატყლს უჯავს. ადრე გა-  
თეთრდა, თორემა ბენვიც არ გავარდ-  
ნია თავიდან) ბრაზი უფრო მომანვა,  
მიხვეულ-მოხვეულებს არ გავყე-ვა-  
მოვეყე, პირდაპირ დავინყე: - ჩემო  
მაზლო, კი არ გეკადრება ჩემგანა,  
მაგრამ რა ვქნა, როგორ დავმუნო ეს  
გასახშობი პირი? ვინ უნდა ათარეშ-  
აბოგინო საწყალი მარუას მონაგარზე,  
რატო კარგად არ გააჭრევინებ მაგ  
თვალეებსა...

- სწორედ კარგად რო გავაჭრევი-  
ნე, იმიტომაც ისა... იმიტომაც შეშვარ-  
და გული მაგ დედაკაცზედა.

- შეგვარდა რა სათქმელია, ნიკუ-  
ავ, რომელი შელერებული ყმანვილი  
შენა ხარ!

- შენ ეგრე ილაპარაკე და ჩემი გუ-



ლი არავის ეკერის მაგის მეტსა.

- ჩემო მაზლო, რალა დროს შენი გულის ხსენებაა, ნადი, აბა, თუ სარკის ნატეხი არა გაქვს, ნყალში ჩაიხედე.

- როგორ თუ გული არ ვახსენო!! სწორედაც რო ნლები რა შუაა, ჩემო რძალო! გული იყოს, გული, თორემ აგე, ეშხი გიუა ახალგაზრდაა და თანაცა ეშხიანი, მაგრამ კისერს ძლივს იჭერს, არც ქალის თავი აქვს და არც კაცისა.

- ეჰ, ჩემო მაზლო, ყველამ თავისა იჩილოს, ეშხი გიუა რა სახსენებელია. გული გერჩის - გერჩის, ზოგი ჯანსა და ღონესა პკითხე და! ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნაო, არ გაგიგია?

- მე ეგეც გამიგია და სხვაც ბევრიცა.

- ჰოდა, თუ გაგიგია, ეგ ღენდრეცა, ეგ ჯინგოდორა, ეგ დედალი პრისტაეი უნდა ჩააყენო მარუას კვალშიი!

- ჩემო რძალოო, ჩემო რძალო მეთქი! ურიგო არა მათქმევინო რა, მოდი თავი გამანებე.

- არა, ჩემო მაზლო, ვერ გაგანებებ თავსა, განა გუშინ და დღეს მიცვნიხარ? ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, თქვენი რძალი რო გავხდი, შენ კიდევა მაშინ ხუთმეტი წლის ბიჭი იყავ, ბევრით კი არ ჩამომრჩები. ცხვარი გვყავს ორივეს ფეხზე გამობმული.

ნამოდგა ჩემი მაზლი, დაჩეკილი სარები მარნის პირას მიაქუჩა, მერე ეზოში გავიდა და ჭიგოს დაუნყო რჩევა. მეც ცოცხი ავილე, ეზო მოვრწყე და ჭიგოს ნაჩეკს გვა დავუნყე.

- რას გეტყვი იცი, ჩემო რძალო, მაგ დედაკაცს მე... ეგ დედაკაცი... ერთი სიტყვით მე ვუყვარვარ...

ეგრე მეგონა, ჩემ გასაბრაზებლად ამბობს ამისთანა რამესა-მეთქი, ნამომანათა პირდაპირ: - ერთი სიტყვით, ჩემო მაზლო, მაგისი ღამითსაფიქრე-

ბელი შენა ხარი გაგნურავე-მხლეს გუნდასავით და მერე ტურბაკავით გაპყმუვლებს თავის რუსებსა. ჩამორეკავს, ჩაათესლებს შენს ადგილ-მამულზედა.

ეს სიტყვა გაიგონა თუ არა, თითქოს ბეჭებზე სახრე გადაუჭირესო, მაშინვე გასწორდა. მარცხენაში ჭიგო ეჭირა, მარჯვენაში ნალდი, დაიქნია და დაიქნია ნალდი, სარიც მიაგდო, ზედ ნალდიც მიაყოლა, გამოვიდა საჩეხიდან, მოვიდა და წინ დამიდგა: - აბა, ერთი გაანებე მაგ ცოცხს თავი! რას გეტყვი იცი, ჩემო რძალო, მთელი სიცოცხლე ბარვასა და თესვას ვერ აუვუედი. ის საწყალი დედაკაცი იყო და გამეტებით პურსაც არ გასტეხავდა, ჩემ ძმისწულეებს, ჩემ ძმისწულეებსო, ყველაფერი იმათთვის უნდოდა. მერედა, ვინ არის ეხლა ჩემი მომხედავი? აგე, ისე დავმარხე დედაკაცი და ორმოციც ისე გადავიხადეთ, ქალი კი ჩამოვიდა ქმრითა და ალექსა კი თვალითაც არ გამიცდია. მოსკოვში გამოიძახეს საქმეზედაო. ანიკომაც, რასაც თვალი დაადგა, ყველაფერი მოფოთლა, გაუდგა გზასა და ნავიდა. ძიავ, შენ უნდა ქალაქში ნაგყევანოთო, ერთი კი მითხრა და ის იყო. რა მინდა ქალაქში ერთი-ორი დღე დამრჩენია და როგორც ჩემი გუნებაა, იგრე უნდა გავატარო, ეხლა!?

მამინ კი გული ყელამდე მოვიყარე, ისევე ქალაქელებისა რო თქვა და ჩვენ კიდევა კარს უკანა და ბანს უკან.

- ვაიმე, ვაიმე, ჩემო მაზლოო, მამის სული რო გაგიშვია და პაპისასა შფიცულობ! ქალაქელები დაგიკერებია პირზედა და ჩვენ აქ ვითომ დავხოცილვართ და ამოვფხვრილვართ, პაა?!

- აი, დედაკაცის ქკვა რო მოკლეა, ეგ არის და! შენზე ქკვიანს ამბობენ და როგორ აგრე-იგრე ლაპარაკობ, შენი



ვერა გამოიგია რა. გაიხედ-გამოიხედ, რა ხდება ქვეყანაზედა. ვერა ხედავ, ყოველწლიურად გვაჭრიან და გვაჭრიან მინებსა. ერთი დედაკაცი პკენტისხარ, მეტი ხო არა. კაი რამ, პატარა ბიჭი ჩაგინერეს და იმაზე გადაიტანე შენი ვენახი და სახლი. მერე? სხვისას კი ნუ უყურებ, შენი იჩივლე, შენი, დედაკაცო, თორე მინა... მინა... მინა და სოფლის კაცი ერთია, ერთი... აბა, რა ვენა, როგორ წამოვიკიდო და როგორ წავილო საიქიოს ეს ოხერი მინა, პაა! როგორ! როგორ! – დასწვდა წალდსა, ერთი პირს დახედა და იგეთი გამალებით დაუნყო ჩეხვა ჭიგოს, გული შემიტოკდა.

– მინაზე კი გულს ნუ დაინყვეტავ, ჩემო მზალო, საიქიოს მინის მეტი კი არაფერი გვექნება.

– შენ თავსაც უთხარი, დედაკაცო, შენ თავსაც!

● ამის შემდეგ ერთი-ორჯერ კიდევ შევლაპარაკდით და მივანებე თავი. წლის გასვლას აღარ დაუცადა ჩემმა მზალომ. ესაო, რაკი შემოდგომაა და სარჩო ავილე, ბარემაც მარუას ხარჯს გადაუხდით. კარგი ხარჯი გადაუხადა, ცოდოს ვერ დავიდებ, და მეორე დღესვე მოიყვანა და დაისვა.

ნუხელ მე და ელდარი ადრევე ჩამოვედით სადგურზე. ჩვენებურებიც იყვნენ, ჩვენი ნიკუას ნათლული ქალი ქმრითა და ჩვენებთან თინია. ხო იცით სოფლელების ამბავი, ადრევე გვიყვარს დაწინაურება. მატარებელი მოსული არ იყო, ჩვენ გადაკრეჭილ ბურჭებთან სკამზე ვისხედით და ვუცდიდით მატარებლის მოსვლას. შუა ლაპარაკის დროს ჩემმა ელდარმა გა-

იხედა გზისკენ და, მრთმ გმეტეს დედი, ავე, ძია ნიკუა მადონის მსახლაც, ამოუჩრია თავისი პატარძალი და მოდის ჩვენი ახალწანეფარი ნიკუა: გადაკრეჭილი ბურჭები გვფარავდა, იმათ ვერ დაგვინახეს და პირდაპირ კი წამოგვადგნენ თავზე. ეხლა კი ამჟამად დავინახეთ ნიკუას ყბებგადგმული, წამოჭარხლებული თავპირი, წარბებამდე ჩამოჩენილი მტუტისფერი თმა (ადრე გათეთრდა, თორემა ბენვიც არ გავარდნია თავიდან).

ჩემი მახლი ვერა ჩანდა გუნებაზე. ახალგაზრდობიდანვე, როცა თავის ქეიფზე ვერ იყო, დაიწყებდა ტურების კენეტას. ეხლა ერთი-ორი კბილილა შემორჩა სიმინდის მარცვლებივითა. წამდაუნუმ აცმაცუნებდა პირსა და სიმინდის მარცვლებს ტურის ხან ერთ კუთხეს მოახვედრებდა, ხან მეორეს. ჩვენი დანახვა არ ეპიტნავა, მაგრამ რაღას იზამდა, სალამს ხო ველარ დაგვიჭერდა.

– სალამო მშვიდობისათ!

– ღმერთმა მშვიდობის სალამო ნუ მოგიშალოს!

– გამარჯობა, ძია ნიკო!

– საით, ნათლი, საით გაგინევიანო?

– ქალაქს მიბრძანდები, ჩემო მზალო?

– არაა! – და პირი მიიბრუნა და წასვლა დააპირა.

– ცეცხლი ხო არა ვთქვი, პირი დაგნვოდა, რა პირს იბრუნებ, ჩემო მზალო.

– მაშ, რა ვინდა სადგურზედა, ძიავე?

– მინდა, ალბათ, აქ რო ვარ! – და აღარა თქვა რა. მერე თავისი ნათლული მოიკითხა და ჩვენთან აღარ გაჩერებულა, მივიდა თავის პატარძალთანა.

არ გაუვლია დიდხანს, მატარებე-



ლიც მოვიდა. ხალხი აირია სადგურზე-და. შეშინოდა, ისინი თვალს არ მიეფარნენ, ერთი გავიგო ვისა ხედებიან-მეთქი.

მატარებლის მოსვლა რო გამოაცხადეს, ორივენი წინ წავიდნენ. დაშა ეგეთი ჯერ არ მენახნა. იდგა გულზელ-დაკრეფილი, თითქოს შეულოცნიათო, სწორედ შელოცვილივით. გამტერებული შეპყურებდა ვაგონებს. ელდარი მომიბრუნდა: დედი, მანამ ხალხი ჩამოიცილება, როგორმე ავალ და ბარგი ამომანოდეთო. მე ბარგს მივუბრუნ-დი. ჩვენებურებიც დაფაცურდნენ და ბარგს დაუნყეს ზიდილი. ამ ფაციფუცში ვართ და გულამოსკენილი ტირილი შემომესმა. ხმაზე ვიცანი. მივიხედე და დაშა კი არ იყო?!

ახალგაზრდა, ოციოდე წლის ბიჭს ნიკაპით დაბჯენოდა მხრისთავზე, ორივე ხელი ბეჭებზე შემოეხვია და ველარც ვერავისა ხედავდა, აღარც არაფერი ესმოდა, ტიროდა, სახეზე ღვიარება ჩამოსდიოდა. ეტყობა, ბიჭიც ტიროდა. ჩემსკენ ზურგით იდგა. გახუნებული, გაცრეცილი ლურჯი სა-

ტინის ხალათი ეცვა. ეხედავდი რუგორ აუღ-ჩაუდიოდა ამოხრალი ბეჭის თავები, ბიჭიცა ტიროდა. იქვე ახალგაზრდა ქალი იდგა ხელში თოთო ბალლით. ჩვრებში გამოკრული ბალლისთვის წკირებივით ხელები ამოეყოფინებინათ, პრანჭავდა ხელებს. იგეთი პატარა იყო, თავგის წრუნუნასავით, პირიდან ნამოვარდნილსა ჰგავდა.

ჩვენი ნიკუა განზე იდგა გამტყუნებული სახით, გვერდით ხის სკივრით ჩემოდანი მოედგა (კარგა მოზრდილი კლიტე ედო იმ სკივრსა) და გზისკენ გაიყურებოდა.

— დედი, დედი!! რა ვქნაა, სადა ხარ ამდენი ხანი, ადგილები დაკავებულია!!

ჩემი ელდარი შეძახდა.

ავედი ვაგონში. ჩვენი კუპე მეორე მხარეს იყურებოდა. ბარე ორჯერაც გამოვიხედე, იგრე იყო გასასვლელი ხალხით გაძეკილი, ვერაფერი დავინახე. როცა ყველანი მილაგ-მოლაგდნენ, გამოვიხედე ისევ, მაგრამ სადგურზე აღარავინ იყო.

1963 წ.

## საკირეპთან

გინახავთ საკირეები ღამით?

ანთებული ბორცვები.

ცეცხლნაკიდებული, ანთებული ბორცვები.

ზევიდან გადალესილი თიხა სიმბურვალისაგან ფერს რომ დაინმენდს და გათეთრდება; დაიშაშრება, დაიბზარება, დასკდება... და ამ ნაბზარებიდანა და ნახეთქებიდან ამოფრქვეული ცეცხლის ყლორტები ფეთქავენ და თრთიან.

მე მინახავს.

რიყის სიო უბერავს, ცეცხლის თრთოლას კიდეე უფრო ახშირებს.

რატომ მოსმენა არ შეიძლება, თორემ ეს იქნებოდა, ალბათ, ზღერამდე მისული ექსპრესიით, მწველი განცდით ათრთოლებული ხმა. ანთებული საკირეების ხმა.

მე ბევრჯერ მინახავს.

აი, მიედივართ ტყეში შვინდზე, ნაბლზე, ზღმარტლზე, ნიფელზე.

გზა რიყის მისდევეს... რიყის მეორე მხარეს დიდი კლდეებია.

ისმის პატარა ღრიჭინის ქრიალი და რკინადაჭედილი თვლების რიხინი. ჩვენი წელი ნაბიჯით მიედევთ ღრიჭინას... ხშირად ვჩერდებით და ქვებს ვაგროვებთ... რიყეში თუ ალაგ-ალაგ შექუჩებული ქვები შეგხვდეთ, ფეხი არ გაჰკრათ და არ მიფანტ-მოფანტოთ. ეს ჩვენი შექუჩებული ქვებია. საკირეებისთვის ვაქუჩებთ...

სანამ რიყეს ავთავებთ, ღრიჭინაში რა ჩამოსვამს. მეც პაპასა და ბებიას ვშველი. ჩვენი ცხენი თავისთვის მართონ მიაბიჯებს. ამ ტყის გზაზე ჩამობერდა. რომ შეეძლოს, ღმერთმანი, თვითონ ჩამოჰკრეფდა შეინდსაც, ნაბლსაც, ზღმარტლსაც, თვითონვე დაუდებდა ღრიჭინას და სახლში ისე მოვიდოდა, გზა არ შეეშლებოდა.

- პაპა, აი, ეს ქვა ხომ კარგია? - მე ხელში ბურთივით მრგვალი, თეთრი ქვა მიჭირავს. ვიცი, რომ კარგია, ვიცი, რომ თეთრი კირისთვის გამოსადეგი ქვაა, მაგრამ მაინც ვეკითხები პაპას, მინდა მომიწონოს.

- ძალიან კარგია, გოგოცუნა, ძალიან კარგია.

მე ქვას სხვა შექუჩებულ ქვებთან ვაგდებ.

- როდის აუანთებთ, პაპა, საკირეს?

- ერთი-ორი ღრიჭინა რომ გვაკლდეხს, მეტიც აღარ დაგვჭირდება.

- შეშა?

- შეშა ხომ იცი, რომ მზადა გვაქვს.

- მაშ, როდის?

- ნეტა, გიო, ბარემ ჩამოგეზიდა ეს ქვა და აგვენთო საკირე. სანამ გოგოს წაიყვანდნენ, მოგვენსრო.

- ქვები არსად გაიქცევა. შეინდს კიდროით უნდა დაკრეფა.

- ერთი სული აქვს, სანამ ანთებულ საკირეებს ნახავს.

- ვითომ ჯერ არც უნახავს.

- სწორედ მაგიტომ, პაპა, სწორედ მაგიტომ!

- გინდა ერთი ისეთი რაღაც გეჩვენო, შენი სულისა, რომ მინდობდნენ საკირეები აღარც ისე მოგენონოს და კარგადაც შეგეშინდეს?

- რაც გინდა მითხრა, მაინც მომეწონება!

- ვაი თუ?

- კარგი, გიო, ბაღს გულს ნუ გაუხეთქავ.

- არა, არა, პაპა, გამიხეთქე რა გული, მითხარი რაა!

არაფერი ისე არ მიყვარს, როგორც ამბებითა და ზღაპრებით გულის ხეთქვა. მერე რამდენი რამე იცის პაპამ? ალაღა ყიზილბაშის ყვავილის ზღაპარიც პაპამ მიაბო, გაქვავებული ქალაქისაც, საათი სათხათუნესიც... ჩვენი სახლის პირდაპირ, რიყის გადაღმა ამართულ კლდეებში ქინკები რომ ცხოვრობენ, - ესეც პაპამ მითხრა. შუადღისას გახურებულ კლდეებს აეკერებიან ქინკები და მზეს მიეფიცებიან. არცა ცვივიან კლდეებიდან და არცა. ჩვენი იმიტომ ვერ ვხვდავთ, რომ ზუსტად კლდისფერი, მონითალო ბაღითა აქვთ ტანი დაფარული. ზოგჯერ კლდეზე რომ რაღაც მწვანედ გაიელვებს - ეს ქინკების ზურმუხტისფერი თვალებია.

უპ, როგორ მინდა მეც შემეძლოს გახურებულ კლდეს აეეკრა და არ ჩამოვვარდე.

- არ შეიძლება, პაპა, მეც მასწავლონ ქინკებმა კლდეზე სიარული?

- არაა, შეგირდებს არ ლებულობენ.

- რატომ, რატომ, იქნებ მე მიმილონ. აბა, შენ უთხარი.

- რა, რა და მასწავლებლობა ამ ემარჯვებათ.

- მაშ რა ემარჯვებათ?

- ვინ მოსთვლის?! სკუპსკუპი, ასკინკილა, ყირამალა გადასვლა. ცეკვა და ბუქნა. თუნდა ცეცხლში იცეკვებენ



და ერთი ბენვი არ დაენუებათ. მეტი რა გინდა?

- რა მინდა და მოცეკვავე ჭინკა მინდა ვნახო. ცეცხლში როგორ ცეკვავს.

- ნახავ, გოგოცუნა, ნახავ, შენი სულისა, ყველაფერსა ნახავ. ვისაც რა უნდა, იმას უთუოდ ნახავს.

პაპა აივანზე, ფარდაგადაფარებულ ტახტზე წევს, თავი მალლად უდევს ორ მუთაქაზე, ხელში გიშრის კრიალოსანი უჭირავს და იმას მარცვლავს.

- აგერ, გიო, ცხენი სად წასულა. ნაბიჯს აეუჩქაროთ.

- საკირეებისა რომ უნდა გეთქვა, პაპა?

- მაშ, გითხრა?

- მითხარი, მითხარი, მაშ!

- რა და წინათ ანთებულ საკირეებში კაცებს აგდებდნენ.

- როგორ აგდებდნენ, ცოცხლად?

- მაშ, ცოცხლად, აილებდნენ და ჩააგდებდნენ. ან არა და, საკირეებთან ახლოს დიდ ჯვარს დაასვამდნენ, ზედ კაცს მიაკრავდნენ და ნელ ცეცხლზე იწვოდა. ჯერ ბოლით გაიგუდებოდა... ხომ გახსოვს, ბოლი ბლუჯა-ბლუჯა რომ ამოდის საკირიდან?

- ეგ სანამ ცეცხლი ამოვა, როგორ არ ვიცი. მერე დიდხანს იწვოდა?

- რაებს ეუბნები ბაღლსა, კაცო! არა, გენაცვალოს ბებია, საკირეებთან ჯვარზე მიკრულ კაცს რა უნდა!

- უნდა, უნდა, რაკი პაპა ამბობს, ალბათ, უნდა!

თურმე მართლა უნდოდა საკირეებთან ჯვარზე გაკრულ კაცს. მე ჩემი თვალით ვნახე ამ რამდენიმე წლის წინ, შემოდგომის ერთ ღამეს. იქნებ მომეჩვენა? მაგრამ ხომ მომეჩვენა...

იმ ღამეს ჩვენს სახლში გაბურებული ღვინის სმა და პურის ჭამა იყო.

პაპას ვიგონებდით.

ბიძაჩემმა თქვა: მოდი, მანაჩემის მოსაგონებლად ცხვარი დაეკლავ და სული ეუხსნოთო. ჩემი საყვარელი ბებია მაშინ ჯერ ისევე ცოცხალი იყო. ძალზე გაუხარდა. ოცი წელია ის კაცი ნავიდა და მართლა კარგი იქნებოდა მოგვეგონებინაო. ცხვარს ანთებული სანთლები დააკრეს რქებზე, მარილი აალოკინეს. სანთლები რომ ჩაიწვა, ნამოაქციეს მარანთან და დაკლეს.

ბიძაჩემმა იმ დღისთვის საგანგებოდ შენახულ საზედაშე ქვევრს თავი გადახადა. გრძლად გაშლილ სუფრას შემოეუსხედით. მაგიდაზე დაყრილ ხორცს ორთქლი ასდიოდა. ღვინისაგან სახენამოჭარხლებული კაცები პაპაჩემის მოსაგონარს ამბობდნენ. ზოგი გულადობითა და კაცობით იგონებდა, ზოგი პურადობითა და სიმღერით. პაპაჩემის უფროსი ძმა სანდრო ამბობდა: ეჰ, გიოს წასვლის შემდეგ ჩემი სიმღერა სიმღერა აღარ არისო. ისე ველარავინ მემღერებო. აბა, ის იყო, ჩვენ რომ ჩავსხდებოდით სუფრის თავში და წუთისოფლისას შემოეძახებდითო.

დეიდა მალუცა კი, პაპას ნათლული, იგონებდა, როგორ დასხამდა ნათლია გიო თავის უამრავ ნათლულებს მამითადობის დროს, თვითონ როგორ მინეებოდა ტახტზე კრიალოსნით ხელში და ტკბილი, დაბალი ხმით ზღაპრებს უამბობდა... ისე ჩამოათავებდნენ მუშაობას, ისე დაპგულავდნენ ლობიოს, ისე დაამტვრევდნენ საზამთროდ კაკალს, ისე დანწავდნენ ნივრისა და ხახვის გალებს, ამ ზღაპრებში ვერაფერს გაიგებდნენ. არავისთან მამითადები ისე არ გვიყვარდა, როგორც ნათლია გიოსთანო.

მეც რამდენი რამ მაგონდებოდა?! რიყეში, კლდის ძირას ბავშვები წყალს აგუბებდნენ, ბანაობდნენ და წუნაობდნენ. მერე ფეხშველები, და-

ნუნულები გახურებულ ქვებზე დარბოდნენ.

მე აივანზე თოჯინებთან ვთამაშობდი, თან ხშირად გაეხედავდი ხოლმე რიყეში მორბენალ ბავშვებს. თუ ამ დროს პაპა დაბრუნდებოდა ან ვენახიდან, ან ბალიდან, ან ტყიდან და მე ჩვენს აივანზე დამინახავდა, ბებიას გაუნყრებოდა:

- იელიტ, რას დაგისვია ე ბაღი და დედოფლობას ათამაშებ? ნაიდეგს, აგე გოგო-ბიჭები რა დღეში არიან!

- რა უნდა მზეში ბაღსა, გიო?! მაგისმა დედამ გაიგოს, აქეთ აღარც მოახედებს!

- მაშ, სად უნდა, დედაკაცო? გრილოში ნაზარდი ხე რა ხეა?

- დაიწყე ახლა შენებურადა!

- პო და პო!! პაპა მართალია!!

- მოდი, მოდი ჩემკენ, გოგოცუნა! - დამიძახებდა, - რო დამდგარხარ და ცოდვის კვერივით შეჰყურებ ფეხშველა გოგო-ბიჭებსა, შენც გაიხადე ეს სანდლებია, თუ რასაც ეძახით მაგ ფეხსამოსებსა და გაიქეცი იმათთან!

- გაეიხადი, პაპა... ფეხები არ მეტკინება? დედამ მითხრა, ფეხშიშველამ არ იაროვო.

- მეტი-მეტი ეკალი შეგერჭოს ფეხში, მეტი-მეტი ქვაზე გაიჭრა, - ეგეც რამე? ავიღებ და მაშინვე გამოგიღებ ეკალსა. იცი, რა კარგია ცხელ მინაზე ფეხშველა გარბენა?! მოდი, ერთი გაეიხადოთ ეგ ფეხსამოსი?!

დაიხრებოდა, სანდლებს გამზდიდა, ჩემი ფეხების დანახვაზე თავს გაიქნევდა:

- ვაი, ვაი, ვაი, ჩემს შვილოშვილსა, ჩემ ჭრელ ხბოსა და ეგეთი ფეხები! ხაჭოს პარკებივით თეთრი და უნდილი ფეხები. აბა, ახლა გაირბინე!

- დედას არ ვუთხრათ, პაპა, თორემ გამიჯავრდება.

- დედაშენი ვერაფერსაც ვერ გაი-

გებს... აბა, ერთი ჩაირბინე ფეხში და გინახო! თუ უცბად დაგუნებს ფეხის გულები, აგერ ნარწყავი ბალახი და გაიგრილე. იცი, რა არის! მერე მთელი ზაფხული ფეხშიშველა დავრბოდი. დედაჩემის ჩამოსვლისთვის ჩაიცვამდი სანდლებს და ისე ვგრძნობდი თავს, გეგონებათ ორთუფებზე შემაყენესო.

ცხენზე ჯდომაც პაპამ მასწავლა... ღვიზოსაც პაპა მიაყლუებდა ხოლმე ბებიას ჩუმიად.

ამ მოგონებების დროს უცებ ისე მომინდა პაპას ნახვა, რომ გაეიფიქრე: აი, ახლა, ამ წუთას თუ აედგები ამ მაგიდიდან და გარეთ გავალ, პაპას ვნახავ-მეთქი.

გამოვედი და მართლა ვნახე!

აივანზე, ფანჯრებთან მიდგმულ ფარდაგადაფარებულ ტახტზე იწვა.

სასთუმალი მაღლად უყვარდა, ახლაც რამდენიმე მუთაქაზე ედო თავი. ხელში გიშრის კრიალოსანი ეჭირა და იმას მარცვლავდა. ფანჯრიდან გამოსულ შუქზე კრიალოსანი შავად ბრწყინავდა.

- გიშრის კრიალოსანი? რა საკვირველია, პაპა, რომ გიშრის კრიალოსანი გიჭირავს ხელში! - მართლა, ყველაზე ძალიან ეს გამიკვირდა. მივედი, პაპას ტახტზე ჩამოვეუჯექი და კრიალოსანს ხელი ნაფუველე.

- შენ ისევ ისეთი ხარ, ბავშვობისას რომ იყავი, ჩემო გოგოცუნა??

- ისევ ისეთი როგორ ვიქნები, პაპა!

- ხარ და რა ვქნა?! სწორედ რომ არ გამოცვლილხარ. აი, ხომ ჩემს სანახავად გამოხვედი და მაშინვე გიშრის კრიალოსანი გაგიკვირდა. ბავშვობასაც ასე იცოდო. ძალზე მოინადინებდი ბალსა... მართლა, როგორ არის ჩვენს ვენახში ბლები?

- ისევ ისეა, პაპა, გოგრა ბალიცა და წითელი ბალიც...



ეროვნული  
ნიმუში

– შოდა, მოგკიდებდი ხელსა და ნა-  
გყვანდი ვენახში. მთელი გზა ბლებ-  
ზე მელაპარაკებოდი: როგორ ახვიდო-  
დი, როგორ დაშკრეფდი, მეც როგორ  
ჩამომიყრიდი, კუნწულებს როგორ  
შეშკრავდი თაიგულად, ყურებზე სა-  
ყურეებად როგორ აისხამდი, ბებიასაც  
როგორ ნამოვულებდით...

– რა ლამაზია, პაპა, მნიფე ბალი,  
არა? თან თუ ნიავიც ქრის და მწვანე  
ფოთლებს ამრიალებს... რა ლამაზად  
ჩანს ნითელი ბალი, არა, პაპა?

– ძალიან ლამაზია. აი, ახლაც სიტ-  
ყვა გამანყვეტინე. ისევ ისეთი ხარ. შო-  
და, მივიდოდით ვენახში... შევიდო-  
დით, დაინახავდი ბლის ტოტზე ჩამო-  
მულ საქანელას და ვილას ახსოვდა ბა-  
ლი? შედგებოდი საქანელაზე და მოშ-  
ყვებოდი ქანაობას. იქანაებდი, იქანა-  
ვებდი, იმდენს იქანაებდი, სანამ თავ-  
ბრუ არ დაგებევოდა და გული არ აგე-  
რეოდა. აღარც ბალი გინდოდა და  
აღარცა...

ან სათბობში ყვავილებს დაინახავდი  
და ბალი სულ დაგავინყვებოდა. სხვა  
უშენოდ შედგებოდა იმ საქანელაზე  
და ბალზე უფრო იოლად ავიდოდა.

– რა ვქნა, პაპა, როგორ არ გამკ-  
ვირვებოდა ეს კრიალოსანი? ეს კრია-  
ლოსანი ხომ მე დავშალე...

– ჩემი ნახვა გინდოდა... მხოლოდ,  
როცა დამინახე, კრიალოსანმა უფრო  
მოგტაცა თვალი, არა? ჩემი გოგოცუ-  
ნა, ჩემი ჭრელი ხბო...

– აი, ხედავ ამ ბექედს? – ბექედიანი  
ხელი ახლოს მივუტანე, – ამ ბექედს  
შენი კრიალოსნის გიშერი უზის. აი, ეს  
გულსაბნევიც მაგ გიშრისაა, ჩემი სა-  
ყურეებიც... ბებია დიდხანს ინახავდა.  
მე შევეხვენი, აილო და მომცა.

– კარგად უქნია... ან რად გახვე-  
ნინა. ჩემი ვერცხლის ქამარი?

– შენი ვერცხლის ქამარი ბებიამ  
გიას აჩუქა, პაპა.

– გიას?

– მართლა, შენ ხომ არც იცნობ

ჩვენს გიას! შენი მოსახელეა, პაპა.  
მხოლოდ გიოს არ ვეძახით, ახლებუ-  
რად გიას ვეძახით. მე კი გიო უფრო  
მომწონს. ახლა კაცებში ჩამყვარა და  
შენზე ამბებს ისმენს. ძალიან უყვარს  
შენი ამბების მოსმენა.

– მიგონებენ?

– შენს მოსაგონარს სვამენ, პაპა.

– შენც ხომ მომიგონე.

– აი, ისე მოგიგონე, რომ გნახე კი-  
დეც. მე შენ ყოველთვის მახსოვხარ,  
პაპა, უხედაშოდა და უცხვროდ. შენს  
ჩონგურსა და სალამურს რა დამავინ-  
ყებს.

– შო, შო, ჩემი ჩონგური და სალა-  
მური.

– ბებიას სკივრში აქვს შენახული.  
გახსოვს, რომ მეუბნებოდი: მთათუ-  
შეთში ერთი მთა არ არის, მე არ ავსუ-  
ლიყავი და სალამური არ დამეკრაო.

– უყურე, როგორ დაგხსომებია?!  
ბავშვობაში მწყემსად რომ ვიყავი თუ-  
შებთან, მაშინ იყო.

– მეც ბევრჯერ ვიყავი მთათუშეთ-  
ში, პაპა, და იმ მთების დანახვაზეც შენ  
მახსენებოდი.

– ჩემი გოგოცუნა, ჩემი ჭრელი  
ხბო... ჩონგური და სალამური კი არ  
იცი, განა?

– არა, პაპა, არ ვიცი. მე ვიოლინო-  
ზე ვუკრავ. შენ რომ გარდაიცვალე,  
სწორედ იმ წელს მიმაბარეს ვიოლინო-  
ზე. კარგი საკრავია, რომ მოგესმინა,  
ღმერთმანი, მოგენონებოდა აუცი-  
ლებლად.

– მთავარი დაკვრაა, თორემ რა ბე-  
დენაა რაზე დაუკრავ. ზღაპრებიც თუ  
გახსოვს?

– მაშ! ზღაპრებს რა დამავინყებს.

– აგერ, აგერ, გახედე იმ კლდეს! –  
პაპა მუთაქებზე ნამოინია და კრია-

ლოსნიანი ხელი კლდეებისკენ გაიწოდა.

ჩაბნელებულ, შავ კლდეზე რაღაც გაკრთა და მაშინვე ჩაქრა, შემდეგ ისევ გაიელვა და ისევ გაქრა.

- ჭინკები!!!

- ხომ გუბუნებოდი, ნახავ-მეთქი.

- შენ მუბუნებოდი, ცეცხლში მოცეკვავე ჭინკას ნახავო.

პაპა ისევ ნამოინია მუთაქებზე, გადმოიხარა ჩემსკენ, სახე სულ ახლოს მომიტანა და ჩუმად, ძალიან ჩუმად მითხრა:

- ნადი ახლა საკირებთან და ნახავ. ნადი და ნახავ.

მე მაშინვე ნამოვდექი.

- აგრძელდა, რიყიდან სიომ ნამოუბერა.

- გცივა? გინდა, ნაბადი დაგხურო?

- დამხურე, თავზეც გადამახურე.

- პაპამ თვალეები დახუჭა. მე ხელები დავეკრიფე, გიშრის კრიალოსანი გულზე დავადე, იქვე დაგდებული ნაბადი ავიღე, პაპას გრძლად დავხურე, თავთან, ფეხებთან ამოვუკეცი, მერე კიბეები ჩამოვიარე და ეზოში ჩამოვედი.

ბნელოდა. წინ, მარჯვნივ მკრთალი შუქი შევნიშნე. მარანს რომ მივუახლოვდი, მაშინ დავინახე, რომ მარნის მუხის ბოძზე ანთებული სანთლებისა იყო ის შუქი. ეტყობა ბებიას აენთო სანთლები, ბევრი სანთლები. ზოგი ჩამწვარიყო, ზოგიც ისევ ენთო. იქვე, სანთლების გვერდით, ცხერის ტყავი ეკიდა.

სანთლების ყურებაში რაღაცას ფეხი ნამოვეკარი და ნავიქეცი. გუბეში აღმოვჩნდი. სისხლის გუბეში. დაკლული ცხერის სისხლი იყო. სწრაფად ნამოვდექი და ხელ-ფეხზე დავიხედე. გასისხლიანებული მქონდა. იქვე ცხერის თავ-ფეხი ეყარა. კიდეცა ამას ნამოვეკარი ფეხი. ცხერის გამოცილებული, გა-

მოთეთრებული თქალქში და დაკრეჭილი კბილები მომხვედრებოდა. ჭკალის ავარიდე. დავიხარე და სისხლიანი ხელები ბალახს გავუსვი. მერე იქვე მარანთან მდგარ კომშთან მივედი, ფოთლები ჩამოვკრიფე და გასისხლიანებულ ფეხსაცმელებს წმენდა დავუნყე. ამ კომშს რამდენჯერ ვესროდიოთ გეკოს. პაპა მასროლინებდა ხოლმე. ერთს არ ავაცდენდი. გეკოს ტყვიების კვალი ემჩნეოდა ხოლმე დიდ კომშებს...

ეზო გავიარე, ხის ჭიშკარში გავედი და რიყს დავადექი.

შორიდანვე შევნიშნე ანთებული ბორცვი.

საკირე ენთო.

ცეცხლის ყლორტები ფეთქავდნენ და თრთოვდნენ.

ამოფრქვეული ალი წითლად, ყვითლად, ლურჯად, იისფრად ვარვარებდა.

რიყის სიო უბერავდა. ცეცხლს კიდევ უფრო ათრთოლებდა.

მაგრამ ეს რა მოჩანდა ანთებულ საკირესთან?

რა იყო? რა?

მივუახლოვდი და შეშინებული გავჩერდი.

საკირესთან დიდი ჯვარი დაესვათ. ჯვარზე კაცი იყო გაკრული.

სამინელი და საზიზლარი დასანახი იყო. თავი ჩამოვარდნოდა, ნიკაპი ლამის მხრისთვის დაეგჯინა. ნახევრად ღია, ნამბებისაგან დაელმებული თვალებით, ალბათ, ველარაფერს ხედავდა. არც ვიცი ცოცხალი იყო თუ არა. ვინ იცის, როდის გაეკრათ ჯვარზე. თოკებით გაეკრათ. თოკის გრეხილებს შუა მოუჩანდა დანყლულებული წვივები. მაჯებზეც თოკები დაეხვიათ. გასიებული მტევენები უსიცოცხლოდ დაჰკიდვოდა ჯვრის გარდიგარდმო ხარისხის კიდეებს. გაქვალტყავებული,



ამოყრილი ნექნები რომელიღაც საკრავის კლავიშები გეგონებოდათ. შეუხედეთ თუ არა, ქსილოფონი გამახსენდა... მთელი სხეული წყლულებითა და ბებერებით ჰქონდა დაფარული. წყლულები აქა-იქ დახეთქოდა და მყრალი წუთები მოჰონავდა.

ჯვარცმის დანახვამ ისე შემაძრწუნა, რომ აღარ მომიხდა აღარც საკირე, აღარც ფერდამშენდილი, სიმბურვალისაგან გათეთრებული, დახეთქილი თიხა, აღარც ცეცხლის ატეხილი ყლორტები. აღარაფერი.

გამოვტრიალდი, მიხდოდა გამოვქცეულიყავი, რომ რიყეში ქვების ჩხრიალი მომესმა. ჩემსკენ ხან სკუპსკუპით, ხან ასკინკილით ვიღაც მოხტოდა...

ცეცხლის რკალში რომ შემოვიდა, დავინახე და მაშინვე ვიცანი: ჭინკა იყო, კლდის ჭინკა. ზურმუხტისფრად ენთო ჭინკას თვალები. ვინ იცის, იქნებ ზურმუხტებიც ესხდა. პატარა, მოძრავი, ჭორფლიანი სახე ჰქონდა და დიდი გადმოფურჩქნული ყურები. ყურებს გამუდმებით აბარტყუნებდა: ხან ერთს, ხან მეორეს, ხან ორივეს ერთად. ტანი ნითური ბალნით ჰქონდა დაფარული, წელზე ნითელი ბალნის დანწული ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ეს თურმე კუდი იყო. რომ დავერწმუნებინე, შემოიხსნა და გაიქნია და გამოიქნია. მერე ისევ ქამარივით შემოირტყა, ბოლოგაბუებული ქამარივით. ჭინკას ხელში გრძელტარა კოვზები ეჭირა. ასეთი გრძელტარა კოვზები არ მენახა. გეგონებათ დოლის ჯოხებიო.

იდგა ცეცხლის რკალში და მიყურებდა თავისი ზურმუხტის თვალეებით.

- რა არის ევა, რა გიჭირავს ხელში, ჭინკა?

- გამარჯობის თქმასაც აღარ მაც-

დი? ჯერ ერთი, მე ჭინკების წინამძღოლი ვარ.

ზიზლიოთქვა

- კოვზებია თუ დოლის ჯოხები?

- რაც გაგიკვირდება, ასე უცბათ იტყვი ხოლმე იმ კრიალოსანივით?

- ჰო, ჰო, ერთბაშად წამომვარდებოდა ხოლმე პირიდან. რა, რა და გაკვირვებას ვერასდროს ვერ ვფარავ.

- კაცმა რომ თქვას, ან რა არის დასაფარი?

- კრიალოსანი შენ რა იცი, ჭინკა?

- ტყუილად მაქვს ამოდენა ყურები? გავიგონე. - და ჭინკამ ყურები ისევე გააბარტყუნა.

- ჰოო... მაინც რად გინდა ეგ კოვზები, ჭინკა, ჰაა?

- შენ წამოგიღე.

- მევე მართლა მე წამომიღე?

- აი, ნახე, თხის რქებისაგან არის გამოთლილი!

ჭინკა ერთი სკუპით ჩემს გვერდით გაჩნდა და კოვზები ხელში შემომაჩენა. კოვზებს გრძელი, შავი, პრიალა ტარები ჰქონდა და ერთი ბუნვა, პანანინა ჯამფილებივით თავები.

- სახსოვრად გინდა მომცე?

- უნდა გაჩუქო... ბებიაჩემის გამოთლილია.

- უყურე, ბებიაც რომ გყოლია?!

- ბებია და რა ბებია! კლდის სულია ბებიაჩემი. ისეთი გრძელი, ნითელი დალალ-კავეები აქვს, ნახვად ღირს. ზის ახლა კლდის გულში, ცეცხლი უნთია. თხის რქები უყრია ცეცხლის პირას. სთლის და სთლის გრძელტარა კოვზებს. მერე აიღებს და ტყავებით გააპრიალებს.

- მადლობის მეტი რა შეთქმის, ნავილებ და კედელზე დაჯიკდება.

- არაა!! კედელზე კი არა და ახლავე დაგჭირდება.

- ახლავე? რაში უნდა დამჭირდეს, ჭინკა, ახლავე?

- ნახავ, ნახავ, რაშიც...

22942

სამართლებლო  
პარლამენტის  
მედიის ცენტრი



ჭინკა აცქმუტდა, გეგონებათ უჭირს ერთ ადგილას გაჩერებაო. პატარა, ჭორფლიანი ხელებით მოპყვა ფეხების ფხანას. ბალნით დაფარული ბარძაყებიდან დაინყებდა, იფხანდა წვივებს, კანჭებს, ფეხის გულელებსაც კი.

- უპ, როგორ მეფხანება ფეხები... ცეკვა მინდა...

- რა კარგია, ჭინკავ, რა კარგია! მე ხომ მინდოდა შენი ცეკვა მენახა!

- მაგიტომაც მოვედი, რომ იცოდე.

- რაზე გავიქცეოდი?! ეს კაცი რომ დაეინახე, გაქცევა დაეპირე.

ახლალა გამახსენდა ჯვარცმული კაცი. ჩემდაუნებურად ახედე და ნახევრად ღია, დაელმებული თვალები დაეინახე, მაშინვე თვალი ისევ ავირდი.

- ჩემი ნახვა გინდოდა და მაგ კაცმა შეგაშინა? - ჭინკამ გაიცინა, წერილი, მეჩხერი კბილები გამოაჩინა.

- თუ ღმერთი გნამს, ნუ იცინი!

- ღმერთი მართლა რომ ძალიან მნამს! - კიდევ უფრო გულიანად გაიცინა.

- ვინ გააკრა ჯვარზე ეს კაცი, ჭინკა?

- შენთვის გააკრეს.

- გაგიყიდა?

- მართლა, მართლა, აი, ნახავ!

თვალი თვალში გამიყარა, ერთხანს თითქოს გამომცდელად მიყურებდა, მერე კი ონაერულად ჩამიკრა თავისი ზურმუხტისფერი თვალი. და თვალის ჩაკერის დროს ისე სასაცილოდ ჩაპრანჭა პაჭუა ცხვირი, რომ უნებურად გამეციანა:

- აი, შე საძაგელო, შენა, თვალსაც რომ მიკრავს!

- ბიჭოს! მეფერები? რა კარგია, რომ მეფერები!? - სკუპსკუპით შემოუარა ანთებულ საკირეს, მოვიდა და ნინ დამიდგა.

- მეტი დარდი არა მაქვს, შენ მოგაფერო.

- ნუ უარობ, ღმერთი უნდა შენთვის „საძაგელო“ ჩვენზე მეფერებზე ნიშნავს და...

- კარგი, კარგი, დაანებე მაგ ლაპარაკს თავი, - გავანყვტირე სიტყვა, - ცეკვა თუ გინდა მაჩვენო, მაჩვენე!

- მე მინდა! - შესძახა მოუთმენლად ჭინკამ, - მე მინდა იმიტომ, რომ შენც გინდა!

- პოდა, მიდი, რაღას უცდი?

- შენ გიცდი! დაუკარი და ვიცეკვებ! ძმობილებსაც გაეძახებ, ყველანი გამოვლენ კლდიდან და ისეთ ცეკვას გაეაჩალებთ საკირის ცეცხლში, როდომ... - და ჭინკა ისევ აცქმუტდა, თავით ფეხებამდე დაიძვარა, წითური ბალანი აეშალა და თითების ტკაცუნით შემომძახა: - აბა, პა, რაღას უცდი!

- კი მაგრამ... - ცოტა არ იყოს დავიბენი და თან ვიგრძენი, რომ რაღაც უსიამოვნო გრძნობა მეუფლებოდა, - რა უნდა დაფუკრა...

- კარგად იცი, რაც უნდა დაუკრა.

- ხედავ, ხედავ!! აბა, ეგ კოვზები ტყუილად იჩუქე?

- კი არ ვიჩუქე, შენ მაჩუქე!

- მე იმიტომ გაჩუქე!

- მე იმიტომ გაჩუქე, რომ ჩემი ცეკვის ნახვა გინდოდა!

- უყურე ერთი?! - მე თანდათან მოუსვენრობა მიპყრობდა, ვგრძნობდი უკვე, საითაც მიბიძგებდა და მიმიზნებდა, და იმის მაგივრად გამოვტრიალებულიყავი და წამოვსულიყავი, ვიდეუი მონუსხულივით და ჭინკას შევყურებდი.

- ნეტავი კი რას თვალთმაქცობ! - ბრაზიანად შემომჭყიელა ჭინკამ და ზურმუხტებივით თვალები შემომაკვესა, - ვითომ არ გაგიგონია, ვისაც თეხი უნდაო! შენ ხომ! შენ თვითონ ხომ ამ ნეკნების დანახვაზე ქსილაფონი გაგახსენდა! პოდა, დაუკარი!! კოვზები ცეცხლში ვისროლე. მივედი და



ჯვარცმას შემოეხვიე. დამწვარ, დახეთქილ, დანყლულეხულ წვივებზე. და რა თქმა უნდა, ჭინკა რომ არა, მე ერთ ნამსაც ვერ გავუძლებდი მჭახე სიმყრალეს.

- გეყოფა, გეყოფა! ვიცი, რომ ჩვილი გული გაქვს! მოიხედე აქეთ! აქეთ მოიხედე! ჭინკა შუაგულ ცეცხლში იდგა. მნითურ ბალანზე ცეცხლი ეკიდა. ცეცხლის ატეხილ ყლორტებში ზურმუხტისფერი თვალეები საოცრად უელავდა. ხელში გრძელტარა კოვზები ეჭირა. თხის რქისაგან ნათალი კოვზები შავად ბრწყინავდა.

- აკი თუ ბალანი არ გენვოდა, ჭინკა?

- აი, ყოჩაღ! საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ გაკვირვების უნარს არასდროს არ ჰკარგავ! არც მენეება მიყურე?!

ისკუპა შუაგული ცეცხლიდან და პირდაპირ ჩემს წინ დახტა. მნითური ბალანი შეტრუსულიც არ ჰქონდა.

- არა, გამოტეხილად თქვი, შენ ხომ ყველაზე მეტად საკრავები გაინტერესებს და გაკვირვებს. არა? ხომ მართალს გეუბნები?!

- რაც მართალია, მართალია, საკრავი ყველაზე ძალიან მაინტერესებს...

- ამ ნეკნების დანახვაზეც ხომ საკრავი გაგახსენდა, არა?

- მერე ადამიანი საკრავია, შე სულელო, თანაც ჯვარზე გაკრული ადამიანი?!

- მაშ! აი, ნახავ! დაიჭი, დაიჭი ეს კოვზები? - ძალად ჩამიდო ხელში კოვზები. მაჯაზე მარწუხივით თითები შემომამჭდო, აიღო და ჯვარცმულ კაცს ნეკნზე დაჰკრა.

- რაკ! - გაირაკუნა ნეკნმა. მაგრამ ეს არ იყო უბრალოდ გარაკუნება! ეს იყო მუსიკალური ბგერა! ეს იყო საკრავის ხმა! ბგერას სიმალღეც ჰქონდა,

გრძლიობაც, ტემბრიც! ბგერა ყურში მდგა და მოსვენებას არ მიაღწევდა. მინდოდა გამომეცნო, რომელი საკრავის ხმას მაგონებდა... რომელიღაც ხის თუ ლითონის საკრავის ხმას...

- გინდა გამოიცნო არა, რომელი საკრავის ხმას მაგონებს? - თანაგრძნობით შემეკითხა ჭინკა.

- ჰო, ჰო, საკრავის ხმაა...

- აი, ხომ გეუბნებოდი, საკრავი-მეთქი! - ჭინკას კილოში თავმონონება იგრძნობოდა. შევეყურებდი ჯვარცმას და ვფიქრობდი: ნეტავი რა ბგერა იყო-მეთქი. ჭინკა მიმიხედა:

- აბა, თუ გამოიცნობ, რა ბგერა იყო! შენ ხომ კარგი სმენა გაქვს!

ჩემდაუნებურად მესიამოვნა, ჭინკამ სმენა რომ შემიქო.

- აბა... ერთხელაც... დაეკრათ და... გამოვიცნობ... - ჩემად ჩავილაპარაკე.

- რაკ! - ისევ გაირაკუნა ნეკნზე რქის კოვზმა.

- დოა, დო, პირველი ოქტავის დო...

გაოგნებულმა შევხედე ჯვარცმას. კოვზის პანია ჯამივით თავი ალების დროს ეტყობა ორ ქვედა ნეკნს შუა დიდ ბებურას მოხვდა. ბებერა გასკდა და ბალღამივით სითხე გადმოიჟონა.

- თუ ღმერთი გნამს, მგლოვიარედ ნუ ჭმუნნი სახეს! - და ჭინკამ მხარზე ხელი დამკრა, - თან გულის გულში ცნობისმოყვარეობით კედები, მეორე ბგერა რა იქნება! აბა, შა!!

მართლაც ვგრძნობდი, როგორ მიხმობდნენ ეს ამოყრილი ნეკნები, დამეკრა კიდეც ერთხელ და გამეგო, მეორე ბგერა რა იქნებოდა. მართლაც, ძალზე მაინტერესებდა გამეგო, როგორ იყო აწყობილი ეს ნეკნები.

- რაკ! - ისევ გაირაკუნა ნეკნზე რქის კოვზმა.

- თქვი რა ბგერაა?

- ნახევარი ტონით ამაღლდა, დო დიეზია, ან... ან რე ბემოლი.

და სწორედ ამ დროს, ბგერა ჯერ არ ჩამქრალიყო, რომ ყრუ ხელა გავიგონე, დაფეთებულმა შეეხედე ჯვარცმულის ჩამოვარდნილ თავს.

- ახველებს? ახველებს? შა, ჭინკა! ახველებს! ახველებს!

მაგრამ თავი უმოძრაოდ ეკიდა, უმოძრაოდ ეკიდნენ გასიებული, დაჯირჯეებული მტეენები ხელისა. დახეთქილი, დამაშრული ტურები ოდნავ პქონდა ღია. წინა ორი დიდი კბილი უჩანდა. დავაკვირდი. უმოძრაო, ოდნავ ღია პირიდან ბოლი ამოვიდა.

- ბოლი! ბოლი! ცოცხალია! ნამდვილად ცოცხალია!

- ცოცხალი კი არა, ისა! კარგად უყლაპია ბოლი! კოვზი რომ დაეკარით, იმიტომ ამოსდის...

ისევე გაისმა ყრუ ხელა.

- ცოცხალია, ჭინკა! ახველებს, გესმის, ახველებს!

- ახველებს კი არა, მოძახილია, სხეულის მოძახილი!

- უპ, უპ, უპ, დამანებე თავი!! - დავიძახე მე და კოვზები მიწაზე დავეყარე.

- შენი დაძახებით მოვედი, რას ქვია თავი დაგანებო!!

- აღარ გეძახი, აღარ მინდა! არ მინდა! არა!

- გინდა! გინდა! შენც გინდა და მეც მინდა! ორივეს გვინდა!!

- არა! არა-მეთქი! ნეტავ პაპარჩემს სულ არაფერი არ ეთქვა!

- ვინძლო პაპაშენს გადააბრალო ყველაფერი!

- არავის არ ვაბრალებ, დამანებე თავი!

- ვინც ანი თქვა, იმან ბანიც უნდა თქვასო! აილე კოვზები!

კოვზებს ფეხით შეედექი.

ჭინკამ ზურმუხტისფერი თვალები შემომაკვსა, თვალებში ნაპერწკლები ჩამაყარა, ხელები მარნუხებივით შე-

მომხვია და ბალნით დაეხვეწა. გახურებული ტანით მჭიმვროს...

- დაუკარი, გეხვენები, დაუკარი! არ გინდა, ჩემი ცეკვა ნახო? იცი, როგორი ცეკვა ვიცი. შენთვის ვიცეკვებ! ცოდოა ეს ცეცხლი დაკერისა და ცეკვის გარეშე, ცოდოა, ცოდოა! რა არის ცარიელი ცეცხლი! აბა, რა არის ცარიელი ცეცხლი! ხომ მაგიტომ მოხვედი! ხომ მაგიტომ მომიყვანე! ისე ვერ ნახვალ აქედან, ისე აქედან ვერ გაგიშვებ! აი, ნახავ! აი, ნახავ!

მეჩურჩულებოდა, მეხვევოდა, მეფერებოდა.

ცეცხლმა იძალა. ატეხილი ყლორტები თრთოდნენ და ფეთქედნენ.

და ჭინკაც, ამ ცეცხლივით გახურებული, მეტმასნებოდა, მეკვროდა თავისი ბალნიანი ტანით და ცხელი ტურჩებით მიკოცნიდა სახეს, კისერს, ხელებს, სხეულს. ჩემს ტურჩებზე ვგრძნობდი მის ცხელ ტურჩებს და პატარა, ბასრ კბილებს.

სურვილმა ამიტანა, ხტომის, ცეკვის, დაკერის... ჭინკასთან ყოფნის სურვილმა. იქნებ მეც მასწავლოს ცეცხლში ცეკვა! იქნებ კლდეც მაჩვენოს! იქნებ კლდის გულიც ვნახო! ვნახო ნითელთმიანი სული კლდისა, როგორ ზის ცეცხლთან ფეხმორთხმული და როგორ სთლის კოვზებს! იქნებ კლდესაც გავეკრა, გახურებულ კლდეს და არ ჩამოვვარდე! ღამღამობით საკირის ცეცხლში ვიცეკვო და არ დავინვა!

- კლდესაც მაჩვენებ, ჭინკა? კლდის გულსაც ვნახავ?

- ყველაფერს გაჩვენებ, ყველაფერს, ოღონდ დაუკარი!

- კლდის სულსაც ვნახავ?

- ბებიარჩემსაც ნახავ, თუნდ კოვზების გამოთლასაც გასწავლის, ოღონდ დაუკარი!

- კლდესაც ავეკვრები?

- კლდესაც ავეკვრებით!  
 - აკი პაპა მუზუნებოდა, შეგირდებს არ ლებულობენო?!

- შენ სხვა ხარ! შენ კარგი შეგირდი იქნები! შენ ძალიან კარგი შეგირდი იქნები! აი, ნახე, ამ ნეკნებზეც როგორ დაუკრავ? აი, ნახე, ამ ნეკნებს რა ხმას გამოალებინებ? რა საჭიროა ეს თვალთმაქცური ჯიუტობა, გამაგებინე, ხომ კედები, ისე გინდა!

მართლაც, ვკედებოდი, ისე მინდოდა. მომძალებოდა სურვილი და ცნობისნადილი: მომესმინა რანაირად იყო აწყობილი ეს გაძვალტყავებული ნეკნები. მომძალებოდა სურვილი:

მენახა ჭინკების ცეკვა.

კოვზებს დავწვდი, მოვიმარჯვე და ნეკნებს დავკარი.

ჭინკამ კლდისკენ გაიხედა და ძმობილებს გასჭყიელა.

რიყეში ქვები აჩხრიალდა...

ჭინკების ხროვა სკუპსკუპითა და ასკინკილით მოხტოდა ანთებული საკირისკენ.

ჭინკების ნინამძღობა დასრულდა შუაგულ ცეცხლში შევარდა.

ჭინკების ხროვა ჯერ გაიშალა, საკირეს რკალი დაარტყა, ერთი ნრე შემოუარა, მერე კი ყველა შუა ცეცხლში აცეკვებულ ნინამძღობს მიჰყვა.

ცეცხლის ყლორტები მწვანე ვარსკვლავებივით ელავდნენ, ციმციმებდნენ ჭინკების ზურმუხტისფერი თვალები. ჭორფლიანი, პატარა სახეები გაეარვარებული სპილენძის ტაფებივით გასწითლებოდათ. ბალანზე ცეცხლი ეკიდათ. გრძელ კუდეებს ცეცხლის მათრახებივით იქნევდნენ.

ცეკვავდნენ ჭინკები, კამარას ჰკრავდნენ ანთებულ ბორცვზე, ფერხულს უვლიდნენ. მე ვუკრავდი ჯვარცმულის ნეკნებზე, ყურს ვუგდებდი ამ საოცარი საკრავის ხმებს, ვხედავდი ნახევრად ღია, უმოძრაო პირიდან ამოსულ ბოლს და არ ვიცი, ყრუ ხველა მესმოდა, თუ მართლა მოძახილი იყო, ჯვარცმული, გაძვალტყავებული სხეულის მოძახილი.



## გივი ბერაია

### იხადი

ჩვენ დაგვაბრუნებს სოხუმის სულის  
ქართული ხიბლი და სილამაზე! –  
ეფიქრობ და

ასე ვუძღვებ ამაზრზენ  
ყოფნას, სირცხვილის ალი რო  
უელის...

●  
მშვიდ, მთვარიან ბინდბუნდში  
იდუმალი ჩხრიალი  
ჯუშის ზენას მოჰქონდა,  
უმიზეზოდ მზიარულს,  
როგორც მარადისობის იაენანა, –  
სისავესის  
შეგრძნებით რო გვმუხტავდა, –  
ცას ერთვოდა სისხამზე.

და მყოფობის ფეთიან  
სიცხადეზე გადართულს,  
ფეხქვეშ მეკლაკნებოდა  
აღმართი და დაღმართი  
და სიცოცხლის სანიერს,  
მზის და მთვარის შემკვიდრე,  
თითქოს მარიონეტი,  
ორთავ ხელით ვეკიდე...

### კანკარო

მზეს ბრწყალებით რო ეჭირა,  
მნარებალას იმ ტოტს  
ნაეტანე. და განერთხა  
კაციების მინდორს  
ლანდი – ხელით წინ განედლით

მიფრინავდა დიდხანს,  
თრთოდა მოლზე ყვავილების  
ათასერთი კითხვა.  
ხომ? – თუ რამით ხარ მდიდარი,  
იმ – ბავშვობის ცით ხარ!



**შეცდომა**

დილა გაფურჩქნის იმედს ვარდივით,  
 უფსკრულს ჩაჩეხავს ღამის ფეთებას.  
 ახლა საოცრად არის ადვილი –  
 ფრთები შეისხან ზღვის ნაფლეთებმა  
 და მიაშურონ ტალღებად – ხაზებს,  
 რომ აოკებენ ანყვეტილ სივრცეს,

მე გამაფრთოლებს მათს ჯადო-ხმაზე  
 და გული დამფრთხალ ჩიტოვით მიცემს  
 და თავს საკუთარს ვეყუდვნი ისევ, –  
 ხელს გადავუსვამ ბავშვობის ფერებს,  
 მაგრამ მომწვდება ჭამის ხმა მქვისე  
 და მუხლისთავეებს ეხლება... ვერე.

**პით ტარენტის სული**

ნალენჯიხის ტაძარი.  
 ცა ჟრუანტელს მაცრის:  
 მეცხადება უფალთან მოწურწურულე  
 კაცი,  
 ისე წრფელად ლოცულობს,  
 სულის ფსკერი უჩანს,  
 თან სქურცივით კამკამა  
 ცრემლებს ყლაპავს ყურად  
 და განელტვის ყველაფერს –  
 მინიერს და უხეშს,

როს ოცნება სამყაროს მეშვიდე კარს  
 უღებს.  
 ...  
 ძალას იკრებს აპრილის მისტერია –  
 ირგვლიე  
 მირიადი ყვავილი ჰკრავს სამოთხის  
 გვირგვინს,  
 თრთის ტყეშალი ფერდობზე  
 (მოფარფატე – ფრანივით),  
 ვით ტერენტის სული, ციდან  
 ჩამოფრენილი.

ჩაგიცურდება ნაპრალში ფიქრი  
 და მერე უკან ამოსვლა უჭირს  
 და უფსკრულისკენ ლოდვივით  
 მიჰქრის.  
 დუმს ენა. გიხურს დამსკდარი ტუჩი.  
 თვალდახელშუა სივრცე იღევა  
 თუ... ჩიაედება სამყაროს სული?  
 „ყოფნა? არ ყოფნა?“ – ფერცვლილ  
 დილემას  
 დღე ჯოჯოხეთის ალივით უვლის.

და დასკუბდება ყვავივით მწუხრი  
 მინაზე – შავით დაფარავს ფრთებით,  
 სასონარკვეთა ალუფხავს ნუხილს  
 აპოკალიფსურ ხარხარში...  
 კრთები.  
 ქრება სიზმარი. მთელი სხეული  
 გითრთის. ზმანების ქარაგმას ხვდება:  
 იმედის ზეცა ჩამომსხვრეული –  
 გიკვირს! –  
 კვლავ ისე გიჭირავს მხრებით.



## ნუგზარ ბაშელი

### ქალღი

#### მოთხრობა

„მეც ემიგრანტი ვარ, ... ემიგრანტი ჩემივე ქვეყანაში,  
უცხოელი ჩემივე მოძმეთა შორის. ღმერთო, მიშველე!“

მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნები“

საშინლად მღლის ადამიანებთან  
ურთიერთობა... ვინ თქვა - რაც უფ-  
რო ახლოს ვეცნობი ადამიანებს, მით  
მეტად მიყვარს ძალღებო (თუ რალაც  
ამდაგვარი)? არ მახსოვს... გადასარე-  
ვად მესმის მისი... მაგრამ მე რომ ძალ-  
ღებსაც ვერ ვიტან!..

მოთხრობა დაეწერე... ნაცნობმა  
თავი მოიკლა და მის შესახებ...

რედაქციაში მივიტანე...

ორი კვირის შემდეგ გავიარე...

რედაქტორი, სანამ მე მომპეტყედა  
ყურადღებას, საქალღდეებს ათვა-  
ლიერებდა. ერთ-ერთს დახედა - ეს  
ჩემი ნაცნობის არ არისო - და გვერდ-  
ზე მოისროლა..

„ჩემიც ასე მოისროლა, ალბათ,  
არც მე ვარ მისი ნაცნობი...“

- შენი გვარი?..

ვუთხარი...

„შენობით რატომ მელაპარაკება?!  
თავი, ალბათ, რუსთაველი თუ არა,  
აკაკი წერეთელი მაინც ჰგონია“, - ამ-  
კარად გავბრაზდი.

- ეს ფსევდონიმი, და ისე ვინ ხარ?

„პომო საპიენსი... თუ არ ვგავარ?!“

- გამიელვა თავში, მაგრამ...

- შეკვეცილი გვარია, - ვუპასუხე.  
- მერე, რას კვეცავდი, შე ოჯახი-  
შენებულო?!

- და ამას აქვს გადამწყვეტი მნიშ-  
ვნელობა?

- არა, თუ გინდა, პიტლერი დაირ-  
ქვი...

სიბრაზისგან ენა ჩამივარდა... ჩე-  
მი ყოფილი უფროსი მომაგონდა. ერ-  
თხელ, ჩვენზე გაბრაზებულმა, გვით-  
ხრა: ვერ ვიტან უტვინოებს, მაგრამ  
ჩემზე ჭკვიანი უფრო მეტად მიშლის  
ნერვებსო...

„ესეც იმნაირია, ნამდვილა!“...

- აქ დაწერილში ყველაფერი გავი-  
გე, მაგრამ იმ კაცმა თავი რატომ მო-  
იკლა, ის ვერ გავიგე...

„არ მიკვირს... ვინ თქვა - მწერალი  
რომ გახდეს, თავი უნდა ჩამოიხრჩო და  
შემდეგ, როცა ჩამოგხსნიან და თუკი  
ცოცხალი გადარჩი, დაწერე, რატომ  
და როგორ იკლავდი თავსო? ვერ ვიხ-  
სენებ... რა გულშაფინი გავხდი... ამას  
ნამდვილად არასოდეს უფიქრია  
თვითმკვლელობაზე!..“

- თანამედროვე დასავლელ მწერ-  
ლებს თუ იცნობ?

- არა...

- პროფესიონალიზმი გაკლია, ნაიკითხე და მათ მიბაძე...

- მე ნამდვილი ამბავი აღწერე, მიბაძე რა შუაშია?! და საერთოდ, მიბაძე კარგი როდის შემდეგ გახდა?! ერთი დიდი მწერალი ამბობდა: მე ნიგნებს იმიტომ აღარ ვკითხულობ, რომ სხვისი გავლენის ქვეშ არ მოვექცეო და მე - მით უმეტეს!..

ცივად გამოვართვი ხელნაწერი და გარეთ გამოვედი...

„და ეს არის მწერალი?!“ - იმ წუთში ყველა და ყველაფერი მძულდა, - „პროფესიონალიზმი გაკლიაო... პროფესიონალიზმი ყოველთვის როდი ნიშნავს დეტალების ცოდნას... „პროფესიონალი“ ხშირად წერილმანებში იმდენად ღრმად მიძერება, რომ მთავარი უსხლტება ხელიდან... ჩემი ტკივილის გამოსახატად რატომ უნდა ვიცნობდე დასავლეთის ლიტერატურას?! მე ჩემი მტკივა, მათ - თავისი... თუ ერთმანეთს დაემთხვა, ხომ კარგი, თუ არა და მათ თავიანთი გზით გაუმარჯოთ, მე - ჩემით... ნაცნობობა... როდის მოიძლება ჩვენთან ეს უაზრობა?... ალბათ, როცა მისი უდიდებულესობა „დიდი ფული“ შემობრძანდება... ყოველ შემთხვევაში, ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობისთვის, ჯერჯერობით, უკეთესი არაფერი გამოუგონიათ... შემოვა ფული და ნახვამდის მეგობარო და ნათესაეო! მშვიდობით უნიჭობის ზეიმო!.. მალე მაინც მოვიდოდეს...“

არასდროს მყვარებია ის, რასაც ყველა აკეთებდა. ათეიზმის ზეობის ეპოს ეკლესიაში დაედიოდი ხშირად, ახლა ეკლესიაში ყველა დადის და ძალაუნებურად ათეისტური აზროვნება იპყრობს ჩემს გონებას...

ადამიანი ჯოგურად მცხოვრები ცხოველია და ერთმანეთის მიბაძე

ჩვენს ფსიქიკაში დევსურ მთხრალურ თხელ ნაცნობმა, სნტრტედემატ, ქრფერ ვინც მოიკლა... ალბათ, ჯოგს გაექცა... რამ მომავონა ეს სიტყვები?!..

ხიდის თავში ცალფეხა მათხოვარი შევნიშნე. მეორე მხარეს გადავედი, რატომღაც უხერხულად ვგრძნობ ხოლმე თავს, როცა მათხოვარს ჩაუფული გვერდით. მაინც მისკენ გამექცა მზერა. მეზობელი შევიცანი, ბოლო სადარბაზოდან...

„და ფეხი როდისლა დაჰკარგა?! თუმცა, ნახევარი წელია, სახლში აღარ მივსულვარ...“

უფრო ცუდ ხასიათზე დავექი... მარჯვნივ ჩავუხვიე... სახლის კუთხესთანაც მათხოვარი იჯდა... უნებურად შევექი... მათხოვარ ქალს შეუფერებლად თბილად ეცვა და ძონძებით საესე ორი ჩანთა გვერდით მოედო...

უცებ „მერსედესმა“ წრიპინით დაამუხრუჭა. საჭესთან პოლიციის ფორმიანი, ჯერაც პირტიტველი ახალგაზრდა იჯდა.

- ისევ აქ ზიხარ, შენი დედა...?! ახლავე გაეთრიე აქედან, შე ბოზო ნაბიჭვარო! - და შეაფურთხა...

მანქანა ნივილით მოსწყდა ადგილს...

მათხოვარი დაბნეული, შეშინებული თვალებით იცქირებოდა...

სხეულში ჭიანჭველებმა დამირბინა. ძლივს გადავდგი ნაბიჯი.

„ჯერ პირზე რძე არ შეშრობია... ნლები როცა მოემატება, მერე როგორილა გახდება?!.. წარმომიდგენია, რას ვუშვრებოდით ერთმანეთს ოცდაჩვიდმეტ წელში, როცა ერთმანეთის შეჭმა ნებადართული იყო!“

დათრობა მომინდა... ძალიან!..

ლუდის ბარში შევედი. ჩებურეკი, კათხა ლუდი და ციციქნა ბოთლით არაყი ავიღე. კუთხეში მდგარ ცარიელ მა-



გიდასთან მოვკალათდი და მოქეიფებს ზურგი შევაქციე...

არაყი ჩამოვასხი. რატომღაც ხელი მიკანკალებდა. სულმოუთქმელად გამოვცალე... ცივმა ლუდმა გამიგრილა არყით ჩამწვარი შიგნეულობა...

ჩემს უკან თბილისის სიყვარულში ეცილებოდნენ ერთმანეთს...

– ძმაო, თბილისელობა – ეს განსაკუთრებული სიამაყე იყო! ერთმანეთი გვიყვარდა, ქალს პატივს ვცემდით, ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით, – ჩახლენილმა ხმამ მიიქცია ყურადღება...

„ერთი ოჯახივით... რა საზიზღრობაა!.. როცა ყველამ იცის, რა ფერის ნიფხავი გაცვია... არა, მე არ მახსოვს ასეთი მოსიყვარულე თბილისი... ალბათ, არც არასდროს ყოფილა... მე ის უფრო მახსოვს, როცა ძალზე უზრუნველყოფილი ოჯახების შვილებისთვის აქაურობა იმდენად აუტანელი გახდა, რომ მათ ფეხებზე დაიკიდეს მშობლებიც, და-ძმებიც, ნათესაებებიც, მეგობრებიც... როცა საქმეებს სასამართლო კი არა, კანონიერი ქურდი არჩევდა; როცა მასწავლებლებს ერთი სული ჰქონდათ, სკოლიდან სახლში გაქცეულიყვნენ და საკმაოდ სარფიანად ერეპეტიტორათ...“

– დემოკრატია ნარკოტიკივითაა, რაც მეტი გაქვს, მით მეტი გინდა, – ისმოდა მეორე სუფრიდან, – ბოლოს დემოკრატია ანარქიაში გადადის და კვლავ იწყება რკინის ხელზე ოცნება...

„ყველამ ყველაფერი იცის, თანაც ისე, რომ არავის არაფერში უპარება ეჭვი...“

ალარ მსიამოვნებდა იქ გაჩერება და წამოვედი.

გარეთ ქარი ქროდა და ისე ნემიდა...

„უკვე მესამე თვეა, თითქმის ყოველდღე ნემის! შუა ივნისია და მარტი უფრო გეგონება. ეს გლობალური დათბობა რალა მაინცდამაინც ჩვენ-

თან გადაიქცა გლუბქდურე ჰცქვეა-ბად?!..“ – უსიამოფ გვავიქციე ფაჯე და ჩემი ფარდულისკენ გავლიე...

●  
პატარა ფარდული მქონდა დაქორავებული საბურთალოს ბაზართან, ვილაცის გარაფის გვერდით. ოთხი კვადრატულიც არ იქნებოდა, სანოლი და ერთი ციციქნა მაგიდა ძლივს ეტეოდა...

ერთხელ, ერთმა ნაცნობმა დამინახა, როგორ გამოვედი იქიდან.

– ეეე, შენ აქ რას აკეთებ? – პირი ღია დარჩა ნაცნობს.

– ვცხოვრობ...  
– რაა?!.. ოჯახი?!..

– წამოვედი...  
– ხოო... დიდი ხანია?

– ნახევარი წელი იქნება...  
– მოკლედ, რალა შენ და რალა ფი-

როსმანი... ის კიბის ქვეშ ცხოვრობდა, შენ – გარაფის გვერდით...

სხვა დროს, ალბათ, სირცხვილისგან დავინებებოდი, მაგრამ მაშინ ოდნავაც არ მიგრძენია სირცხვილი და საერთოდ, ამ ბოლო დროს აღარაფრის მრცხვენია... არც იმის შემრცხვება, სადმე ხელგანედილი რომ დაეფგე...

ცოლ-შვილი...

უკვე ნახევარი წელია არ მინახავს... მეშინია მათი ნახვის... უფრო სწორად მრცხვენია... ერთადერთი რამე, რისაც მრცხვენია...

მაშინ მთვრალი მივედი სახლში... შევეკამათდით... არ მახსოვს, რაზე... მახსოვს, რომ ხელი მოეუქნიე... მგონი, გავარტყი კიდევ... ცოლმა კივილი დაიწყო და შვილის თავზარდაცემული ღრიალი მომესმა:

– მამა, მეშინია!.. გაჩერდი!..

მისმა შემლილმა თვალეებმა გამაქვაა...

დაფუროქე და გულში ჩაეკარა... ის კი ვერ მშვიდდებოდა...

როგორ ვძულდი, ალბათ, იმ დროს!..

ენა დამება. ბოდიშის მოხდაც ვერ მოვახერხე...

მეორე დღეს ოჯახიდან წამოვედი. მანამდე გამოვიპარე, სანამ ბავშვი გაიღვიძებდა. შემეშინდა მისი თვალების დანახვის... ალბათ, საყვედურით სავსის... ან, შეიძლება სიძულელით...

ერთხელ უკვე მომიწია ასეთი თვალის ხილვა... სკოლაში ვსწავლობდი მაშინ. ისტორიის მასწავლებელი გვყავდა ნაფრონტალი, ჯანმრთელობაშერყეული, მოსწავლის ამოჩემება იცოდა ხოლმე. თანაკლასელი ბიჭი ამოიჩემა... სასკოლო პროგრამით რომ ვერ ჩაჭრა, საკონტროლო წერა მოგვიწია. კითხვები - აბსურდული!.. დაახლოებით ასეთი: რამდენი ორდენი მქონდა ვილაც მეთეხარისხოვან გენერალს!.. ბუნებრივია, ვერ ვუპასუხეთ. გაკვეთილის შემდეგ მე დამტოვა და პასუხები თვითონ ჩამანერინა... არ ვიცი, რატომ დაეთანხმდი, ალბათ, ძალიან მინდოდა ფრიადის მიღება... მეორე დღეს მე ხუთიანი გამომიცხადა, მას - ორიანი... მისი გამოხედვა მახსოვს... ყველაფერს მიხვდა... დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის... სკოლის შემდეგ ის კლასელი ავარიის დაიღუპა. წყენასთან ერთად ერთგვარი შვებაც ვიგრძენი, ვიფიქრე, ამ საიდუმლოს სამარეში წაიღებდა. ვერ წაიღო...

მეგობარი დამესიზმრა. ერთად გავიზარდეთ, რამ დამასიზმრა?! ვითომ ჩემ ქოხში ვისხედით და შავ ღვინოს ვწრუპავდით, შავი ღვინო უყვარდა.

ერთი ქოხი მქონდა ქალაქგარეთ, ჩემი ხელით აშენებული: ნტუნდენტობისას ავაშენე მამაჩემის ნაკვეთში. მიყვარდა იქ გამოკეტვა და რალაცების წერა. ფიქრი და წერა... კითხვა, იმდენად არა... კითხვა ჩემთვის გართობა არ არის, მძიმე სამუშაოა! ვერ ვიტან ვასართობ ლიტერატურას. სერიოზული წიგნის ნაკითხვის შემდეგ კეფა მეხდება და ისე ვიღლები, თითქოს მესაე სართულზე ავსულიყავი ფეხით. წერა - პირიქით... წერის შემდეგ ვთავისუფლდები და ვმშვიდდები გარკვეული დროით...

ახლა იმ ძველი ნაწერებიდან აღარაფერია გადარჩენილი. ერთ დღეს ყველაფერი შევაგროვე და დაენვი, რატომღაც...

ქოხში ბაბუაჩემის ნაქონი ქამარხანჯალი, ხმალი, ტროსტი, გრამოფონი და ვილაც მხატვრის ორი ნახატი მქონდა, ისიც ბაბუაჩემის ნაყიდი. ძალიან მიყვარდა იქ სიარული. ბაბუაჩემის ნივთებს სიძველის სუნი ასდოდა და რალაც უცნაურ, ამაღლებულ განწყობას მიქმნიდა. წიგნებიც მქონდა იქ, სულ ჩემი ნაყიდი, თანაც განსაკუთრებული გამოცემები, საკმაოდ ძვირიანები.

მქონდა კიდევ ერთი ძველი სავარძელი, რომელშიც ვიჯექი, ვფიქრობდი და ვწერდი...

მეგობარსაც უყვარდა იქ მოსვლა. არ ვიცი, მასაც მოსწონდა ის გარემო, თუ შავი ღვინის ხათრით მოდიოდა, ყოველთვის მქონდა მამაჩემის დაყენებული შავი ღვინო...

ერთხელაც მივედი და ბაბუაჩემის ნივთები აღარ დამხვდა...

საშინელი სიცარიელე ვიგრძენი, თითქოს ვილაცამ სულში ჩამაფურთხა! უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, მეგობართან წავედი გამოსათრობად, თან მამაჩემის შავი ღვინო წავიღე.

მეგობარს, როცა კარი გამიღო, რაღაც უცნაურმა გამომეტყველებამ გადაურბინა სახეზე. ალბათ, ცუდი ფიზიონომია მაქვს და იმის გამო-მეთქი, ვიფიქრე.

დავლიეთ...

მეგობარი ცოტას სევამდა.

– იმ ნაბიჭვრებს ბაბუაჩემის ხმალხანჯალი რაში გამოადგებათ?! მაგ ნივთებს მარტო ჩემთვის ჰქონდა ფასი, თორემ, ისე, ალბათ, ორიოდვე გროშს თუ მისცემენ... გასაყიდად თუ უნდოდათ, ნიგნები ნაელოთ იმ დევენერატებს, ათჯერ მეტს აიღებდნენ...

– შენც კარგი ტიპი ხარ, რას ტოვებდი მაგ რალაცებს იმ ქოხში?! – თავისი აზრი გამოთქვა მეგობრის ცოლმა თუ საყვარელმა, ყოველ შემთხვევაში, ერთად ცხოვრობდნენ და მასაც მეგობარზე არანაკლებ უყვარდა შავი ლვინო (და საერთოდ, ნებისმიერი სასმელი).

– რა ვიცი, აბა!..

შემძულდა ჩემი ქოხი... მას შემდეგ აღარც ავსულვარ იქ...

ორიოდე დღის მერე მამაჩემმა მითხრა, შენი ნიგნებიც და ის ძველი სავარძელიც წაუღიათო, და უცებ, მეგობრის შეცბუნებული სახე მომავიწყდა, ოდნავ შემკრთალი თვალები...

დაჯერება არ მსურდა... არადა, მეგობრის გარდა არავინ იყო ნამყოფი იმ ქოხში და არც არავინ იცოდა, რა მქონდა იქ... თანაც მისმა ცოლმაც (თუ საყვარელმა) დამირეკა – ორი დღეა, ქმარი სახლში არ მოსულა და ხომ არ იცი, სად არისო?..

მოკლედ, იმ დღიდან დაიკარგა ჩემი მეგობარი ბაბუაჩემის ნივთებთან ერთად, აღარავის უნახავს...

მისი ნაცოლარ-ნასაყვარლარი დავინახე ამას წინათ. სახე საზიზღრად გასიებოდა, გალოთებულყოფი საწყალი... გვერდზე ისე ჩამიარა, არც შემო-

უხედავს. არ ვიცი, ვერ მოცნობ, ეგრე მამჩნია თუ არ შემეძინია...

რამ დამასიზმრა ეს ოცი წლის წინ დაკარგული მეგობარი, ნეტა?!.. რუსეთში იქნება ალბათ, ძმა ჰყავდა იქ... თუ ცოცხალია...

● ოჯახი შესიზმრება ხშირად, თითქმის ყოველდღამ... შვილი განსაკუთრებით...

ერთხელ, ჩვენი ქორწილის ღამე დამესიზმრა. რა ბედნიერი ვიყავი მაშინ!.. შეუღლის ოდნავ ანთილებული სახე, მცირედ დარცხვენილი გამოხედვა, მისი კანის სურნელი, ტუჩების გემო, ვნებიანი კენესა...

ორგაზმმა გამომალევიდა...

სულ ოფლში ვცურავდი.

შუქი ავანთე. საათს დაეხედე. ღამის პირველი ხდებოდა. ისევ გამოვრთე. კარზე ვილაცამ დააკაკუნა. გამოვირდა, ვის რა ესაქმებოდა ჩემთან შუალაშით?!

– ვინ არის?!

– ერთი ნუთით გააღეთ, თუ შეიძლება, საუბარი მსურს თქვენთან.

გაოცებულმა გავაღე...

– შუქი დავინახე და იმიტომ დაგიკაკუნეთ...

– და რა არის?!

შარვალი ჩავიცვი...

– რალაც ორგანიზაცია გვაქვს და თანამოაზრეებს დავეძებთ...

– და ჩემთან ვინ გამოგზავნათ?!

– „იელოველი იქნება, ალბათ, ამის დედა ვატირე!“ – გავიფიქრე.

– არავინ, მე აქვე ვცხოვრობ და შემამჩნიეთ...

– რა ორგანიზაცია გაქვთ... რელიგიური?

– უი, არა... – ნახად გადაიკისკისა,



- ვიკრიბებით, ვვარჯიშობთ, აქტიურ ნევრებს ხელფასსაც ვუბდით...

- რას შვრებით?! - გამოვფხიზლდი, როგორც იქნა.

- ვვარჯიშობთ, ფულსაც ვუბდით...

„პედერასტია, ეს შობელძალღი!..“

- ბოლოს და ბოლოს დავიდა ჩემამდეც.

- რა დროს ორგანიზაციები და ვარჯიშებია ღამის პირველ საათზე?! მიდი, რა, დაახვიე აქედან! - კარი ცხვირწინ მიეუფახუნე.

სიბრაზისგან ვკანკალებდი, ვერაფრით ვახერხებდი დამშვიდებას...

„ხოო, მოვესწარი.. ხალხს პედერასტიც ვგონივარი.. ისევ კართან დგას, მგონი... ახლა გავალებ და დავაქედებ!..“

კარი სწრაფად გამოვალე. იქ აღარაღინ იდგა. ისე გაპარულიყო, ფეხის ხმაც არ გამოვიცა...

ისევ ვკანკალებდი. დანოლას აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერ დავიძინებდი, სული მეხუთებოდა.

გარეთ გამოვედი და ფეხით გავუყვევი ანაგის ქუჩას...

გიორგი სააკაძეს თავზე მთვარე ედგა გვირგვინად.

ხიდისკენ ჩავუხვიე. კანკალმა გამიარა.

ხიდის მოაჯირს დავეყრდენი და თავი ხელებში ჩავშალე...

მტკვარი ჩუმად მოშხრიალებდა...

რალაც ძალზე სევდიანი, უზომოდ მწარე მომანვა ყელში და თვალები დამისველა.

ავტირდი... მტკვარივით ჩუმად, უხმოდ ავტირდი...

ხიდზე შემომათენდა. უკვე აქვსი ხდებოდა.

ფარდულისკენ წამოვედი. უზომოდ დაღლას ვგრძნობდი და მეძინებოდა.

შვევდი და დავიძინე...

● შუადღე გადასულ იყო, რომ გამეღვიძა.

გარეთ გამოვედი. იქვე ერთი ბოთლი ლუდი ვიყიდე და სულმოუთქმელად დავლიე.

რუსთაველისკენ წავედი ფეხით.

მშვენიერი ამინდი იდგა და ცოტათი გავხალისდი.

- ვა! პირვეტ! პივა არ გინდა?

ძველი თანამშრომელი შევიცანი. ვერაფრით გავიხსენე მისი სახელი.

- რატომაც არა!.. - მხრები ავიჩჩე. ჯიხურთან მივედით. თანამშრომელმა ლუდი გაახსნევინა.

- აი, ეს ხმელი თევზიც მოგვეცია... პახმელიაზე ვარ, თავი მისკდება!

ლუდი ისე ხარბად მოიყუდა, შეგშურდებოდა. როცა გამოცალა, მერე ამოისუნთქა.

- ისე გავმფლავნდი, ფოტოქალაღდი რომ მქლავნდება ბუჭდვისას! ძლივს არ მივიღე კაცის სახე?! ლუდმა უკვე თავში შემიღიტირა.

თევზიც მესიამოვნა. ნუხანდელიც თითქმის გადამავიწყდა.

კიდევ თითოც დავლიეთ, ნათანამშრომლარს მადლობა გადავუხადე, გამოვემშვიდობე და ისე წამოვედი, მისი სახელი მაინც არ მქონდა გახსენებულღი...

„თეატრალური სარდაფთან“ გინების ხმა და ჩოჩქოლი მომესმა.

რამდენიმე ახალგაზრდა უმონყალოდ ურტყამდა რევოლუერების ტარებს ერთ-ერთს.

- ხელი დავუჭირე, იარაღი არ ამოიღოს, ამის დედა.

გამაფრიალა...

„ეს ლლაპები როგორ არ ინდობენ ერთმანეთს!? თან ყველას იარაღი როგორა აქვს?! დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში, ამათი დედა ვატირე...“

ვილაცის დაცვაში იქნებიან, ან სულაც, პოლიციელები არიან... ამით რა წესრიგი უნდა დაიცვან?! მამიკოებმა დალუპეს ეს შობელძაღვლები!.."

გასროლის ხმა გაისმა... წამით ყველა გაირინდა... მერე ვილაცამ დაიკვნესა...

– დაჭრილია!.. სწრაფად, მანქანა მოაყენე...

მანქანის საბურავების წივილი...

მალე ყველაფერი დაცარიელდა... დარჩა მხოლოდ სისხლის მოზრდილი ლაქა ასფალტზე...

მე ისე ვიდექი... რატომღაც გაბრაზებული საკუთარ თავზე...

უკან წამოვედი...

ზოოპარკთან შევჩერდი. ბეტონის მოაჯირზე ჩამოვჯექი და უაზრო თვალელები მივაპყარ მანქანების ბრუნვას გმირთა მოედნის დიდი წრის გარშემო. ბრუნავდნენ და ბრუნავდნენ გაუთავებლად...

დაძაბული მზერა ვიგრძენი. იქით გავიხედე...

ძალლი იჯდა უკანა თათებზე და ინტერესით მათვალღერებდა, თავს ხან ერთ გვერდზე გადახრიდა, ხან მეორეზე.

გამეცინა.

„რა მოენონა, ნეტა, ჩემში?!“

აშკარად რალაცას ელოდა ჩემგან.

„რატომ ჰგონია, რომ სწორედ მე ვარ ის, ვინც მას რალაცას მისცემს?! ხალხის მეტი რაა გარშემო?!“

ძაღლის მზერა არ მცილდებოდა და თანაც, რატომღაც, პირდაპირ თვალელებში მიყურებდა...

„ალბათ, წინა ცხოვრებაში, როცა ადამიანი იყო, მიცნობდა...“

უხერხულად შევიმშენე, რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს აზრი, თუ უაზრობა, შეიძლება, მართალიც ყოფილიყო და შემრცხვასავით...

იქვე ქალი ფუნთუშებს ყიდდა. ორი

ვიყიდე, ერთი ვითომ რემონტის შიშით ხე და ძაღლს გადავუგდე, სხვა კი მაერშივე დაიჭირა, დაულეჭავად პირდაპირ გადაყლაპა და ისევე გაფაციცებით მომაჩერდა.

– ყოჩაღ! – მომენონა.

მეორეც გადავუგდე, ოღონდ შედარებით შორს. ძაღლი საოცარი სისწრაფით უკან გადახტა, უცნაურად შეიკუნტრუშა და ისიც პაერში დაიჭირა.

ორივე ფუნთუშა ასე თამაშ-თამაშით გაათავა...

საკმაოდ მოზრდილი ძაღლი იყო, ალბათ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ძაღლის თაობაზე – ლამაზიც, გრძელი, ჩაღისფერი ბენეი ჰქონდა...

ბოლოს, თავზე ხელი გადავუსვი და ჩემი საცხოვრებლისკენ გამოვნიე. ძაღლი უკან დამეფენა. მის მოძრაობაში რალაც სიამაყისმაგვარი იგრძნობოდა... ხან გვერდზე მომყვებოდა ენა-გადმოგდებული, ხან წინ გამისწრებდა. ქუჩის ძაღლები უზმოდ ადევნებდნენ თვალს, ერთგვარი პატივისცემითაც, ეტყობოდა, მათთან კარგა ხნის გარკვეული ჰქონდა ურთიერთობა...

ფარდულში შევედი და დავნექი. ძაღლიც კართან დანვა.

„დარაჯიც გამიჩნდა... ან, ალბათ, პედარასტები აღარ შემანუხებენ“, – გამეცინა...



დილით საკმაოდ გვიან ავდექი. ძაღლი კვლავ კართან დამხვდა.

– ვა!.. შენ არ წასულხარ?! – თავზე ხელი გადავუსვი.

ძაღლმა ნეტარებით განაბა თვალელები.

ისევე ფუნთუშები ვიყიდე. ერთი ძაღლს მივეცი, მეორე მე შევჭამე. დავინწყეთ უაზრო ხეტიალი ქალაქში.

ბოლოს, ვაგზალზე აღმოვჩნდით...  
ბაქანზე გავუდი...

მატარებლები შემოდოდნენ და  
გადოდნენ, ოღონდ საკმაოდ იშვია-  
თად...

ვაგზლის ძველი შენობა მომაგონ-  
და...

„რატომ ააფეთქეს, ნეტა? თუ აბ-  
ლის აშენება უნდოდათ, გვერდით აე-  
შენებინათ, ადგილი არ იყო თუ რა?!..“

რალაც უფრო მშობლიური, უფრო  
თბილისური სახე ჰქონდა იმ შენობას...  
ვერაფრით შევეგუე ამ ახალს (თუმცა  
რალა ახალს?!)... უცხო ქალაქის ნაგ-  
ლეჯივით არის ჩანებებული თბილი-  
სურ გარემოში... გაფითრებული,  
მკაცრი, პირქუში...

ორმა პოლიციელმა ჩამიარა გვერ-  
დით და ცივად შემათვალეირა...

რატომა აქეთ პოლიციელებს ასე-  
თი გამყინავე მზერა?! ფორმას ჩაიც-  
ვამენ თუ არა, მაშინვე ეთხოვებიან  
აღამიანობას და კაციჭამიების თვა-  
ლები უხდებათ...

ბიძაშვილი მომაგონდა... აქვე ცხოვ-  
რობდა, ვაგზალთან... ახლაც მიკვირს,  
ერთ პატარა ოთახში ხუთნი როგორ  
ეტკოდნენ?! როგორც მახსოვს სანო-  
ლი მხოლოდ ორი იდგა, მეტის ადგი-  
ლი არ იყო!.. არ ვიცო... ღამით არასდ-  
როს დაერჩენილვარ მათთან...

მერვე კლასი რომ დავამთავრეთ,  
ბიჭვინთაში გავიპარეთ... მაშინ ჯერ  
კიდევ ვაგზლის ძველი შენობა იდგა...  
ბილეთი ვერ ვიშოვეთ და ლეიბების  
შესაწყობ თაროებზე გვეძინა...

ბიჭვინთაში ლეოველი გოგოები  
გავიცანით და პირველად ვიგემეთ ქა-  
ლის სურნელი. თავი სტუდენტებად  
გავასაღეთ, თუმცა არცერთს ჯერ პას-  
პორტიც კი არ გვქონდა აღებული...

შემდეგ გოგოებს ბიჭვინთიდან  
ლეოვში გავყვეით, მათი ხარჯით, ბუ-

ნებრივია... დეპეშა კი ვაშოვებ ნაწილ-  
შინ...

მთელი თვე ცივ ნიაფს არ გვაკა-  
რებდნენ ლეოვში...

ჩამოსვლის შემდეგ მამაჩემი კარ-  
გა ხანს არ მელაპარაკებოდა... უცებ  
გადავიქეცი მის თვალში ბავშვიდან  
კაცად და დაბნეულიც ჩანდა. ალბათ,  
არ იცოდა, როგორ უნდა მომდგომო-  
და...

საწყალი ჩემი მშობლები... რომ  
მცოდნოდა ასე ადრე ნაწიოდნენ,  
ალბათ დღეს და ღამეს მათ ალერსში  
გავატარებდი...

ბიძაშვილი სკოლის შემდეგ ლეოვ-  
ში ნავიდა, ძალიან შეუყვარდა იქაუ-  
რობა. მაგრამ ქალები, სასმელი,  
დროსტარება და... ჭლექი აიკიდა...  
გაძვალტყავებული დაბრუნდა უკან...  
სასმელს აქაც ვერ შეეშვა და ოცდაა-  
თი წლის დაიღუპა...

საწყალი...

პოლიციელებმა ისევ ჩამოიარეს...

- აქ რას აკეთებ? - მკითხეს.

- ვდგავარ...

- უკვე სამი საათია, ერთ ადგილზე  
დგახარ. ფეხები საჯდომში არ შეგერ-  
ჭოს... ელოდები ვინმეს?

- არავის...

- აბა, ეს კარგად ყოფილა... საბუ-  
თები მაჩვენე.

- რა ხდება, კომენდანტის საა-  
თია?!..

- ეს ნახე, გვაშაყირებს კიდევ,  
ტო!.. ნამოდი ერთი!..

ხელი მომიკიდეს და ნათრევა სცა-  
დეს...

- რა გინდათ ჩემგან? რა, დგომა აკ-  
რძალულია?!

გაუძალიანდი, ხელები გავაშევიანი.

- ეეე!.. კიდევ რომ გვიძალიანდე-  
ბა!.. ნამო-მეთქი და იქ გაიგებ, რა არის  
აკრძალული და რა - არა!

უკვე თითქმის მიმართევენ... სიკვდილივით არ მსურდა მათთან ურთიერთობა.

„ოხ, ჩემი ბედის!“ – გავიფიქრე, ორივე ხელი ძლიერად დავიქნიე, დავუსხლტი და გავიქეცი...

ლიანდაგის გასწვრივ გავრბოდი... კარგა ხანს... ისინიც მომდევნდნენ...

– ესროლე, მაგის დედა...!

გასროლა არ გამიგია, ტყვიის ზუილი გავიგე და მისი ბეტონზე შესკდომის მჭახტი ხმა...

ჩემდა უნებურად შევდექი... ეფუაში ძლიერი დარტყმა ვიგრძენი, თვალთ დამიბნელდა და ნავიქეცი. გრძნობა თითქოს არ დამიკარგავს, მალევე მოვეგე გონს, ნამოდგომა ვცადე, მაგრამ ნიხლი მომხედა მუცელში და სუნთქვა შემეკრა...

ყფა გაისმა... ჩალისფერი ძალღიჯი მას, ვინც ნიხლი ჩამარტყა, ნააქცია და ყელში ჩააფრინდა. ნაქცეულმა ხრიალი დაიწყო...

გასროლის ხმა გავიგე... ძალღიჯი ნაქცეულს შეეშვა და მეორეს ეძგერა რევოლვერიან ხელში. რევოლვერი ხრეშზე დაეცა ყრუ რახუნით.

ნაქცეული ნამოჯდა, ყელზე ხელი ჰქონდა მიჭერილი. სისხლი სდიოდა ღვარად, შემდეგ ადგა.

– ოხ, შენი დედა...! – და ვიგრძენი, როგორ ჩამელენა კბილები...

ახლა კი ნამდვილად დაეკარგე გრძნობა...

რალაც სველის შეხებამ გამომარკვია. ძლივს გავახილე თვალი... ჩალისფერი ძალღიჯი დრუნჩი დავინახესახებს მილოკავდა...

არ მესიამოვნა. ხელის აწევა ვცადე მოსაცილებლად, მაგრამ ხელი არ დამემორჩილა... რალაც მეტკინა. რა, ვერ გავიცნობიერე და ისევ სიბნელეში შევედი...

ლიანდაგს მივუყვებოდი გვირაბ-

ში... გვირაბი ძალზე უკმარისი მკვირდა, აქ მატარებელი როგორ უნდა გაეტეოს-მეთქი. შემდეგ ერთმა აზრმა შემაშინა, ეთქვათ და მატარებელი გატეულიყო, მე რა უნდა მექნა იმ დროს?!.. აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავი, წინ თუ უკან, გვირაბს არც თავი უჩანდა და არც ბოლო... რელსებმა ჭრიალი დაიწყო, ამკარა იყო, მატარებელი მოდიოდა, მაგრამ საიდან, ვერ ვხედავდი... უცებ ჩალისფერი ძალღიჯი გამოჩნდა, ტანსაცმელში ჩამებლაუჭა და სადღაც წამიყვანა... ლიანდაგზე გავრბოდი... მიჭირდა, ფეხი შპალეებს შორის მიეარდებოდა. მატარებლის ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა. ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გვიახლოვდებოდა. აი, უკვე დაგვეჯახებოდა და გაგვსრესდა, მაგრამ ძალღიჯი თავისკენ დამქაჩა და პატარა გამოქვაბულში შემავლო... მატარებელმა საყვირის კივილით და გრუხუნით ჩაგვიარა.

თვალი გავახილე. ლიანდაგის გვერდით ვინექი. უზარმაზარი შემადგენლობა მართლაც მიგრუხუნებდა. მარცხენა მკლავზე ჩალისფერ ძალღიჯი დაედო თავი. მკერდთან სისველე ვიგრძენი. დავიხედე, ყველაფერი ნითლად მქონდა შეღებილი... ტანში გამაცივა. მარჯვენა ხელი ფრთხილად ავწიე და მკერდზე მოვისვი, ტკივილს ვერ ვგრძნობდი...

ძალღიჯი არ ინძრეოდა. მარცხენა გავინთავისუფლე. ნამოვექეცი.

ყველაფერს მივხედი...

რალაც მწარე კუჭიდან ნამოვიდა და პირდაპირ ცხვირში მომანწა...

ძალღიჯი ვერ კიდევ თბილი იყო, მაგრამ აღარ სუნთქავდა...

ქვითინის ხმა შემომესმა... მეცნობხმა... დაუწყვირდი...

ჩემი ხმა შევიცანი...

თითქოს შემრცხვა. მიმოვიხედე.



მომორებით პატარა სახლები იდგა.

თავში სრული ქაოსი... ბოლომდე ვერ კიდე ვერ გამერკვია, რა მოხდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მოხდა რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი, რომელიც ჩემს ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლიდა!..

უკვე ბინდებოდა. ავდექი. უახლოეს ეზოს მივადექი და პატრონს დავუძახე. უცხო ხმა ამომივიდა პირიდან. ენა დამსივებოდა და ჩანგრეული კბილების ბასრი ძირები ლაპარაკს მიშლიდა...

კარგა ხანს არავინ გამოდიოდა. შემდეგ ვილაცამ გამომხედა, ნელზევით მიშველმა.

- ბარი მათხოვეთ, თუ შეიძლება, ძალლი მოკლეს და უნდა დაემარხო...

- რა?!.. - თვალეზღაყეტილი მათვალეირებდა სახლის პატრონი.

მეც დავიხედე. მთლად სისხლში ვიყავი ამოსვრილი.

- ბარი მათხოვე...

- ბარი არა მაქვს, ძმაო... - და სახლში შევიდა...

რალაც ბასრს დავუწყე ძებნა, რითაც მიწის ამოთხრა იქნებოდა შესაძლებელი. არმატურის წვეტიანი ნაჭერი ვნახე.

შედარებით რბილი ადგილი მოვძებნე და მიწის თხრა დავიწყე... მიჭირდა, თითებიდან სისხლი წამომივიდა, მაგრამ მაინც მოვახერხე საკმაოდ ღრმა ორმოს ამოთხრა.

ძალლი ფრთხილად ჩავასვენე. ერთხანს ვუცქირე ამ უცნაურ არსებას, რომელმაც შეიძლება, სიცოცხლეს მარჯა და ვიფიქრე: კაცად რომ დაბადებულიყო, ამას არ გააკეთებდა-მეთქი...

ფრთხილად გადავაყარე მიწა. თავთან ერთი დიდი ქვა დავუდე...

უკვე ბნელოდა. ვცდილობდი, ვინრო, მიყრუებული ქუჩებით მეელო,

რომ ყურადღება არ მიმეპყრო ჩემი სასისხლიანებული გარეგნობით. შინისკენ მივდიოდი...

შინისკენ მივდიოდი და საოცრად მიხაროდა... ვიცოდი, რომ საშინლად დამნაშავე ვიყავი მათ წინაშე, მაგრამ მაინც უსაზღვრო ბედნიერად ვგრძნობდი თავს...

მე შინისაკენ მივდიოდი!

სულერთი იყო, როგორ დამხვებოდნენ - წყრომით, ზიზლით, სიძულვილით თუ სიყვარულით... მე მათ მაინც დაულოკებდი და ფეხებს ავულოკავდი და თუ მცემდნენ და გამომადებდნენ, მე მაინც დავბრუნდებოდი! დავბრუნდებოდი, იმიტომ, რომ მე ისინი ძალიან მიყვარდნენ! ძალიან, საკუთარ თავზე მეტად...

კართან დიდხანს ვიდექი. დაკაკუნების მეშინოდა. მაინც მეშინოდა, განსაკუთრებით შვილის თვალების დანახვის... კარი ისე გაიღო, არც დამიკაუნებია...

კარში შვილი იდგა...

მისი შეშინებული კივილი...

მუხლები მომეკვეთა და დავიწოქე... ვგრძნობდი შვილის გამმაგებულ კოცნას... მისი პატარა ტუჩების შეხებას სახის თითოეულ ნაკვთზე... მისი ციცქნა ხელებით ფერებას მზრებზე და კისერზე...

როცა თვალებიდან ბინდი გადამენმინდა, ცოლი დავინახე. იქვე კედელთან ჩამჯდარიყო და ცრემლები ლაპა-ლუპით ჩამოსდიოდა, ნიკაპი უკანკალებდა.

მეც ვტიროდი... არ ვიცვი, სიხარულისგან თუ მწუხარებისგან...

ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა...

მე უკვე შინ ვიყავი!..



## იური კახნიაშვილი

•  
ბობოქრობ ისე, როგორც ზღვის  
ტალღა,  
დაბორიალობ და ვერ ისვენებ,  
შენმა მუხლებმა არ იცის დაღლა,  
ბოსლევის აღმართს როცა იხსენებ.  
გადაპენტლილი ენძელით, იით,  
ო, ეს მინდვრები დაუფინყარი,

•  
ქარი სისინებს, ვით ქვებუდანი,  
დღეა ფერმკრთალი, იენისის შვიდი,  
დგას კორპუსები მშფოთვარე  
გლდანის,  
სადაც ნუთიც არ მქონია მშვიდი.  
ნინათ ამ გზებზე მიყვარდა გავლა,  
გადაყურებდი სოფლის სამანებს,

•  
ჩემს ბედს ვერსაით გავეძევც,  
სუყველგან წამომენია,  
შემოვიარე ქვეყანა,  
რა გზები არ მიკეცია.  
დღემდე ვჭახჭახებ შაშვივით,  
გალობით ვებრძვი სევდასა,

ვიწრო რკინიგზა თირით და რკვიით  
რამ დამაფინყოს, ერთი მითხარი.  
გასავლელი გაქვს გზა ძალზე  
რთული,  
ჩამონოლილი შავი ნისლებით,  
უნდა იარო წელგამართული,  
რადგან ღვთიური მადლით ივსები.

ჩემს სათქმელს გულის სიღრმეში  
ვმაღავ,  
მე ლექსზე ფიქრი დამასამარებს.  
ლამეებს თითქმის თეთრად ვათენებ,  
ვიმკი მას, რაიც დამითესია,  
მაინც ოცნების კომკებს ვაშენებ,  
რადგან მთავარი ჩემთვის ლექსია.

„შენ ვერ დამკორტნი, ყორანო,  
მაინც გიტირებ დედასა“.  
„ნუთისოფელი ოპია“,  
უნდა ვიქნო ხმალია,  
თუ სიყვარულში დავმარცხდი,  
რა ვქნა, რა ჩემი ბრაღია.

ჭეჭეთობის ღამე

შეესივნენ ავსულები ღამის  
კიდობანს,  
გადაჩხრიკეს, დახრეს, დაფერთხეს;  
ვისაც უცეცხლოდ მოატანეს,  
ურჩს და დაუცველს ვისაც  
ნაასწრეს...

მე არ დაეანთე დიდი კოცონი,  
არ მოვიხმარე ცეცხლი ფარივით,  
მე არ გაეფრთხილდი, რომ ვთქვა  
მართალი,  
და შემამჩნიეს, რალა თქმა უნდა,  
და ჭეჭეთობა ღამეს გამთვალეს.

გათვალული ვარ, განწირული ვარ,  
არსად ჩანს, ვინაც უნდა მიშველოს.  
იქით ქვეყანა - დიდი და ბევრი,  
აქეთ მე - ერთი და უმნიშვნელო.  
სიყვარულისთვის მედება ბრალი,  
სად არის, ვინაც უნდა მიშველოს?

ვაიმე, მთვარეე!  
პოეტების კალმის ნვერზე იოლ-  
უბრალოდ წამოდებულო,  
ძიღგატეხილთა მოცლილ თვალეებში  
ჩახორცებულო,  
შეშლილთა ფიქრში ჩათესილო,  
მომაკედავთა ხარბი ფრჩხილებით  
ჩამოკორტნილო,  
მარტოკაცთან ჩამომჯდარო,  
მთვარეე, ვაიმე...

ჭეჭეთობა ღამე მთავრდება...  
მე არ მენტო დიდი კოცონი,  
მე არ მენტო ცეცხლი საერთოდ.  
სიყვარულისთვის მედება ბრალი...  
როცა ვხედავ, რომ  
დღემდე არავის მოშუშებია  
უხსოვარ დროის ჩამოთლილი მხარე  
სხეულის  
და ეტანჯებათ წყლული ნახევრებს  
გამთლიანების მწვავე სურვილით;  
როცა მითხრეს, რომ  
„უსიყვარულოდ მზევ არ სუფევს“;  
როცა სამყაროს უღრანებში ყველაზე  
მკვეთრად  
სატრფოს ნაკვალევს ადევნებულთა  
გულისფეთქვა და თქარუნი ისმის,  
და იღუნება ვნების დოლაბქვეშ  
წყარიშმაფას ძუძუები -  
რიყის ქვებივით თბილი და სადა,  
და გიჟია ოჩოკოჩი, გიჟი,  
შეშლილია რიყის ქვებისგან...  
როცა მნამს, რომ  
სიყვარული - მონობამდე  
ამაღლებული,  
თვითონ ღმერთია  
და არავის იუფროსებს...  
გამაგებინეთ,  
როგორ ვიქნები დამნაშავე ღმერთის  
წინაშე,  
თუ სიყვარულთან მართალი ვარ;  
და აშალეთ ყველა კანონიერი  
ლოგინი,

ერთი მისხალი გადარევაც თუკი  
აკლია,  
აშაღეთ და ჯანდაბაში გადაუძახეთ.

რა მშვენიერი ქალია მთვარე,  
ორი კვირით და ბინდით ვნებული;  
რა მშვენიერი მზარეა მთვარე,  
ლამისმთველებით დასახლებული.  
თუმცა მავანნი ავი ქირქილით  
მხოლოდ ასტრალურ სხეულად  
ხმობენ,

მე მიხარია, რომ მწუხრის ჭიშკარს  
მასპინძელივით გამიღებს ხოლმე.  
იმის ნათელში ვაპირებ საფლავს,  
იმის ნათელში ბინა დავიდე...  
დაე, გავიდეს იგი მოდიდან,  
ოლონდ ღამიდან არსად გავიდეს.

ჭეჭეთობა ღამე მთავრდება  
და აჩქარებს ბილიკს ავსული;  
ტაბაკონიდან გადმოშორალ თავის  
მოძმეებს

შორით ახარებს  
და ამაყი სიფრთხილით მიაქვს  
ბანჯგულიან მკლავზე დაფენილი  
ნაალაფარი -  
ჩემი სულის ცაბცახა ნისლი,  
და როკავიც ტუჩებს ილოკავს.  
ჭეჭეთობა ღამე მთავრდება.

მე - ჩემი ღმერთის მონა-მხვეალი,  
ჩემივე სისხლის ფარჩით ვირთვები;  
წყვილი ლოდივით მინგრევს  
ხერხემალს

პოეტისა და ქალის ტვირთები.  
გათვალული ვარ, შემწნეული ვარ,  
არსად ჩანს, ვინაც უნდა მიშველოს;  
იქით ქვეყანა - დიდი და ბევრი,  
აქეთ მე - ერთი და უმნიშვნელო.

ისინი - ერთად, მე - სიყვარულთან.  
სად არის, ვინაც უნდა მიშველოს?

ჭეჭეთობა ღამე მთავრდება...  
მე არ მენტო ცეცხლი ფარივით,  
არ მეზნია თმაში სანთელი,  
და ჩქარა!  
დამიჯერეთ, რომ სიყვარული  
ღმერთი არ არის,  
სხევანიირად  
თქვენი რწმენის ჩარჩოებში ვერ  
შემოგყვებით.

იჩქარეთ, თორემ უკვე თენდება,  
სადღაც რიფრაფის ლაქა ციალებს,  
მირბის ავსული და ჩემს სულს -  
ნადავლს,

ყიფინ-ყიფინით მიაფრიალებს.  
იმას ჰგონია, უკვე გადაწყდა,  
და მართალს, მაგრამ სიმციროთ  
დაღლილს,

ერთადერთობით ნაგებულ სახელს  
ამომიშანთავს ცოფვილის დამლით.  
სამყაროვ, ასე დიდო და ბევრო,  
გამომესარჩლე, ნამოიშართე,  
რადგან ქვეყნად ხომ ისიც  
არსებობს -

უმცირესობის დიდი სიმართლე.  
იჩქარეთ! მე ხომ თქვენი უფრო ვარ,  
იმათ ნუ მიმცემთ, ნუ დამამონებთ,  
ან დამარწმუნეთ თქვენს კანონებში,  
ან ჩემი რწმენით დამაკანონეთ.  
ჩქარა!..

ნამოდგა ბერი როკავი,  
ზეცა ბოროტი მზურით მონისლა;  
ჩამოდნა ღამე კოცონის თავზე,  
ჩამოლპა მთვარე ტაბაკონისა,  
და ვაიმე, მთვარე,  
მე ჭეჭეთობა ღამეს გამთვალეს.

## სანგრძლივი ღამეული მგზავრობა გვიით

მოთხრობა

- არასდროს ისროლო, თუ შენი თოფის ჭექა სამ სახელმწიფოში მაინც არ გაიღებს ექოს!

ესა თქვა და აბრეშუმთმომიანი პაელები ფართო გზაზე გამოვიდა. ის იყო ხატივით ღამაში და ჩექმასავით ყურებამდე სისხლში მოთხერილი. ზღვისპირეთში, სადაც მზის სითბოს ძროხის ნეხვზე შეტად არ აფასებენ, პაელები ქურდად იჯდა. ეს კაცი თავის ჭიას ახარებდა სამ სახელმწიფოში - ვენეციაში, თურქეთში და ავსტრიაში. პაელები საქონელს იპარავდა და სანელებლებით გადატვირთულ ქარავნებს იტაცებდა. ერთ შაბათ დღეს რომელიღაც ვაჭარმა მას თოფის ღულა მისცა პირში, მაგრამ თოფი არ გაუარდა. აბრეშუმთმომიანს თოფისნამლის კვამლმა ენა ასწვა. მას აქეთ იგი გემოს ველარ გრძნობდა და ველარ იგებდა, პირში რა ედო - ქალის ძუძუ თუ ლობიო და მფავე კიტრი. თევზს სატევრის წვერზე წამოაცმევდა და ისე წვევდა ცეცხლის ალზე. ცოცხალი თევზი ფართხალებდა და ნაპერკლებს აფრქვევდა.

ერთ დღეს პურით და ყველით დანაყრდა და ელოდა, რა აზრებდა გადაიქცეოდა მასში ეს საჭმელი. აკი მამა-

კაცს მხოლოდ ყველისგან და პურისგან ძალუძს აზრის წარმოქმნა. იმ დღეს პაელები ველურას შეხვდა. ველურა მწყემსი გოგონა იყო. ის დასთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა უმამოდ, არასდროს ენახა მამაკაცის ყვერები, ცხერისა კი ბევრჯერ პქონდა ნანახი, თუმცა ისიც შემწვარი. მამაკაცი მას მხოლოდ მონეტაზე გამოსახული ენახა. როცა ტყიდან აბრეშუმთმომიანმა პაელები გამოყო თავი, გოგონას მოეჩვენა, რომ მას მზე უღიმოდა. უშველებელი და უცნობი სულდგმული იდგა მის წინაშე. ის ტყავით იყო გადაჭიმული სინათლეზე და იყო ცარიელი, როგორც ღამე და მის წიაღში, როგორც ღამეში, იწვა ქალაქები და ტყეები, მდინარეები და ზღვის ყურეები, ქალები და ბავშვები, ხიდეები და გემები, ფსკერზე კი, სულ ქვემოთ, ამ სულის პატარა და მშვენიერი სხეული იწვა. ღიმილი, რომელიც სინათლესავით იფრქვეოდა, გაფიქრებინებდა, რომ ამ ღამის მიღმა არ არის სიცარიელე და მხოლოდ ამ სხეულის გავლით შეიძლება შეაღწიოს სულში. ღიმილი ამ კაცმა სხვა ქვეყანაში დაიჭირა და მოუტანა ველურას, როგორც ძვირფასი

ნაყოფი, რომელიც ან უნდა გასინჯო ან მოკვდე...

ველურამ შეხედა აბრეშუმთმიანი პავლეს ღიმილს და ეს იყო უკანასკნელი რამ, რაც მან სიცოცხლეში იხილა. ველურამვე პკითხა კაცს, რა გქვიაო, კაცმა უპასუხა, და ეს იყო უკანასკნელი რამ, რაც მან თავის ცხოვრებაში მოისმინა. პავლემ კონდახი ჩასცხო ველურას და ნახევრად მკვდარს დაეუფლა, ისევე როგორც ნახევრად ცოცხალ თევზს შეექცეოდა ხოლმე. იმავე დღეს ერთ-ერთ გემს მიჰყიდა იგი. ამ გემს ყველასთვის მისანედომი ქალები დაჰყავდა პორტიდან პორტში. მიჰყიდა და ნაჲიდა კიდეც, გაჰყვა იმ ღიმილს, წყვიდადმი რომ ანათებდა. ველურა მას აქეთ აღარც უნახავს. გოგონა დარჩა ასე ბედს მინდობილი. შემოლილი საშინელებისგან, გამოღვიძებული ვნებისგან და შიშისგან. ძლიერმა დარტყმამ კი სამუდამოდ დააბრმავა და დააყრუა.

და დაიწყო ბრმა ველურას ხანგრძლივი ღამეული მგზავრობა გემით. ყოველი გემბანზე ამსვლელი ყიდულობდა მოდურ ბრინჯაოს ბეჭედს და ოქროსყდიან პანია ნიგნაკს. ამ ნიგნაკში დანვრილებით იყო მოთხრობილი გემზე მყოფი ქალების შესახებ და აქვე ეცნობოდა იმ ნაცად ხერხებს, რომელთაც ისინი იყენებდნენ კაიუტაში მისული სტუმრების საამებლად. ნორმად ითვლებოდა დღეში ათი კაცი ერთი ქალისთვის. და ასე მიცურავდა გემი გაზაფხულიდან გაზაფხულამდე, პორტიდან პორტამდე. ყველას უკვირდა, გემზე მყოფი გოგონების სახელები და ღირსებანი რომ საქვეყნოდ გახმაურდა. საღამოს სტუმრები თავიანთ რჩეულ ქალებს თითზე ბეჭედებს ნამოაცმევდნენ ხოლმე და უტოვებდნენ კიდეც. ისინი ამ დანატოვარს დილით კაპიტანს უბრუნებდნენ, რათა ახალ ათ

სტუმარს რგებოდეს. მცენარეები კი სტუმრებს მიჰქონდნენ მტკნარსებს ჩუქნიდნენ. ასე იკვრებოდა წრე, მაგრამ არა ბეჭედების მეშვეობით, რომლებიც გემზე რჩებოდა, არამედ ნიგნების გამოისობით.

მამაკაცებს უყვართ თვალით, ქალებს კი სმენით. მიუხედავად ამისა, ყრუ ველურა სხვებზე უკეთეს სიყვარულის ნიჭს ამტლავებდა. გემზე წვეულნი, უპირველეს ყოვლისა, მას თხოულობდნენ, ჩუმიად აჭრიდნენ თმის კულულს და ნათესავეებს უგზავნიდნენ წერილთან ერთად. ამ ნიშნის მიხედვით გემზე შემდგომ მოხვედრილი მიაგნებდნენ ველურას.

— ქალი საპონი არ არის, არ გაიღევა, — ამბობდნენ ველურაზე სიცილხარხარით და მისი სახელის ექო სწრაფად ვრცელდებოდა, გემის სწრაფვასაც კი უსწრებდა, არავის არ ძალუძდა გადმოეცა მასთან პაემნის შთაბეჭდილებები. ასეთ დროს ხელებს იშველიებდნენ და ჩაუსტვენდნენ. ბრინჯაოს ბეჭედებს მას ხშირად ფეხის თითებზეც ნამოაცმევდნენ ხოლმე, რადგან ხელებზე აღარ ჰქონდა ადგილი. ველურას კი არაფერი არ ესმოდა და ვერაფერს ვერ იგებდა და რჩებოდა ყველასთვის სასურველ ქალად.

— დღისით მისი გონება უფრო სწრაფად მუშაობს, ღამით კი პირიქით — ჩურჩულდნენ სხვა გოგონები. იკეთებდა და იხსნიდა ბრმა ველურა ბეჭედებს და ამასობაში ამ ქალთა საკრებულოთი დატვირთული გემით გადაცურა ადრიატიკის და იონიის ზღეები. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ თქვა: რალაც მშვენიერი სოფელია ეს სოფელი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სარდაფები მინისქვეშაა, ქუჩები კი მზის გულზე არც არის საერთოდ, ამიტომ, რომ ყველაფერი ასე ირწყევა.

მხოლოდ მაშინ გაიკვია, რომ მან



არც კი იცოდა, სად იყო. მას ხელი ზღვაში ჩააყოფინეს და უთხრეს, გემზე ხარო. არც ამის შემდეგ დაუფლენია ველუჩას შფოთი, მხოლოდ დროდადრო ესიზმრებოდა, რომ მისივე ყურები წყდებოდნენ თავს და პეპლებივით მიფრინავდნენ ხმელეთზე, რათა მისთვის ვიღაცის ხმა ან სახელი მოეტანათ. მაგრამ, როცა კი იღვიძებდა, ატყობდა, ყურები იმავე ადგილზე პქონდა. ზოგჯერ იგი უკვე საესებით დაყრუებული თავის სამწყემსო სალამურზე უკრავდა. ეს სალამური კი (თვითონ ამას ვერ ატყობდა) უკვე ერთ ბგერასაც აღარ გამოსცემდა. ლაპარაკით ველუჩა უკვე აღარ ლაპარაკობდა, თითქოს ეშინოდა, სიტყვის დაძვრასთან ერთად პირიდან სისხლი არ წამსკდესო. იყო ერთი გამონაკლისი. ველუჩა ამტკიცებდა, თანაც დაეინებით, რომ ქარები, რომლებიც გამოდებით გემს არწევდნენ, მას ბაემეს გაუჩნდნენ. ის ფიქრობდა, რომ მათ საამისო ძალა შესწევდათ. სხვა გოგონებმა იცოდნენ, ისეთი, როგორიც ველუჩაა, ნებისმიერ ქარიშხალში საყვარლისთვის სასურველია და ამიტომაც ყველა ქარისგან შეიძლებოდა დაფხმძიმებულიყო. ისინი შიშით უსმენდნენ უფლისადმი აღვლენილ ველუჩას ხვენწა-ვედრებას. ველუჩა იჯდა გემბანზე და ქარებს ავედრებდა თავის სავედრებულს. უეცრად მოვარდნილი ქარები ტამრად ექცა მას, ის სახელეებით უხმობდა ქარებს და ეფიცებოდა, შვილს გაგიჩნთო.

ველუჩა ვედრებოდა დასავლეთის ქარს, ან მთის ქარს, რომელზეც წერენ ხოლმე იმას, რისი დავინყვაც სურთ. ეხვეწებოდა ქარიშხალს, რომლის დროსაც მარცხნივ აიყრიან ხოლმე პატივს, რათა მარჯვნივ შეინარჩუნონ. აღმოსავლეთის ქარსაც ვედრებოდა, რომელიც როცა დაჰბერავს, მაშინ არ

უნდა მოფსას მამაკაცებს, თორემ უდიდესი ცოდეგა დაანება. ციუ ქარსაც შეუძახებდა ხოლმე, იმ ციუ ქარს, პარასკეობით ნისქვილის ფრთებს რომ არ აბრუნებს, გზებს წენავს და ბილიკებს დასაწყისისკენ მიაქცევს. სამხრეთის ქარსაც ეძახდა ველუჩა, სამხრეთის ცოლმოყვანილ ქარს, რომელსაც შეუძლია კოშკი განასკოს. არც გრიგალი დაუტოვებია სათვალავს მიღმა. გრიგალი გეხმარება გაქცევით უშველო თავს, მას ღმერთს შესთხოვენ და ღმერთივე აგზავნის; და შუალამის ქარი, ო, შუალამის ქარი ადედებს რძეს და ენას აყლაპვინებს ადამიანებს; პოლეტიკიც ისმენდა ველუჩას ძახილს, ისმენდა და წმინდა პავლეს დღეს დასაცხრობად სანთელს ეძებდა. კიდევ ყვითელი ქარი, პო, პო, ყვითელი ქარი, რომლისგანაც შეიძლება თვალი გეცეს, რომელსაც სარკის მეშვეობით იჭერენ, რათა განდევნონ გრძნეულებანი. მოდრიკი დღევამოშვებით უბერავს და ნამთვრალეუ კაცს ნააგავს; აგურ თვე, ტოპლიკი, ლუზით მხენელი მინისა და ხმლით მომკელი. ბრმა ანჯელია, რომელსაც სანოლში ყინული მოაქვს და ხის ჯამში თოვლს გვიყრის; უსტოკს ევედრებოდა, იმ უსტოკს, სხეულის სასირცხვო ნაწილები რომ გადააქვს და რომლის სურნელის მიხედვით კვირის რომელიმე დღის განსაზღვრაც კი შეგვიძლია...

ასეთი ვედრებით და ხვენწა-მუდართ, მსასოებელი ძახილით შვილის შეძენის გამო გაიარა ველუჩამ ათასგვარ ქარებზე საშინელი ავედრები და უამინდობანი, არ დაუზოგავთ იგი ექვს ენაზე და სამ დიალექტზე მოსაუბრე ჯარისკაცებს. ქალების გემმა გაარღვია სასტიკი ომების ქარცეცხლი ევენეციასა და ავსტრიას შორის, გვერდი გაჰკრა თურქეთის იმპერიაში ავარდნილ ამბოხების აღს, რომელმაც

კონსტანტინოპოლს ტრიპოლი, ტუნი-  
სი და ალჟირი ჩამოაშორა. გერცეგ-  
ნოვში ველუჩას შეეყარა ავადმყოფო-  
ბა, რომელიც ართმევდა ადამიანს  
იმას, რაც მას უკვე ნართმეული ჰქონ-  
და – სმენა, სიცილიაში მხედველობის  
ნამრთმევემა სნებამ დარია ხელი – მაგ-  
რამ მხედველობაც ხომ უკვე კარგახ-  
ნის ნართმეული ჰქონდა. ყრუ ველუ-  
ჩას გარდა, ყველამ მოჰკრა ყური ზა-  
დარაში გახმაურებულ ამბავს, აბრე-  
შუმთმიანი პავლე დაღუპულიყო, და  
თურმე ერთ თურქ მხედარს მისი აბ-  
რეშუმის თმისაგან უზანგები გაეკე-  
თებინა და ისე დათარეშობდა. შიბე-  
ნიკში ერთმა სტუმართაგანმა საცეკ-  
ვოდ გაიწვია ველუჩა და ის შესანიშ-  
ნავად ცეკვავდა, ყველაზე უკეთესად,  
თუმცა მუსიკის ხმა ოდნავადაც არ ეს-  
მოდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ  
თავისი მუდმივი ხელობისგან ეს ქალი  
უკვე ჭკუაზე აღარ იყო. მამაკაცები  
ჩურჩულებდნენ, რომ ყოველი მათგა-  
ნისთვის მას თავის ვნების უტკბესი  
წვეთები ჰქონდა გადანახული, გოგო-  
ნებმა კი იცოდნენ, რომ მასვე გემის  
პატრონისთვის თავის სასიყვარულო  
შრომა-გარჯის გამო ერთი გროშიც კი  
არ მოუთხოვია...

მაგრამ ყველაფერმა ფუჭად ჩაია-  
რა, ველუჩას ბავშვი არ ეყოლა. მერე  
კი ერთ მშვენიერ დღეს, კორინთოში  
გოგონებმა დაინახეს ის, რისი დანახ-

ვაც ველუჩას არ შეეძლო ველუჩა გა-  
ჭალარავდა.

### ზიზლიოთეკა

– მალე, ალბათ, მას მკერდიც ჩამო-  
ეკიდება – ამბობდნენ ისინი ბოროტი  
სიხარულით. გემზე მყოფ ქალებს შო-  
რის უკვე ახლებიც იყვნენ, ყმანვილ-  
ქალები და მათ ფონზე ველუჩას დიდე-  
ბა ხუნდებოდა. მის ხელებზე იშვია-  
თადლა კრთოდა ბრინჯაოს ბეჭდები.  
ერთი ღამით მისი სანოლი ცარიელი  
იყო გათენებამდე, დილით კი ის აც-  
რემლებული ნახეს გოგონებმა. ისინი  
ზეთისხილის ტოტებით ეფერებოდნენ  
მას და არ ესმოდათ რა ატირებდა, მე-  
რე კი გაკვირვებულები დარჩნენ, რო-  
ცა მოისმინეს სიტყვები, რომელიც ახ-  
ლაც აოცებს ყველას: ჩემს აბრეშუმ-  
თმიან პავლეს მთელი ამ წლების მან-  
ძილზე ერთხელაც არ მოუტყუებია  
ჩემთვის, ერთ ღამეში ათჯერ მოდიო-  
და სააღერსოდ ჩემთან, გვერდით მი-  
ვებოდა. ახლა იგი უკვე აღარ მოდის.  
ყველაზე ღამაზე, ერთადერთ მამაკაცს  
ქვეყანაზე მე უკვე აღარ ვუყვარვარ.  
აბრეშუმთმიანმა პავლემ სხვა იპოვა...  
თქვა ველუჩამ და ზღვაში გადაეარდა.

ამ ადგილს მისი სახელი ჰქვია.  
ესეც მისი ენითაუნერელი დიდების  
გამოძახილია. ყველა, ვინც აქ გაცუ-  
რავს, ნიჩბებს დაყრის, ხელს ჩაიქნევს  
და დაუსტვენს. და რადგან ასეა, მეც  
აი ამ ადგილას ვყრი ნიჩბებს, ხელს ჩა-  
ვიქნევ და ვცდილობ გავიხსენო, XVII  
საუკუნიდან რომ ისმის, ის სტვენა.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

## მოთხრობები

დაიბადა მხატვრის ოჯახში 1956 წელს. დაამთავრა დამასკოს უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. სამოცდაათიანი წლებიდან აქვეყნებს ნოველებს ჟურნალ-გაზეთებში. 1982 წელს მემარცხენე ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად გამოსცა ლიტერატურული ბიულეტენი, რომლისთვისაც დააპატიმრეს. რამდენიმე თვის შემდეგ, გულის მძიმე დაავადების გამო გაათავისუფლეს, მაგრამ აიძულეს ემიგრაციაში წასულიყო. 1982 წლიდან ოჯახის გარეშე ცხოვრობს პარიზში, სადაც ორჯერ გაიკეთა გულის ოპერაცია. 1994 წელს გარდაიცვალა პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში. მწერლის უკანასკნელი, მებუთე კრებული გამოცემულია მისი სიკვდილის შემდეგ.

## პარდი... წითელი პარდი...

შენ შეძლებ ამის გაკეთებას. შეიდი დაინყო და ჯერ არ გათენებულა. არც თვალი მოგიხუჭავს. ძილის ნამლის ერთმა აბმა არ გაჭრა. შენი „პატივცემული“ ექიმი ამბობს, რომ ერთიც საკმარისია. ის კი საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ ნახევარი საათი მაინც წაგეთვლიმა. და ასე, შენ შეძლებ ამის გაკეთებას. გული გიცემს, გამალებით გიცემს. ე. ი. ძალიან მოგენატრა. ის დილით გაეა სახლიდან. ეს იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად შინ ეძინა. კიდეც ის, რომ იგი დილაობით როდის გადის შინიდან. სახლის წინ არ დაელოდები, რადგან ამ დროს ძალიან ცივა. შეტროს სადგურში მოუცდი. დიდხანს არა. შეიძლება თხუთმეტ წუთზე ნაკლებსაც. მაგრამ ვაი თუ შინ არ გაუთევია?!

მის სამსახურთან მიხვალ მასზე ადრე. მიუახლოვდები. შავი პალტო ეცმევა. ჩუმი, მაგრამ მშვიდი ხმით ეტყვი:

– დილა მშვიდობისა...

აუცილებლად სახეს მოგარიდებს და არ გიპასუხებს. შენ გაუმეორებ:

– დილა მშვიდობისა...

დილა მშვიდობისა, ქალბატონო... ძალიან მენატრები. არაფერი მინდა. თვალი არ მომიხუჭავს. მხოლოდ შენი ნახეა მსურს. მითხარი დილა მშვიდობისა, რომ წავიდე... იქნებ წავიდე და ამით ავირიდო სკანდალი. შენ მკითხავ... კი მაგრამ, რა სკანდალი?

გავბედავ და შეხვედრას ვთხოვ. თუ არა და... თუ არა და რა?.. რით დავემუქრები? შეაღებს თავისი სამსახურის დიდ მწვანე კარს და გარეთ დამ-





ტოვებს. დაკაკუნებას ვერ გავებდავ. რა ვუთხრა?.. ისევ გაფუშეორო დილა მშვიდობისა, რომელზეც პასუხს ვერ მივიღებ? გიფი ვეგონები. უფრო სწორად, ვარ კიდევ... მხოლოდ დილა მშვიდობისა ქალბატონო, ჩემი დღეების, ჩემი დრო-ჟამის ყოფილო ქალბატონო. მხოლოდ დილა მშვიდობისა. და კიდევ, გთხოვ, შენ გაათიო დღეს ეს ღამე, თანამშრომლების წინაშე ცოდვა რომ არ დაეატრიალო. მაშინ შეეძლებ, მეტროშიც გამოგყვე. თუმცა, გარკვეულწილად, გამოლანძღვასაც ველი და შეიძლება, ფრჩხილების გამოყენებასაც. მათი ნაკანრი ჯერ ისევ მატყვია თვალბეჭევი... მოვიცდი და ვარდსაც ვიყიდი. ვიცი, რომ ამჯერად მაშინვე უკან მესვრი (უნინ კი სიხარულით დგამდი სასადილო მაგიდაზე)...

მირჩევნია ერთი წითელი ვარდი, ან მიხაკი, ანდა რომელიმე ყვავილი თხუთმეტ ფრანკად... სულ ესაა, რაც მაბადია. ასე იქნება, თუ კონტროლიორი არ გამომიჭერს მეტროში. ჯიუტად თუ არ შეეცდება ჩამიმწაროს დილა იძულებითი დანაშაულის გამო. ეს მანამდეა, ვიდრე ვარდს უკან მესვრი.

კაცი თითქოსდა რესპექტაბელურად გამოიყურება და ამ დროს, კონტროლიორი ედავება, მაგრამ ეს არ არის საინტერესო. საინტერესო მისი გარეგნობაა. სასაცილოა ერთი ვარდითა (წითელი ვარდით) და ყვითელი საჯარიმო ქუთრით ხელში. მე მგონი... ვიყიდი ერთ ვარდს. ჩემი ბედი, რომ ვარდების გამყიდველი, რომელიც მიცნობდა, რომელიც... ახლოსაა სახლთან... მაგრამ ვაი, თუ შინ არ გაუთევია?..

სამსახურთან მივუტან ვარდს. კართან მდგომ შრილანკელ მძღოლს ვეტყვი: ეს ქალიშვილს გადაეცი. შესაძლებელია, არც გადმოგცეს და პირ-

დაპირ მესროლოს მანქანის წესდებით ან შენი მითითებით?

ვეტყვი:

- ეს დირექტორს მიუტანე და უთხარი, ქალიშვილს გადასცეს.

იქნებ შევაშინო. მაგრამ დირექტორისაგან გეგონება. ამიტომ, იქნებ ჩემი სახელი მივანერო, მაგრამ ერთ ვარდს არ შეშვების წარწერა. მე მხოლოდ ერთის ფული მაქვს. შეიდი და იწყო, ჯერ ისევ არ გათენებულა. ფიქრს თაყისი გააქვს; პირველ რიგში, სახლი, მერე - სამსახური. პალტოს ფერის მიხედვით გავარკვევ, შინ ეძინა თუ არა. თუ შავი არ ეცმევა, მაშინ შინ შევლა და გამოცვლა მოუსწრია.

- დილა მშვიდობისა... არაფერი მინდა... მხოლოდ ეს ვარდი... გთხოვ, ნუ გადააგდებ. ვფიცავ, გული გახეთქვაზე მაქვს. შენ იცი, რას ნიშნავს, კაცი რომ ამას ეუბნება ქალს? პირველად ეუბნება. გული მართლა გახეთქვაზე აქვს. ორად ეპობა.

- დილა მშვიდობისა... მხოლოდ ეს ვარდი...

სახლის წინ, მეტროში ან სამსახურის სიახლოვეს დაგელოდები, სანამ არ მოხვალ. ახლა შეიძის ნახევარია. დაახლოებით ორი საათი დარჩა. უნდა ჩაეიცვა. მერე ვარდის საყიდლად წავალ. მეტროში მოვიცდი. არ მოხვალ. სამსახურთან მივალ. შეიძლება მოგვიანებითაც. ვნახავ შრილანკელ მძღოლს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არ გადასცემს ვარდს. კიდევაც რომ გააკეთოს ეს, ქალი არაფრად ჩააგდებს. მიუხედავად ამისა, სინათლეს ჩავაქრობ. შეიდი საათი ხდება. სინათლეს ჩავაქრობ, იმიტომ კი არა, რომ გავიდე ან ტანსაცმელი გამოვიცვალო (რამდენი ხანია, რაც ღამის ტანსაცმელში ვარ?..). არამედ იმიტომ, რომ დავიძინო. იმიტომ, რომ არ გავიდე. არ



ნავალ არასდროს. არაფითარი ქალბატონი არ არსებობს. ვარდიც არა მაქვს... და... გული კი გახეთქვა ზეა. ნამდვილად გასკდება. დარწმუნებული ვარ. ტელეფონი რეკავს, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ტელეფონიც არა მაქვს. არ ნავალ. ერთი ვარდის ფული მაქვს მხოლოდ. არც ვინმე ელოდება ამ ვარდს და არც...

ავტირდები?.. მწარედ ავტირდები, თუ შეუქს ჩავაქრობ. რამდენჯერ გადამიჭრია ასე ჩემი მოთხრობების ცუდი დასასრული. შუქი ჩავაქრო? რატომ არ ვწერ იმაზე, რაც დღისით ხდება?.. რატომ არაფრად ვაგდებ იმ ქალბატონებს, რომლებიც მოდიან. ნამდვილად მოდიან. რატომ არა მაქვს ფული, რომ ბლომად ვუყიდო მათ ვარდები. როგორ გაიხარებენ... როცა მოელვარე თვალებითა და ნატიფი თითებით ხელს ნაავლებენ, მეტყვიან:

- მოდი, ვაზაში ჩავენყოთ.

ვაზა სანოლის სიახლოვეს უდგათ ქალებს. სანოლი ცარიელი იქნება მანამ, სანამ ვარდებს ჩავენყოთ. ამის შემდეგ, ვაზა ცარიელი არ დარჩება და, შესაძლებელია, არც სანოლი. უნესრიგოდ მიმოიფანტება ტანსაცმელი... ამ დროს შესაძლებელია ვარდებიც დაზარალდეს და მიმოიბნეს... მაგრამ ახლა რასაც გავაკეთებ ისაა, რომ შეუქს ჩავაქრობ... წყვდიადი ჩამონვება. ეს რა ქალაქია, რომელსაც ბნელი რიჭრაფები აქვს. ციხის საკნეზივით... მაგრამ რატომ მახსენდება ახლა ციხის საკნეზი, ვარდებზე მსურს საუბარი, უფრო სწორად, ერთ ცალ ვარდზე. ვარდზე, რომლის ყიდვასაც ვერ ვბედავ.

ლოკინი თბილია, სულში კი სიკვდილის მაგვარ სიცივეს ვგრძნობ. მიუხედავად ყველაფრისა, ვარდს არ ვიყიდი. ისიც არ ვიცი, ჩავაქრობ თუ არა

სინათლეს. თვითონ არ ვიცი, ვინ ვაქრობ მატურად. პარიზი ამაზე დამლა დგას. იქნებ მე თვითონ ვდგავარ ამაზე დაბლა, ნასვლას რომ არ ვაპირებ... ნამდვილად ვერ დავიჭერ შინ. პრაზი დამახრჩობს. დახურულ კართან, რომელიც არ გაიღება, მივავდებ ვარდს, რადგან ვერ გავბედავ შრილანკელ მძლოსს გადავცე. შესაძლებელია, ქალი იქ არც იყოს.

მაგრამ ვინ არის ის?.. განა როგორც უცხოობაში განდევნილი გეკითხებით (ჩემი კალმის გამო გამამძევეს თუ რა მოხდა?). არსებობს კი ნამდვილად ეს ქალი? გავბედავ და ნავალ ამ დილით, რომ ვარდი მივართვა? რატომ არ უნდა გავაკეთო ეს სამსახურის შემდეგ?

ძალიან ველეავ, ბატონებო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არ ნავალ. არც ვიტყვებ... იქნებ ვინმე დამელაპარაკოს. თუმცა ტელეფონიც არ მაქვს. არც ტელეფონი და, ალბათ არც სამშობლო...

შესაძლებელია, მელანიც გათავდეს კალამში. მაშინ რა ვქნა? ის ქალი, რომელსაც შეიძლება ვარდი მივართვა, წითელი ვარდი, და რომელიც გაიცინებს, მკერდზე მიიბნევს - ზუსტად ისე, როგორც ბებიამეში აკეთებდა - აქ არ არის. არც მასთან ნასვლა შემიძლია. მელანიც საცაა გათავდება. მეტროს გაიხსნა. ველეავ. საინტერესოა ნავალ?.. თხუთმეტი ფრანკი ბევრი არაა... ნავალ? ქალი იქაა, მინისქვეშა სადგურში. ან დიდი მწვანე ხის კართან. ვარდი უნდა მეჭიროს ხელში. ხელში, რომელიც არ უნდა კანკალებდეს. ჯერ არ გათენებულა... თუმცა... თუმცა...

რა გგონიათ?.. ნავალ?... არ ვიცი. რომ ვიცოდე, შეიძლება არც გითხრათ... განა ეს რაღაც სიახლე არ

არის?.. მე არ მიყვარს ასეთი სიახლე. მიუხედავად ამისა, არ გეტყვი... ქალი, ვარდი, მეტრო, პარიზი, დახშული კარი. განთიადი, რომელიც არ დგება... კალამი, რომელიც შრება. გული, რომელიც მიიღია... ვთხოვთ, მონანილეობა მიიღოთ რთული პრობლემის გადაჭრაში. რა მოხდება, ის მწერალი რომ მოვიდეს ახლა. რა ერქვა? „ლუიჯი პირანდელი“? ის, რომელსაც ექვესი კაცი ეძებს. მე კი არავინ... ეს მე ვეძებ... მაგრამ ვიდრე სინათლეს ჩავექრობდე, დავეურეკავ, ტელეფონი არა

მაქვს, ქუჩიდან დავტრეკავ... თუ ვაღალ, მაშინ რატომ არ უნდა შეიქმნოდო ვარდი და არ დაველოდო მეტროში? გჯეროდეთ, რომ ამას არ ვაკეთებ. არასოდეს ვაეკეთებ. იმდენად მტკივეა გული, რომ ღამის სამოსის გახდისა და სხვა რამის ჩაცმის თავი არა მაქვს. დაღლილი ვარ, ბატონებო. გული მეკუმშება და მეღევეა ტკივილით. მითანაგრძნობთ? შესაძლებელია. შესაძლებელია არა...

მთავარი ახლა ისაა, რომ შელანი გამარა... და ქალი...

## ქალი დილით

ამ დილით ქალი პატარა მალევიძარას გაულევიძებია, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა. ლოგინში გვერდი იცვალა თუ არა, მიხვდა, რომ დააგვიანდა. ფეთიანივით ნამოვარდა. ჩაცმა დაიწყო. დილის ჩვეული რიტუალი არ დაუსრულებია, ისე გავარდა – მაკიაჟის გარეშე; ფინჯანი ყავაც არ დაულევიდა; მოკიდებული სიგარეტის პირველი ღერიც კი საფერფლეზე დარჩა.

ქალს სამსახურში აგვიანდებოდა. იფიქრა, მაკიაჟს ბოლომდე თუ არა, ნანილობრივ მაინც, მეტროს ვაგონში დაასრულებდა იმ ქალების მსგავსად, ადრე რომ უნახავს, თუმცა თვითონ არასოდეს გაუკეთებია – მიხვდა, შინ რატომ ვერ ასწრებდნენ ამას ქალები. მაგრამ მის სურვილს განხორციელება არ ენერა – სახლთან ახლო მდებარე მეტროს სადგური დაკეტული დახვდა. არ უკითხავს, რატომ. მეტი სისწრაფით გაექანა მეორე მახლობელი სადგურისაკენ. გაჭირვებით იპოვა ადგილი გადაჭედილ ვაგონში, რო-

მელსაც გაჩერებული ხაზის მგზავრებიც მოეკრიბა.

ქალს, რომელსაც სამსახურში დააგვიანდა და მისელისთანავე შეუდგა საქმეს, მეორე დღეს დიდხანს არ უტრიალია ლოგინში. თავის დროზე გაიღვიძა. ტანსაცმელი შეარჩია. აუჩქარებლად ჩაიცვა. ყავა დალია, რამდენიმე სიგარეტიც მოწია. მორთვა-მოკაზმვა მოათავა და შინიდან გავიდა, სასურველი დილის გაზეთი რომ ეყიდა. უახლოეს მეტროს სადგურში ჩავიდა და მოხერხებული ადგილიც იპოვა ვაგონში. გაზეთის გადაფურცვლა დაიწყო. ერთ-ერთ შიდა გვერდზე ნაიკითხა, რომ ვილაც უცხოელმა, მისი ეროვნების კაცმა, რამდენიმე საათით მწყობრიდან გამოიყვანა მეტროს ხაზი და ქალაქის მოძრაობა არივ-დარია. ამ კაცმა ეს ჩაიღინა ქალის სახლის მახლობლად მდებარე სადგურში. ხელში სჭერია ერთი ვარდი, როგორც უთქვამს უბედური შემთხვევის თვითმხილველს, ნითელი ვარდი და საქა-

ღალღე. ორივე სკამზე დაუტოვებია, ვიდრე მოძრაობას შეაფერხებდა.

იმ ქალღელეში აღმოჩენილ წერილებში უცხოელი კაცი მშობლიურ ენაზე წერს, თუ რატომ ჩაიდინა ეს. წერილები, როგორც გაზეთი იტყობინება შორეული მეგობრებისა და ოჯახის სახელზეა და პევეებიან სიმარტოვეზე, პატიმრებზე, უცხო ქვეყნებზე. ერთი გრძელი წერილი კი, როგორც ჩანს, მისივე ეროვნების ქალიშვილის სახელზეა. ქალიშვილისა, რომელიც ახლა კითხულობს ამ ამბავს. არ ვიცით რას გრძნობდა: არაფერს, შემფოთებას თუ ცრემლი ახრჩობდა. კითხულობდა უცხოელზე, რომელმაც მახლობელი

მეტროს სადგური გადაიტოვებულ იმიტომ, რომ სწრაფი მეტროს ბორბლებქვეშ დაფლეთილ სხულად ქცეულიყო. სხულად, რომელიც მანამდე ეკუთვნოდა მას, ვიდრე ჭუჭყიან ელექტრორელსებზე მიკრული სისხლიანი ნაწილების შეგროვება დასრულდებოდა. სხულმა კარგად იცოდა, სანამ ამას ჩაიდენდა, რომ ველარ შეძლებდა ეჭურჩულა „დილა მშვიდობისა“ ქალისთვის, რომელიც ახლოს ცხოვრობდა. ქალისთვის, რომელმაც ასე მოულოდნელად გადაწყვიტა ცხვირნინ მიეხურა კარი (როგორც სამშობლომ) თვითონ ამ ქალმა, რომელიც გაზეთს კითხულობს...

## თაფი ჭაფი ჩაპარდა...

უფროსმა მამიდამ იყვირა:  
 - დედა! ჩემი და ჭაში ჩავარდა...  
 შეშინებული ბებიარემი ჭისკენ გავქანა, თან ქალიშვილის სახელს გაიძახოდა... მეორე მხრიდან ჩვენი მეზობლის ქალი გამოჩნდა. უკან მოჰყვა ქმარი, რომელმაც ჭაში ჩაჰყვირა:  
 - შენ, გოგო! გესმის?  
 მამინვე არავის უპასუხია, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ, ჭიდან სუსტი ხმა მოისმა:  
 - თუ შეიძლება, ამოიყვანეთ...  
 - ღვთის ნებით, არ დამხრჩვეალა... აღმოაჩინა კაცმა, პასუხი რომ მოისმინა. ერთ ხანს დაფიქრდა და მერე ისევე შეეხმინა:  
 - შენ, გოგო! ვედროს ჩამოგიგდებ. კარგად ჩაავლე ხელი, რომ ამოგქაჩო. მაგრამ ყურადღებით იყავი, თავზე არ დაგეცეს და ნყალში არ ჩაგიტანოს... კედელზე კარგად ხარ ჩაჭიდებული?.. ადრინდელზე უფრო სუსტი ხმით უპასუხა მამიდარემმა:

- თუ შეიძლება, ამოიყვანეთ...  
 შემდეგ გავიგეთ, როგორ გაადინა ვედრომ ტყაპანი ნყალზე.  
 მეზობლის კაცმა ყვირილი შეწყვიტა. ბებიარემი ტიროდა და თავის ბედზე მოსთქვამდა. ნატრობდა, იქამდე ამოეყვანათ მამიდარემი ჭიდან, ვიდრე ბაბუა მოვიდოდა და ნახავდა...  
 - რას შერები, ჩაეჭიდე?..  
 ამონევა დაინყო. ტროსის მეტალის რგოლებს ხრჭიალ-ხრჭიალი გაუდიოდათ. და აი, მამიდარემიც... შავ ვედროზე ჩაფრენილი. ჯერ გამოჩნდა მისი გრძელი თმები, რომელზეც წურწურით ჩამოსდიოდა ნყალი. მერე სახე.  
 იმ მამიდამ, რომელიც ჭაში არ ჩავარდნილა, ნამოიყვირა:  
 - დიდება ალაჰს... ჩემო დაო...  
 ვედროს ჩაფრენილი შეშინებული შვილის დანახვაზე ბებიარემს ძალა შეემატა:  
 - შენ დაბრმავდი, როგორ ჩავარდი ჭაში...

მეზობლის კაცმა ჩვეულებიანამებრ იყვირა:

– ჩვენო მეზობელო... დააცადე, ამოვიდეს.

მაგრამ ბებიარემმა ისევ გაუმეორა შეკითხვა და თან თმებით ენეოდა. ცოტა ხნის წინ ჭაში ნამყოფმა მამიდამ უფრო ცოცხლად დაიწყო:

– ერთი თეფში კერძი მიმქონდა მეზობელთან, როგორც შენ მითხარი... ჭას გადაევეღე და ფეხი ამიცდა...

ბებია, რომელიც ქალიშვილის გადარჩენამ დაამშვიდა, თქვა:

– ნეტა მომკვდომოდი...

თქვა და განუწულ მამიდას მოეხვია. ბებიასაც დაუსველდა ტანსაცმელი. ორივენი ტიროდნენ. უფროსი მამიდაც ტიროდა. მგონი მეზობლის ქალიც. კაცს რაც შეეხება, მას ერთი თეფში კერძი გაახსენდა და კისერი ჩაიგრძელა ჭაში. შავი ვედრო ისევ ხელში ეკავა.

– არ ჩანს... ჩაილაპარაკა და ხელი უშვა ვედროს, რომელიც მონყევტით

ჩავარდა წყალში. მერე შინ წასვლელად გატრიალდა. წინ შეროტე მხარეს მისი ცოლი იდგა და ცრემლებს ინმენდდა. ისმოდა როგორ ეხეთქებოდა ვედრო კედლებს. ერთხანს ჩუმად იყო მეზობელი ქალი, მერე ბებიარემს მიუბრუნდა:

– მეზობელო, შენ არ გითქვამს რის მომზადებას აპირებდი...?

ბებიარემი გამოერკვა. გაბრაზებით დაუყვირა განუწულ მამიდას:

– მიდი, სწრაფად... ტანსაცმელი გამოიცვალე და სხვა თეფში ნაულე ჩვენს მეზობელს, მაგრამ ფრთხილად იყავი, ფეხი არ დაგიცდეს. ჭას კი ნუ გადაევეღები, ქუჩით მოიარე.

ჭაში ნამყოფ მამიდას არაფერი უპასუხია. ისევ ნურნურით ჩამოსდიოდა წყალი თმებსა და ტანზე. უფროსი მამიდა კი ამაოდ ცდილობდა მეზობლისგან ჩუმად ენიშნებინა ბებიასთვის, რომ ერთი თეფში საჭმელია დარჩა ბაბუასათვის, რომელიც მოსასვლელი იყო...

არაბულიდან თარგმნა  
იზოლდა გრძელიძემ

## მას „არს წარსულის, არს მომავლის არ ეზინია“

გალაკტიონის პოეზიასთან მიახ-  
ლებისას უპირველესად გაცემა გე-  
უფლება და ამ გაცემიდან ისე გადა-  
დიხარ ამალღებულ განწყობაზე, ფიქ-  
რისა და განსჯის დროც არ გრჩება.  
გგონია, მართლაც ზენაარი კარნახობ-  
და პოეტს. გალაკტიონს სხვა არა დარ-  
ჩენოდა, მხოლოდ უნდა ჩაენერა ეს მა-  
გიური ხმოვანების ლექსები, რადგა-  
ნაც ამდენი და თანაც ასეთი სტრიქო-  
ნები შეუძლებლად მიგვაჩნია ერთი  
ადამიანის სიცოცხლეში დაინეროს.  
მაგრამ თუ გალაკტიონის ფენომენის  
შეცნობა ვსურს, მის უბის წიგნაკებსა  
და ყდაგაცრეცილ რეველებს უნდა ჩა-  
ულრმავდე. სწორედ აქ ამოიკითხო სა-  
იდუმლო მისი გენიალობისა. საოცარი  
მღელვარება გეუფლება პოეტის უზე-  
ნაეს ლაბორატორიასთან მიახლები-  
სას, თავად გალაკტიონის სტრიქონე-  
ბი გაგონდება:

„როცა დიდი ხნით დახურული  
გავხსენი ყუთი,  
ძველ ბარათებში აღარ იყო სიახლე  
ძველი,  
მხოლოდ ზაფხულის სურნელება  
ვიგრძენ სათუთი  
და შემოდგომის სიახლოვე ბურუს-  
დამსხმელი.“  
(„უზენაესი ხელნაწერი“)

და თითქოს პოეტის ხმა გესმის:  
„სერაფიმის ფრთა, სევდიანი ჩემი  
სანთელი  
ამ ბარათებზე საუკუნო აღად  
ენთება!  
გადივლის თვალწინ დროთა ბნელი  
კორიანტელი,  
ჩუმად ვშლი ფურცლებს,  
საკეცებში ჩუმად თენდება“.

მართლაც ჩუმად, მოკრძალებითა  
და მონინებით უნდა გადაშალო ეს  
გრძნული გვერდები და ეზიარო გე-  
ნიალური სულის იდუმალებას. რა  
გრძნობები, რა ფერები, რა განწყობა-  
ნი, რა საოცრებები არ ამოიკითხება ამ  
გაყვითლებულ ფურცლებზე და ყვე-  
ლა ესენი გაზიარებენ ერთ უდავო ქეშ-  
მარიტებას: „შრომა უდიდესი სიქვე-  
ლე ამქვეყნად, მხოლოდ ოსტატს ვერ  
ენევა სიკედილი“.

ის, რომ ზოგიერთი ლექსი ავტო-  
რის მიერ მრავალ ვარიანტადაა ხელ-  
ნაწერებში, ის, რომ თითოეული ლექ-  
სის თემა, იდეა, მიზანდასახულება  
გარკვეული დროით ინართობა პოეტის  
შემოქმედებით წარმოსახვაში, ყოველ  
ხმას, ყოველ ჩქამსაც კი აყურადებს  
პოეტი სამყაროს პარმონიული ჟღე-  
რადობის შესამეცნებლად „მსოფლიო  
ორკესტრის“ შესაქმნელად, ყოველი,

თითქმის უმნიშვნელო ბგერა სამყაროს დიდი, მთლიანი მუსიკისა და პარმონიის ნაწილია. კოსმიური ორკესტრის შექმნაში მინიერი ხმებიც ბობოქრობენ. ეს კარგად ესმის გალაკტიონს და ყოველთვის დიდი გულისხმიერებით აყურადებს, რათა არაფერი გამორჩეს, ერთი ჩქამიც არ გამოეპაროს, ყალბი ნოტები არ გაერიოს, თორემ ორკესტრი ერთობლივად ვერ აგუგუნდება. სწორედ ამიტომაცაა საყურადღებო პოეტის ხელნაწერები, რომლებიც გვაცნობენ პოეტის მარად მადიებელ სულს. ლექსს „მნიფობელას“ წინ უძღვის ჩანაწერი, რომელიც გვაცნობს პოეტის ყოველქამს მოყურადესმენას, მის დიდ ინტერესს განსხვავებული ხმებისადმი. ჩანაწერის ეს ვარიანტი დასათარებულია ლექსის სათაურით, რასაც იქვე მოჰყვება განმარტება – უცხო ფრინველი – და ამ უცხო ფრინველით როგორ და რატომ დაინტერესდა პოეტი, იქვეა განმარტებული: „მისი ხმა საოცრად გაირჩევა სხვა ფრინველების ფივილ-ხივილში, როგორც მოულოდნელი ბგერა, სასიამოვნო მოულოდნელობა. ის იძახის გუგუს, მაგრამ სად მისი ხმა, ტემბრი და სად გუგულის, მნიფობელას ხმა გულიდან მოდის, მდიდრული ტემბრი აქვს, ხავერდოვანი ტემბრი, სასიამოვნო ტემბრი, გულში ჩამწვდომი ტემბრი. როცა გავიგონებ მის ხმას, არ შეიძლება არ იკითხო, – ნეტავი რა ფრინველია?

– მნიფობელა!

– რატომ ჰქვია მნიფობელა?

– იგი მღერის მაშინ, როცა მნიფდება პურის თავთავი, ვაზის მტევანი... გაზაფხულზედაც და შემოდგომაზეც!

– ბედნიერების ფრინველია ყოფილა!

გიგლიძე

– მოსავლის, უხვი მოსავლისა,

– მეტად სასიამოვნოდ კი იძახის და

– სასიამოვნოდ... მაგრამ იშვია-

თად. მე აგერ სამი წელიწადია მისი ხმა არ გამიგონია. ბელურა და ქივჭავი ყოველ ნაბიჯზე ქყვიის.

ეპ, ყოველივე კარგი იშვიათია ქვეყანაზე.”

1847 წ. 1 მაისი

როგორც მშვენიერ მოზაიკურ ქმნილებას აღიქვამს თვალი დაუნაწევრებლად და ხელოვნებით ტუბება, ასევეა ლექსიც – მისი მთლიანი სხეული, მისი მთლიანი აზრი ქმნის მკითხველის განწყობას და როგორც უკვე მიუთითეთ, გალაკტიონი სწორედ ამ მთლიანობისაკენ ისწრაფვის. მისი ლექსთა ინტეგრალები სწორედ ეს მთლიანობაა, მაგრამ სწორედ ამ პარმონიამდე მიღწევაა გოლგოთის გზა. რამდენი ტანჯვა-წამება უნდა გადაეტანა ავტორს, რომ ეს სტრიქონები ამოეთქვა:

„და მაშინ ვიტყვი, აჰა, მოვედი, გედი, დაჭრილი ოცნების ბალით, შეხედე, დასტკბი ყმანვილურ ბედის დაღლილ ხელებით, წამებულ სახით...”

... დასტკბი, ასეა ყველა მგოსნები, შენს მოლოდინში ასეა ყველა, გული ოცნებით განაოცები შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც პეპელა.”

გოეთე „ფაუსტში“ ერთგან წერს „მაგრამ ვულთან გულს ვერ მიიზი-



დავთ, თუ შიგ არა დულს ცეცხლი ლეთიური“. თუ ლექსი ქვეშარიტი და ლეთიური ცეცხლით არ გაჯერდა, მკითხველის გულს ვერ დაიპყრობს.

მედროვეთა და კარის მელექსეთათვის მიუნდომელია ნამდვილ პოეზიასთან მიახლება, მათი გზა პარნასისაკენ არ მიემართება, ისინი ჩაძირულნი არიან „ამაოება ამოთას“ ცერემონიალში, მათი თვალსაწიერი ვინროა, მათი პორიზონტის ზაზი მოკლე და მარტივი... გონებრივ არასრულფასოვნებას მატერიალური ფასეულობებით ინაზღაურებენ. მთავარია, ფიზიკურად არ დაიმშენ, არ მოსწყურდეთ, არ შეცივდეთ! ერთი სიტყვით, ამქვეყნიური ყოველი შესარგი და გამოსაყენებელი უზვად მიითვალონ! ცვედანი თუ ბერნი გონებისანი, სხვათა ლეთიური აზროვნების მტრები არიან. რა გზებით გადაურჩა პოეტი მათ მსახერალ ხელს 1959 წლის მარტამდე, როგორ გაუძლეს ნერვებმა ესაა საკვირველი. „მე მიღალატეს ძველმა რითიმებმა ძველ მეგობრებსაც მე გამჩნევ ღალატს“-ო, რომ ბრძანებდა პოეტი, ეს მხოლოდ მხატვრული და არტისტული პოზა რომ არ იყო, უთუოდ ვგრძნობთ, მაგრამ სულიერად შეძრწუნებულსა და შერისხულსაც იმედი ბოლომდე არ გადაუნურავს, იმედის ძაფი ბოლომდე არ ჩაუნწყვეტია:

**„საქართველოში შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები, შეგებრალება თვითონ კაენიც – თუ კი პოეტის ჰქვია სახელი.“**

(„შენ ერთი მაინც“)

ვილაც პყავდა სულის მეოხად და მესალბუნედ. სწორედ ამ რწმენის გამო იყო, რომ ყოველ თავდასხმასა და ტკივილს უძლებდა.

იცოდა თავისი სიტყვიანობის გრძნობდა მწვერვალუბთან მიხილუბას, რადგანაც ნაბიჯ-ნაბიჯ, შრომითა და რუდუნებით მიინევდა იქითკენ, ცდომილი კი არ – უნებლიედ მოძრავი და აფრენილი – ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით ზეატყორცნილი გენიოსია იყო უკვე. აღვნიშნეთ, რომ მისი უბის ნიგნაკები და რვეულეები არნახულ ძალისხმევასა და სიღრმეს იტყვენ, მის უდიდეს ნიჭიერებას, ძიების სურვილს და შრომისმოყვარეობას გვიმხევენ.

პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორია ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდ მოთხოვნილებას უყენებდა პოეტი თავს, რაოდენ ბევრს მოითხოვდა თავისგან, რაოდენ დიდი მაძიებელი იყო მშვენიერებისა და სრულყოფილებისა, როგორ ებრძოდა „კოჭლ სტრიქონებს“ და ბოლოსდაბოლოს გამარჯვებულიც გამოდიოდა. სიტყვასთან „მორკინალი“ პოეტი დაულაღვი და უკომპრომისო იყო. იგი ისეთი ძალით შეერკინა ქართულ სიტყვას, გამარჯვებულის გვირგვინით რომ შემოსავენენ, თავადაც სწამდა. „უპირველესი მომანიჭეს დაფნა შეფეთა“ – აღფრთოვანებული იწყებდა ლექსს პოეტი, მაგრამ ისიც იცოდა, რომ სიტყვასთან მორკინალს მარტობას მიუსჯიდა არსთგამრიგე და ამ აღფრთოვანებას მარტოსულობის სევადა-ნაღველიც ერეოდა. „იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა, გავალე კარი, თეთრი თოვლი შემომეფეთა, მივხურე კარი, მარტოობამ დაინადგურა“, მაგრამ იმასაც ძალიან კარგად გრძნობდა, რომ პარნასის აღმართი სწორედ მარტოს უნდა აეელო, რომ ეს მარტოობა აზიარებდა ლექსის ლეთიურ საკურთხეველს. ზოგჯერ ისე ახლობელი, ისე გასაგები ხდება პოეტის ტკივილი და მწუხარება, შეგაგრ-



ძნობინებს – მათ გარეშე შეუძლებელია გენიალობის კარიბჭესთან მიახლებაც კი... ბევრი რომ არ ვთქვათ, როგორი იყო პოეტის საყოფაცხოვრებო პირობები, მისივე წერილებიდანაც ჩანს, თანაც როგორ მტკივნეულად განიცდიდა ყოველივე ამას მგრძნობიარე სული, ესეც ნათელია და სხვაგვარადაც წარმოუდგენელია, ხომ თავადაც აღიარებდა „მაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“ -ო და რადგანაც მისი სხეულის ყველა ნერვი, მისი სისხლის ყოველი წვეთი პოეტური და ქართული იყო, ამიტომაც ხედავდა „სიზმრებს არაჩვენებურს“, ამიტომაც ამბობდა მთელი ერის სათქმელს ასე იდუმალ, ასე მხატვრულ და აფორისტულ ფერებში, თანაც ისე სრულყოფილად, როცა მძაფრი, თუნდაც ამაღლებული, თუნდაც უარყოფითი განცდებით და მოვლენებით ვიცხებით, უმალ მისი ლექსის სტრიქონი მოვარდება სულში. განა სხვებს არ უთქვამთ იმავე მოვლენაზე, იმავე განცდაზე? – უთქვამთ, მაგრამ ყველაზე ნამდვილი და ძლიერი ხმა რჩება ადამიანის მეხსიერებას და უპირველესად ის ხმა ამოიფრქვევა სულიდან.

**„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,  
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა.“**

ამ ლექსებად ამოხეთქილი ტკივილი და განცდა აგუბებდა მკითხველს გაუსაძლისს. „თოვლზე“ ამაღლებული მრავლისმთქმელი და მრავლისდამტყვი ლექსი ძნელად თუ მოიძებნება ქართულ პოეზიაში, მაგრამ პოეტის ყველა ის ტკივილი, რომელიც დაიტყის ამ საოცარი გრძნობებით გაჯერებულმა სტრიქონებმა, უდიდეს სინანულსაც აღვიძრავს. რამდენ ყოფითს და სხვათათვის ერთობ უმნიშვნელოს უნდა შელენოდა პოეტის სული და სხეული, რამდენი უნდა ეტანჯა, რამდენი უნ-

და ეტირა, რომ სულს „დასუსტდნენ“ წარმოდენილიყო. მისი თანამედროვეთა „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ ეს „შეაძლებინეს“. ტანჯვა, ტკივილი და ცრემლი დაბადებიდან არ მოაკლო არსთგამრიგემ, დედის მუცლიდანვე აედევნა მკაცრი ბედისწერა. პოეტის ბავშვობის დროინდელ განცდათა გასაცნობიერებლად თუნდაც ეს ტკივილით გაჯერებული ჩანანერი კმარა:

„ბუნებამ ის არ დააჯილდოვა მჭერმეტყველური ნიჭით: ბავშვობიდანვე მას საამისო სარბიელიც არ გააჩნდა. ნადი და იმჭერმეტყველე უფანჯრო სახლში, კერიის პირას მარტო, მოღუშული დედის ამარა, კვამლით გაბურულ ოთხკედელშია, შუა კერაზე დაშვებულ ქვარტილიან ნაჭასთან, გარედ როს წვიმაა და სახურავიდან, რომლის ყავარი აგერ – აჰა, ოცი წელია არ შეცვლილა, ღვარად ჩამოდის გულის გამგმირავი წვიმა, რომელსაც ვერ იჭერს ვერავითარი მიშველება ძველი ტაშტების, ქვაბებისა და გობების სახით. აქ გულში უნდა ჩაიკლა მოზღვაეებული მწუხარება გამოუსვლელობისა და რომ ილაპარაკო, იყვირო, მაინც არა გამოვა რა! არ მიემატება, ან არ გამოიჭრება ახალთახალი ფანჯარა რაიმე სინათლისა, არ გამზიარულდება კერიის პირად მოღუშულად მჯდარი მოზუცი დედა, არ გაიბუკება ბოლი თითქმის უსინათლო სახლიდან, არ შესწყდება გულის მომკვლელი წვიმის ხმაური გარეთა და შიგნით. აქ გულხელდაკრეფილი, მოკუმული ბავით, ჩუმად დგახარ, ან ზიხარ, აქ ვერავითარი მჭერმეტყველება ვერ გიშველის, არც ცდილობ ამაოდ ამოიღო ხმა, უნდა სიტყვაუთქმელ დამორჩილდე ბედს. სიმუნჯე და არა მჭერმეტყველება“. ამ დღიურის გაცნობა ალბათ ყოველ სულიერს შეძრავს. აქ პოეტის მთელი ფსიქოლოგი-



ური პორტრეტი იკითხება. კარგად გრძნობ, რომ როგორაც არ უნდა დაუფასო გენია, როგორი დიდების კვარცხლბეკზე უნდა აიყვანო, მის ტკივილებს ვერაფრით უშველი, მის ბედისწერით ხვედრს ვერ შეამსუბუქებ. მისი ბავშვობისდროინდელი ურთულესი განცდები მუდამ შებოჭავენ პარნასზე ზეატყორცნილსაც. აკი ბრაზობს კიდევ საკუთარ თავზე, რომ ღვთიური სტრიქონების ავტორმა, გენიალური აზროვნების პოეტმა, ხალხთან სალაპარაკო ენა სრულებით არ იცის, და თავისთავად გასაგებია, რომ ღვთიური აზროვნება მაღალი და დიდი, მაგრამ ცხოვრებაში გამოუსაადეგარი. თუმცა ერთიც უნდა ვთქვათ, ვინმე მაინც უნდა გამოჩნდეს ამ ღვთიურ მოაზროვნესა და საზოგადოებას შორის „გზად და ხიდად“ რომ ზეციურ ღრუბლებში მოლივლივე პოეტს მინაზე სიარული გაუადვილოს... გალაკტიონისათვის ასეთი არვინ შეიქნა... ამიტომაც უჭირდა ასე... ამიტომაც ინთქმებოდა ტკივილებში მისი სული და სხეული... და საოცარია ის არის, რომ პოეტური აღმასვლის ყინი და გატაცება მაინც არ იფერფლებოდა, ლექსზე მუშაობის სურვილი არ ნელდებოდა. ნერილის დასაწყისშიც მივუთითეთ, როცა გალაკტიონის ხელნაწერებს ეცნობი, მისი პოეტური და პიროვნული ღირსება მეტად იზრდება იმის გამო, რომ გრძნობ ძალა და ენერჯია არ დაუშურებია ხელოვანს უმაღლესი ხელოვანების დასაუფლებლად. ყოველივე ნამდვილსა და სრულყოფილს – შენში არსებული მთელი ენერჯიის კონცენტრაციისა და ამოფრქვევისას მიიღებ – კ.გამსახურდიას თქმით, არა მარტო ხელოვნება – ყოველი დიდი საქმე „გულის სისხლს მოითხოვს საფასად“. სწორედ ამ გულის სისხლშია განათლული გალაკტიონის ყველა

ლექსის სტრიქონი და სტრიქონებს სისხლხორცეულად შრავს ისინი მკითხველს და მაინც გაოცებული რჩები ამ ბუმბერაზი სულისა და ბუმბერაზი სხეულის ადამიანის, მართლაც, გოლიათური შრომისმოყვარეობით. ასე მაგალითად, ლექსი „მარიამ ანტუანეტა“ ხელნაწერებში 5 ვარიანტს მოიცავს, თანაც მათზე დაკვირვება გვაგრძობინებს, როგორც მოქანდაკის საჭრეთელი ნახელოვნებს სრულყოფასა და გამომსახველობას ძალას მატებს, ისე გალაკტიონის კალამს სიტყვები და სტრიქონები მაგიურ ჰარმონიულობამდე მიჰყავს.

ხუთივე ვარიანტის ურთიერთშეპირისპირება კიდევ უფრო ცხადყოფს ამ პროცესს, მაგრამ ეს, ალბათ, უფრო კარგად ტექსტოლოგებმა შეიძლება ნარმოკვიდგინონ, ჩვენ კი მინიმუმბული პრობლემის გასაშუქებლად დაგვეხმარება მოტანილი მაგალითი.

პოეტს ძალუძს ნებისმიერად აამეტყველოს თავისი შედეგები. უმეტესად კი პირველი ვარიანტის სტრიქონებში ვერდატეული სათქმელი იზრდება, იხვენება, სრულყოფილდება... გალაკტიონის ლექსებზე დაკვირვებისას მხოლოდ ერთი ხაზის გამოკვეთა შეუძლებელია, ყოველ სტრიქონში, ყოველ სტროფში, ყოველ ლექსში სიახლე და ნოვატორობაა, აკი თავადაც აცხადებდა „მოგვეცით ახალი“. და ამ სიახლის გრძნობითა და შემართებით იქმნებოდა მთელი მისი პოეზია... არასოდეს ღალატობდა თავისი ცხოვრების დევიზს „პოეზია – უპირველეს ყოვლისა“.

როგორც ერთგული დედა ფიქრითა და ოცნებით მარად თავს დასტრიალებს შვილებს, პოეტიც ასეთივე გრძნობითა და რუდუნებით ეპყრობოდა ლექსებს. ლექსი იყო მისი სუნთქ-

## ეროვნული

ვა, სიცოცხლე, სიყვარული, შეილიცა და მომავალიც... ლექსი გახდა მისი მარადიული სულიერი სიცოცხლის საყრდენი და საფუძველი. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ არცერთ დედას იმდენი არ უთენ-ულამებია შეილების აკვანთან, რამდენიც გალაკტიონს თავის ლექსებთან თავის სულიერ მემკვიდრეებთან... ძაფი ნერვისა არ შერჩენია ჯანმრთელი და დაუნყვეტი პოეზიის საკურთხეველზე შენირულს. ლექსადქცეული კაცი არავისგან არაფერს ითხოვდა, მხოლოდ ეცნოთ და ენამებიინათ, შეესისხლხორცებიინათ, შეერგათ და შეეტკბოთ მისი უმშვენიერესი ოცნება-სახეები, ფიქრები, არაჩვეულებრივი სიზმრები, ლექსად ქმნილ-

ნი და შთენილნი, ჭეფღეფნი და ჭანცოცხლებულნი. სხვა ყველაფერი, მისი აზრით, „ქარია და ჩვენება“, მხოლოდ ლექსი და პოეზიაა მისი ცხოვრების ანი და პაე, მისი მომავლის უძვირფასესი გვირგვინი. თუმცა როგორც უკვე მრავალგზის აღვნიშნეთ, პოეტს ძალა და ენერჯია არ დაუზოგავს, სათავისოდ არაფერი გადაუნახავს, თავისი შესაძლებლობის ყველა ხაზი პოეზიას დაუკავშირა, ლექსით იცხოვრა და ლექსადაც იქცა, „ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან“ – გესმით გალაკტიონის ხმა, ცნობთ მის სულს, გნამთ სულის უკვდავება? და გნამთ, რომ პოეტს „არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინია“.

## ნიწო თარიშვილის პასენაპა

ქართული პოეზიის ბევრი მოყვა-  
რულისთვის ახლობელი და ძვირფასია  
ნიწო თარიშვილის სახელი – გასული  
საუკუნის ოციანი წლების სიმბოლის-  
ტი პოეტი ქალის, ქართველი პოეტე-  
ბის მუზისა და მეგობრის.

ნიწო თარიშვილმა სიცოცხლის  
ხანგრძლივი გზა განვლო, მღელვარე-  
ბით, ფიქრებით, შრომითა და სევდით  
სავსე გზა, გზა ქრემარიტი პატრიოტი,  
კეთილშობილი ადამიანისა.

მეგობრობის ის ორმოცზე მეტი წე-  
ლი, რომელიც ქალბატონ ნიწოსთან  
მაკავშირებს, დაუვიწყარია ჩემთვის  
და ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ასე-  
თი ახლო ურთიერთობა მქონდა მას-  
თან, ვუსმენდი მის მშვენიერ ლექსებ-  
სა და ნაღვლიან მოგონებებს, ტრა-  
გიზმით აღსავსე ცხოვრების ფრაგ-  
მენტებსა და თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში მოღვაწეობის სასიამო-  
ვნო დღეების გახსენებას. ჩვენი  
ქვეყნის ტლანქ ცხოვრებას არ დაუმა-  
ხინჯებია ამ სათნო ქალის სული და სი-  
ცოცხლის ბოლომდე დარჩა მშვიდი,  
კეთილი, შრომისმოყვარე, დარბაისე-  
ლი მოსაუბრე. ღრმა მოხუცებულო-  
ბამდე ახალგაზრდული ენერგიით ჩაბ-  
მული იყო თავისი საყვარელი უნივერ-  
სიტეტის პედაგოგიურ და სამეცნიერ-  
ო საქმიანობაში, მაგრამ ზოგჯერ  
ნაღვლიანად იცოდა თქმა: „მე მალე

წავალ ამ ქვეყნიდან და მხოლოდ სა-  
ქართველოს დარდი მიმყვება თან“.

ნიწო თარიშვილის ცხოვრების აი-  
სი დაემთხვა ქართული პოეზიის უაღ-  
რესად საინტერესო პერიოდს, როდე-  
საც საქართველოში „ციცფერყანწელ-  
თა“ ბრწყინვალე პოეზია გრგვინაე-  
და...

საოცარია გასული საუკუნის 20-  
იანი წლების საქართველო, თბილისი...  
უკვე დაკარგულია ქვეყნის დამოუკი-  
დებლობა, თავისუფლება, დაღვრი-  
ლია წმინდა სისხლი, მაგრამ ქართუ-  
ლი რაინდული სული შენარჩუნებუ-  
ლია. როგორც უთვალავჯერ თავის  
არსებობის მანძილზე, ქვეყანა ისევ  
შეუპოვრად შეუდგა ძალების მოკრე-  
ბას და სიცოცხლე ისევ გრძელდება.  
ფილოსოფოს ნიკო ქაჭავაძის გად-  
მოცემით, მონიწავე, პრაგმატულად  
მოაზროვნე ქართველებმა წამოაყენეს  
დევიზი „გაუმარჯოს საქმიან საქართ-  
ველოს!“ და დაიწყეს დაუცხრომელი  
შრომა ქართული სულიერების გადა-  
სარჩენად.

... დედაქალაქში, რუსთაველის  
პროსპექტს დინჯად მიუყვებიან  
ახალგაზრდა ქართველი პოეტები და  
მწერლები ტიციან ტაბიძე, ვალერიან  
გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გი-  
ორგი ლეონიძე, ალექსანდრე აბაშე-  
ლი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტი-

ნე გამსახურდია, თავს იყრიან მაჩაბლის ქუჩაზე დავით სარაჯიშვილის მიერ ნაანდერძე მწერალთა სასახლეში და გვიან ლამემდე ბაასობენ, იღვრება ლექსთა ნაკადულები, იფრქვევა ძველი თუ ახალი სიბრძნე, აფორიზმები, ექსპრომტები, მოსწრებული თქმები, კალამბურები. ოპერის თეატრში იდგმება პირველი ქართული ოპერები. საქართველოს ბუღბუღი ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი ხელში აყვანილი გამოჰყავთ მოჯადოებულ მსმენელებს... რუსთაველის თეატრში ელვარებენ კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ბრწყინვალე დადგმები...

თერამეტი წლის ნინო თარიშვილი მთელი არსებითაა ჩაფლული შემოქმედებით ცხოვრებაში. უფროს მეგობარ მარგარიტა ბარნაველთან (ვასილ ბარნოვის ქალიშვილი) ერთად, რომელიც თავად არის პატარა მოთხრობების ავტორი, ენაფება ხელოვნების უმრეტ ბადაგს და მისი „ლექსების ჯაგნებით“ მოხიბლული პაოლო იაშვილი ქართველ ანა ახმატოვას უწოდებს მას.

1922 წელი. ლიტერატურულ საღამოზე მონაწილეობის მისაღებად მისინრაფის პოეტთა საკრებულო. მზადაა თეთრცხენებშებმული ეტილი... ლეგენდასავით დარჩა ის ამბავი, თუ როგორ მოუბმო ტიციან ტაბიძემ თავშეყრილებს – ეტილის კოფოზე ნინო დაესვათ, როგორც წმინდანი, როგორც ჩვენი გზის მანათობელი – და ქართული პარნასი ნინო თარიშვილის სიღამაზითა და კდემამოსილებით გასხივოსნებული თავად ებმება ეტილში, ნელა მიემართება რუსთაველის პროსპექტზე. შემდგომ კი იქმნება ნინოს ლექსი „პორტრეტები“: გრიგოლ რობაქიძე – „სიჩუმის თეთრი კავალერი, სახეწმინდანი“...

ტიციან ტაბიძე – „მოდის დალოლი ქალდეადან წველილი ცინფერი... დამთვრალ შუადღის სომნამბული და ნესიერი“...

გიორგი ლეონიძე – „მოდის ყამირის ჯანსალობა ჯერ არ ნახული და ანტონივით ძველი გვარის სიფარბისლით“...

პაოლო იაშვილი – „ამაყი შუბლით გამოჩნდება პოეტი ცხელი... და ჩამოანგრევს უნაზესი სიტყვების არმაზს“...

ამავე წლებში ნინო თარიშვილი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების სტუდენტია, ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, კორნელი კეკელიძის ბრწყინვალე ლექციების მსმენელი და შემდგომ უკვე მათი კოლეგა, როგორც ფრანგული ლიტერატურის სპეციალისტი, თითქმის 50 წლის მანძილზე უნივერსიტეტის ლეანლმოსილი პედაგოგი სამეცნიერო შრომების დიდი მემკვიდრეობით და ფრანგი პოეტების ვერლენის, რასინის, ელუარის ლექსების მისეული თარგმანებით.

სამშობლოს ბედუკულმართობით გულდამძიმებულ პოეტ ქალს დააქვს „დარდები მთების ოდენა“, მისი ლექსი ველარ იდგამს „ფიქრთა უნაგირს“, იგი ეთხოვება „პოეზიის განიერ თვალბს“ და „ფიქრს ფეხმოკეცილს დარჩა ლექსის ნავენახარი“...

... 1949 წელი, ზაფხული, მე, სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიკოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი მღელვარებით ვეშაადები პირველ სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად ხევსურეთში. ექსპედიციის ხელმძღვანელი დოცენტი მელეტი სანებლიძე და ბოტანიკოსი დედიკა ოჩიაური (ცნობილი მხატვრების ირაკლი და გოგი ოჩიაურების უფროსი და) მეუბნებიან,



რომ ჩვენთან ერთად მოემგზავრება პოეტი ქალი ნინო თარიშვილი. ჩემთვის დიდად სასიამოვნოა ეს ცნობა, რადგან დედისგან, რომელიც სწორედ 20-იანი წლების სტუდენტი იყო, არაერთხელ მომისმენია მისი პოეზიის ქება-დიდება. ჩემი თავი წარუდგინეს ქალბატონ ნინოს, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მისი მშვენიერი გარეგნობა, დიდი მოელვარე თვალები, რომელთა განსაკუთრებული სხივი სიცოცხლის ბოლომდე არ ჩამქრალა, დახვეწილი მეტყველება და გამორჩეული აზრები. მისი ლექსები, „როგორც კახური“, თავბრუს მახვევს და მათებს. ეს გაცემა ქალბატონ ნინოს წინაშე მისი სიცოცხლის ბოლომდე შემრჩა, როდესაც უკანასკნელ წინობაზე 1990 წლის 27 იანვარს ვენციე და როდესაც მისუსტებული ხმით იგონებდა სიმბოლისტ შალვა კარმელის სტრიქონებს – „გადმოკიდულა ციდან სემირამიდას ბალი. გულია ერთი ციდა და მთის ოდენა დალი“, და იმეორებდა და იმეორებდა – „გულია ერთი ციდა და მთის ოდენა დალი“. ო, რამდენი რამის თქმა უნდოდა ამ ერთი სტროფით მრავალის მომსწრე და მრავალჭირნახულ, ღრმა მოხუცებულ მარტოდმარტო დარჩენილ ქალს...

... ისევ ხევსურეთია ჩემს თვალწინ. ალპური მდელოებით შემოსილი მაღალი მთები, ცივი, ანკარა წყაროები, ციცაბო ბილიკები, ალაგ-ალაგ შეყუჟული პატარა სოფლები, სამლოცველოები და ეულად მდგარი ულამაზესი ხევსურული კოშკები.

ქალბატონი ნინო ხმადაბლა კითხულობს თავის მშვენიერ ლექსებს და უბის ნიგნაკში გამალებული ვინერ გზადაგზა –

**ცა შემოირტყამს ძველ ქამარ-  
ხანჯალს,**

**მთვარეს გაიბნევს ვერცხლის  
საყურეთ...**

**დარდით იშლება კაბის ნაოჭი.  
შეიკრა სივრცე ირმის ნახტომით  
და მოგონება ყელ-გამოჭრილი  
ამოდულდება, როგორც ახტალა.**

ზაფხულის ცხელი მზე ზენიტშია და მესმის:

**შუადღის ფიქრი უმისამართო  
მზეს გადავკიდე როგორც ხურჯინი.**

ისევ და ისევ ციცაბო ბილიკები, მთების მწვანე კალთებზე შეფენილი ნახირი, სოფელი მზისპირი, მართლაც რომ მზის პირი და მოულოდნელი შეხვედრა ხევსურ პოეტთან გაბრიელ ჯაბუშანურთან. სალამოს, ცეცხლის პირას ჩვენი მცირერიცხოვანი ექსპედიცია სულგანაბული უსმენს ორი პოეტის ლექსთა ჯირითს.

დინჯად ბუბუნებს ჯაბუშანური –

**... ეს საცოდავი ადამის ძე, ყოველ  
ნაბიჯზე, –  
მარადისობას ცდილობს მარად და  
მარად სცდება;  
აკლდამის ბანი გახლეჩილა სიპით  
ნაბეჭდი  
და ცვარდაკრულ ძვლებს  
დანაცრება აღარ ასცდება...**

და იმ სალამოს პირველად ვისმენ ნინო თარიშვილის ლექსს-შედეგს „ჩემს ტოლებს“:

**ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ  
ვეფხისტყაოსანს,  
არც ნასაღებად დაპკეცავენ  
ქირმანის შალებს...**

**... და მე ვიქნები სიკვდილივით  
გაუხარელი,  
რადგან მზითვეში არ მომცემენ  
ვეფხისტყაოსანს.**

შემდგომ არაერთგზის ვტკბებოდი

ამ ლექსის ფაქიზი სტრიქონებით ავტორის კითხვით იმ დაუფინყარ ნინოობებზე, როდესაც 27 იანვარს ვენეცოდი ხოლმე ქალბატონ ნინოს მთანმინდის უბანში.

... პატარა ბინა არსენას ქუჩაზე, დამშვენებული უმცროსი დის მხატვარ მარინე თარიშვილის ფერწერული ტილოებით, ძველებური ავეჯით, ხალიჩაგადაფარებული ტახტით, კედელზე ჩიხტაკოპში გამონწყობილი ტრაგიკულად დაღუპული დედის გადიდებული ფოტოსურათით. სტუმრები – უახლოესი ნათესაეები და მეგობრები. ქართულ სუფრას თამადაობს მასპინძელთა დეიდაშვილი, დარბაისელი ვაჟკაცი ვანო ჯორჯაძე. მოგვიანებით, როდესაც ვანოს სული ნინაპართა მრავალტანჯულ სულებს შეუერთდა, მისი უმცროსი და ბაბუღია ჯორჯაძე საიდუმლოდ გამანდობს ჯორჯაძეების ოჯახის ტრაგიკულ ბედს.

1906 წელი, თელავი, კახეთის გული, დიდი თავადის ვანო ჯორჯაძის ოჯახი ზეიმობს პირველი შვილიშვილის – ლადოსა და ნინოს პირშობს – ალექსანდრეს დაბადებას, იმ ალექსანდრეს, რომელიც 18 წლის შემდეგ ბოლშევიკებმა...

1908 წელს მეორე შვილი თამარი შეეძინათ, შემდეგ კი პაპის სახელის მატარებელი ვანო და ნაბოლარა ბარბარე. ოჯახი სავსეა ბავშვებით, სიხარულითა და დიდი იმედით, როცა 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მაგრამ დადგა 1921 წელი უბედურების მომტანი, სისხლიანი, საბედისწერო. დაიკარგა თავისუფლება, დამოუკიდებლობა. ქვეყანა გაირინდა და მალულად შეუდგა თავისუფლების დაბრუნებისთვის მზადებას. 1924 წლის ბედუკულმართი გაბრძოლება, მარცხი და ისევ დაინ-

ყო ხალხის უღელტა, სისხლიანი მდინარეების დენა. ექვმიტანილი ოჯახის გადასარჩენად უფროსი ვაჟი ალექსანდრე ჯორჯაძე ბოლშევიკების რაზმეულში შედის. სწორედ ამ რაზმმა უნდა გაანადგუროს ალექსანდრეს დაპატიმრებული მამა-ბიძები. რაზმის უფროსს, ვინმე ჯაფარიძეს ევედრება ბიჭი, რომ მათი თავი აპატიოს მას. ფანატისკოსი უფროსი ცინიკურად ბრძანებს, რომ ჯორჯაძემ საკუთარი ხელით უნდა დახვრიტოს „მოლალატი“ მამა-ბიძები. გამშაგებული ბიჭი ტყვიას ტყვიაზე ახლის უფროსს. მძიმედ დაჭრილი ჯაფარიძის სულში იფეთქა ნინაპრების კეთილშობილურმა ადათ-ნესმა და სიკვდილის წინ ლულულელებს: „ბიჭს ხელი არ ახლოთ, ჯორჯაძე მართალია“, მაგრამ ბიჭი უკვე აკუნულია ხმლებით და იმავე ღამეს ხვრეტენ ყველა დაპატიმრებულსაც...

თელავში აღარ ედგომება ჯორჯაძეების ოჯახს და დედა სამი შვილით თბილისს ეხიზნება. იწყება მძიმე, შიშით სავსე ცხოვრება, ისეთი, როგორიც ჩვენი ქვეყნის ათიათასობით ოჯახმა გადაიტანა იმ შავბუდით ეპოს.

როგორც ბევრი იმ დროის სტუდენტი, ნინო თარიშვილიც ვერ გადაურჩა უნივერსიტეტიდან გარიცხვას პოლიტიკური საბაბით და მხოლოდ პაოლო იაშვილის ჩარევის შედეგად, მოგვიანებით, ისევ დაუბრუნდა უნივერსიტეტს.

1926 წელს გამოიცა ნინო თარიშვილის ლექსების პირველი კრებული სახელწოდებით „მზუში“, მანამდე კი ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მისი ელვარე ლექსები.

გადის დრო და ქალბატონი ნინო კარგავს ერთადერთ დას მარინეს, თანდათან ეცლებიან ნათესაეები და ტოლ-სწორები. მაგრამ უმცროსი თაობა ისევ ერთგულად ახვევია გარს და

ისიც უშურველად უზიარებს მათ თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

სალამოები, რომელსაც ქალბატონ ნინოსთან ვატარებ, სავსეა მოგონებებით.

– ოთხი წლისამ პირველად დავწერე ლექსი „ჩემი თანგირა ქვაბი“, ნეტავი რამ დამანერინა ქვაბზე ლექსი? – ლიმილით ამბობს პოეტი.

– ქალბატონო ნინო, ხომ ძალიან ლამაზია სპილენძის თანგირა ქვაბი და სილამაზისადმი ტრფიალი ალბათ ბავშვობიდან დაგყვით – ვუბნები მე.

– კო, მართლაც ლამაზია თანგირა ქვაბები, თაროებზე ჩამწკრივებული, მოლაპლაპე.

ისევე ფიქრებში ეხვევა და როდესაც ვაწვდი ახალგაზრდას (1980 წელი) მის ლექსთა კრებულს „გვირილას“, შუბლი ეჭმუხნება, არ მოსწონს სახელწოდება, რომელიც მასთან შეუთანხმებლად დაარქვეს ნიგნს, ჩემს ეგზემპლარში ასწორებს გაპარულ შეცდომებს, ფორზაცზე კი თავისი ლამაზი, მკაფიო ხელით თბილზე თბილ, ჩემთვის დიდად საამაყო მიძღვნას მიწერს.

ლექსთა კრებულში, რომელსაც „სიყვარულის ნიგნი“ (1981 წელი) ეწოდება, ქალბატონი ნინოს ლექსებიცაა შეტანილი. პოეტი არ ეთანხმება სათაურს – რა არის „სიყვარულის ნიგნი“, რა, „სამზარეულოს ნიგნია?“

მართლაც, შემდგომ გამოცემაში ამ ნიგნს „სიყვარულო, ძალსა შენსა“ ეწოდა. როდესაც ვუბნები, რომ ქართული პოეზიის მრავალტომეულის მე-15 ტომს მისი ლექსებიც ამშვენებს, დაფიქრებული იგონებს:

**შენი წამწამები კიდევ მაკოცებენ,  
დარდებს გააცილებს ვნების  
ქარავანი,  
დამფრთხალ სონეტებით ფარდა**

**და ხარ პოეტებში ლექსის  
ფალავანი.**

– დაუეინყარ პაოლოს ვუძღვენი ეს ლექსი – მეუბნება, შემდეგ ძველი კარადიდან გამოღებულ ძველ რვეულს ფურცლავს და მიკითხავს 1921 წლის 4 აპრილს დაწერილ საკუთარ ლექსს –

**მე მეგონა წელს თბილისში აღარ  
გაშლის მზე თვის სხივებს  
და ყვაელთა სამოთხეში არც  
მერცხალი ილიეღივებს.**

**მე მეგონა, რომ სანამდის არ  
აღდგება ჩვენი ერი,  
არაუინაც არ იქნება კმაყოფილი,  
ბედნიერი.**

**მე მეგონა, მაგრამ ნახეთ! დღეს  
ზეიმობს გაზაფხული  
და იაც კი მზიარულობს თოვლის  
ფიფქით დამარბული,  
დღეს, როდესაც სასახლეზე აღარ  
არის ჩვენი დროშა,  
და ნითელმა ბოლშევიკმა ჩვენზე  
რალაც ნამორიშა.  
და დღეს, როცა სისხლში ცურავს  
საქართველოს მთა და ველი,  
როცა ტლანქად ტანს ეხვევა  
შხამიანი თეთრი გველი,  
ნუთუ ვინმეს შეუძლია შეპკრას  
ყვაკილთ თაიგული  
და სამშობლო დაივიწყოს სისხლის  
ზღვაში ჩაკარგული.**

– ეს ლექსი არასოდეს არ გამოქვეყნებულა და არც ხმამაღლა თქმულა – ამბობს პოეტი – დაწერე იმ საბედისწერო 21 წლის გაზაფხულზე, როდესაც ჩემი სამშობლო გლოვას მოეცვა დაკარგული თავისუფლების გამო, როდესაც ათასობით ოჯახი ძაძებში იყო გახვეული და დასტიროდა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ შვილებს, როდესაც უცხო ძალა ხელა-



### თარგმანები

ხალი სისასტიკით შეუდგა ჩვენს დამონებას, გული მომიკლა გაზაფხულის დადგომამ, ბუნების გამშვენიერებამ. ჩემი ფიქრით, აღარავის და არაფერს არ უქონდა უფლება აყვავებისა, გაფურჩქნისა, სილამაზით ტკობისა...

ახლა ამ ლექსის დედანი, დანერვილი თითქმის ბავშვის მიერ დიდი ტკივილით, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში ინახება ისევე, როგორც ქალბატონ ნინოს მთელი არქივი.

შეამაყება, რომ მე მერგო ამ ლექსის გაცნობის პირველობა და ისიც ავტორის კითხვით. შემდეგ ქალბატონმა ნინომ თხოვნა შემისრულა, თავად მიკარნახა და ჩამანერინა ლექსის სრული ტექსტი.

ამ დღიდან პოეტს დიდხანს არ უცოცხლია. როცა ნინობაზე ვეწვიე, ფეხზე კი იყო, მაგრამ ძალზე ცუდად გრძნობდა თავს. ამჯერად ჩემი ნობათისთვის ყურადღება არც კი მიუქცე-

ვია, თუმცა ადრე რატორც შეუფერება დახვეწილ ინტელიგენტს, საჩუქარს დაათვალიერებდა და აუცილებლად შეაქებდა.

1990 წლის 17 თებერვალს 86 წლის ასაკში მიიცვალა ნინო თარიშვილი. მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა, კოლეგებმა და მონაფეებმა მივაბარეთ მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოს, უმცროსი დის მხატვარ მარინე თარიშვილის გვერდით.

ნინო თარიშვილის გარდაცვალებიდან სულ ერთ წელიწადში მისმა სამშობლომ დაიბრუნა დაკარგული დამოუკიდებლობა, მაგრამ ისევ ჩამეხმის მისი სევდიანი ხმა – „მე მივდივარ ამ ქვეყნიდან და მხოლოდ საქართველოს დარდი მიმყვება თან“.

სადარდებელი მართლაც რომ ბევრი გვაქვს და, სამწუხაროდ, არა მგონია ნინო თარიშვილის, უმნიკვლო სულმა სასუფეველში შაინც უპოვა სიმშვიდე.



ლევან ცაგარელი

## თომას მანის „მეცვლილი თავები“ – როგორს სიგოლურ-ალეგორიული და ფსიქოგრაფიული მოთხრობა

თ. მანის (1875-1955) მოთხრობა „მეცვლილი თავები“ დაიწერა 1940 წელს. ეს სწორედ ის ხანა გახლავთ, როდესაც მწერალს უკან აქვს მოტოვებული პირველი მსოფლიო ომის ქართველებით გამოწვეული ვენება-თაღელვა და როდესაც „ბუდენბროკების“ (1901 წ.), „სამეფო უდიდებულესობის“ (1909 წ.), „ჯადოსნური მთისა“ (1924 წ.) და „ლოტეს“ (1939 წ.) საქვეყნოდ აღიარებული ავტორი თავის საკმაოდ მსხვილტანიან რომანებში ცდილობს იპოვოს გამოსავალი ჯერ კიდევ ადრეულ შემოქმედებაში ასახული კონფლიქტიდან, ცხოვრებასა და ხელოვნებას, გრძნობასა და გონს შორის, რომელიც მის 90-იანი წლების ნოველებსა თუ მოთხრობებში, როგორც წესი, რომელიმე ერთ-ერთი საწყისის მატარებელი გმირის სრული ფიასკოთი გვირგვინდებოდა ხოლმე; ამის საწინააღმდეგოდ, თავის შედარებით გვიანდელ ნაწარმოებებში თ. მანი ცდილობს შინაგანად განონასწორებული, საკუთარ თავში დიონისური და აპოლონური საწყისების პარამონიულად გამაერთიანებელი მხატვრული სახეების შექმნით არსებული დაპირისპირების დაძლევის. სწორედ ამ პე-

რიოდში, შეიძლება ითქვას, „იოსებისა და ძმანი მისნის“ წერის პროცესში (1933-1943 წწ.) თ. მანი ქმნის შედარებით მცირე ზომის მოთხრობას „მეცვლილი თავები“.

მოთხრობის სიუჟეტი თ. მანმა აიღო ძველი ინდური ლეგენდიდან, რომელიც თავდაპირველად გვხვდება XI ს-ის სანსკრიტულ კრებულში „თუთიყუმის 70 ზღაპარი“ („შუქასაპატატი“). შუა საუკუნეებში ეს ლეგენდა ითარგმნა სპარსულად („თუთი ნამე“), მოგვიანებით – რამდენიმე ახალ-ინდურ ენაზეც („თოთა კონა“) და აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელდა სხვადასხვა გალექსილი თუ პროზაული ვარიანტის სახით. თ. მანისეული ვერსია ამ ლეგენდის უკანასკნელ სრულფასოვან რედაქციად მიიჩნევა.

ცხადია, თ. მანი არ მიმართავდა ამ ლეგენდას მისი მშრალი რეტროსპექტიზაციის მიზნით. შესაბამისად, „მეცვლილი თავები“ უნდა ვეძიოთ პრობლემატიკა, რომელიც რელევანტური აღმოჩნდებოდა მწერლისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მეცვლილი თავები“ თ. მანის ერთ-ერთ ყველაზე ალევგორიულ ნაწარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ. თავის მხრივ, ლეგენდა –

როგორც ჟანრი – გარკვეულწილად ალევგორიების, სიმბოლოების მეშვეობით გადმოგვცემს ხოლმე დაფარულ, გამოუცდელი მკითხველისთვის შეუცნობელ შინაარსს. გამოთქმული მოსაზრების დასამტკიცებლად მოვიყვანთ ციტატას თვითონ მოთხრობიდან: არსებობს კაცის გულის ჭერება, „რომელიც მოვლენათა ხელნაწერებში პირველად ფხიზელ აზრს კი არ კითხულობს მხოლოდ, არამედ მეორის, უფრო მაღლის ამოცნობას ცდილობს და იმ ხელნაწერს წმიდისა და სულიერის შესამეცნებლად იყენებს... კაცს აქვს უფლება, რომ სინამდვილე ჭეშმარიტების განსაჭერებლად გამოიყენოს და ამას პქეია პოეზია“.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, პოეზია, ანუ მწერლობა, ქმნის მხატვრულ სინამდვილეს, რომლის მიღმაც ჭეშმარიტება იმალება. შესაბამისად, მოთხრობაში აღწერილი მოვლენები უტყუარ სინამდვილედ კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ უნდა აღვიჭურვოთ „გულის ჭერებით“ და ვეცადოთ მათში გარკვეული ალევგორიებისა და სიმბოლოების განმარტების გზით დაფარული აზრის ამოცნობას.

ნაწარმოებში არსებულ სიმბოლოთა შორის ყველაზე მნიშვნელოვნად ქალღმერთ კალის მონუმენტური ხატება მივიჩნიეთ. ზემოხსენებული ღვთაება ამა თუ იმ სახელით, სხვადასხვა მეტაფორებისა თუ შედარებების მეშვეობით ფაქტობრივად მოთხრობის ყოველ თავში გვევლინება და დრამატული კვანძის შექვრაც მის მხატვრულ სახესთან არის დაკავშირებული. ამის გამო საჭიროდ ჩავთვალეთ განგვესაზღვრა ქალღმერთ კალის ადგილი ძველ ინდურ კოსმოლოგიურ კონცეფციაში, რათა ამგვარად გაგვერკვია ის, თუ რა სიმბოლოური

დატვირთვა მიანიჭებს მისი ნაწარმოებში თ. მანმა.

ინდურ კოსმოგონიაში სამყაროს პირველსაწყისი, არქეტიპი, ელინდება სამ პირველად იპოსტასში, რომელთაც პურუშა-აეატარები ეწოდებათ. თავად პირველსაწყისი ტრანსცენდენტურია მატერიალური სამყაროს მიმართ და ბინადრობს სულიერი სამყაროს უზენაეს პლანეტაზე მარადიული ღვთაებრივი ნათებით – ბრაჰმაჯიოტით გარემოცული. ამ არქეტიპის პურუშების სახით რეალიზება მიზნად ისახავს მატერიალური სამყაროს შექმნას, რომლის უმთავრესი და ერთადერთი მისიაც განპირობებული სულების (ნიტია-ბადჰი) სრულყოფა გახლავთ.

პირველი პურუშა, რომელიც მაჰავიშნუს სახელითაც მოიხსენება, განისვენებს ე. წ. მიზეზობრივ ოქეანეზე (კარანა-ჯალა), უმზერს თავის მატერიალურ ბუნებას – მაჰატ-ტატვას, რომელიც მატერიალური ენერჯის პირველად ერთგვაროვან ფორმას წარმოადგენს, და ამ გზით ქმნის უთვალავ მატერიალურ სამყაროს. თითოეული სამყაროს არსებობა ზუსტად იმდენ ხანს გრძელდება, რამდენსაც მაჰავიშნუს ერთი ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა (4 300 000 000 სინათლის წელიწადი). „პრიმად-ბჰაგავატამში“ ხაზგასმულია, რომ ღვთაებრივი ენერჯიით დატვირთული განაყოფიერებული მატერიალური ბუნება – პრაკრიტი, თვითონ ქმნის, ბადებს უამრავ სამყაროს. ამდენად, პურუშა შემოქმედი, ბუნება კი – მშობელი.<sup>3</sup>

თითოეულ სამყაროში პურუშა

გვევლინება გარბოდაქმაიი ვიშნუს სახით, რომელიც ამჯერად განისვენებს გველ შემაზე, იგივე ანანტაზე. ეს უკანასკნელი ღმერთის სულიერ ენერჯიას განასახიერებს, იმ ენერჯიას, რომელსაც ემყარება პლანეტების განლაგება და კოსმოური წესრიგი. ამ ვიშნუს ჭიპიდან აღმოცენდება ლოტოსის ყვავილი, რომელშიც იბადება ბრაჰმა – მოცემულ მატერიალურ სამყაროში ცოცხალ არსებათა მამა და ქვეყნიერების აღმამენებელი. ბრაჰმა, თავის მხრივ, ქმნის შივას, რომლის ღვთაებრივ მისიასაც წარმოადგენს ქვეყნიერების განადგურება ვიშნუს ციკლის ბოლოს.

უკანასკნელი პურუშა – ქშირო-დაქმაია ვიშნუ თითოეულ ცოცხალ არსებაში ბუდობს პარამატმას, ერთგვარი ღვთაებრივი ნაპერწკლის სახით, რომლის გამოღვიძებაც ადამიანის უმთავრეს სულიერ მისიას წარმოადგენს.

ქვეყნიერების შექმნა, განვითარება და განადგურება განპირობებულია სამი გუნის ურთიერთქმედებით. გუნა, ანუ მატერიალური ბუნების თვისება, გახლავთ ილუზორული ენერჯიის ცოცხალ არსებებზე გავლენის სახე. ყოველი ცოცხალი არსება, რომელიც ეხება მატერიალურ ბუნებას, ძალაუნებურად ხდება დამოკიდებული, დაქვემდებარებული რომელიმე გუნაზე. სწორედ გუნები განსაზღვრავენ განპირობებული სულების ცხოვრების წესსა და აზროვნებას. თითოეულ გუნას გარკვეული ღვთაება განაგებს, სამივე ერთად კი ქმნის ე. წ. ტრიმურტის – ინდუისტურ სამებას.

ღვთაება ბრაჰმა განაგებს ვნების გუნას (რაჯო გუნა), რომელთანაც დაკავშირებულია ნებისმიერი სურვილი თუ სწრაფვა მატერიალური კეთილდღეობისა და პატივისკენ. შივა განა-

გებს უმეცრების გუნას (ტამას გუნა), რომლის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები არაფრად აგდებენ ჭეშმარიტ ცოდნას და, თითქოს სძინავთ, მხოლოდ მატერიალური ღირებულებების მიღწევისთვის იღვნიან. ვიშნუ განაგებს სიკეთის გუნას (სატვა გუნა), რომელიც ყველა დანარჩენ გუნაზე წმინდაა; მისი გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი მეცნიერები და ფილოსოფოსები, რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ უპირატესობას სხვების წინაშე და აფასებენ ჭეშმარიტ ცოდნას, რაც მათ უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს, თუმცა მათი პატივმოყვარეობა იქცევა სწორედ იმ ფაქტორად, რომელიც ხელს უშლის ამ ადამიანების სულიერ გათავისუფლებას, ხსნას.<sup>4</sup> იმისთვის, რომ ადამიანი გათავისუფლდეს მატერიალური ბორკილებისგან, კარმისგან, სამსარას უსასრულო რეინკარნაციებისგან, საჭიროა შეიმეცნოს ის ჭეშმარიტება, რომ ყოველივე არსებული ილუზიაა და რომ არსებობის მიზანი ღვთაების წვდომა და მასთან შერწყმაა. უფრო კონკრეტულად კი – ყოველი არსება უნდა ისწრაფოდეს სამსავე გუნაზე ამაღლებისაკენ.

ინდურ პანთეონში არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც ერთდროულად სამსავე გუნას განაგებს და, საერთოდ, მთელი მატერიალური ენერჯიის იპოსტასად ითვლება. ეს გახლავთ ქალღმერთი კალი (იგივე – დურგა). ოფიციალურად, დურგა შივას მეუღლეა, ე. ი. შივა მიჩნეულია მატერიალური ენერჯიის ბატონ-პატრონად, თუმცა დურგა საკუთარ თავში კიდევ ერთ საინტერესო ასპექტს მოიცავს, სახელდობრ, ის ერთ-ერთი შაქტი გახლავთ. შაქტი (იგივე – შაქტი-ტატვა) წარმოადგენს ვიშნუს – უზუნაესი პირველსაწყისის მარადიული თანამგზავრისა და მეულ-

ლის, აყვავებისა და სიყვარულის ქალღმერთის – ლაქშმის მრავალრიცხოვან განსხვავებათა ერთობლიობას. საყურადღებოა, რომ ლაქშმი ერთგვარ შუამდგომლად გვევლინება ნახევარღმერთებსა და პირველსაწყისს შორის იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი პირველად ლაქშმის მიმართავენ ხოლმე თავიანთ ლოცვებში, როდესაც მათ ვიშნუს წედომა სურთ. შაქტი – პერსონაფიცირებული ყოველ ქალურ ღვთაებაში – ბუნების მასაზრდოებელი ძალაა; მის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს დურგა, იგივე კალი, ამბიკა, დევი, მაია; (აღსანიშნავია, რომ მაია ღმერთის უმდაბლესი ენერგიაა, რომლის მთავარი დანიშნულება ამქვეყნიური ილუზიის შექმნაა, როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე იდეას მისი გამოვლენის შესაბამისად სხვადასხვა სახელით ვხვდებით, თუმცა მისი შინაარსი უცვლელი რჩება: კალი – ბუნებაა, მატერიალური ენერგიაა, ილუზიაა, ის ქალური სანყისია, რომლის გარეშეც სამყაროს შექმნა და, შესაბამისად, განპირობებულ სულთა სრულქმნა შეუძლებელი იქნებოდა.<sup>4</sup> საინტერესოა, რომ დურგა განიზილება აგრეთვე როგორც ღმერთის უზენაესი ენერგია და მისი უზენაესი ხელისუფლება მატერიალური სამყაროს ფარგლებში მაშინ, როცა თვითონ პურუშა ამ ენერგიის მფლობელად მიიჩნევა.<sup>5</sup> პურუშას ყოველ ემანაციას ამა თუ იმ სახით ახლავს შაქტის ესა თუ ის გამოვლინება: ტრანსცენდენტურ სამყაროში – ლაქშმის სახით, მიზეზობრივ ოკეანეზე – მაჰატ-ტატვას სახით, თითოეულ სამყაროში – დურგას და მაიას სახით. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ შაქტი (პრაკრიტი), იგივე ბუნება, ისეთივე პირველსაწყისია მატერიალური სამყაროსთვის, როგორც თავად აბსოლუტი – პურუშა.

იმდენად, რამდენადაც ღმერთის „შეცვლილ თავებში“ შაქტის ერთ კონკრეტულ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე, როგორცაა კალი, ვფიქრობთ, არ იქნება ინტერესს მოკლებული, გავეცნოთ იმ ცნობებს, რომელსაც ამ ქალღმერთის შესახებ რ. როლანი (1866-1944 წწ.) გვანდის თავის ბიოგრაფიულ ნაწარმოებში „რამაკრიშნას ცხოვრება“. ამ ნაწარმოებში, რომელშიც მოთხრობილია XVII ს-ის ერთ-ერთი უდიდესი ინდოელი მოაზროვნის – რამაკრიშნას ცხოვრება, კალი გვევლინება ერთგვარ მედიუმად, შუამავლად, მაკავშირებლად, რომლის მეოხებითაც რამაკრიშნა შეიმეცნებს უზენაეს ქვეშეობრივებას და იქცევა ღმერთთაგად. კალის სახით რამაკრიშნა შეიგრძნო და შეიცნო ღვთაება, უზენაესი, აბსოლუტი; კალი მისთვის ერთგვარი ფანჯარა იყო, რომელშიც მან იხილა და განიცადა მთელი ინდური პანთეონი, რომლის ყოველი ღვთაება, თავის მხრივ, საბოლოოდ ერთ ღმერთამდე – ვიშნუმდე დაიყვანება.

რ. როლანი შემდეგნაირად გვიხატავს კალის გამოსახულებას: ქვეყნიერებისა და ღმერთების დედოფლის ფერხთით განრთხმულიყო შივა. თავის მრავალრიცხოვან ხელებში კალის მარცხნივ ხმალი და მოკვეთილი თავის ქალა ეპყრა, მარჯვნივ კი – ძღვენს გვთავაზობდა, თითქოს გვანიშნებდეს: „მოდო, ნუ გეშინია“... ის თავად ბუნებაა, დამანგრეველი და შემოქმედი... ის მსოფლიოს ყოველის შემძლე დედაა, რომელიც თავის შვილებს მრავალრიცხოვან ფორმებსა და ღვთაებრივ განსხვავებებში ეცხადება; ხილული ღმერთი, რომელიც რჩეულთ მიუძღვის უხილავი ღმერთისაგან, და თუკი მოისურვებს, შეუძლია ნებისმიერ ცოცხალ არსებას წაართვას მისი პი-

როვნულობის უკანასკნელი ნიშანი, მისი „ეგო“ და ალავსოს იგი აბსოლუტური, უპიროვნო ღმერთის ცნობიერებით. „მე“ ზღვარდადებული მისი ნყალობით უსაზღვრო „მე“-ში – ატმან-ბრაჰმანაში დაინთქმება.<sup>7</sup>

ძალზე საინტერესოა, თვითონ რამაკრიშნასული ინტერპრეტაცია იმიისა, თუ რატომ არის შივა განრთხმული კალის ფერხთქვეშ: კაცობრიობა უნდა მოკვდეს იმისთვის, რომ დაიბადოს ღვთაება; მაგრამ ღვთაებაც თავის დროზე უნდა დაიღუპოს, რათა ადგილი დაუთმოს უზენაეს გამოვლინებას – ანუ აბსოლუტის განხორციელებას; „და აი მკვდარი ღვთაების ცხედარზე მარად კეთილი დედა ასრულებს თავის ზეციურ ცეკვას“.<sup>8</sup> ამ ხატებაში სიმბოლურად კაცობრიობის ევოლუციაა მოცემული, რომლის განხორციელებაშიც, ვფიქრობთ – არა შემთხვევით, მთავარი როლი ქალღმერთ კალის აკისრია.

დურგას მიერ შივას მკვლელობის სიმბოლურ აქტში სხვა აზრიც შეიძლება ამოვიკითხოთ. სახელდობრ, შივამ – ქვეყნიერების გამანადგურებელმა შეიძლება არსებობა შეწყვიტოს მხოლოდ მაშინ, როცა მატერიალური კოსმოსის შექმნა და განადგურება აღარ გახდება საჭირო. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ბუნებაში არსებული განპირობებული სულები მიაღწევენ თავისი არსებობის უმთავრეს მიზანს – განღმერთობას. შესაბამისად, გარდაცვლილ შივაზე მოცეკვავე კალი ღმერთად ქცეულ კაცობრიობას განასახიერებს. ყოველივე ამის გააზრებისას გვახსენდება ფრაზა სააღდგომო საგალობლიდან:

„ქრისტე აღდგა მკვდრებით,  
სიკვდილისა სიკვდილითა

დამორგუნველი, ზიზლიოთქკა  
და საფლავების შინათგან  
სიცოცხლის მომნიჭებელი“...

ე.ი. შივა – სიკვდილია, კალი (ბუნება, სიცოცხლე) კლავს შივას (სიკვდილს), რითაც იქცევა იმ იდეის პერსონიფიკაციად, რასაც სიკვდილის გარეშე სიცოცხლე, ანუ მარადიული სიცოცხლე ეწოდება.

აქვე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ქალღმერთ კალის ერთ-ერთ „დეფინიციაზე“, თუ რას ნიშნავს „სიყვარულისა და სიკვდილის ქალღმერთი“. ამ ორ ცნებას შორის სინამდვილეში ძალზე მჭიდრო კავშირია: სიყვარული ის ძალაა, რომელიც ახალ ცხოვრებას ბადებს, დაბადება – სულის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლაა ზუსტად ისევე, როგორც ჩასახვა და სიკვდილი; ე. ი. დაბადება იმდენადვეა გარდაცვალება, რამდენადაც – სიკვდილი. აქედან გამომდინარე, არ შეეცდებით, თუ ქალღმერთ კალის სულიერი ტრანსფორმაციის სიმბოლოდ მივიჩნევთ, იმ ტრანსფორმაციისას, რომლის ნყალობითაც ადამიანის სული ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის, რათა საბოლოოდ სრულყოფილებას მიაღწიოს ზუსტად ისე, როგორც ამას მატლი აკეთებს ხოლმე პეპლად ქცევისაკენ მიმავალ არც თუ ისე იოლ გზაზე.

საკუთრივ „შეცვლილ თავებში“ ქალღმერთ კალის განუყრელი ატრიბუტებია ლინგამი და იონი. ქალღმერთისადმი მიძღვნილ ყოველ ტაძარში მოიპოვება სვეტები ლინგამის გამოსახულებით. ლინგამი ინდური ფალიკური სიმბოლო გახლავთ, რომელიც შივას და დურგას კულტთან არის დაკავშირებული. ის განასახიერებს ორი სანყისის – სიკეთისა და ბოროტების, მამრობითისა და მდედრობითის ჰარ-

მონიულ შერწყმას, რის შედეგადაც მიღწეულ უნდა იქნას სრულყოფილება. მეორე მხრივ, ლინგამი ტრანსცენდენტურობის მნიშვნელობასაც ატარებს, ანუ ის ამქვეყნიურობაზე ამაღლებისა და მიღმა სამყაროს წვდომისაკენ სწრაფვის სიმბოლოცაა. მოცემულ მოთხრობაში ლინგამი, როგორც პარამონიულობის სიმბოლო, პირდაპირ კავშირშია კალის მხატვრულ სახესთან. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ზიტას მიერ ქალღმერთისთვის თქმული სიტყვები: „როცა მამრი შევიცანი, როცა შენს ცნებებში შევიჭერი“...<sup>9</sup> როგორც ვხედავთ, ორი პოლარული სანყისის მიერ ურთიერთშეცნობის აქტი უშუალოდ კალის ხელთ ყოფილა, ე. ი. ის წარმოადგენს არა რომელიმე ცალმხრივი ძალის მატარებელ ღვთაებას, არამედ ისეთ ძალას, რომელსაც შესწევს უნარი დუალისტური სანყისების გაერთიანებისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქალღმერთი კალის სიმბოლური სახე, რომელიც ერთდროულად ღმერთიცაა და ბუნებაც, თ. მანის სანუკვარ მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც კალის მხატვრულ სახეში მან ერთბაშად გადაჭრა მარადიული კონფლიქტი გრძნობასა და გონს, ცხოვრებასა და ხელოვნებას, აპოლონურსა და დიონისურს შორის. ამ ალექსანდრიის დახმარებით მწერალმა ღმერთი ბუნებად წარმოგვიდგინა, ბუნება კი – ღმერთად.

ქალღმერთ კალის სიმბოლურ „წარმომადგენლად“ „შეცვლილ თავებში“ გვევლინება სუმიანტრას ასული – ზიტა, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს მოთხრობის მთავარ მოქ-

მედ პირად. „ზიტა“ მითოსში მთლიანად მაიას ცდუნებრივნიგოშეთხზული, გონისწარმტაცი ფერისა, არც მუქი, არც ძალიან ღია, უფრო ოქრომოვლებული თითბერისმაგვარი... ნაქანდაკევი თავის სიტურფე სავსებით ესიტყვებოდა ტანის სრულყოფილებას“.<sup>10</sup> როგორც ვხედავთ, ორი სხვა მოქმედი პირისგან განსხვავებით, ზიტა სრულყოფილი, განონასწორებული და – რაც მთავარია – „მაიას ცდუნებისგან იყო შეთხზული“, ანუ ქალღმერთის მაღლი სრულიად მოფენოდა მის არსებას. ნაწარმოებში არაერთი მინიშნება მოგვეპოვება ზიტას ღვთაებრივ ბუნებაზე: მას არაერთგზის მოიხსენებენ მზის, ან ოქროს ქალწულად; მას ქალწულობაში მზისაკენ ისროდა მზისავე სადიდებლად ახალგაზრდა ნანდა. ამავე დროს ინდური მისტიკის თანახმად, ნებისმიერ ქალში დავანებულია მარადიული შაქტი. მოგვიანებით შრიდამანი აღნიშნავს, რომ შაქტი თავის გამოვლინებებში არა „გრძნეულად მოქმედი და კვალის ამრევი“, არამედ „სხივი მისი გზადაბნეულს უგუნურების ბურუსიდან ქემმარიტების ნათლისაკენ მოუნოდებს“. კიდევ უფრო ქვემოთ ვკითხულობთ: „სილამაზის შერწყმა სულთან მხოლოდ ალტაცებას ბადებს (...), რაიც ჩვენ ქემმარიტებისა და თავისუფლებისკენ მოგვიწოდებს“.<sup>11</sup> აქედან გამომდინარე, ზიტა თავისი პარამონიულობით სწორედ იმ ბიძგად იქცევა, რომელიც ორ მეგობარს ქემმარიტებისკენ მიმავალ შავბნელ გზაზე დააყენებს. საყურადღებოა, რომ ქალღმერთი სწორედ ზიტას გამოვლამარაქა, და არა თავის საყვარელ ვაჟებს, როცა ისინი თვითმკვლევლობას ჩადიოდნენ მის საამებლად. აგრეთვე ნიშანდობლივია, რომ ზიტა ერთადერთი ქალია მთელ მოთხრობაში. დანარჩე-

ნი ქალების სახელებს (რომლებიც უკიდურესად იშვიათად გვხვდებიან ნაწარმოებში) თ. მანი შეგნებულად არ ასახელებს. ფინალში კი ზიტა სატის (დურგას ერთ-ერთი იპოსტასის) მსგავსად თავს ინვაეს საკრძალავ კოცონზე. აქედან გამომდინარე, ზიტასა და კალის, როგორც მარად ფორმაცვალეზადი, ტრანსფორმირებადი ბუნების ალეგორიული იდენტურობა ეჭვგარეშა.

ზიტას მხატვრული სახისგან რადიკალურად განსხვავდება დანარჩენი ორი პერსონაჟი. ეს ორი მეგობარი ერთმანეთის სრულ ანტიპოდს წარმოადგენს: ნანდა გლეხური წარმოშობის და გაუნათლებელი, მაგრამ ტანადი, გულკეთილი, უშუალო და ერთგული ადამიანია; შრიდამანი განსწავლულ ბრაჰმანთა მემკვიდრეა, იგი მჭევრმეტყველების ქალღმერთისაგან გულუხვად დაჯილდოებული, სიბრძნის მოყვარული და ღეთისმოშიში პიროვნება გახლავთ, თუმცა მისი სხეული „კეთილშობილ განსწავლულ თავს განეკუთვნებოდა მაშინ, როცა ნანდას პიროვნებაში სხეული იყო უმთავრესი და თავი მხოლოდ მთლიანის უმცირეს ნაწილს შეადგენდა“.<sup>12</sup> ასეთ დახასიათებას თ. მანი ერთობ მრავლისმთქმელ კომენტარს უკეთებს: „საბოლოოდ ორივენი შივას ჰგვანდნენ, როცა იგი ორი ხატიტ გამოვლინდება და ხან წვეროსანი განდევილის სახით არის განრთხმული ქალღმერთის ფერხთა წინაშე, ხანაც კი ურიდად უმართავს მას თვალს და ვნებიანი ზმორებით იდრეკს გაზაფხულივით თვალწარმტაც სხეულს.“<sup>13</sup>

ეს დაპირისპირება მეოცნებესა და პრაქტიკოსს შორის, გონსა და გრძნობას შორის, როგორც უკვე ითქვა, თ. მანის შემოქმედების ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს. მოცემულ

მოთხრობაში ნიშანდობლივია, რომ შივას სახით თ. მანი ამ ორივე სახეისს ერთის ქვეშ აერთიანებს. იგი უნივერსალურ კანონად აცხადებს შემდეგ თეზისს: „ბუნება ერთისა შეივსოს მეორის ბუნებით“.<sup>14</sup> და ამტკიცებს, რომ ყოველგვარი განცალკევების საბოლოო მიზანი შეერთებაა. ამ განწყობით თ. მანი მოთხრობის დასაწყისშივე გვაშადებს იმისთვის, რომ არსებული კონფლიქტი უნდა მოგვარდეს, აპოლონური და დიონისური ჰარმონიულ ერთობაში უნდა მოექცეს.

თ. მანი მართებულად აღნიშნავს, რომ შრიდამანი ლოტოსის ყვავილს ჰგავდა, რომელიც მხატვრიალური ცხოვრების მდინარიდან ლამობს ამოღწევას, ნანდა კი – წყალმცენარეს, რომელიც იმდენად მოხიბლულია წყალქვეშა სამყაროს მშვენებით, რომ სხვა არა უნდა რა. სხვაგვარად რომ ეთქვათ, ნანდასთვის მშვენიერება, პირველ რიგში, ბუნების წიაღში არსებობს, შრიდამანი კი მხოლოდ სულიერ მშვენიერებას აფასებს და საერთოდ მოკლებულია ბუნებრივი სილამაზის დაფასების უნარს. ამდენად საესებით გასაგებია, რომ კალის ტაძარში (!) მოსვენებულ მეგობართაგან პირველად სწორედ ნანდა შენიშნავს განგის პირას მობანავე ზიტას. ამ პირველობაში ის აზრი უნდა ამოვიკითხოთ, რომ უხილავი ღმერთის შეცნობა შეუძლებელია, სანამ ხილულ ღმერთს არ შეიცნობ, ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი გარემომცველი ბუნება და მისი მშვენიერება. არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზიტას აღმოჩენა მდინარის პირას ხდება, რადგანაც მდინარე, და მით უმეტეს – განგი, სულიერი განწმენდის, ამბლები ადგილია, მისი წყლები ვიწმუნს ნატურფლიდან, ქეშმარიტებიდან იღებენ სათავეს.



მოთხრობის სიუჟეტი ამგვარად ვითარდება: ზიტაში უგონოდ შეყვარებულ შრიდამანს ნანდა პირდება შუამდგომლობას. მისი დახმარებით შედგება შრიდამანისა და ზიტას ქორწილი, მაგრამ არცერთი მათგანი ბედნიერი არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ზიტა ნანდას თვალწარმტაცად სხეულით იყო მოხიბლული, თავის მხრივ, ნანდაც სურვილით აინთო მშვენიერი ზიტასადმი, მაგრამ მეგობრის ერთგულების გრძნობა აიძულებდა უარი ეთქვა თავის სურვილებზე; ყოველივე ეს კი საკმაოდ თვალშისაცემი იყო შრიდამანისთვის და მასში იმედგაცრუებას იწვევდა.

გარკვეული ხნის შემდეგ მეგობრები და ორსული ზიტა გადაწყვეტენ ქალის მშობლების მონახულებას, რომლებიც შორეულ სოფელში ცხოვრობდნენ. დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს იმ გარემოებას, რომ მგზავრებმა ღამით დატოვეს თავიანთი სოფელი, რის შემდეგაც გზა აებნათ. ეს ღამე, ნყვდიადი და გზის დაკარგვა მათი სულიერი მდგომარეობის გადმოცემას ემსახურება. ჩვენმა გმირებმა ცხოვრების გზა დაკარგეს და არ უწყიან, რითი უშველონ საკუთარ თავს. მგზავრები გადაეყრებიან ქალღმერთ კალის კლდეში გამოკვეთილ ტაძარს. შრიდამანი მარტო შვეა ტაძარში სალოცად და იქ მარადიული დედის საზარელი და ღვთაებრივი სახის ხილვით აღტყინებული, ხმლით მოიკვეთს თავს. შრიდამანის სანახავად შესული ნანდა იხილავს ამ საშინელ სურათს და მეგობრის ერთგულების ნიშნად თვითონაც იკლავს თავს. ბოლოს ზიტა აღწევს მარადიული დედის ნიაღში და ნანახით თავზარდაცემული თვითონაც თავის მოკვლას აპირებს, როცა ციდან თავად კალის ხმა ჩამოესმება. კალი უბრძანებს ზიტას, მოკვეთილი თავები მათ-

თავე სხეულებს შეუერთდნენ და ერთ-ერთი ალაღლინოს. **ს ი მ გ ლ ი მ ი თ ე ქ ა**

თავების სხეულებთან შეერთებისას ზიტა საბედისწერო შეცდომას დაუშვებს, თუმცა ვფიქრობთ, სინამდვილეში ეს სწორედ ის იყო, რასაც მას საკუთარი გული კარნახობდა, და ნაკლებად მნიშვნელოვანია, რამდენად აცნობიერებდა ქალი ამ დროს თავის არაცნობიერ განზრახვას. ზიტამ ნანდას თავი შრიდამანის სხეულს მიუერთა, შრიდამანის თავი კი – ნანდას სხეულს. იმის გასარკვევად, თუ ვის ეკუთვნოდა ამ ზებუნებრივი ფერიცვალებისა და მკვდრეთით აღდგენის შემდეგ ზიტა, სამივე დანაკაკას ტყეში გაემართა ბრძენთაბრძენ კამადამანასთან რჩევის საკითხავად. ამ უკანასკნელის განჩინებით ზიტა ნანდას ტანიან შრიდამანს ერგო, ნამდვილი ნანდა კი შორეულ ტყეში განერიდა სანუთოროებას და ასკეტურ ცხოვრებას მიჰყო ხელი.

თავიდან შრიდამანი და ზიტა კმაყოფილი იყვნენ თავიანთი ხედვრით, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვალა: შრიდამანის ფაქიზი სახის ნაკვთები გაუხეშდა და ნანდას გლახური სახის გამომეტყველება მიიღო, სხეული კი კვლავ გასუქდა, რაც მთავარია, ის სულიერი სილამაზე, რომელიც მას თავიდან გააჩნდა და თვალეში ამოეკითხებოდა ღვთივ მომადლებულ სიბრძნესთან ერთად, ახლა უკვე აღარსად ჩანდა. სასონარკვეთილი ზიტა ვარაუდობდა, რომ სრულიად საპირისპირო ხასიათის ცვლილებები უნდა განეცადა ნანდას თავსა და სხეულს. „გაზაფხულის ერთ ადრიან დილას“ (!) ზიტა მცირეწლოვან ვაჟთან ერთად იპარება სახლიდან და ნანდას საძებნელად მიდის. მძიმე მოგზაურობის შემდეგ ის იპოვის კიდევ ნანდას. ამ უკანასკნელის გარეგნობა მართლაც სრულყოფი-

ფილი გახდა: მისმა სახემ კეთილშობილური იერი შეიძინა, მკერდზე კი ისევ გამოესახა „ბედნიერი ხბოს“ კულუღი. მალე მიჯნურებს შრიდამანი მოაკითხავს და სამივე გადანყვეტს შემკვიდრის კეთილდღეობას შესწირონ საკუთარი სიცოცხლე, მით უფრო, რომ სამი მიჯნურის თანაცხოვრება შეუძლებელია. ნანდა და შრიდამანი ურთიერთს კლავენ ორთაბრძოლაში, ზიტა კი საკრძალავ კოცონზე ადის ქვრივთა წესისამებრ.

ზემოთქმულის ანალიზის საფუძველზე მოთხრობის სიუჟეტურ ქარგაში შესაძლებელია ორი შინაარსობრივი პლასტის გამოყოფა: სიმბოლურ-ალეგორიული (ანუ სახისმეტყველებითი) და ფსიქოგრაფიული.

„შეცვლილი თავები“ სიმბოლურ-ალეგორიულ ჭრილში წარმოგვიდგენს კაცობრიობის განვითარებისა და სრულქმნის სურათს: იმისავე, რომ ქაოტური მატერია, ანუ მაპატ-ტატვა და მასში მოქცეული განპირობებული სულები განვითარდნენ და მიწვდნენ სულიერ გათავისუფლებას, საჭიროა გარკვეული ინვოლუცია, დამინება, მატერიალური ფორმის მიღება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მაიას ილუზორული ენერგია, რომელიც მატერიალური სამყაროს სივრცეში ავიწყებს განპირობებულ სულებს თავიანთ ჭეშმარიტ მიზანსა და რაობას/ ვინაობას. ზუსტად ასეთ განპირობებულ სულებს წარმოადგენენ შრიდამანი და ნანდა, რომლებიც ილუზიის ტყვეობაში მოქცეულან და უმიზნოდ არსებობენ ამ ნუთისოფელში, სანამ მხსნელად ისევ და ისევ ზიტას სახით ღმერთი არ მოეველინებათ. ზიტა ამქვეყნად

მოვლენილი სრულყოფილებით გვარი იდეალური ეტალონია, რომლის მიღწევაც კაცობრიობისთვის მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც გაქრება ზღვარი დიონისურსა და აპოლონურს შორის, როდესაც კაცობრიობა იქნება ერთდროულად ინტელექტუალურიც და ემოციურიც, პრაქტიკოსიც და მეოცნებეც.

სახისმეტყველებით ჭრილში მეტად საინტერესო იქნებოდა ნანარმოების განხილვა ტომოლოგიურ ასპექტში: შრიდამანი და ნანდა განგის პირას კალის ტაძარში ყოფნისას დაახლოებით იმ სტადიაში იმყოფებიან, რომელშიც დანტეს გმირი იყო, როცა ამბობდა: „უსიერ ტევრში, ამა ცხოვრების ნახევარგ ზაზე, ანაზდეულად გამოეფხიზლდი გზადაკარგული“. მათ იხილეს იდეალი, რომლის შესაცნობაც ისინი არ იყვნენ მზად, თუმცა სწორედ ეს უკანასკნელი იქცა მათთვის ჭეშმარიტების ძიების ბიძგად. ამის გამო, დანტეს გმირის მსგავსად, ისინი უნდა ჩასულიყვნენ კალის ტაძრისა და დანკაკას ტყის ჯოჯოხეთში, სხეულების გაცვლის შემდეგ უნდა შეეცნოთ საკუთარი სულის სალხინებელი, რაც შეამზადებდა მათ საბოლოო ტრანსფორმაციისთვის, გარდაცვალებისთვის; სამოთხე ზომ მხოლოდ მათი გარდაცვალების შემდეგ შეიძლება დაიწყოს. ამ სამოთხის ალეგორიულ რეალიზაციას ნანარმოებში ზიტას ვაჟი – სამადში წარმოადგენს.

სამადაში კალისთან ერთად მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ალეგორიული სახეა მოცემულ მოთხრობაში. შეიძლება ითქვას, რომ სამადაშის ფორმირებისკენაა მიმართული მთელი ნანარმოების განვითარების ხაზი. „თუმცა მე თვითონ ვარ უწესრიგობა, მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა ვესწრაფოდე წესიერებას“,<sup>15</sup> ამბობს კალი. სწო-

რედ ეს ნესიერება, პარმონია არის სამადპი.. როგორც პერსონაჟი იგი ამგვარად არის დახასიათებული: შრიდამანისგან ნამემკვიდრევი „სილამაზე სულიერი“ და ნანდასგან ნამემკვიდრევი „სილამაზე ვნებათა გამომწვევი“ ერთნაირად ყველის სამადპიში, თუმცა მთლიანობაში გარეგნულად ის მაინც საეხებით იმეორებს დედამისს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამადპი სწორედ ის პარმონიული სრულყოფილებაა, რომლის ეტალონდაც ზიტა მოველინა განგის პირას ჯერ კიდევ წყვედადში მავალ კაცობრიობას და რომლის მისაღწევადაც ვაიარა მან ესოდენ ხანგრძლივი *Via dolorosa*.

ზემოთმოყვანილი მოსაზრება უფრო გასაგები გახდება, თუკი განვმარტავთ სახელს „სამადპი“. სამადპი ინდურ მისტიკაში სრულყოფილებას ნიშნავს; ეს სწორედ ის გასხივოსნებაა, რომელიც იოგაში სრულქმნის უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით მოთხრობის შინაარსის გასაგებად მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის ე. წ. კუნდალინის სისტემა. ამ სისტემის თანახმად, არსებობს ორი პოლარული მუხტი: აქტიური, ცხელი, მშრალი, მზისებრი მუხტი – პინგალა (შივა) და პასიური, გრილი სველი, მთვარისებრი მუხტი – იდა (ვიშნუ). ორივე მუხტი მოთავსებულია ადამიანის სხეულზე არსებული შვიდი ჩაკრიდან (ენერგეტიკული ცენტრიდან) პირველში. აქვე სძინავს კუნდალინის (სუშუმნას) პოტენციურად აღმავალ შემოქმედებით მუხტსაც. კუნდალინის გაღვიძების შემთხვევაში ორივე პოლარული მუხტი იწყებს აღმასვლას, რასაც თან სდევს ჩაკრების ამოქმედება. ბოლოს, მეშვიდე ჩაკრაში კუნდალინი უერთდება თავის „მეულულეს“ – ატმანას. ამ უკანასკნელ მოვლენას სამადპი ეწოდება.<sup>16</sup>

მოცემული სტემატისგანსხვავების განვითარების თანმიმდევრობას: შრიდამანი იდას მუხტის მატარებელია, ნანდა – პინგალას, ორივე ერთად ევოლუციას იწყებს ზიტას, ანუ კუნდალინის მუხტის გავლენით, თუმცა უკანესკნელ ეტაპზეც აუცილებელი ხდება პოლარული დაპირისპირების მოხსნა, რათა იდა და პინგალა შეერთდეს და მოგვცეს ატმანა – სრულქმნილი სული, რომელიც მოთხრობაში სამადპის სახით არის წარმოდგენილი. განვითარების ამ საფეხურზე, როდესაც უნდა მივიღოთ სრულიად ახალი სახის ადამიანი, კაცობრიობა, გარდაუვალი ხდება ძველი მუხტების – ძველი კაცობრიობის გარდაცვალება, ტრანსფორმაცია. „შეცვლილ თავებში“ ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „არა არს ნუთი კაცის ცხოვრებაში უფრო საყურადო, ოდეს რჩეული თავის შაქტისთან ერთად გარს უვლის საქორწინო კოცონს... როცა ისინი ზემოპენ ამ დიდ შეხვედრას, აღარ რჩება იმათ შორის ვაჟი, ან ქალი, არამედ არის განუყოფელი წყვილადი; ვაჟი – შივაა, ქალი – დურგა... წყვილი კი უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად (!) აღუნერელი სიტკბოების ხვეწნა-აღერსში პოულობს თავის აღსასრულს (!). ეს სწორედ ის ნმინდა საათია, რომელიც სიბრძნის სიღრმეებში ჩაგვიძირავს, მარადიული დედის ნიაღში გაგვაშორებს საკუთარი მე-ს ამაოებას და როგორც სული და სილამაზე გაერთიანდება ხოლმე აღფრთოვანებად, ასევე სიკვდილი და სიცოცხლე სიყვარულად შეირწყმის“.<sup>17</sup> (ხაზი ჩვენია – ლ.ც.)

თუკი გავიხსენებთ იმასაც, რომ ზიტა ორსულობის მეექვსე თვეზე იყო, როცა შრიდამანთან და ნანდასთან ერთად ტყეში დაიკარგა ვააბნე-

ული, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მეშვიდე სრულყოფილი ეტაპი კაცობრიობის განვითარებისა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინახებოდა, თუკი საქმეში კალი, ე.ი. ტრანსფორმაცია ჩაერეოდა და პოლარული ძალების შთანთქმით მოაველენდა სრულყოფილებას.

„შეცვლილი თავების“, როგორც სიმბოლურ-ალეგორიული მოთხრობის, ზოგადი არსი შემდეგ დებულეზამდე დაიყვანება: მსოფლიო დედა – განპირობებულ სულთა ერთობლიობა – ბუნება – ღმერთი განიცდის გამუდმებულ სახეცვლას თავის მრავალრიცხოვან გამოვლინებებში, ქმნის საკუთარ თავში კონფლიქტებს, დაპირისპირებებს სიკეთესა და ბოროტებას, სიკვდილსა და დაბადებას, გონსა და გრძნობას, აპოლონურსა და დიონისურს შორის და ეს გრძელდება მანამ, სანამ ინვოლუცია-ევოლუციის გაუთავებელ მთაგრეხილებზე ბოლო არ მოეღება დისპარმონიას და არ მიიღწევა სრულყოფილება, ანუ სამადაჰი.

ფსიქოგრაფიულ ქრილში „შეცვლილი თავები“ კიდევ უფრო საინტერესო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. შრიდამანი და ნანდა პროტაგონისტის დანაწევრებულ სულს წარმოადგენენ ზუსტად ისევე, როგორც პარი პალერი და ტრამალის მგელი, ნარცისი და გოლდმუნდი პ. პესეს (1877-1962 წწ.) ცნობილ ნაწარმოებებში. ერთმანეთის გარეშე მათი არსებობა შეუძლებელია, ისინი თითქოს ავსებენ ერთმანეთს, თუმცა საბოლოოდ მაინც ორი ურთიერთსაპირისპირო იდეის, მუხტის მატარებლად რჩე-

ბიან. მათ შორის არსებობს მუდმივად მოუთქმელი, თანდათანობითი კონფლიქტი, კონფლიქტი გონსა და არაცნობიერს შორის, რომელიც დაიძლევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ორი სანყისის გაერთიანება მოხდება. შემთხვევითი არ გახლავთ კალის სიტყვები, რომლითაც იგი ზიტას მიმართავს მეგობრების მიერ მსხვერპლის გაღების შემდეგ: „მათი საქციელი არეულმა გრძნობებმა გამოიწვიეს და ამდენად შედეგაც თავისთავად ბნელია“.<sup>18</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი თვითმკვლელობა, – უფრო ზუსტად – პროტაგონისტის თვითმკვლელობა შინაგანი დისპარმონიით იყო გამოწვეული; დისპარმონია, ბოროტება, ბნელეთი – ფსიქოგრაფიაში სინონიმურ ცნებებად განიხილება. ამგვარ წყვილადში მყოფი, ე. ი. შინაგანი კონფლიქტის მქონე ადამიანები მოკლებულნი არიან იმ ბედნიერებას, რომელსაც თ. მაინ ასე ახასიათებს:

„კაცთა მოდგმის მეტი ნაწილის ნიღბედომილი, ჩვეულებრივი, მინიერი ბედნიერება, ანუ სურვილთა ასრულება მოქცეულია წესის, ადათის, ღვთისმოშიშობისა და ჩვეულებათა ბუდეში, შეზღუდულია მიზანშეწონით და ყოველის მხრიდან აკრძალვისა და თავშეკავების კედელი აქვს შემორტყმული. ძალდატანება, უარყოფა, სურვილთა თრგუნვა კაცთა საყოველთაო ბედად ქცეულა. უკიდვანაო ჩვენი გულის ნადილთა გაქანება, ხოლო აღსრულება მისი – ძუნდა ზღვარდადებული, მის გულიდან აღმოსკდარი „ოპ, რომ...“ ყოველგნით რკინის „არეგების...“ კალთებს აწყდება, ხოლო გამოძახილად უღერს „ემა იქენ განჩინებულ შენსა ზედა!“ მცირედ რამის უფლება უბოძებიათ ჩვენთვის, ის ბევრზე ბევრი კი აღკვეთილი გვაქვს და ჩვენს გონებას მარადიულ, უცხო ზმა-

ნებად წარმოუდგენია ის ღვთიური დღე, როცა ყოველი ალკვეთილი ნებასურვილად გადაიქცევა. იგი სწორედ სამოთხისეული ხილვაა, რამეთუ ნეტარება სამოთხისა სწორედ ისაა, რომ ალკვეთილი და ნებადართული, მიწაზე რომ ესეოდენ სხვადასხვა ფერისაგან გვევლინებიან, აქ ერთ სახეშია შენივთებული და ალკვეთილის ხელუხლებელი მშვენიერება ნებადართულის გვირგვინს ატარებს.<sup>19</sup>

თავის მხრივ, ზიტა იმავე მხატვრულ ფუნქციას ასრულებს მოთბობაში, როგორც პერმინა ჰ. ჰესეს „ტრამალის მგელში“, დედა – „ნარცისა და გოლდმუნდში“ და აგრეთვე „დემიანში“. ეს ვახლავთ კ. იუნგისეული ანიმა, რომელიც ერთგვარი მამოძრავებელი ძალაა შინაგანი პარამონიის აღდგენისაკენ მიმართული. სწორედ ანიმა-ზიტას წყალობით პროტაგონისტის დანაწევრებული სული (ნანდა და შრიდამანი) ერთიანდება სამადპის პარამონიულ სახეში, პარამონია კი ფსიქოგრაფიული თვალსაზრისით უზენაესი სიკეთე, სიბრძნე და მშვენიერებაა ამქვეყნად. ძალზე ნიშანდობლივია მთავარი გმირების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი ნაწარმოების ფინალში: ისინი კი არ ემტერებიან ერთმანეთს, არამედ უყვართ ერთმანეთი, ე. ი. ანიმამ მიაღწია საკუთარ მიზანს – შეარიგა ერთმანეთთან გონი და არაცნობიერი, და აასრულა მცნება – „შეიცან თავი შენი“. ორთაბრძოლა და კოცონი აქ მხოლოდ აღუგორიებია, რომელშიც სულის გარდაცვალება, მეტამორფოზა უნდა ვიგულისხმოთ. ამ უკანასკნელის შედეგად კი ვღებულობთ სამადპის – პარამონიულ, სრულყოფილ ადამიანს. ეს დაახლოებით ისეთივე თავგანწირვის აქტია, რომელსაც ჰ. ჰესეს რომანის – „თამაში რიოში მარგალიტებით“ ფინალში

სწადის იოზეფ კენტსინიჩინსკის<sup>20</sup> რომ ახალგაზრდა ტიტმა დემიანის<sup>21</sup> გაუძღვეს სრულყოფისკენ მიმავალ გზაზე.<sup>22</sup>

თ. მანი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სამადპი ბედნიერად ცხოვრობდა ამქვეყნად, მისი „სიბევეც კი ხორციელი გატაცებებისგან იფარავდა მას და სულიერი მშვენიერების ამოცნობისადმი განაწყობდა მის გონებას“, <sup>21</sup> თანაც „განდჰარვასავით მშვენიერი და ტანწყობილი იყო“, მკერდს კი „ბედნიერი ხბოს“ კულული უმშვენებდა. „თეთრი ქოლგის ქვეშ“ (რაც უზენაესი ხელი-სუფლების სიმბოლოს წარმოადგენს) მჯდომი მნიგნობარი ბრძენკაცის – სამადპის არსებაში „ალკვეთილი და ნებადართული“. „სილამაზე სულიერი“ და „სილამაზე ვენებათა გამომწვევი“ „ერთ სახეშია შენივთებული“, და ამიტომ აღარც ბოროტება და უბედურება არსებობს მისთვის.

ისევე, როგორც ჰ. ჰესეს ნაწარმოებების უმრავლესობა, თ. მანის „შეცვლილი თავების“ არქიტექტონიკა შეიძლება დაყვანილ იქნას ს. კიერკეგორისეულ (1813-1855 წწ.) ადამიანის განვითარების ეტაპების სისტემაზე<sup>23</sup>: უმანკოების, ანუ ესთეტიკურ ეტაპს შეესაბამება ის ეპიზოდი, როცა ნანდა და შრიდამანი (პროტაგონისტის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ეგო) უზრუნველად ტკბებიან ბუნების მზერით განგის პირას. მეორე, ეთიკურ ეტაპთან დაკავშირებულია ადამიანის მიერ სიკეთისა და ბოროტების გაგების მოპოვება, რასაც შედეგად მოჰყვება ზოლმე კონფლიქტი გონსა და ბუნებას შორის. ამ ეტაპს შეესაბამება მოქმედების მთელი შემდგომი განვითარება ვიდრე ზიტას დანვამდე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ნანდა და შრიდამანი სულ უფრო მზარდ სასონარკვეთას განიცდიან (Resignation). სასო-



ნარკვეთილება კი – ან ლუპავს ადამიანს, ან – ღმერთად აქცევს მას. რწმენის სტადია მესამეა კერკეგორისეულ სისტემაში და მას მოცემულ მოთხრობაში აბსოლუტური ფინალი შეესაბამება, სადაც მეტნილად სამადჰის შესახებაა საუბარი. „შეცვლილ თავებში“ პროტაგონისტი წარმატებით გადალახავს რეზინიაციას და აღწევს განღმერთობას.

ადასტურებდა თ. მანი დაინტერესებას ინდუისტური ფილოსოფიით, ზემოთმოყვანილი მსჯელობის საფუძველზე ეფიქრობთ, ეჭვგარეშეა იმ ვარაუდის სისწორე, რომ მოცემულ მოთხრობაში თავისთვის აქტუალური პრობლემატიკის წამოსაჭრელად მწერალი აუცილებლად უნდა გასცნობოდა ინდურ თეოგონიასა და კოსმოლოგიას.


დასკენის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავის მოთხრობაში „შეცვლილი თავები“ თ. მანი აღეგორიული სახეების მეშვეობით გვიხატავს ადამიანის სულიერი სრულქმნის გზას და სამადჰის სახით გვაძლევს პარამონიული, ბედნიერი ადამიანის მოდელს.

მოუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის უცნობია რაიმე ცნობა, რომელიც და-

### შენიშვნები

- <sup>1</sup> იხ. ნ. კაკაბაძე, თომას მანი – ადრეული შემოქმედება, თბილისი, 1967.
- <sup>2</sup> თ. მანი, „შეცვლილი თავები“ (მთარგმნ. ი. სურგულაძე, ზ. ჩხენკელი), კრებულში: თ. მანი, მოთხრობები. თბილისი, 1966, გვ. 467.
- <sup>3</sup> „Шримад-Бхагვათამ“, Первая песнь, Часть первая, Бхактиведанта Бук Траст, Индия, 1990, стр. 121-128.
- <sup>4</sup> „Бхагვაат-Гита - как она есть“, Бхактиведанта Бук Траст, Индия, 1984, стр. 643-669.
- <sup>5</sup> „Источник вечного наслаждения“, Бхактиведанта Бук Траст, Индия, 1984, стр. 395.
- <sup>6</sup> იქვე გვ. 11-12.
- <sup>7-8</sup> Р. Поллак, „Жизнь Рамакришны“, (пер. А. Поляк, Э. Шлобберг), Москва, 1991, стр. 13.
- <sup>9</sup> თ. მანი, იქვე გვ. 495.

- <sup>10</sup> იქვე გვ. 475.
- <sup>11</sup> იქვე გვ. 476.
- <sup>12-13</sup> იქვე გვ. 462.
- <sup>14</sup> იქვე გვ. 463.
- <sup>15</sup> იქვე გვ. 499.
- <sup>16</sup> Б. Смирнов, „Пранаяма“, в сбори: „Космогоническая концепция“, С.-Петербург, 1994, стр. 382.
- <sup>17</sup> თ. მანი, იქვე, გვ. 471.
- <sup>18</sup> იქვე, გვ. 499.
- <sup>19</sup> იქვე გვ. 516.
- <sup>20</sup> იხ. რ. ყარალაშვილი, პ. პესეს შემოქმედების პრობლემები, თბილისი, 1980.
- <sup>21</sup> თ. მანი, იქვე გვ. 532.
- <sup>22</sup> იხ. „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში“, თბილისი, 1993.



შოთა ზოიძე

## სიკვდილის კოსმა

1966 წლის 5 მარტს მოსკოვის გარეუბანში (დომოდედოვო) უკიდურეს მარტოობაში გარდაიცვალა XX საუკუნის რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი ანა ახმატოვა, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა სავსეა კონტრასტული მოვლენებით, კონფლიქტური სიტუაციებით, უკიდურესი ტრაგიზმით, რომელიც გამოწვეული იყო ავტორიტარული რეჟიმის ფაქტორით. თვით ლენინის სიცოცხლეში დახვრიტეს მისი მუღლლე, შესანიშნავი პოეტი ნიკოლოზ გუმილიოვი. ანას სიცოცხლეშივე დააპატიმრეს მისი ერთადერთი ვაჟი ლევ გუმილიოვი. საყოველთაოდ ცნობილია ის დევნა და შეურაცხყოფა, რასაც განიცდიდა პოეტი თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე. პოეტს მწვავედ მისწვდა უდანოვის „იდეური“ რეპრესიები, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე და პოეტური ზემთაგონება ვერაფერმა გატეხა. გარდაცვალებამდე ცოტათი ადრე, უკვე ღონემიხილი მანდილოსანი დაწერს თავის ავტობიოგრაფიაში: „მე ბედნიერი ვარ, რომ ამ წლებში ვიცხოვრე და ვნახე ის მოვლენები, რომლის მსგავსიც არასოდეს ყოფილა“, ეს არის 1965 წელი. იგი ამ დროს 75 წლისაა. მის თვალწინ ჩაიარა სამმა რევოლუციამ, ორმა

მსოფლიო ომმა, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა.

ანა ახმატოვა სულით ხორცამდე რუსი პოეტი იყო. იქნება ზოგმა არც კი იცის, რომ მისი ნამდვილი გვარი გორენკოა. მამამ სასტიკად აუკრძალა თავისი გვარი მოეწერა ლექსებზე. ანამაც არ დააყოვნა და დიდუდის გვარით წარუდგა ლიტერატურულ სამყაროს. ასე გახდა მსოფლიოსთვის ცნობილი გვარსახელი ახმატოვა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი უდიდესი და უნაზესი ლირიკოსი და რუსეთის გამოჩენილი შვილია.

ჩვენთვის ახლა ძალზე მნიშვნელოვანია მისი ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებიც კი. უფრო საინტერესო ისაა, რომ თერთმეტი წლისამ დაწერა პირველი ლექსი, ოცდასამი წლისამ გამოსცა პირველი წიგნი, რომელსაც „სალამო“ ერქვა და სულ რაღაც სამასი ცალი დაისტამბა. ოცდაერთი წლისა გათხოვილა. მისი პირველი მოძღვარი პოეზიაში დერტავინი იყო და არა პუშკინი ან ლერმონტოვი.

როგორც უკვე ვთქვი, 1912 წელს დაიბეჭდა ანას პირველი წიგნი, 1914 წელს – „კრიალოსანი“, 1917 წელს – „თეთრი გუნდი“, რაც შეეხება „უგმი-

რო პოემას\*, ოცდაორი წელიწადი მოანდომა. იგი 1940-1962 წლებში ინერეზობდა.

ანას ბიოგრაფიაში მკაფიოდ აღიბეჭდა მოგზაურობა პარიზში, ინტერესით მოიარა გენუა, ფლორენცია, ვენეცია და ჩრდილოეთ იტალიის სხვა მნიშვნელოვანი ცენტრები. ესაა 1911-1912 წლები. 1912 წელს შეეძინა ვაჟიშვილი.

სამამულო ომმა ლენინგრადში მოუსწრო. ბლოკადის წლებში ტაშკენტში ცხოვრობდა, სადაც ლენინგრადის ამბები ძნელად აღწევდა. ტაშკენტში დიდხანს და მძიმედ ავაფემყოფობდით, იგონებს ოცი წლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, დადიოდა პოსპიტლებში და ლირიკული შედეგებით ამხნევებდა დაჭრილ ჯარისკაცებს. 1944 წლის ზაფხულიდან ისევ ლენინგრადშია. ცხადია, დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა მის სულზე დანგრეულმა და გაძარცვულმა ქალქმა.

საბედნიეროდ მკაცრმა რეჟიმმა და სულისშემზუთავმა გარემომ ვერ შეანელა ანა ახმატოვას პოეტური შთაგონება.

აღსანიშნავია, რომ ათიან წლებში, როცა რუსულმა სიმბოლიზმმა კრიზისი განიცადა და პოეტების ერთმა ჯგუფმა ფუტურისზმს მიმართა, ახალგაზრდა ანა ახმატოვა აკმეისტების წრეში აღმოჩნდა, რაც ბუნებრივია, რადგან ს. გორდეცკისთან ერთად ამ ჯგუფის ლიდერი ანას მუღლლე ნიკოლოზ გუმილიოვი იყო. ფუტურისტებისგან განსხვავებით პოეტების ამ ამქარში ქადაგებდნენ ნათელ და გასაგებ პოეზიას, ყოველგვარი ბუნდოვანისა და იდუმალის საპირისპიროდ. მიუხედავად ამისა, აკმეიზში სიმბოლიზმის წიაღში აღმოცენდა. ანა ახმატოვას ლექსებს ბუნებრივი სინათლე და

სისადავე მოსაედა, რეალურ ცხოვრებაში გვახედებდა, თქმცაშიაქტქაქსა ომის შემდგომ წლებშიც კი მისტიკის აპოლოგეტად თვლიდნენ. აღმოჩნდა პირიქით – მთელი მისი პოეზია გაფლენთილია მოქალაქეობრივი პათოსით, სამშობლოს მაღალი იდეალებითა და პერსპექტივის რწმენით. ამ აზრით ანა ახმატოვა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოქალაქეობრივი ჟღერადობის პოეტია მეოცე საუკუნის რუსულ პოეზიაში. ამიტომაც მისი არსებობა საუკუნის მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

იქნებ უფრო ამიტომაც იყო ანა ახმატოვა ადგილობრივი მნიშვნელობისა და დასავლეთის პოლტიკური ავანტიურის ყურადღების ცენტრში. მით უმეტეს, 1917 წლის შემდეგ საკუთარი, სხვებისაგან ძალზე განსხვავებული (ესენინი, მაიაკოვსკი, ბლოკი) შემოქმედებითი პოეზია ჰქონდა. მიუხედავად ამისა, იგი არ აღმოჩნდა რუსული ემიგრანტული ინტელიგენციის წრეში. 1917 წელს დაწერა ლექსი, რომლითაც დამაჯერებლად უპასუხა გარე სამყაროდან მოძალებულ ორაზროვან კითხვებს:

„Мне голос был. Он звал утешно. Он говорил: Иди сюда. Оставь свой Край, глухой и грешный. Оставь Россию навсегда.“

Но равнодушно и спокойно руками я замкнула слух, чтоб этот речи недостойной не осквернился скорбный дух.“

მკვლევარები შენიშნავენ, რომ ეს ლექსი ძალიან ყვარებია ალექსანდრე ბლოკს. მწერალი ლევ ოზეროვი იმონებს კ. ჩუკოვსკის მოგონებას, რომ ბლოკს უთქვამს – ახმატოვა მართალია. ეს უღირსი ხმაა. რუსული რევოლუციისაგან გაქცევა სამარცხვინოა.

ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხ-



მით, რომ სამშობლოდან გაქცევა ყველა შემთხვევაში უღირსი საქციელია. მით უმეტეს, თუ ქვეყანას ძალიან უჭირს. ანა ახმატოვა ამაღლდა ყველაფერზე და ყოველივეზე. თუ შეიძლება ითქვას, სასწორზეც კი შეაგდო საკუთარი სიცოცხლე. ეს ფაქტი თავისთავად ავსებს და აღამაზებს მის მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობას.

სიტყვა მდიდარი შემთხვევით არ მიხსენებია. ანა ახმატოვათი დაინტერესებულ საზღვარგარეთელ კრიტიკოსებს მიაჩნდათ, რომ რუსეთში იგი, როგორც პოეტი, ამოიწურა. სინამდვილეში ბოლო დღემდე, ჯანმრთელობის შერყევის მოუხედავად, ხელიდან არ გაუფდია კალამი. ქრონოლოგიურად გავაძვენოთ თვალი მის ლექსებს და დაერწმუნდებით, რომ ახმატოვას არასოდეს აუღია შემოქმედებითი ტაიმი-აუტი. ეს იმას როდი ნიშნავს, პოეტს არ ჰქონდეს საეტაპო ლექსები დროისა და გარემოს შესაბამისად. პირიქით, იგი ერთხაზოვანი არასოდეს ყოფილა. მის ადრინდელ ლექსებს თუ მისტიკური მოტივები მოსავს, ესეც დრომ და გარემომ უქარნახა. უკეთ რომ ვთქვათ, თავისი დრო გამოხატა. სხვა მხრივ ანას ლექსები დროებით ვერ შეეგებებოდა რეოლუციას. სულ სხვაა მაიაკოვსკი. აკი კორნეი ჩუკოვსკიმაც თქვა – საშინელიც კია, რომ ისინი ერთ ეპოქაში ცხოვრობენ და ერთ მინაზე დაიარებიანო. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ინდივიდთან გვაქვს საქმე და ამის გამო მის შემოქმედებას პერიოდებად ნუ დავანანილებთ. გახსოვთ ალბათ, თვით გალაკტიონსაც აღიზიანებდა მისი შემოქმედების ამგვარი გათიშვა. ანა ახმატოვა ნითელი დროშით თუ ვერ შეეგებებოდა რეოლუციას, შეეძლო დაენერა „Приблизился не календарный - Настоящий Двадцатый Век.“

ეს კი ძალიან ბევრი რამის მოქმედილია.

მოუხედავად აღიარებისა, ანა ახმატოვას სახელი მაინც ვერ გადაურჩა უკიდურეს კრიტიკას, თვით ომის შემდგომ წლებშიც კი. ნერდნენ, თითქოს ანა ახმატოვა უცხო ხმაა თანამედროვე რუსულ პოეტურ ორკესტრში. უიდეობასაც კი უყიფინებდნენ. ეს მაშინ, როცა ჩვენი საუკუნის 20-იანი, 30 და 40-იანი წლები ყველაზე მძლავრად გამოხატა თავის ლირიკაში. ეს აზრი მე არ მეკუთვნის, მაგრამ სავესებით ვიზიარებ მას.

მაინც რით გამოირჩევა ანა ახმატოვას ლირიკა რუსულ პოეზიაში?

ამ კითხვაზე პასუხს მთელი მისი პოეზიის გამოწვლილვითი ანალიზი ჭირდება, რაც არც თუ ისე იოლია და რისი პრეტენზიაც არა მაქვს. მე შემოიძლია მხოლოდ ჩემი კერძო შთაბეჭდილება და პირადი დამოკიდებულება გამოვხატო. ჩემი აზრით, უმთავრესი მაინც ისაა, რომ ანა ახმატოვა თვითნაბადი ტალანტია, რომელიც რუსულ ნიადაგზე აღმოცენდა და რომლის წყაროა ჯერ დერჟავინი და ნეკრასოვი, შემდეგ კი მთელი პლეადა რუსული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლებისა. ესაა მდიდარი რუსული ხალხური ენა, ესაა რუსული სინამდვილე და მისი გამოხატვის კლასიკური ტრადიცია, XIX საუკუნეში რომ შეიქმნა. ანა ახმატოვას ლირიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია უაღრესი ლაკონიზმი, კონკრეტულობა, ფილიგრანული ფრაზა, სიმართლე და სისადავე. ყოველივე ეს ის თვისებებია, რომლებიც თან ახლავს ყოველ ქვეშარიტ პოეზიას. ამ თვისებების გამოისობითაცაა, რომ ანა ახმატოვას ლექსები ძნელად სათარგმნია. ერთი შეხედვით, ეს ასე არ უნდა იყოს, მაგრამ როცა რიგი პრაქტიკულ საქმეზე



მიდგება, თავს იჩენს უდიდესი სიროულე. ერთი სიტყვით, ანა ახმატოვა ძნელად სათარგმნელ პოეტების რიცხვშია. ამ ნიშნით იგი ქართულ პოეზიაში გალაკტიონს ენათესავება. 1965 წელს გამოიცა „დროთა სრბოლა“ („Вет времени“), რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა მისი ავტორის სიცოცხლეში გამოსულ ნიგნებს შორის. ასაკთან ერთად იქნებ რაღაც წინათგრძნობაც კარნახობდა, რომ რჩეულის სახით წარედგინა იგი მკითხველისათვის. ამ ნიგნით პოეტმა თითქოს შეაჯამა კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების რთული გზა. ამ ფაქტს იმიტომაც მივუძღვით განსაკუთრებული ყურადღება, რომ თავის დროზე ახალგაზრდა ანა ახმატოვა ერთ-ერთ ლექსში წერდა:

**„მე მხოლოდ ვთესავ, მოსავალს,  
სხვა თუ აიღებს, მერე რა!“**

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ანა ახმატოვამ ცხოვრების დიდ და რთულ გზაზე ძალიან ბევრი დათესა და ბარაქიანი მოსავალიც მოიშვა.

ანა ახმატოვას საოცარ პოეტურ სახეებს შორის არის ერთი მოულოდნელი სინტაგმა – „სიკვდილის კოცნა“. მე იგი ჩემი წერილის სათაურად გამოვიტანე. არ შემიძლია ზუსტად წარმოვიდგინო რამ შთააგონა 1911 წელს დაწერა ოცდაორი წლის გოგონას სიკვდილი მოვა საკოცნელად („Смерть придёт поцеловать“). პირადად მე შემძრა ამ სახემ. სამწუხაროდ, დედამინის ზურგზე კაცთა მოდგმიდან არავინ იცის რას განვიცდით იმ წამებში, როცა სიკვდილი მოდის საკოცნელად.

ანა ახმატოვას პოეზიის სახეთა სისტემა ათწლეულების მანძილზე იხვეწებოდა და ივსებოდა, მაგრამ მისი ბოლოდროინდელი ფილოსოფიური ლექსების გამიჯვნა ადრინდელი ან

სხვა პერიოდის მისივე ლირიკულ შედეგებისაგან არ შეიძლება მიუხედავად იმისა, რომ ჭარბად გვხვდება საპირისპირო ასპექტებიც; თუ 1911 წელს შეგვახსენა სიკვდილი მოვა საკოცნელად, „უგმირო პოემაში“ გვითხრა, რომ სიკვდილი არ არისო.

ანა ახმატოვა პირველი ლექსებიდან მოკიდებული ბოლომდე ერთგული დარჩა მცირე ლირიკული კომპოზიციისა. მის პოეტურ ლექსიკაში ფიგურირებს სიტყვა მზე. როცა მზიან სტრიქონებს ვკითხულობთ, ასე მგონია, იგი მათი ავტორის სულიდან ამოდის. ეს კი ოსტატობას ნიშნავს, ხოლო ოსტატობა პოეზიაში თვითგვემის სინონიმიცაა. „ჩვენ პოეტები, – ამბობდა იგი – შიშველი ხალხი ვართ, ყველაფერი გვიჩანს, ამიტომ უნდა ვზრუნავდეთ, რომ სასირცხოვდ არ გამოვიყურებოდეთ“.

მაშინაც კი, როცა მამაცობასა და რაინდობაზე წერდა, ანა ახმატოვა უპირველესად ქალი იყო, რუსი ქალი, მთელი კაცთმოყვარეობითა და მაშინაც, როცა თავისი ტანჯული ცხოვრების ტრაგიზმს განუშეორებელი პოეტური სახეებით გვისურათებდა.

ანა ახმატოვა ამაყი სულის პატრონი იყო და ცხოვრების გზაზე ასევე ამაყად ატარა მძიმე ჯვარი, უსასო ტრაგიზმით აღესილ დღეებს უკიდურესი ხელმოკლეობაც ახლდა, მაგრამ იგი ყოველთვის ანა ახმატოვად დარჩა, – განათებული, ამაღლებული და განშორებული ამ ქვეყნიურ კეთილდღეობას.

მახსოვს, 70-იანი წლების მოსკოვი, ლიტერატორთა ცენტრალური სახლი, მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, სადაც ხელიდან ხელში გადადიოდა და არაჩვეულებრივი ინტერესით იკითხებოდა ანა ახმატოვას გამოუქვეყნებელი ლექსების

ციკლი („ეფოემჩინა“). ეფიქრობ, თანამედროვე ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესში ისინი უთუოდ გამოქვეყნდება. ამით დიდ პატივს მივაგებთ პოეტის სახელს და კიდევ ერთ ლახვარს ჩავსცემთ ძალმომრეობის უხემ მანქანას, ჩვენს ხელისუფლებას თან რომ ახლდა გავლილი 70 წლის მანძილზე.

აგერ უკვე მეოთხედი საუკუნე მიინურა, რაც ნავიდა ჩვენგან დედოფლის გვირგვინისა და ამქვეყნიური დიდების ღირსი, რუსული პოეზიის დედოფალი. იგი ლენინგრადთან ახლოს დაბა კომაროვოში განისვენებს. სა-

საფლაოს ფიჭვებზე მტკვანა-შისავს. 1977 წლის ზაფხულში, მარტაშვილი თეთრი ღამეების კვირახალზე პირველად ვნახე მისი საფლავი. უცნაური დამთხვევაა. 23 ივნისი იყო – პოეტის დაბადების დღე. ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. საფლავზე ყვავილების მთა აღიმართა, რომელშიც ჩემი 11 მიხაკიც ერია. პირველი ლექსი ხომ 11 წლისამ დანერა... ჩემი მიხაკებიც პირველი ლექსის სამახსოვრო იყო. მისი უკანასკნელი ლექსი დაუნერელი დარჩა, რადგან 77 წლის ანა ახმატოვას კი არა, რუსული პოეზიის დედოფალს სიკვდილმა მოულოდნელად აკოცა.

1989 წ.





ირაკლი აბაშიძე

**განუწყვებელი 55...\***

55 წელი...

ამ რიცხვს ციფრებით ვწერ. მეჩვენება, რომ აქ ასე სჯობს. ერთად ეს ორი ხუთიანი ისევე ლამაზია, როგორც მისი შინაარსი, რასაც იგი დღეს მე და შენ მოგვაგონებს: - ორმოცდათხუთმეტი წლის ჩვენს ძმობას; ორი ქართველი კაცის გრძელ, ერთი დღითაც განუწყვეტელ, ერთი დღითაც მოუბეზრებელ, ერთი დღითაც გაუზარავე მეგობრობას, რაიც, ღვთის მაფლით, კვლავაც გრძელდება.

და აი, ამ განუწყვებელი ორმოცდათხუთმეტი წლისთავეზე სულით და გულით გილოცავ, საყვარელო ძმაო, შენს ღირსეულ დღეობას, სამოცდაათი წლის სახელოვან იუბილეს.

საბედნიეროდ, არა მარტო ხსოვნამ, რაიც ამ ბოლო ხანებში, ვატყობ, ცოტა მლაღატობს, არამედ ჩემმა არქივმაც საკმაოდ ბლომად შემომინახა ჩვენი ამ გრძელი ძმობის ცოცხალი საბუთები, რაც მთავარია, ფოტოდოკუმენტები (შენი ძველი წერილებიც ბლომად მაქვს, განსაკუთრებით ლენინგრადში შენი განსწავლის პერიოდიდან. როცა მოგესურვოს, ფოტოპირებს მოგართმევ). მათ შორის, ყველაზე ძველთაგან ეს სურათი უფრო ყოჩაღად გამოიყურება და მას ამ წერილთან ერთად ვაახლებ ჩვენი გაზე-

თის რედაქციას. ცოტაოდენი რეტუსი, როგორც კუნთებში ჭაბუკური სისხლის შეშხაპუნება, და შეიძლება იგი დასაბეჭდადაც გამოდგეს.

ეს ფოტოსურათი 1928 წლის 12 აგვისტოს თარიღითაა შემორჩენილი ჩემს არქივში. გადაღებულია აგარაკ ტბაზე, ნალვერთან, სადაც მე იმ წელს უმძიმესი ავადმყოფობის შემდეგ სულს ახლად ვიბრუნებდი (12 აგვისტოს საზამთრო პალატოში. გახსოვს? „საზამთრო პალატო ძველ ფოლაქებით „დეზერტირკაზე“ ვიყიდე ერთხელ“... მე კი „ამერიკულ ბაზარში“ ვიყიდე, პუშკინის ქუჩაზე). და აი, გავიდა მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი. მე და შენი ცხოვრება, მთელ ამ გრძელ გზაზე, ღია ბარათებს, ღია წერილებს ჰგავდა; ღმერთმა შეარგოთ და მოახმაროთ, - ყველა თავისუფლად კითხულობდა, ვისაც ამის დრო და მოცალეობა ჰქონდა;

ეს ჩვენს არა მარტო შემოქმედებას შეეხებოდა და შეეხება, არამედ მთელ ჩვენს პირად ცხოვრებასაც. მით უფრო, ჩვენ თავად, ერთმანეთის არც ერთი ნაბიჯი და ნაფიქრი არ გამოგვრჩენია; ერთმანეთის სტრიქონიც კი არ გაგვიშვია ჩვენი ყურადღებისა და ზუსტი აღრიცხვის გარეშე და, ყოველივე ამის მიუხედავად, როცა დღეს,

\* წერილის ადრესატი ცნობილი ენათმეცნიერი შოთა ძიძიგური.

ამ შენი იუბილის დღეებში, შენს ნალვანსა და ნაშრომს ერთად გადავხედავ, ალტაცებით ვამბობ: ვაჟა, შენს ნიჭსა და ენერჯიას. შენ ჭეშმარიტად დიდი ამბავი დასდე ჩვენს ქართველოლოგიურ მეცნიერებას; ჩვენს ქართულ ენას, ქართულ დიალექტოლოგიას, ქართულ ფოლკლორს, ქართულ-ბასკურ ენათა ურთიერთობის შესწავლის საშვილიშვილო საქმეს, ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ენობრივი სამყაროს კვლევას, სადაც შენი შრომები შოთა რუსთაველის, საბა-სულხანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას და მრავალ სხვა გამოჩენილ შემოქმედთა ენის პრობლემებზე სამაგიდო ნიგნებადაა ქცეული ქართული ენის მოყვარეთა და ლიტერატურის ყველა მოყვარულთათვის, ისევე, როგორც ამ საქმის სპეციალისტებისათვის.

მე ხომ ვიცი, რომ შენ მწერალთა ენის მეცნიერულად შესწავლის საქმესთან ქართული ლიტერატურის, ქართული პოეზიის უსაზღვრო სიყვარულმა მიგიყვანა. შენ ერთი დღითაც არ გიცხოვრია ქართული მწერლობის, ჩვენი პოეზიის გარეშე. ამ სიყვარულმა ყმანელიკაცობიდანვე უმჭიდროესი პირადი შეგობრობით დაგაკავშირა შენ თანამედროვე ქართველ მწერლებთან. ჩვენც ყოველთვის უსაზღვროდ გვიყვარდი და ცოცხლებს კვლავაც უსაზღვროდ გვეყვარები.

მაგრამ მე დღეს ყველას გასაგონად, ქართველი კაცის განსაკუთრებული მადლობა მინდა გითხრა შენი, ახლა უკვე მრავალ ქვეყანაში სახელმძღვანელო ნიგნისთვის „ქართული

ენა“. რომ არსებობდეს ასეთი გამოთქმა: „მეცნიერული პატრიოტიზმი“, მე მას სწორედ აქ ვიხმარდი; ქართველოლოგიურმა მეცნიერებამ ამ ნიგნით დღეს შეასრულა თავისი დიდი მოვალეობა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის და, ბაზგასმით ვიტყვი, თვით მეცნიერების წინაშეც. ქართულ ენას, რუსთაველის ენას, იბერის ენას, ენას თამარის მთელი კულტურული მსოფლიო უნდა იცნობდეს... და ხედავ, თურმე, ეს კულტურული მსოფლიოც როგორ დაუყოვნებლივ დაინტერესდა ამ ენით? ხედავ, თურმე, ეს კულტურული მსოფლიოც როგორ საჭიროებდა ჩვენი ენის გაცნობას! რამდენ ენაზეა უკვე დღეს თარგმნილი შენი ნიგნი? ეს ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეა. როცა ჩვენ, წლების მანძილზე, წლებზე ფეხს ვიდგამთ, რათა ჩვენი ძველი და მდიდარი კულტურა, ჩვენი ძველი და მდიდარი ლიტერატურა მთელ მსოფლიოს გაეაცნოთ, – მსოფლიომ ჯერ პირველ ყოვლისა, უნდა იცოდეს, რა ენაზე ვლაპარაკობთ ჩვენ, რა ენაზე ვწერდით და ვწერთ ჩვენ, ქართველები, ჩვენს ნიგნებს, ჩვენს ისტორიას თხუთმეტი საუკუნის გრძელ მანძილზე. მგონი, ეს საქმე ცოტა ადრეც უნდა გაკეთებულიყო.

ენა ერის მთელი ცხოვრების, მისი წარსულის, მისი აწმყოსა და მომავლის პირველი სახელმწიფო დროშაა.

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და ერთ კარგ მადლობასაც გეტყვი, ჩემო საყვარელო ძმაო, შენი ღვანლისათვის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ენობრივი გამართვის საქმეში.

მიილე ჩემო ძვირფასო შოთა, დღეს ჩემგან ეს ერთი ღია წერილიც.

## ნარბართული სამება

(პლოტინის ფილოსოფიის ესკიზი)

პლოტინის (205–270) მოძღვრების – მსოფლიო ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი უდიდესი და ურთულესი მეტაფიზიკური სისტემის მოქცევა მცირე მოცულობის სტატიაში ისევე შეუძლებელია, როგორც მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილი ცის თაღისა – პლანეტარიუმში. და მაინც, ჩვენი მცდელობა გამართლებული იქნება, თუ შევძლებთ მკითხველისათვის იმდენად გასაგები მაინც გავხადოთ პლოტინიზმის ზოგიერთი არსებითი ასპექტი, რამდენადაც პლანეტარიუმში გვებმარება იმაში, რომ შეძლებისდაგვარად ჩავენდეთ ზეციური სამყაროს გამოგნებლად რთულ სტრუქტურას.

პლოტინის ფილოსოფიის ქვაკუთხედა მოძღვრება სამყაროული ცნობიერებისა და ყოფიერების პირველსაწყისთა (ἀρχαί) შესახებ. ეს საწყისებია: აბსოლუტური ერთი, იგივე უზენაესი სიკეთე, ანუ ღმერთი; კოსმიური გონება; სამყაროს სული. პლოტინისეული ტრიადა, ქრისტიანიზმის „წმიდა სამებას“ რომ მოგვაგონებს (მამა, ძე, სული წმიდა), პლატონის მოძღვრებისაგან იღებს დასაბამს: ჩვენ ვგულისხმობთ „ფილებოსის“ მეტაფიზიკურ კონცეფციას სამყაროული ყოფიერების განმსაზღვრელ სამი ძირითადი პიპოსტასისა თუ სუბს-

ტანციის შესახებ, რომელთა რაობაც, მართალია, ფრამენტულად და არასისტემატურად, მაგრამ მაინც მკაფიოდ იკვეთება ბერძენი ფილოსოფოსის ამ ერთ-ერთ შედეგში. უნინარეს ყოვლისა, ესაა აბსოლუტური და თვითიდეტური „ერთი“, ანუ „უზენაესი სიკეთე“, რომლის თვითმკმარი ბუნება ყოველგვარი არსის ბუნებაზე უმაღლესია, არსისა, გამუდმებით რომ ისწრაფის სიკეთისაკენ, მაგრამ წვდომით კი ვერასოდეს ვერ სწვდება მას („ფილებოსი“, 15–16; 19–20; 25; 60–61; 64–65). შემდეგი სუბსტანცია, რომელიც ანესრიგებს და წარმართავს სამყაროულ პროცესს, „ფილებოსში“ „ზეცისა და მიწის მეუფედ“ – კოსმიურ თუ ზეკოსმიურ „გონებადაა“ სახელდებული. გონება თავისი შინაგანი კანონებისა თუ იდეების მიხედვით ქმნის მთელ სამყაროს და, ამრიგად, დემიურგოსულ პრინციპად გვევლინება („ფილებოსი“, 28–30). და ბოლოს, „ფილებოსი“ გაკვრით მიგვანიშნებს მესამე სუბსტანციაზე: ეს გახლავთ „სამყაროს სული“ („ფილებოსი“, 30), რომელსაც საბოლოოდ აფუძნებს და პლატონიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტად აქცევს „ტიმოუსი“.

აბსოლუტურ ერთს, ანუ უზენაეს სიკეთეს, დროისა და სივრცის მიღმურ

ამ პირველსაწყისს, პლოტინი ზუსტად იმ სიტყვებით ახასიათებს, სამყაროს გონებაშიუნვდომელ იდუმალებაში დაფარული ღმერთის ატრიბუტებად რომ იყენებს ჩვენი უდიდესი ნაციონალური პოეტი: „უცნაური და უთქმელი“ (ἀφανής και ἀκυστός). ესაა ყოველგვარი თვისობრივი განსაზღვრულობისაგან განძარცული, არსსა და აზრზე მაღლა მდგომი, მეტანოეტური და მეტაონტოლოგიური პირველსაწყისი. მას ვერ მივანერთ ვერავითარ პრედიკატს, იმასაც კი ვერ ვიტყვი, რომ ის აზროვნებს, ანდა არსებობს. მისი არსებობის აღიარება უმაღლესი გონებისა თუ ცნობიერების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება: მატერიალური თუ იდეალური სამყაროს მთელი სირთულისა და განწინდულობის, მათი სიჭრელისა და მრავალსახეობის მიღმა გონება ყოველთვის ეძებს აბსოლუტურად მარტივსა და განუწინდელ, თვითმკმარსა და თვითიდეენტურ პრინციპს. ესაა თითქოს პირველი რგოლი, რომელზედაც ჰკიდია სამყაროული არსებობის, კოსმიური სიცოცხლის ვეება ჯაჭვი, თუმცა ამ პრინციპშინდად მეტაფიზიკურ საწყისს სამყაროსთან შეხების ერთი ნერტილიც არ გააჩნია. ის არც უზენაესი გონებაა და არც უსრულქმნილესი ნება, არც სიკეთე და მშვენიერება, არამედ ყოველგვარ გონიერებასა თუ ნებელობაზე, ყოველგვარ სიკეთესა თუ მშვენიერებაზე უმაღლესია.

„არ არსებობს მისთვის – ამბობს პლატონი „პარმენიდში“, – არც სახელი, არც სიტყვა; არც ცოდნა მისი, არც გრძნობადი აღქმა მისი, არც წარმოდგენა მასზე“. ხოლო ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ვისი მოძღვრებაც, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ქრისტიანიზირებული ნეოპლატონიზმი, წერს: „...ღმერთი არც სულია, არც გონება; არც წარმოსახვა აქვს, არც

წარმოდგენა, არც სიტყვა, არც აზროვნება; არც სიტყვა, არც აზროვნება; არც ითქმის, არც გონებით მიიწვედომება; არც რიცხვია, არც წესრიგი, არც სიდიდე, არც სიმცირე, არც სწორობა, არც უსწორობა, არც მსგავსება, არც არამსგავსება; არც დგას, არც იძვრის, არც მოსვენებულია; არც ძალაა, არც ძალა აქვს, არც სინათლე; არც ცოცხლობს, არც სიცოცხლეა; არც არსია, არც მარადისობა, არც დრო, არც გონით სანედომი; არც ცოდნა, არც ჭეშმარიტება; არც მეუფება, არც სიბრძნე; არც ერთი, არც ერთობა; არც ღვთაება, არც სიკეთე; არც სულია, როგორც ჩვენ გვესმის; არც ძეობა, არც მამობა, არც სხვა ამგვარი; არც ჩვენთვის, არც სხვა არსთათვის შესაცნობი; არც არაარსთაგანია, არც არსთაგანი; არც არსნი იცნობენ, როგორია იგი, არც თვითონ იცის, როგორნი არიან არსნი; არ არის მისთვის არც სიტყვა, არც სახელი, არც ცოდნა; არც სიბნელება, არც სინათლე; არც მცთარობა, არც ჭეშმარიტება; ვერც ვერაფერს მიუღმატებთ, ვერც გამოვაკლებთ, არამედ მის მომდევნოთ თუ მივანერთ მატებასა და კლებას, თვითონ კი ვერც რას ვუმატებთ და ვერც რას ვაკლებთ, ვინაიდან ყოველგვარ მატებაზე უსრულქმნილესია, ყოვლის ერთადერთი მიზეზი, ყოველგვარ კლებაზე უზენაესი, ყოვლისგან სრულიად განყენებული და ყოვლისმიღმური“ („საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისთვის“).

საკუთარ სრულქმნილებაში ჩაკეტილი „ერთი“ (Τὸ ἓν), ან, თუ გნებავთ, „ღმერთი“, რომელიც ბევრი რამით მოგვაგონებს ელველთა სკოლის თავკაცის – პარმენიდეს „ერთარსს“, თავისი აბსოლუტური სისავსისაგან ბადებს კოსმიურ გონებას (νοῦς). მაგრამ როგორ იქცევა ეს „ყოვლისაგან სრულიად განყენებული და ყოვლისმიღ-



მური“ საწყისი იდეალური სინამდვილის, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით – რეალური, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს, მათი გამაოგნებელი მრავალსახეობისა თუ მრავალფეროვნების მიზეზად? უზენაესი სიკეთე ისე „გაცაცემს“ საკუთარ თავს, რომ თვითონ აბსოლუტურად უცვლელი რჩება. თუ პლატონი „ერთის“ ლოგიკური დიფერენცირების გზით გადადის იდეალურ სიმრავლეზე („სოფისტი“, „პარმენიდე“, „ტიმეოსი“), სამყაროული გონების შინა-არსად რომ გვევლინება, მისი სულიერი მემკვიდრე – პლოტინი ცდილობს შთამბეჭდავი პოეტური მეტაფორებით უშუალოდ გვაგრძნობინოს გონების გენეზისი: უზენაესი „ერთის“ ზღვრული სისავსე და სრულქმნილება თითქოს ვერ თავსდება თავის „ფარგლებში“ და თავისი თავიდან გადმოედინება, მაგრამ ისე კი, რომ მის სავსებას არა აკლდება რა ამით. ასე მზე ასხივებს სამყაროში სითბოს და სინათლეს, ასე ყვავილი აფრქვევს სურნელებას („ენნეადა“ V, 1, 6)\*.

„ერთი“ არსისა და აზრის მიღმურია, ასე რომ, არც არსია და არც აზრი, მაშინ როდესაც „ერთისაგან“ შობილი კოსმიური გონება არსიცაა და აზრიც. არსებობისა და აზროვნების ეს დასაბამიერი დუალიზმი გონების უპირველესი ნიშანია: თავისი მშობლის მიმართ მიქცეული, ის – არსია, თავისი თავის ჭკრეტად მიქცეული კი – ნმინდა აზრი: „ერთია ყველაფერი და არაფერი, – ამბობს პლოტინი, – ის ყველაფრის სათავეა და არა ყველაფერი, მაგრამ ყველაფერი არის ერთი. რადგან, გარკვეული აზრით, ყველა-

ფერი მას უბრუნდებაც, უფრო ზუსტად, ერთის დონეზე ყველაფერი უბრუნდება არ არის, არამედ უნდა იქნეს. კი მაგრამ, როგორ იქმნება ყველაფერი მარტივი ერთისაგან, რომლის თვითი-გივეობაც არავითარ განსხვავებას, არავითარ გაორებას არ ავლენს? სწორედ იმიტომ, რომ მასში არაფერია, მისგან წარმოსდგება ყველაფერი; სწორედ იმიტომ, რომ არსი იქნეს, ის არსი კი არ არის, არამედ – არსის მშობელი; და ესაა თითქოს პირველი დაბადება. ერთი სრულქმნილია, რადგან არც რას მიელტვის, არც რასა ფლობს, არც რა სჭირდება; როგორც სრულქმნილი, თავისი თავიდან გადმოიღვრება და თავისი ზესისავსისგან შობს განსხვავებულს; შობილი მიიქცევა მის მიმართ, მისით ივსება და, თავისი თავის მჭვრეტელი, გონებად იქცევა. მისი უძრავად დგომა ერთის მიმართ ქმნის არსს, ხოლო მისი თვითჭვრეტა – გონებას. ამრიგად, როცა თვითჭვრეტად დგას, ის, ერთდროულად, გონებაც ხდება და არსიც“ („ენნეადა“ V, 1, 1).

ზემოთ ჩვენ ხაზი გავუსვით გონების ორადობას, აზროვნებისა და არსებობის ერთგვარ დუალიზმს. მაგრამ ეს დუალიზმი ნომინალური უფროა, ვიდრე რეალური. გონების არსი აზროვნებისა და არსებობის ერთიანობაა, ან, უფრო ზუსტად, მათი იგივეობა. ტყუილად როდი მოსწონს პლოტინს პარმენიდეს ფორმულა: „ერთი და იგივეა აზრი და არსი“ („ენნეადა“ V, IX, 5). უზენაესი სიკეთისაკენ მიდრეკისა და თითქოს გარინდებით „დგომის“ (στασις) წყალობით, გონება თავის თავს ამკვიდრებს, როგორც

\* „ენნეადა“ „ცხრელს“ ნიშნავს ბერძნულად. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ენნეადაში ცხრა ტრაქტატი შედის. პლოტინის მოწაფის პორფირიოსის მიერ შედგენილი მასწავლებლის თხზულებათა სრული კრებული ექვს ენნეადას, ე. ი. 54 ტრაქტატს ითვლის.



არსს, მეორეს მხრივ კი, თვითჭვრეტად მიტყუული, ის სხვა არა არის რა, თუ არა წმინდა აზრი, ვინაიდან გონების მთელი სიცოცხლე, მისი არსებობა, მარად უშრეტო ქმედითობით (ἐσφραγισα) განისაზღვრება („ენნეადა“ V, III, 5). გონების ქმედითობა კი ესაა ჭვრეტა თუ აზროვნება, რომლის ერთადერთი საგანიც შეიძლება იყოს მხოლოდ გონება, რაკილა არსებობის ამ დონეზე საერთოდ არაფერია, გონების გარდა. ამიტომ „გონების არსებობა არის აზროვნების აზროვნება“ (ισοτης ισοθεας), – როგორც ამტკიცებს არისტოტელე („მეტაფიზიკა“, XI, 9, 1074). უფრო გვიან პროკლე დიადოხოსი იტყვის: „გონება მხოლოდ თავის თავს იაზრებს“ – „ἐαυτὸν ἰσθεῖταις ἰσθεῖταις“ („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, 167). მოაზროვნე გონება და მისი აზროვნების საგანი აქ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. აზროვნება თვით აზროვნების პროცესშივე ქმნის თავის საგანს, ხოლო ეს უკანასკნელი მისი კორელატური აზროვნების პრინციპად თუ საფუძვლად გვევლინება, ასე რომ, გონების მთელი სამყარო, ერთსა და იმავე დროს, აზროვნების სუბიექტიცაა და ობიექტიც, ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „მეცნაურიც“ და „საცნაურიც“. პროკლე, თავის მხრივ, პლოტინს ეყრდნობა, რომელიც ყველაზე სრულად და ამომწურავად განგვიმარტავს გონების თვითჭვრეტისა თუ შემეცნების, ანუ წმინდა აზროვნების სპეციფიკურ არსს:

„...კი მაგრამ, გონება თავისი ერთი ნაწილით ჭვრეტს მეორე ნაწილს? მაშინ ცალ-ცალკე გვექნება მჭვრეტელი და ჭვრეტის საგანი; ეს კი აღარ არის

თვითჭვრეტა. – მაგრამ თუ მისი ნაწილები სავსებით ერთგვაროვანია, ასე რომ, ნაწილი, რომელიც ჭვრეტს, არაფრით არ განსხვავდება მეორე ნაწილისაგან, რომელიც ჭვრეტის საგნად გვევლინება? მაშინ იმ ნაწილის ჭვრეტისას, რომელიც იგივეა, რაც თვითონ, ის თავის თავსვე ჭვრეტს, რადგან მჭვრეტელი არაფრით არ განსხვავდება თავისი ჭვრეტის საგნისაგან. – ჯერ ერთი, უაზრობაა მისი ასე დანაწევრება. კი მაგრამ, როგორ დანაწევრდება იგი? ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც მოგვეპირიანება. ანდა ვინ დაანაწევრებს? ნაწილი, რომელიც ჭვრეტს, თუ ნაწილი, რომელიც ჭვრეტის საგნად გვევლინება? ეგაც არ იყოს, როგორ შეიცნობს მჭვრეტელი თავის თავს ჭვრეტის საგანში, რაკილა თავი თვითონვე დასაზა მჭვრეტელად? რადგან ჭვრეტა ჭვრეტის საგანში როდია. ან იქნებ, თუკი შეიცნობს, მჭვრეტელად კი არა, ჭვრეტის საგნად შეიცნობს თავს? ასე რომ, მთლიანად როდი შეიცნობს. რასაც ის ხედავს, ჭვრეტის საგანია და არა მჭვრეტელი. მაშასადამე, სხვაა და არა თვითონ. ან არადა, იქნებ თვითონვე უმატებს მჭვრეტელს, რათა მთლიანად შეიცნოს თავისი თავი? მაგრამ თუ ის თავის თავს აღიქვამს როგორც მჭვრეტელს, იმავდროულად აღიქვამს ჭვრეტის საგანთაც.\* რაკი ყველაფერი, რასაც ჭვრეტით აღიქვამს, ჭვრეტაშივე ეძლევა მას, ამიტომ ორში ერთია: ან ყოველივე ეს მხოლოდ ჭვრეტის საგანთა ანაბეჭდებია და გონება არა ფლობს მათ, ან, პირიქით, ფლობით კი ფლობს, მაგრამ თავისი განწილულობის გამო არ შეუძლია მათი აღქმა; ისინი გონების, როგორც მჭვრე-

\* როგორც „ჭვრეტის საგანთა“, ისე ქვემოთ „არსთა“ სახით პლოტინი გულისხმობს გონების ქმედითობის ნაყოფის – იდეების სიმრავლეს და ერთობლიობას.



ტელისა და მფლობელის ყოველგვარ განნიღულობამდეც იქ იყვნენ. თუ ასეა, მაშინ ჭვრეტა იგივე უნდა იყოს, რაც ჭვრეტის საგანი,\* გონება კი იგივე, რაც გონით სანედომი. არადა, მიუღწეველი დარჩება ჭეშმარიტება. არსთა ნაცვლად მას ექნება მხოლოდ მათი ანაბეჭდი, რომელიც განსხვავდება არსთაგან და არ არის ჭეშმარიტება. რადგანაც ჭეშმარიტება არ უნდა იყოს გონებისაგან განსხვავებული საგნის ცოდნა; რასაც ის გვაუწყებს, უნდა იყოს არსი. ერთი და იგივეა გონებაც, გონით სანედომიც და არსიც; და ესაა პირველი არსი; ესაა პირველი გონებაც, რომელიც ფლობს არსთ, ან ზუსტად იგივეა, რაც არსნი" („ენნეადა", V, III, 5).

ამრიგად, გონების თვითჭვრეტა უკვე არსია, ხოლო არსი – ქმედითი თვითჭვრეტა. კოსმიური გონება სხვა არა არის რა, თუ არა აზრისა და არსის სრული ერთობა (მატერიალური სინამდვილისა რა მოგახსენოთ და კოსმიური გონებისათვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი იქნებოდა დეკარტის სახელგანთქმული ფორმულა – Cogito, ergo sum – „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ", ისევე, როგორც მისი ინვერსიული ვარიანტი – Sum, ergo cogito – „ვარსებობ, მაშასადამე, ვაზროვნებ"). მაგრამ არსი ან თვითონვე აზროვნებს, ან აზროვნების საგნად გვევლინება. გონების აზროვნება აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ამიტომ აზროვნების საგანი არ შეიძლება განსხვავდებოდეს საკუთრივ მოაზროვნე გონებისაგან, ვინაიდან აბსოლუტური ჭეშმარიტება ნიშნუვლია მხოლოდ აზროვნების იმ სუბიექ-

ტისთვის, რომელიც ჭეშმარიტად ფლობს თავის ობიექტს. ამიტომაც შეუძლებელია, რომ ეს უკანასკნელი მოაზროვნე გონების მიმართ რაღაც გარეშე, რაღაც გარეგნული იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გონება თავისი ობიექტის მფლობელი კი არ იქნება, არამედ მხოლოდ მისი ერთგვარი ანაბეჭდისა, ასე რომ ჭეშმარიტება მიუწვდომელი დარჩება მისთვის. აქედან გამომდინარე, გონება არის აზროვნება, რომელიც თავის თავსევე იაზრებს. როგორც მოაზროვნე, ის გონებაა, როგორც აზროვნების საგანი – არსი.

კოსმიური გონება წმინდა ქმედითობაა (ἐκείνη), წმინდა აქტუალობა, პოტენციურობის (ἐναυμας) ყოველგვარი მინარევის გარეშე. მასში შეუძლებელია ნამდვილისა და შესაძლებლის გარჩევა-განსხვავება. გონებაში ყველაფერი ნამდვილია და რეალური, როგორც მისი ქმედითობის ნაყოფი. გონების ქმედითობა კი აზროვნებაა, მაგრამ ეს არაა მამძიებელი აზრი, ლოგიკური თანმიმდევრობით რომ გადადის ერთი მსჯელობიდან მეორეზე და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ. არა, ესაა მშვიდი, უცვლელი, ჭვრეტაში დანთქმული, თვითმფლობელი და თვითმქმარი აზრი. „გონება აზროვნებს" იგივეა, რაც „გონება ქმნის". მაგრამ რასა ქმნის იგი? ამ ქმედითი აზრის ნაყოფია მთელი ინტელიგიბილური სინამდვილე, გონით სანედომი მთელი სამყარო. თავისი არსებობისა და აზროვნების პირველსაწყისის – აბსოლუტური ერთის მსგავსად, გონებაც მხოლოდ ერთია, მაგრამ თუ ერთი პირწმინდად გამორიცხავს ყოველგვარ სიმრავლეს, გონება, პირიქით,

\* ფიზიკური სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც მხედველი თვალის სხვაა, ხედვაცა და ხედვის საგანიც, გონების იდეალურ სინამდვილეში მჭვრეტელი, ჭვრეტა და ჭვრეტის საგანი მთლიანად ერთხვევიან ერთმანეთს.

გულისხმობს მას. ყოვლისმომცველი გონება, იმავდროულად, ყოვლის შემოქმედია და ყოვლადი არის: „...ის თავისით ბადებს ყველა არსს, იდეათა მთელ მშვენიერებას, გონით საწვდომ ყველა ღვთაებას“ („ენნეადა“, V, 1, 7).

რანაირად ხორციელდება გონების შემოქმედებითი აზროვნება? პლოტინის მიხედვით, ესაა ზოგადიდან კერძოზე თანმიმდევრული გადასვლა. თავდაპირველად გონება ქმნის არსებობის უზოგადეს გვარებს, რომლებიც კატეგორიებად იწოდებიან პლატონის „სოფისტში“ და მის კვალდაკვალ – პლოტინის „ენნეადებშიც“. „აზროვნებისა“ და „არსებობის“ კატეგორიათა გარდა, რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ, გონებისათვის ნიშნულია აგრეთვე „იგივეობა“ და „სხვაობა“, „მოდრაობა და უძრაობა“. გონება, როგორც აზრი, ერთის მხრივ, იგივეა, რაც არსი, და, პირუკუ, გონება, როგორც არსი, სხვა არა არის რა, თუ არა აზრი. აქედან არსის და აზრის, არსებობისა და აზროვნების იგივეობა. მაგრამ, მეორეს მხრივ, გონება ფორმალურად მაინც „გაორებულია“ აზრად და არსად, აზროვნების სუბიექტად და ობიექტად. აქედან – მათი „სხვაობა“. გარდა ამისა, გონების სპეციფიკური ნიშნებია „მოდრაობა“ და „უძრაობა“. მოძრაობა გონების შემოქმედებითი აზრის მარადიული აქტივობაა; ის განუყოფელია აზრის ქმედითობისაგან. მაგრამ უწყვეტსა და მარადიულ მოძრაობას რომ არასოდეს ენაცვლებოდეს უძრაობის მომენტი, ეს გამოიწვევდა მოძრავის არსისა და ბუნების შეცვლას; ასე რომ, უძრაობა გონების, როგორც არსის, თვითდამკვიდრებისა და თვითიგივეობის პრინციპად გვევლინება:

„გონება არის ყველაფერი. ის შოი-

ცავს ყველაფერს, რაც უძრავად დგას მასში; ის „მხოლოდ არის“ და არის მარად. ვერასოდეს ვერ ვიტყვით, რომ ის მყოფადიდან მოედინება, რადგან ის მაშინაც არის. ზუსტად ასევე, არასოდეს არ არის ნამყოშიც, რადგანაც მასში არაფერი არ ერთვის ნამყოს. აქ ყველაფერი მარადი ანმყოა, ყველაფერი ის არის, რაც არის, ყველაფერი ანმყოში ეტრფის ერთმანეთს. ყოველივე არსებული აქ გონებაა და არსი, ხოლო მათი ერთობლიობა ყოვლადი გონებაა და ყოვლადი არსი, რაკილა გონება თავისი აზროვნებით ამკვიდრებს არსს, ხოლო არსი, როგორც აზროვნების საგანი, აზრს და არსებობას ანიჭებს გონებას. მაგრამ აზროვნების მიზეზი სხვაა და იგივეა არსის მიზეზიც.\* როგორც ერთის, ისე მეორის მიზეზი განსხვავებულია ორივე მათგანისაგან. ორივენი ერთად არსებობენ და არასოდეს შორდებიან ერთიმეორეს. მაგრამ ასე, წყვილად, ისინი ქმნიან ერთარსს, რომელიც, ერთდროულად, გონებაცაა და არსიც, აზრიც და აზრის საგანიც. რადგანაც არ არსებობს აზრი სხვაობისა და იგივეობის გარეშე. მაშასადამე, პირველადია – გონება, არსი, სხვაობა და იგივეობა. ამათ უნდა დაეუმატოთ მოძრაობა და უძრაობა. მოძრაობა, რადგანაც არსებობს აზრი; უძრაობა, რათა აზრი იმადვე დარჩეს, რაც არის. სხვაობა აუცილებელია, რათა აზრი და აზრის საგანი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. გააუქმეთ სხვაობა და მიიღებთ განურჩეველსა და მდუმარე ერთს. სხვაობა აუცილებელია იმიტომაც, რომ აზრის ერთი საგანი განსხვავდებოდეს მეორისაგან, იგივეობა კი იმიტომ, რომ ისინი ერთნი არიან, და ყველაფერს რაღაც საერთო აქვს; ხოლო მათი განსხვავება არის სხვაობა. ამ სიმ-

\* იგულისხმება აბსოლუტური ერთი (თხ ლხ).

რავლიდან იბადება რიცხვი და ოდე-  
ნობა, ხოლო საკუთრივ თვითულის  
ნიშანი არის თვისება. აი, ამათვან, რო-  
გორც სანყისთავან, დასაბამს იღებს  
ყოველი" („ენნეადა“ V, I, 4).

ინტელიგიბილური სამყაროს შემ-  
დგოში დიფერენციაცია, პლოტინის  
მიხედვით, ე. წ. „სუბსტანციური რიც-  
ხვის“ (ὀντολόγος ἀριθμός) მეშვეობით  
ხორციელდება. რიცხვი ანანევრებს  
არსებობის უზოგადეს გვარებს ცალ-  
კეულ სახეთა და, საერთოდ, იდეალურ  
არსთა სიმრავლედ; გონების ერთობა  
და ერთადერთობა სწორედ რიცხვის  
მეშვეობით გადადის გონით სანვდომ  
არსთა სიმრავლეში. ტყულიად როდი  
უნოდებს პლოტინი გონებას „თვით-  
მოდრავ რიცხვს“ (ὄντες δὲ ἀριθμοὶ ἐν  
ἐσθῆτι κλισιῶμενος – „ენნეადა“ VI, VI, 9).  
გონით სანვდომი არსნი, ანუ იდეები  
თვითმეცნაური გონების აზრებია,  
რომელიც ამ შემთხვევაში კოსმიურ  
რეალობათა ჰარმონიული ერთობის  
სანყისად გვევლინება. „მაგრამ რა  
არის თვითონ იდეა? – კითხულობს  
პლოტინი, – გონება, ანუ გონიერული  
არსი; არცერთი იდეა არ განსხვავდე-  
ბა გონებისაგან; ის თვითონაა გონე-  
ბა. მთელი გონება – ესაა ყველა იდეის  
ერთობლიობა, ხოლო თვითულის იდეა  
არის თვითულის გონება: ისევე, რო-  
გორც მთელი მათემატიკური მეცნიე-  
რება სხვა არა არის რა, თუ არა თეო-  
რემათა ერთობლიობა, ხოლო თვითე-  
ული თეორემა მთელი მეცნიერების  
ნაწილია..., რადგან მთელის ერთობა-  
ში თავის საკუთარ თავისებურებას  
ინარჩუნებს. მაშასადამე, ის გონებაა  
თავისთავად, თვითმფლობელი, უძრა-  
ვი, მარადიული და თვითმკმარი“ („ენ-  
ნეადა“ V, IX, 8).

ერთი მრავალში და მრავალი ერთ-  
ში, ან კიდევ – მთელი ნაწილთა სიმ-  
რავლეში და ნაწილთა სიმრავლე  
მთელში, ასე ნარმოგვიდგება მოაზ-

როვნე გონებისა და მესხვერველ  
იდებების თანაფარდობა. მაგრამ ეს უწ-  
ვეულო თანაფარდობა გახლავთ. აქ  
მთელი თავისივე ნაწილის, ნაწილი კი  
მთელის ტოლფარდი და ტოლძალია,  
ზუსტად ისევე, როგორც უსასრულო  
სიმრავლეთა შემთხვევაში (უსასრუ-  
ლოა ნატურალურ რიცხვთა სიმრავ-  
ლე, მაგრამ სიმრავლე ლუნი რიცხვე-  
ბისა, რომლებიც ნატურალურ რიცხ-  
ვთა ნაწილს, კერძოდ, მათ ნახევარს  
შეადგენენ, ასევე უსასრულოა). ნუ გა-  
ვიკვირებთ: იდეალური სინამდვილე  
ის უცნაური სინამდვილეა, სადაც  
ხდება პარადოქსთა რეალიზება. „გო-  
ნება ერთია და გონება არის ყოველი;  
თვითულის არის ყველაფერი და ყვე-  
ლაფერი არის ერთში. ყველანი განსხ-  
ვავებიან თავიანთი ძალმოსილებით,  
მაგრამ ამ მრავალგვარი ძალმოსილე-  
ბითვე ყველანი ერთნი არიან; ან, უფ-  
რო ზუსტად, ერთია ყველა, რადგანაც  
ერთი არაფერს არ კარგავს, როცა ყვე-  
ლანი იბადებიან. ყველა ერთია და  
თვითულის ცალ-ცალკე უძრავად  
დგას ერთ განუყოფელ წერტილში,  
რადგანაც არავითარი გრძნობადი  
ფორმა არ გააჩნია; ასე რომ არა, ერ-  
თი აქ იქნებოდა, მეორე – იქ, და თვი-  
თულის თავისთავად არ იქნებოდა  
მთელი. ის არ შეიცავს ერთმანეთის-  
გან, ან თვით მისგანვე განსხვავებულ  
ნაწილებს... ეს მთლიანობა არის მთე-  
ლი მისი ძალმოსილება, რომელიც  
უსასრულობამდე განიფინება და მო-  
იცავს უსასრულობას. და ის იმდენად  
ღიადაა, რომ თვით მისი ნაწილებიც  
უსასრულონი არიან“ („ენნეადა“ V, VIII,  
9). მხოლოდ გენიოსს შეეძლო ასე ეაზ-  
როვნა სახელგანთქმული გერმანელი  
მათემატიკოსის გეორგ კანტორის დი-  
ად აღმოჩენამდე 17 საუკუნით ადრე...

მაგრამ გონება მარტოოდენ აბსტ-  
რაქტულ თანაფარდობათა თუ ჰიე-  
რარქიზირებულ ცნებათა სისტემა

როდია; ესაა არსის სისავსე და სიუხვე, აზრის აბსოლუტური სრულქმნილება, სადაც ყველაფერს განწონის ღვთაებრივი სინწინდის და სილამაზის უზრუნველი შუქი, კოსმიური სიცოცხლის ცხოველმყოფელი სუნთქვა. ესაა თითქოს ერთი თვისება, რომელიც მოიცავს და ინარჩუნებს ყველა დანარჩენი თვისებების ძალას; სიტკბო, რომელიც იმავდროულად არის სურნელი, სადაც ღვინის გემო და ფერი ერწყმის ყველა დანარჩენ გემოს და ფერს; ესაა ყველა თვისება, რასაც შეხებითა და სმენით აღვიქვამთ, ვინაიდან ესაა მთელი პარმონია და მთელი რიტმი („ენნეადა“ VI, VI, 12). „ყველაზე ჭეშმარიტი სიცოცხლე აზრისმიერი სიცოცხლეა... დასაბამიერი სიცოცხლე – ესაა დასაბამიერი აზრი... ჭერტაც და ჭერეტის საგანიც ორივე ცოცხალია და ორივე არის სიცოცხლე („ენნეადა“ III, VII, 8). პლოტინის პირველწყარო ამ შემთხვევაშიც პლატონის მოძღვრებაა, კერძოდ, „ტიმეოსის“ მეტაფიზიკური დოქტრინა, სადაც იდეები „ცოცხალ არსებებად“ (τὰ ζῶντα ζῶν) გვევლინებიან („ტიმეოსი“, 31 ა), ხოლო გონება სხვა არა არის რა, თუ არა „ყოვლად ცოცხალი არსი“ (παντέλεζ ζῶν – „ტიმეოსი“, 31 ბ), რომელსაც „თვითცოცხალსაც“ (αὐτοζῶν) უწოდებენ ნეოპლატონიკოსები. „ტიმეოსის“ კომენტარებში პროკლე დიადოხოსი იტყვის: „თვითცოცხალი სისავსეა გონით სანდომო არსთა სიმრავლისა“ (τὸ αὐτοζῶν πλῆθος ἐστὶ τὸν πλῆθους τῶν ζῶντων ζῶν. – Platon, Œuvres complètes, t. X, Timée. Critias, texte établi et traduit par A. Rivaud, Paris, 1925, p. 33).

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ: დროისა და სივრცის მიღებული იდეების ცხოვრება ისეთივე რეალური როდია, როგორც დროისა და სივრცის ტყვეობაში მოქცეული სინამდვილის

საგნებისა. ამიტომაც აუცილებელია კიდევ ერთი მეტაფიზიკური საწყისი, რომელიც ჭეშმარიტ სიცოცხლეს და რეალურ არსებობას მიანიჭებდა მათ. პლოტინის მიხედვით, ეს საწყისია სამყაროს სული (ψυχή. – „ენნეადა“ II, IX, 1), რომელიც ისევე იბადება გონებისაგან, როგორც ეს უკანასკნელი – ერთისაგან. აბსოლუტური ერთი, ანუ უზენაესი სიკეთე (ღმერთი) შეიძლება ცენტრს შევადაროთ, გონება – უძრავ წრეს, ხოლო სული, რომლის არსიც პირველი ორი საწყისის მიმართ მარადიული სწრაფვაა, მოძრავ წრედ იქნეს დასახული („ენნეადა“ IV, IV, 16). როდესაც კოსმიური გონების უწყვეტი ქმედითობა თვით გონების შიგნითაა მიმართული, ამის შედეგად იდეები იბადებიან, ხოლო როცა იგივე ქმედითობა გონების გარეთ მიიმართება, აქედან დასაბამს იღებს სული („ენნეადა“ VI, II, 22). სული გონების ხატებაა (εἰκᾶς), მისი „გამოვლენილი“, ე. ი. „წარმოქმნილი სიტყვა“ (ἀρχὴ ὁ ἐν ᾗ φησὶν. – „ენნეადა“ V, I, 3 ... თვით ეს ტერმინი პლატონის „ტიმეოსიდან“, 37 ც მომდინარეობს).

სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება განაპირობებს სულის ონტოლოგიურ სტატუსს. პლოტინის, ისევე, როგორც მისი სულიერი მოძღვრის – პლატონის მიხედვით, ყოველი მომდევნო მეტაფიზიკური საწყისი, ყოველი ჰიპოსტასი, როგორც წინა საწყისის „ხატება“ სრულქმნილების უფრო დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ეს წინა საწყისი, რომლისგანაც ის იღებს დასაბამს და რომელიც მის „პირველნიმუშად“ (πρώτευμα) გვევლინება. აქ თავს იჩენს რადიკალური სხვაობა პლატონიზმისა და ნეოპლატონიზმის „ტრიადასა“ და ქრისტიანიზმის „სამეზბას“ შორის: „სამება“ ერთარსებაა და სამპიროვანი, „ტრიადა“ კი სამპიროვანია, მაგრამ არა ერთარსება: მობი-



ლი მშობელზე უფარესია და უმდაბლესი.\* თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობის წიაღში შობილი ზოგიერთი მწვალელობაც უარყოფდა „სამების“ სამივე პიპოსტასის ერთბუნებოვნებას. ასე მაგალითად, არიანობის მიხედვით, „მამის“ ბუნება „ძის“ ბუნებაზე უზენაესია... მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ ნეოპლატონიზმს: ნარმოვიდგინოთ აბსოლუტური ნათელი, ვთქვათ, მზის გული: ასე ესახება პლოტინს უზენაესი სიკეთე, ანუ ღმერთი; მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ის აბსოლუტური ნათელია, იმავდროულად არის ბნელიც. ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა რუსთაველის „მზიანი ღამე“, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის „საღმრთო ნისლი“ „მზიური ნისლი“ (შედარების საფუძველი რომ უფრო გასაგები გახდეს, პოლ ვალერიის მიხედვით მატერიალური სინამდვილიდან აღებულ მაგალითს მოვიშველიებთ: „ფიზიკოსები გვასწავლიან: ჩვენს თვალს რომ გავარვარებულ ღუმელში ხედვის უნარის შენარჩუნება შეეძლოს, ის ვერაფერს ვერ დაინახავდა. იქ წაშლილია ყოველგვარი სინათლისმიერი უთანაბრობა, რაც თვალს სივრცის წერტილთა განსხვავების საშუალებას აძლევს. ამ უზარმაზარ, ღუმელის სიეინროვეში მომწყვდეულ ენერჯიას უხილავობისაკენ, შეუგრძნობელი თანასწორობისაკენ მივყავართ“... – (პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983, გვ. 71). გონებას, როგორც პირველნიმუშს, პლოტინი ადარებს მზეს, სულს კი – მთვარეს, რომელიც მზისაგან სესხულობს სინათლეს („ენნეადა“ V, VI, 4).

გონებაზე დამოკიდებულების მიუ-

ხედავად, სული სამყაროს წინააღმდეგობისთანა იმ პიერარქიულ მსურველს უზენაესი, რომელსაც აგვირგვინებს უზენაესი სიკეთე, ანუ ერთი (ღმერთი). გონების მსგავსად, სულიც მარადიულია, დაუსაბამო, დროისა და სივრცის მიღმური, წმინდა, უცვლელი და წარუვალი. მაგრამ როგორც თავისი პირველნიმუშის – გონების ხატება, სული, ერთხელ კიდეც გავიმეორებთ, სრულქმნილების უფრო დაბალ საფეხურზე დგას, თუნდაც იმიტომ, რომ ის უშუალოდ კი არა, მხოლოდ გონების მეშვეობით ქვრეტს უზენაეს სიკეთეს – ღმერთს („ენნეადა“ IV, IV, 4): მისი ქვრეტის უშუალო საგანი ერთი კი არ არის, არამედ გონება და გონებისეულ იდეათა ინტელიგიბილური სამყარო. ამ ქვრეტისას ის ივსება იდეების სხივოსანი მშვენიერებით, აზრის და არსის ზებუნებრივი სიუხვით, და სამუდამოდ მათ ქვრეტაში დანთქმული რჩება („ენნეადა“ III, VIII, 4). სულის ქვრეტა იგივე აზროვნებაა, მაგრამ გონებისეული აზროვნებისაგან განსხვავებით, ეს თვითმკმარი და თვითმფლობელი კი არა, მაძიებელი აზრია. აზროვნების უნარს უშუალოდ ერწყმის სურვიელი ლტოლვის – ნებელობის უნარი. ერთის მხრივ, ის მიელტვის გონებას, მეორეს მხრივ კი იმას, რაც მოსდევს სულს: იგულისხმება მატერია (სული).

ამისდა კვალად, სულში განირჩევა ორი ასპექტი: გონების მიმართ მიქცეული სულის აქტივობა წმინდა ქვრეტაა (θεωρία) და აზროვნება (πρῶτος), თავისი თავის მიმართ მიქცეული სულის აქტივობა კი მატერიისკენ მიდრეკით და იმისკენ სწრაფვით გამოი-

\* რა თქმა უნდა, ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის სხვაობა ამით როდი ამოიწურება. მაგრამ სტატისის მოცულობა დეტალებში ჩაღრმავების საშუალებას არ გვაძლევს. დანვრილებით იხ. В. В. Болотов, Собрание церковно-исторических трудов, т. 1, М., 1999.

ხატება, რომ გაასულიეროს და ფორმისუფლები განსაზღვრულობა მიაწოდოს აბსოლუტურად უფორმო და უსახო, ყოველგვარი თვისობრიობისა თუ რაოდენობრიობისაგან პირნიშნადად განძარცულ მატერიას, იმ იდეალურ ნიმუშთა მიხედვით, რომელთაც იგი გონებაში ჭერეტს. პირველი ასპექტი „ენნეადებში“ „გონიერებადაა“ (φρόνησις) სახელდებული, ხოლო მეორე – „ბუნება“ (φύσις). ეს უკანასკნელი სულის ყველაზე ნაკლებ სრულქმნილი და ნაკლებად სხივოსანი მხარეა. „ბუნება – ამბობს პლოტინი, – გონიერების (იგულისხმება სულის გონიერი ასპექტი – φρόνησις, – ბ. ბ.) აღნაბეჭდია. როგორც სულის უკანასკნელი ნაწილი, ის შეიცავს მხოლოდ გონების (σύνεσις) უკანასკნელ ათინათსა თუ ანარექსს. ნარმოადგინეთ ცვილის ფირფიტა, რომლის ერთ ზედაპირზე ისე ღრმად აღიბეჭდება ამა თუ იმ საგნის ტვიფარი, რომ მეორე ზედაპირსაც უწევს: ზედა მხარეს აღბეჭდილი გამოსახულება ნათელია და მკაფიო, ქვედა მხარეს კი – მქრქალი და ბუნდოვანი. ამიტომაც „ბუნებისათვის“ (φύσις) ნიშნულია არა ცოდნა, არამედ მოქმედება. ის ქმნის ისე, რომ წინასწარი ზრახვის გარეშე გასცემს და თავის მომდევნოს, ესე იგი, ნივთიერსა და სხეულებრივ რეალობას გადასცემს იმას, რაც გააჩნია, როგორც გავარვარებული საგანი გადასცემს თავის მზურვალეობას ყველაფერს, რასაც ეხება, თუმცაღა ეს გადაცემული მზურვალეობა საკუთრივ გავარვარებული საგნის მზურვალეობაზე ნაკლებია“ („ენნეადა“ IV, IV, 13).

ამით სრულდება მეტაფიზიკურ პირველსაწყისთა თანმიმდევრული დაღმასვლა. სხივოსანი ატმოსფერო, გარს რომ არტყია გონების ტრანსცენდენტურ სამყაროს, აქ თავის უკიდურეს ზღვარს აღწევს და თანდათანობით ბნელში გადადის. ეს სიბნელე –

მატერიაა, რომელსაც „ენნეადების“ ავტორის სულიერე მთელმთქმელობა-ტონი დემიურგოსულ გონებასთან ერთად გრძნობად-კონკრეტული სამყაროს დასაბამიერ საწყისად სახავეს. ამ ორი საწყისის დაპირისპირებულობა პოლარულია. თუ დემიურგოსს ქვემარტივი არსებობა (τὸ ὑπὸ τῆς ὑπὲρ) მიენერება, მატერია მისი სრული უარყოფაა: არარსებობა, არარსი (μὴ ὄν). არსებობა და არარსებობა, – ამ ორ პოლუსს შორისაა მოქცეული მთელი გრძნობადი სამყარო (τὸ ὄν), რომელიც ერთდროულად წილნაყარია ორივე საწყისის ბუნებასთან. მატერია თითქოს ერთგვარი ირრეალური სარკეა, რომელშიაც ირეკლება იდეალური სამყარო, თუმცა ამ არეკვლის შედეგად ლანდები კი არა, საგნები იბადებიან (თუმცა აქვე საჭირო ხდება პატარა კორექტივი: ეს ფიზიკური საგნები, პლატონის მიხედვით, მხოლოდ იდეების ულიმდამო ლანდებად, მათ არასრულქმნილ ასლებად თუ მქრქალ ანარეკლებად გვევლინებიან).

„ტიმოოსი“ (49) მატერიას უწოდებს „მიმრქმელს“ (σπαθιχῆ) და „ძიძას“ (μῆρῆ); „მიმრქმელს“ – იმდენად, რამდენადაც თავის უფორმო და უსახო წიაღში იღებს (მიმრქმევს) იდეალური სინამდვილის ფორმებს და, ამრიგად, დასაბამს აძლევს გრძნობად ფენომენტთა სამყაროს; „ძიძას“ – იმდენად, რამდენადაც „ასაზრდოებს“ ყოველივე ქმნადსა და ცოცხალს. როგორც „ყოვლისმიმრქმელი“ (πανδευχῆς) მატერია ფლობს მხოლოდ იდეალურ ფორმათა მიღების უნარს, თავისთავად კი არაფერს არ მატებს მათ. ყველაფერი მის წიაღში რეალიზდება, მასში იბადება, იზრდება, კედება, თვითონ კი სრულიად ინდიფერენტულია ქმნადობის ამ უსასრულო პროცესის მიმართ. გასაგებია რატომაც: პლატონის აზრით, რასაც მთლიანად იზიარებს პლოტინი,



ქეშმარიტია მხოლოდ ინტელიგიბი-  
ლური სინამდვილე, მხოლოდ იდეა; მი-  
სი ონტოლოგიური სტატუსი იმდენად  
მაღალია, რომ არავითარ სხვა არსე-  
ბობას, არავითარ სხვა ყოფიერებას  
აღარ საჭიროებს. მატერიას თავის  
მხრივ რომ რაიმე შექმნადეს ქმნადში,  
ეს უთუოდ დაარღვევდა იდეის, რო-  
გორც ყოველგვარი არსებობის ქეშმა-  
რიტი წყაროს ერთადერთობას. ამი-  
ტომ პლატონის და, რაღა თქმა უნდა,  
პლოტინის კონცეფციითაც, მატერია  
არც ნივთიერია და არც სხეულებრივი,  
ის კი არა და, ყოველგვარი თვისობრივი  
თუ რაოდენობრივი განსაზღვრულო-  
ბისგანაც განძარცვულია. იმასაც კი ვერ  
ვიტყვი, რომ ის არარაა, ან არაფერი,  
ვინაიდან „არაფერსაც“ თავისი საკუთა-  
რი მნიშვნელობა, საკუთარი აზრი მოე-  
ძებნება და მატერიისათვის რომ მიგვე-  
წერა ეს აზრი, გარკვეულ ნიშანს ან თვი-  
სებას შევძენდით მას.

კოსმიურ გონებას, როგორც სუბი-  
ექტსა და ობიექტს, ესე იგი, დემიურ-  
გოსსა და პირველნიმუშს, პლატონი  
გრძნობად-კონკრეტული სინამდვი-  
ლის ღვთაებრივ მიზეზად სახავს, მა-  
შინ როდესაც მის საპირისპირო მატე-  
რიას ღვთაებრივის „თანამიზეზს“  
(συσταία), „დამხმარე მიზეზს“ (αίτια  
συνετής) თუ „ცთომილ მიზეზს“ (αίτια  
πλασματική, – „ტიმეოსი“, 46, 48, 68-69,  
76) უწოდებს. ღვთაებრივი მიზეზი  
უშუალოდ კი არა, თავისი პირმშოს –  
სამყაროს სულის მეშვეობით ქმნის გა-  
მუდმებით ცვლადსა და ქმნად მატე-  
რიალურ სინამდვილეს, მაგრამ ქმნა-  
დობის აუცილებელი პირობაა მატე-  
რია. თუ გრძნობადი სამყაროს მთელ  
მშვენიერებას, სიკეთეს, პარმონიას,  
რაციონალურ ნებსრიგს „ტიმეოსი“  
ღვთაებრივი მიზეზის ქმედითობის შე-  
დეგად სახავს, მატერიალური სინამდ-  
ვილისათვის ასევე ნიშნეული ირრაცი-  
ონალიზმი, შემთხვევითობა და ქაო-

ტურობა დამხმარე, ვნე ქეთურული  
მიზეზისგან იღებს დეჰაბიტიკურ  
თლაც, რაკი სამყაროს საგანთა და  
მოვლენათა მთელი მრავალფეროვნე-  
ბის „ღვთაებრივი მიზეზი“ იდეალური  
სინამდვილეა, ზოლო ამ უკანასკნე-  
ლისთვის აბსოლუტურად უცხოა ყო-  
ველგვარი ბოროტება, მაშინ რალათი  
აიხსნება ბოროტის არსებობა ამ ქვეყ-  
ნად, თუ არა მატერიით, არარსით? „ბო-  
როტიმცა რად შეექმნა კეთილისა შე-  
მოქმედსა?“ – კითხულობს რუსთავე-  
ლი. პლატონისა და, მის კვალდაკვალ,  
პლოტინის მოძღვრება თავისებურად  
პასუხობს ამ მარადიულ კითხვას:

„რაკიღა ბოროტება არსებობს, მა-  
შასადამე, ის არსებობს იმაში, რაც არ  
არის; ბოროტება ერთგვარი სახეა  
არარსისა... შეიძლება აღვიქვათ იგი,  
თუ აზრით წარმოვიდგინთ, რომ ბო-  
როტი ისე მიემართება კეთილს, რო-  
გორც ზომის უქონლობა – ზომას, რო-  
გორც განუსაზღვრელობა – ზღვარს,  
როგორც სიმახინჯე – მშვენიერების  
მიზეზს, ანდა მარადი ნაკლულება –  
თვითმკმარობას. ის არის მარად განუ-  
საზღვრელი, ყოველგვარ სიმყარეს  
მოკლებული, ყოვლად ვნებული, უძ-  
ლები, მწირი; ყოველივე ეს შემთხვევი-  
თი თვისებები კი არ არის ბოროტები-  
სა, არამედ – თვით მისი არსი“ („ენნე-  
ადა“ I, VII, 3). და თუმცა ბოროტებას  
სუბსტანციური არსებობა არ გააჩნია  
(ის არარსშია), მაინც ისევე გარდუვა-  
ლია, როგორც თვით „პილე“ – „მატე-  
რია“: „რაკი არსებობს არა მარტო სი-  
კეთე, ამიტომ საგანთა უსასრულო  
სიმრავლეში, მისგან რომ იღებენ და-  
საბამს, ან, თუ გნებავთ, მისგანვე გა-  
მომდინარეობენ, და თანდათანობით  
შორდებიან მას, – აუცილებლად უნდა  
იყოს უკანასკნელი ზღვარი, რომლის  
იქითაც აღარაფერი აღარ შეიძლება  
დაიბადოს; ეს უკანასკნელი ზღვარი  
ბოროტებაა. პირველის შემდეგ აუცი-



ლებლად რალაცა არის; მაშასადამე, არის უკანასკნელი ზღვარიც, და ეს ზღვარი მატერიაა, რომელსაც უკვე არავითარი წილი აღარ უდევს სიკეთეში. სწორედ ესაა ბოროტების გარდუვალობა" („ენნეადა“ I, VIII, 7).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გონება უშუალოდ კი არა, მხოლოდ სამყაროს სულის მეშვეობით ქმნის მთელ ფიზიკურ სინამდვილეს, რადგანაც სულის მარადიული აქტივობის ერთ-ერთი არსებითი ასპექტი ისაა, რომ გაასულებროს, ფორმისეული განსაზღვრულობა და სიცოცხლე მიანიჭოს აბსოლუტურად ინერტულსა და ინდიფერენტულ, უსახო, უფორმო და უსიცოცხლო მატერიას. დროისა და სივრცის მიღმური იდეალური სინამდვილის სრულქმნილება, წმინდა არსისა და წმინდა აზრის მთელი სისავსე სწორედ სულს გამოაქვს „გარეთ“, მატერიაში პროექციების გზით ხორცს ახამს უსხეულმყოფელ იდეებს და, ამრიგად, დასაბამს აძლევს მარადმდინი დროის წიაღში დანთქმულსა და უსასრულო სივრცეში განფენილ გრძობად-კონკრეტულ სამყაროს... ზემოთ ისიც ითქვა, რომ, ერთის მხრივ, გონების მიმართ მიქცეული სულის აქტივობა წმინდა ჭვრეტაა და აზროვნება, მაშინ როდესაც თავისი თავის მიმართ მიქცეული სულის აქტივობა მატერიისაკენ მიდრეკით გამოიხატება, რის შედეგადაც ის თანდათანობით ინდივიდუალიზდება, ხოლო ინდივიდუალიზაციის ეს პროცესი ქვემარტივად უსასრულოა: თავისი პირველწყაროსა თუ პირველსაწყისის – გონებისაგან თანდათანობით დაშორების კვალდაკვალ, სამყაროს სული თითქოს უსასრულოდ იყოფა და ინდივიდუალურ სულთა ურიცხვ სიმრავლედ ნაწევრდება: უწინარეს ყოვლისა, მისგან გამოიყოფა ცის სული, რომელიც მატერიასთან შერწყმის შედეგად

ქმნის სიცოცხლეს და არსებობას ანიჭებს მთელ ხილულ ცხს, ცხს სული, თავის მხრივ, დასაბამს აძლევს უარს-კვლავების, მზის, მთვარის, დედამიწის და სხვა ციურ სხეულთა, ისევე, როგორც უკვდავთა ხომლისა თუ მოკვდავთა მოდგმის, ჰაერში მფრინავ, მიწაზე მძრომ თუ წყალში მცურავ არსებათა სულს.

როგორ ესახება პლოტინს ინდივიდუალურ სულთა სიცოცხლე განსხეულებამდე? – ისინი ცხოვრობენ ინტელიგიბილურ სინამდვილეში, სამყაროს სულთან შერწყმულნი; არავითარი მოგონება, არავითარი ვნება, არავითარი სურვილი არ ამღვრევს მათ უშფოთველ ყოფას მარადიული ანწყოს წიაღში, სადაც ისინი პირისპირ ჭვრეტენ იდეალური სამყაროს მთელ სრულქმნილებას, ღვთაებრივი სიბრძნის, სიკეთის, მშვენიერებისა და ქვემარტივების უზრუნველ სავანეს. „ენნეადების“ ავტორი აქაც პლატონის მეტაფიზიკურ მოძღვრებას მისდევს: „...მშვენიერება თვალისმომჭრელი სხივოსნობით ბრწყინავდა მაშინ, როცა... ნეტართა დასსთან ერთად ვჭვრეტდით ამ თვალწარმტაც სანახაობას და, ამრიგად, ვეზიარებოდით მისტერიათაგან, თამამად შეიძლება ითქვას, უტკბესსა და უნეტარეს მისტერიას, რომელშიაც, უბინონი და მომავალ ცხოვრებაში ჩვენს თავს მოწვენად ბოროტებასთან წილუყრელნი, თავად ვასრულებდით მარადიული ღმრთისმსახურების მისტორ ნებს. ჩვენ ვჭვრეტდით უზრუნველ, უმარტივეს, ურყევსა და ნარუვალ არსთ და მათი წმინდა სხივოსნობის მჭვრეტნი თავად ვიყავით უმნიველონი და უმანკონი, რადგან ნატამალიც კი არ გვეცხო იმ ბრუნადი გარსისა, რომელსაც დღეს სხეულს ვუნოდებთ და რომელშიაც მომწყვედულნი ვართ, როგორც ლოკოკინა – თავის ნიჭარაში“ („ფედროსი“, 250).



მაგრამ მატერიისაკენ მიდრეკისა და თვითდამკვიდრებისაკენ ლტოლვის შედეგად სულელები თანდათანობით შორდებიან სამყაროს სულს, თანდათანობით კარგავენ თავიანთ სხივოსან ფრთებს, ცას მონყვეტილი ვარსკვლავებით ცვივიან დაბლა, ურიცხვ ნაპერწკლებად იფანტებიან და, ბოლოს, სინათლის ეს მოციქულნი მატერიის ბნელეთს ერწყმიან, რასაც ძველთუძველესი ორფიკულ-პითაგორული, ისევე, როგორც პლატონური ტრადიცია სულის „საფლავად დადებას“ თუ მიწისქვეშა პირქუშ მღვიმეში გამომწყვდევისთან აიგივებს. თუმცა აქვე უნდა დაზუსტდეს: სულის ინდივიდუალიზაციის ეს უსასრულო პროცესი, მისი დაყოფა-დანაწევრება მხოლოდ და მხოლოდ პირობითია. მართალია, პლოტინი ამბობს, რომ „სულის ბუნება დაყოფადია“ (ἐχει δὲ χιτὸν μερί-ζομαι. – „ენნეადა“ IV, 1, 4), მაგრამ ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით როდი უნდა გვესმოდეს: თავისი მშობლის – გონებისაკენ მიქცეული სამყაროს სული წმინდა სულია, გონების მონათესავე და თანაარსი, ერთიანი და განუყოფელი, და მხოლოდ მატერიის მიმართ ქვედადრეკილი სული გვევლინება „დაყოფად“, თუმცა რაკი ეს უკანასკნელიც პირველის მონათესავე და იგივეობრივი რჩება, პლოტინი იქვე აზუსტებს, რომ „სულის თვით დაყოფადი ნაწილაც კი დაუყოფლად იყოფა“ (τὸ γὰρ μερίζομενον ἀπὸ τῆς ἀμερίστως μερίζεται, – „ენნეადა“ IV, 1, 4). ამ მხრივ სული შეიძლება მზის შუქს შევადაროთ, ნათლის ჩქერალად თუ ოქროსფერი სხივების კონად რომ იჭრება დიდებული ტაძრების სარკმელებშიც და უბადრუკი ქობმახების ჭურჭრუტანებშიც, თავს ევლება თხემდათოვლილ მთათა მწვერვალებს, ცის ლაქვარდში ნებივრად მოქანავე ტანკენარ ხეთა კენწეროებს, ხასხასა

ფოთლებს, მწვანედ მჩრჩინებელ მინდვრებს, სულდგმულთა და უსულთა არსთაც, ფიზიკურ საგანთა სიმრავლით ქუცმაცდება, შთაინთქმება, გადატყდება, აირეკლება, მაგრამ ამ უსასრულო დანაწევრების მიუხედავად, მაინც ერთიან და განუყოფელ მზის შუქად რჩება.

სავსებით ბუნებრივია, რომ პლოტინის მოძღვრების თვით ამ მოკლე და სქემატურ გადმოცემაშიც კი თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან სინათლეს ან სინათლის წყაროს: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ნათლის ჩქერალი, შუქი, სხივი, სხივოსნობა, სხივმფინარება... ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუქცევს ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლუმინესცენციურ“ ლექსიკას, რადგანაც პლოტინის ფილოსოფია, უწინარეს ყოვლისა, სინათლის ფილოსოფიაა; მისი მოძღვრება, არსებითად, ერთი ცენტრალური მხატვრული სახის ირგვლივ იშლება, ხოლო ამ სახის უნატიფესი სტრუქტურა მთლიანად ნათლის სხივებისაგან არის ნაქსოვი: ჩვენ უკვე ვიცნობთ პლოტინისეულ დიადტრიადას – „ერთი“, „გონება“, „სული“; ვიცით, რომ „ერთი“ მზეთა-მზედ, ან, უფრო სწორად, წმინდა სინათლის ცხოველყოფელ წყაროდაა დასახულები, „გონება“ – მზედ, თავისი საკუთარი შუქით რომ ნათობს, „სული“ კი – მთვარედ, რომელიც მზისგან სესხულობს თავის სინათლეს. ამ სამთაგან „ერთია“ უზუნაესი და უპირველესი, აზრისა და არსის მიღმური, სინამდვილისაგან მთლიანად განყენებული პიპოსტასი, რომელიც, თავისი მიღმურობისა და განყენებულობის მიუხედავად, კიდით-კიდემდე ავსებს, განწონის და განსაზღვრავს კიდევ ყველაფერს. მაგრამ როგორ, რანაირად მიემართება „ერთი“ სამყაროს?

„წარმოვიდგინოთ – ამბობს პლოტინი, – ნერტილის ოდენა მანათობელი მასა გამჭვირვალე სფერული სხეულის ცენტრად, საიდანაც მთელ სფეროში ვრცელდება სინათლე, და ესაა ერთადერთი ნათელი, რომელიც ანათებს სფეროს. ცენტრი სრულიად უძრავია და უცვლელი, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მისი სინათლე მთელ სფერულ სხეულში ვრცელდება. ხოლო სინათლე თვით ცენტრის პანანიონა სხეულებრივი მასიდან კი არა, იქიდან იღებს დასაბამს, რომ ის მნათი სხეულია, იმ ძალმოსილების წყალობით, რომელიც განსხვავდება სხეულებრივი ძალმოსილებისაგან. ახლა წარმოსახვით გამოვრიცხოთ ცენტრის მთელი სხეულებრივი მასა და მხოლოდ მისი მანათობელი ძალმოსილება შევინარჩუნოთ: კვლავაც შევძლებთ თუ არა ვთქვათ, რომ სინათლის წყარო სფეროს ამა თუ იმ ნერტილში მდებარეობს? განა სინათლე თანაბრად არ ნაწილდება ცენტრიდან მთელ სფერულ სხეულში? თქვენ ველარ დაეყრდნობით მეხსიერებას, ვერ იტყვით, სად იყო უნინ ცენტრად დასახული მნათი ნერტილი, ან საიდან სად გადაინაცვლა; ასე რომ, საგონებელში ჩაუვარდნილნი ნამდვილი სასწაულის მოწმენი გახდებით: თქვენს თვალწინ იქნება სინათლე, თანაბრად რომ ნათობს სფერული სხეულის ყოველ ნერტილში“ („ენეადა“ VI, IV, 7). საკმარისია განვაგრძოთ პლოტინის აზრობრივი ექსპერიმენტი, სასრული მოცულობის შქონე გამჭვირვალე, სინათლით გასხივოსნებული სფეროდან გადავიდეთ სამყაროს უსასრულო სფეროზე (თვით „ენეადების“ ავტორიც ხომ ამწაირ გადასვლას ისახავს ერთადერთ მიზნად), და ჩვენ მიგვადგებით პასკალის ერთ-ერთი უმარტესადესი პასაჟი: „სამყარო უსაზღვრო და უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, პერიფერია კი არსად“ (ბლეზ პასკალი, აზრები, თბ., 1981, გვ. 200).

მაგრამ კვლავ მიუბრუნდეთ ჩვენს მიერ წარმოსახულ, სასრულსა და სინათლით გაბრწყინებულ სფეროს; წარმოსახვითვე გავავლოთ მასში სხივოსანი რადიუსები (თუმცა გამოთქმა „სხივოსანი რადიუსები“, არსებითად, ტავტოლოგიაა, რადგანაც რადიუს „სხივს“ ნიშნავს ლათინურად; ზმნიდან რადიო – „ვასხივებ“; ამავე ზმნიდან წარმოსდგება „რადიაციაც“). თუ „ერთი“ სფეროს ცენტრია, რადიუსები მის გარშემო შემოწერილ სფეროსა ქმნიან. თვითმნათი ცენტრი (κεντρον – „კენტრონ“, რაც ნერტილსაც ნიშნავს ბერძნულად) რადიუსების შემეგობით თითქოს თავისი თავიდან გამოედინება და სხივოსან სფეროდ იქცევა, მაგრამ ისე კი, რომ მის ერთობას და ერთადერთობას არა აკლდება რა ამით: ის კვლავაც უცვლელი და უძრავი, თავისთავადი და თვითიდენტური რჩება, თუმცა, იმავე დროს, ერთპიროვნულად დომინანტობს როგორც რადიუსებზე, ისე სხივოსან სფეროზედაც, რომელიც თითქოს თვითპროეცირებადი ცენტრის გაშლა-განვითარებად გვევლინება და პლოტინის მიერ კოსმიურ გონებად – „ერთის“ ანუ „ღმერთის“ ხატებად (εἰκασί), იგივე სხივმფინარე მზედაა დასახული.

ახლა კი წარმოვიდგინოთ მზის მოვლევარე ზედაპირის – „ფოტოსფეროს“ („სინათლის სფეროს“\*) (გარემომცველი ნათელი ბაკმი, მოვარდის-

\* „ფოტოსფერო“, ისევე, როგორც ცოტა ქვემოთ „ქრომოსფერო“ და „მზის გვირგვინი“, რა თქმა უნდა, პლოტინისეული კი არა, თანამედროვე ასტრონომიის ტერმინებია; აქ მხოლოდ თვალსაჩინოებისათვის ვიყენებთ მათ.



ფრად რომ იფერება მზის სრული დაბნელებისას, დედამიწასა და მზეს შორის ჩამდგარი მთვარის დისკოს ბნელ ფონზე: ეს ნათელი ბაკში ქრომოსფეროა („ფერადი სფერო“), რომელსაც, თავის მხრივ, გარს ეკვრის ეგრეთწოდებული „მზის გვირგვინი“ – სინათლის გიგანტური სარტყელი, თვით დედამიწას რომ უწევს. ქრომოსფერო და მზის გვირგვინი, – ასე ესახება პლოტინის მთელი გრძობად-კონკრეტული სამყაროს მაფორმირებელი და მასულდგმულელებელი სანყისი – „გონიერებად“ (ჭრძჲფიჲ) და „ბუნებად“ (ჭმთჲ) განწილული სამყაროს სული, რომელიც „ენნეადებში“ სხივფინარე მზის – კოსმიური გონების ხელთუქმნელ ხატად გვევლინება, ისევე, როგორც გონება ხატებაა უზუნაესი სიკეთის, ანუ აბსოლუტური ერთისა.

ასეთია სამყაროს პლოტინისეული „სხივოსანი გეომეტრია“. აბსოლუტური ერთი, ანუ ღმერთი „მზეთა-მზეა“, „მზიანი ღამე“ თუ წმინდა სინათლის ცხოველმყოფელი წყარო; მისგან, როგორც ცენტრისგან გამოსხივებული რადიუსები ქმნიან კოსმიურ გონებას, ინტელიგიბილური სამყაროს მზეს, რომლისგანაც თავის სინათლეს სესხულობს დროისა და სივრცის მიღმური სინამდვილის პერიფერიაზე მოძრავი სამყაროს სული. აბსოლუტური ერთი თავისი თავიდან გამოედინება და იდეალურ არსთა თუ გრძობად-კონკრეტულ საგანთა უსასრულო სიმ-

რავლედ იქცევა, მაგრამ ამ სიმრავლეში კი არ ითქვიფება და განქარდება, არამედ ყველაფერში ერთადვე რჩება, რათა ბოლოს თავის თავსვე მიუბრუნდეს. „სხივოსანი რადიუსების“ ტენდენცია არა მარტო ცენტრიდანულია, არამედ ცენტრისკენულიც. წარმოიდგინეთ წმინდა სინათლის წყარო, რომელიც არა მარტო ზებუნებრივი სიუხვით ასხივებს სამყაროში სითბოს და სინათლეს, არამედ უკანვე ისრუტავს თავის სხივებსაც.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ერთმა სამხრეთ ამერიკელმა მკვლევარმა პლოტინის სულიერ მოძღვარს მიუძღვნა მშვენიერი წიგნი, საიდანაც მინდა ერთი პატარა პასაჟი გავაცნო მკითხველს: „შესაქმისას ღმერთი განიფინება ძალთა სიმრავლედ, პოტენციალთა სხივოსან კონად, ლეთაებრივ უნართა ქმედითობად, უხილავ გეომეტრიად, რომელიც შემდეგ – ხილულ სინამდვილეში – ფორმათა მრავალფეროვნებად უნდა იქცეს. ერთობა იღვრება რიცხვებად, რათა შემდეგ კვლავ ერთობად შეისრუტოს რიცხვთა სიმრავლე... ყველა რიცხვი ერთიდან გამოდის და ერთსვე უბრუნდება. გეომეტრია განზოგადებული ნერტილია. ნერტილი არის კონცენტრირებული გეომეტრია“ (Santiago Argüello, El divino Platon, v. II, 1934, p. 142).

ეს სიტყვები შეიძლება მთლიანად მიესადაგოს „ენნეადების“ მეტაფიზიკურ მოძღვრებასაც.



გიორგი ქავთარაძე

## იბერიის სამეფოს „არსებობის არსი“ ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით

სახელმწიფოთა წარმოქმნისა და მათი შემდგომი განვითარების კვლევა, მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. განსაკუთრებული აქტუალურობა მან დღეს შეიძინა – მთელი რიგი ძველი ქვეყნების დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ახალი სახელმწიფოების აღმოცენების ეპოქაში. საქართველოშიც სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა-ჩამოყალიბების საკითხები ისტორიკოსთა ფართო ინტერესის საგანია. საქართველო მიჩნეულია ერთადერთ ქვეყნად ქრისტიანულ სამყაროში, რომლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება უწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური ხანებიდან დაწყებული XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე.<sup>1</sup>

სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუციონალური სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესი დროის ვრცელ მონაკვეთს მოიცავს ადრეული ბრინჯაოს ხანიდან (ძვ.წთ. IV ათასწლეულის მესოპოტამია-ეგვიპტე) თანამედროვეობამდე. შესაბამისად ამისა, გარდაუვალი ხდება სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პროცესისათვის დამახასიათებელი ცალკეული ქრონოლოგი-

ური დონეებისათვის განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომის არსებობა.

მართალია, ქართული სახელმწიფოებრიობა ელინისტურ ხანაში იბერიის (ქართლის) სამეფოს აღმოცენებიდან იღებს სათავეს, მაგრამ ქართველური წარმომავლობის ტომებს არ არის გამორიცხული რომ სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ჩამოყალიბებაშიც მიეღოთ მონაწილეობა. მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა ვიგულისხმოთ ძველი ბერძნული წყაროების კოლხიდა (ურარტული ლურსმული წარწერების კოლხა) და ასურულ-ურარტული წყაროების დაიანე/დაიუბი. ბუნებრივია, რომ განსხვავებული მეთოდოლოგიური საფუძვლებია გამოსაყენებელი, ერთის მხრივ, ადრეულ კოლხური და დაიოხური, ხოლო, მეორეს მხრივ, იბერიული სახელმწიფოებრიობის კვლევისას; ვინაიდან ეს სახელმწიფოები არა მხოლოდ განსხვავებულ ეპოქალურ სტადიებს განეკუთვნებიან, არამედ განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მოდელების წარმომადგენლები არიან.

კლასიკური ეპოქის ახალი სახელმწიფოების – იბერიის, ალბანეთისა და

კოლხეთ-ეგრისის (ლაზიკის) – პოლიტიკური ისტორია განპირობებული იყო ამიერკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით დიდი კავკასიონის მთაგრებილის სამხრეთით და შესაბამისად მათი როლით ამ მთაგრებილის სტრატეგიული ფუნქციის მქონე ზეკარების კონტროლის საქმეში. ამ სახელმწიფოთა „არსებობის არსი“ (*raison d'être*) იყო *οικονομία*-ს, ანუ საერთო ინტერესების მქონე ხმელთაშუაზღვისპირეთულ-ახლო აღმოსავლური ცივილიზირებული სამყაროს, დაცვა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისაგან. თუმცა არსებობდა ამკარ სხვაობა იბერიის, და რამდენადმე ლაზიკის, დასავლურ (საბერძნეთი, რომისა და ბიზანტიის იმპერიები), და აღბანეთის აღმოსავლურ (ირანი, პართია), პოლიტიკურ ორიენტაციებს შორის.

კაცობრიობისათვის კავკასიონის მდებარეობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ხატონად გამოთქვა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში პლინიუს უფროსმა (*Plinius Magnus*), რომ კავკასიის კარი სამყაროს ორ ნაწილად განყოფს (*რ.ჩ. VI, 30*). თვით სამყაროს კონცეფცია ყოველთვის საჭიროებდა და დღესაც საჭიროებს მის დაყოფას სხვადასხვა რაოდენობის შემადგენელ ნაწილებად. როჯერ ბექონი (*XIII ს.*) სამყაროს ორ ნაწილად უყოფდა: ბარბაროსთა საუფლოდ და მოაზროვნე ადამიანის სამკვიდროდ (*Opus majus I, 301*).

ვ. ე. დ. ალენისა და პ. მურატოვის განცხადებით, დიდი კავკასიონის მთაგრებილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემა, მძლავრი წინაღობა იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ევრაზიელი ნომადების შეღწევისათვის.<sup>2</sup> საკმარისია ითქვას, რომ თვით უძლე-

ველი პომპეუსი მიზანშეწონილად მიიჩნევდა სახმელეთო გზით – კავკასიონის მთაგრებილის გადაკვეთითა და იმიერკავკასიის მტრულად განწყობილი მოსახლეობის გავლით – პონტოს მეფის, მითრიდატე ევპატორის დადევნებას, ამ უკანასკნელის დამარცხებისა და თავისი წარმატებული კავკასიური კამპანიის შემდეგ ხანებში.<sup>3</sup>

წინარე-ელინისტური, ელინისტური და პოსტ-ელინისტური ამიერკავკასიის ისტორიაში ჩრდილოეთის მომთაბარე მოსახლეობის – კიმერიელების, სკვითების, სარმატების, ალანების, პუნების, ბოლღარების, ხაზარების, ოსების და სხვ. – შემოსევების სისტემატურმა ხასიათმა და ამასთანავე, ანატოლიურ-მედიტერანული და ირანულ-მესოპოტამური ძალების მუდმივმა ურთიერთწინააღმდეგობამ, ჩანს არნოლდ თოინბისეული სტიმულის მეორე მოდელის – უწყვეტი, გარეგანი ზეწოლის სტიმულის – ფორმა მიიღო.<sup>4</sup> ხალხები, ქვეყნები და ქალაქები, რომლებიც განიცდიან ასეთ ზეწოლას, პოლიტიკური გეოგრაფიის ტერმინოლოგიით განეკუთვნებიან სხვადასხვა „ცივილიზაციებს“ შორის მდებარე სასაზღვრო ზონებს.

სასაზღვრო ზონის ფუნქცია, საქართველოსა, და საზოგადოდ მთელი კავკასიისათვის, ნაკარნახევი იყო არა იმდენად ზემოწამოთვლილი ევრაზიული წარმომავლობის ტომების ზეწოლით, რამდენადაც თვით აღნიშნული რეგიონის მდებარეობის თავისებურებებით. კავკასიის მდებარეობის საშუალოდ ხასიათი მკაფიოდ არის ასახული ძველ ქართულ და სომხურ მატია-ნებებში.

## 1. ძველი ქართული მატიანეების ავთენტურობის საკითხი

ქართული წერილობითი წყაროების ძველი კორპუსის ისტორიული ფასეულობა, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ოფიციალურ *corpus historicum*-ს ანუ ქართულ სამეფო ანალებს და ცნობილი იყო ქართლის ცხოვრების სახელით,<sup>5</sup> ინტენსიურად შეისწავლებოდა მეცნიერთა მიერ მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან და შეხედულებათა დიდი დაპირისპირება გამოიწვია.<sup>6</sup>

ეს კორპუსი შედგება ცამეტი განსხვავებული ტექსტისაგან, რომლებიც დაწერილია მეცხრე და მეთოთხმეტე საუკუნეებს შორის.<sup>7</sup> ქართლის ცხოვრების კანონიზირებული ტექსტი დადგენილი იყო მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ქართლის მეფის, ვახტანგ VI-გან დანიშნული კომისიის მიერ.<sup>8</sup>

მეცნიერთა შორის ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ადრეული შუასაუკუნეების ქართული და სომხური მატიანეების შინაარსის განხილვისას რამდენადაც რთულია იმის გარჩევა თუ სად არის მემატიანეების ფანტაზიის ნაყოფი და სად ისტორიული რეალობის ანარეკლი. საკმაო სიზუსტით ასახული ისტორიული ფაქტები მათში ხშირად გადახლართულია მითიურ წარმოდგენებთან, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მკვლევრებმა გამოავლინეს მთელი რიგი დამთხვევები ისტორიულ წყაროებთან, მათ შორის კლასიკური ხანის ავტორების თხზულებებში. უახლესმა არქეოლოგიურმა ძიებებმა აგრეთვე დაადასტურეს მათი სანდოობა. ამიტომ ქართლის ცხოვრებას ჩვეულებრივ მიიჩნევენ მატიანედ, რომელიც თუმცა აღძრავს ისტორიკოსისათვის მრავალ, იდუმალებით მოცულ კითხვას, მაგრამ ამავე დროს წარმო-

ადგენს მათვისევე უმნიშვნელო უკანასკნელის მემეტყველს.<sup>9</sup> *საქართველოს ისტორიის ენციკლოპედია*

ქართლის ცხოვრების ყველაზე ადრეული მანუსკრიპტები, რომლებმაც კი მოაღწია ჩვენს ხანამდე ანა და მარიამ დედოფლების ხელნაწერებია და განეკუთვნებიან, შესაბამისად, ანასეული – მეთხუთმეტე (1479 და 1495 შორის), ხოლო მარიამისეული – მეჩვიდმეტე (1638 და 1645 შორის) საუკუნეებს.<sup>10</sup> ე.წ. ჭალაშვილისეული ნუსხის ძველი ნაწილი მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანი (ორიგინალის შემოკლებული ვარიანტი),<sup>11</sup> კლასიკურ სომხურ ენაზე უცნობი სასულიერო პირის მიერ უკვე მეთორმეტე საუკუნეებში ნათარგმნი, რომელშიც ზოგიერთი ახალი, სპეციფიკურად სომხური, მასალა იყო ჩართული, ცნობილია მეცამეტე საუკუნის მანუსკრიპტით.<sup>12</sup> სომხური ვერსია უეჭველად უნდა დათარიღდეს 1125 წლიდან 1270 წლამდე – ანუ უკანასკნელ მოვლენამდე, რომელიც მოხსენიებულია მის ტექსტში (გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომხური ადაპტაციის ავტორი იჩემებს პირად ნაცნობობას საქართველოს დიდ მეფესთან დავით IV, აღმაშენებელთან, რომელიც გარდაიცვალა 1125 წელს) და მისი ტექსტიდან ვარდნ არეველცის მიერ პირდაპირ ციტირებამდე. ამავე დროს, შინაგანი მონაცემები მიგვანიშნებენ, რომ სავარაუდოდ იგი ნათარგმნი უნდა იყოს მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ყველაზე ადრეული სომეხი ისტორიკოსი, რომელიც იცნობს ქართლის ცხოვრებას არის მხითარ ანელი, რომლის ისტორიაც 1187 წლამდე გრძელდება.<sup>13</sup>

ქართლის ცხოვრების ზემოაღნიშნული, ყველაზე ადრეული სომხური

მანუსკრიპტი თარიღდება 1279 და 1311 წწ. შორის.<sup>14</sup> ვინაიდან არცერთი ქართული ხელნაწერი ქართლის ცხოვრებისა არ თარიღდება მეთხუთმეტე საუკუნეზე ადრეული ხანით, სომხურ ვერსიას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისი პირველადი შინაარსისა და ადრეული წარმომავლობის სამტკიცებლად.<sup>15</sup> ს. რეპის დაკვირვებით, სომხური თარგმანი, რომელიც ქართული ისტორიული ტრადიციის საკმაოდ თანმიმდევრულ გადმოცემას წარმოადგენს, ქართლის ცხოვრების სანყისი ნაწილის სტრუქტურის შუასაუკუნებრივ წარმომავლობას ნათელს ჰფენს.<sup>16</sup>

ს. რეპისავე შენიშვნით, ქართლის ცხოვრების სომხური ადაპტაციის შექმნა, რასაც ადგილი მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა ჰქონოდა, გამონეული უნდა ყოფილიყო მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ეპოქალური პოლიტიკური სიტუაციით, როდესაც საქართველო აღმოცენდა უზარმაზარი იმპერიის სახით, რომელმაც მოიცვა სომხეთის უმეტესი ნაწილი, ჩრდილოეთ კავკასია, ჩრდილოეთ ირანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ოლქები.<sup>17</sup>

ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილს: ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთავანთა მამათა და ნათესავთას, ანუ შემოკლებით: მეფეთა ცხოვრებას, მიაკუთვნებენ მეთერთმეტე საუკუნის სასულიერო პირს, ლეონტი მროველს, რუისის მთავარეპისკოპოსს; თუმცა არსებობს იმის ნიშნები, რომ სინამდვილეში ლეონტი მროველმა მხოლოდ შეკრიბა და გადაანერინა ძველი ტექსტები.<sup>18</sup> ს. რეპის მიხედვით, ნაწარმოების შინაგანი კრიტერიუმები – რომლებიც დაბეჯითებით მიგვანიშნებენ ცხოვრება მეფეთას შექმნის მიახლოებულ თარიღზე,

800 წელზე – და, ამავე დროს, ლეონტი მროველის მოღვაწეობის ხანის მეთერთმეტე საუკუნით განსაზღვრა – გვაიძულებს უარყოფით მისი თავდაპირველი ავტორობის ვარაუდში. იგი, როგორც რუისის მთავარეპისკოპოსი, შესაძლოა თავმჯდომარეობდა ტექსტის ხელახალ გამოცემას, მონაწილეობდა მის ქარგაში ცალკეული ბიბლიური ელემენტების შეტანისას ანდა იძლეოდა ტექსტის გამოცემის უფლებას.<sup>19</sup> ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ლეონტი მროველი მართლაც არის ქართლის ცხოვრების სანყისი ნაწილის ავტორი და სინამდვილეში იგი ცხოვრობდა არა მეთერთმეტე საუკუნეში, არამედ შერეულში, ხოლო 1066 წლის წარწერა, რომელიც მიეწერება ამავე სახელის სხვა პიროვნებას, უნდა აიხსნას რამდენიმე ეპისკოპოსის სახელთა პომონომიით, რომელთაც სხვადასხვა დროს ეკავათ ერთიდაიგივე ეპარქია.<sup>20</sup>

ქართლის ცხოვრების მეოთხე ნიგნი, წამება წმიდისა და დიდებულისა არჩილისი, თავის დასკვნით ნაწილში მოგვითხრობს: “წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ფამითი-ფამად. ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან (I, 248)”.<sup>21</sup> ეს კი მოწმობს, რომ ტექსტი მიკუთვნებული ლეონტი მროველისადმი არ განეკუთვნება ერთიდაიმავე ავტორს. წამება არჩილისის იმავე ნაწილში მინიშნება გვაქვს იმაზეც, რომ დამატებები კეთდებოდა ხოლმე უფრო ადრე არსებულ ტექსტებზე: “მიერთგან შემდგომი მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ... (I, 248)”. ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანი საზოგადოდ არ იცნობს ლეონტი მროველს. ქარ-



თლის ცხოვრება ცნობილი იყო სომხურ ენაზე, როგორც მხოლოდ ქართველთა ისტორია (*Patmut'iwn Vrac'*), თუმცა ა. ტიროიანმა 1884 წლის ენ. "ვენეციური გამოცემის" რედაქტორმა და გამომცემელმა მთელი ტექსტი მიანერა ჯუანშერ ჯუანშერიანს, არჩილ-ის თანამედროვეს, ანუ მერვე საუკუნის მეორე ნახევრის მემატიანეს, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი ნაწილის ავტორი იყო.<sup>21</sup> სომხური თარგმნის ცნობით, ქართველმა ისტორიკოსმა ჯუანშერმა იპოვა ქართული მატიანე, რომელიც მხოლოდ ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასლის ხანამდე (მეხუთე საუკუნე) იყო დაწერილი, ხოლო მომდევნო ხანის მოვლენების შესახებ ცნობები თვით ჯუანშერის მიერ იყო დამატებული (104).<sup>22</sup> ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქციის ავტორი, დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი, არსენ ბერი (იყალთოელი), ქართლის ცხოვრებას იცნობს მხოლოდ პამბავე მეფეთას სახელით, ანუ სახელწოდებით, რომლითაც შემდგომში ცნობილი იყო მხოლოდ მისი პირველი ნაწილი – მეფეთა ცხოვრება. ეს ფაქტი, ს. რუპის მიხედვით, ცხადყოფს, რომ არსენ ბერის წყაროს ფაქტიურად ქართლის ცხოვრების წინარე-ბაგრატიდული ტექსტი წარმოადგენდა.<sup>24</sup>

მეფეთა ცხოვრება შედგება სამი მთავარი ნაწილისაგან: 1. ქართლის ისტორიის უძველესი პერიოდის აღწერა ალექსანდრე მაკედონელის ხანამდე, ამ ნაწილზე შეიმჩნევა საღმრთო წერილის ზეგავლენა, განსაკუთრებით, დაბადების *Tabula Popularum*-თან ადგილობრივი ეპონიმური გენეალოგიის დაკავშირების მცდელობისას;<sup>25</sup> 2. ალექსანდრე დიდის კავკასიაში ლეგენდარული ლაშქრობის ამბავი და სა-

კუთრივ მეფეთა მატიანე-მეფეთა ნინოს მიერ ქართლში მოქცევის შესახებ და მესამე ნაწილი ეჭვს გარეშე უკავშირდება მოქცევა ქართლისა-ს ტექსტს. წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევას მეშვიდე საუკუნის მოქცევა ქართლისა-ს მოკლე ტექსტის პაგიოგრაფიულ შელამაზებად მიიჩნევენ, რომელიც მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში იყო დართული მეფეთა ცხოვრებაზე.<sup>26</sup>

ქართლის ცხოვრების შუასაუკუნეების ხანის ტექსტები, ს. რუპის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, წინა-ბაგრატიდულად და ბაგრატიდულად, რომლებიც ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების განსხვავებულ ეპოქებს წარმოადგენენ.<sup>27</sup> მისი აზრით, შინაგანი მონაცემები მეფეთა ცხოვრებისა (რომელიც სინამდვილეში აღწევს შირიან მეფის მიერ ქრისტიანობის აღიარების ხანამდე) და ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა საშუალებას იძლევიან მათი შეთხზვის დათარიღებას მიახლოებით 795 და 813 წწ. შორის მდებარე ინტერვალით, ხოლო უზემად 800 წ. შეიძლება იყოს განსაზღვრული.<sup>28</sup> საქართველოში ადგილობრივი ისტორიოგრაფიის აღმოცენებას, ს. რუპი უკავშირებს უმეფობის, ანუ, უკეთ, სამეფოთა შორის არსებულ ხანას (*interregnum*-ს), რომელიც დაახლ. 580-888 წწ. მოიცავდა. იგი ამ მოვლენას განიხილავს მეზობელი ქვეყნების ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაში მიმდინარე თანადროული და ანალოგიური ტენდენციების ფონზე და მიიჩნევს მას სამეფო ძალაუფლების აღორძინების მოთხოვნის მანიფესტაციად – ადგილობრივი მემატიანეები ხოტბას ასხამდნენ სამეფო გვირგვინს და იღწვოდნენ მისი დაუყონებლივი აღდგენისათვის.<sup>29</sup>

მეფეთა ცხოვრების მიერ გამოვლენილი, ადვილად შესამჩნევი არმენოფილური ტენდენციები, მეტად ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა რომ გამოხატულიყო მერვე საუკუნის პირველი მეოთხედის ანუ სომხურ-ქართული რელიგიური ურთიერთობების არნახული გამწვავების მომდევნო ხანაში. ეს ურთიერთობები უკვე რამდენადმე დაჭაბული იყო ადრეული მემვიდე საუკუნიდან, როდესაც ქართველებმა საბოლოოდ მიიღეს მართლმადიდებლობა; როგორც ჩანს, სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიაზე მზარდი სპარსული ზეგავლენის სანინააღმდეგოდ.<sup>30</sup> არმენოფილური ტენდენციების არსებობა კიდევ უფრო წარმოუდგენელი იქნებოდა ქართული პოლიტიკური წარმონაქმნების უცილობელი პოლიტიკური პეგემონის ხანაში – მეთათე-მეთერთმეტე საუკუნეებში.<sup>31</sup> მეფეთა ცხოვრების ტექსტში ჯერ კიდევ ტერმინ ეკრისის გამოყენების ფაქტი, ნაცვლად ტერმინ აფხაზეთისა, რომელიც მერვე საუკუნის დასაწყისიდან უკვე გამოიყენებოდა დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად, უნდა მიუთითებდეს ადრეულ მერვე საუკუნეზე, როგორც ამ ტექსტის ყველაზე ადრეული ნაწილების უგვიანეს შესაძლო თარიღზე.<sup>32</sup> ისიც უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, რომ მეფეთა ცხოვრებაში არაფერი ჩანს უშუალოდ ნახესხები ადრეული მერვე საუკუნით საეარაუდოდ დათარიღებული მოვსეს ხორენაცის სომეხთა ისტორიის ტექსტიდან, თუმცა ამ ორ თხზულებას შორის მრავალრიცხოვანი დამთხვევების არსებობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ეს ფაქტი აიხსნება ზოლმე ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე ზეპირი თუ წერილობითი სომხური წყაროების შესაძლო გამოყენებით.<sup>33</sup>

სეპტიკიზმი ქართლის ცხოვრე-

ბის მიმართ მნიშვნელოვანდ შეტყუება მოქცევა ქართლისა და ქველი-ლიმფსესტის, შატბერდისა და ქელიშის ხელნაწერების, 1888 წ. და 1903 წ., პოვნის შემდეგ, რომლებიც, შესაბამისად, გვიან მეთათე (973 წ.) და მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებს განეკუთვნებიან.

როგორც ცნობილია, მოქცევა ქართლისა-ს ტექსტი ჩართულია ქართლის ცხოვრებაში, მაგრამ, ამავე დროს, ამ უკანასკნელში შემონახული ვერსია განსხვავდება, როგორც შატბერდის, ასევე ქელიშის რედაქციებისაგან, რაც უნდა მონაშობდეს კიდევ უფრო არქაული რედაქციის არსებობაზე. ქართლის ცხოვრების მეფეთა სია თითქმის იდენტურია მოქცევა ქართლისა-ში გამოყენებული სიისა და ბუნებრივია ლებულობს უცხოურ წერილობით წყაროებში ასახულ თანადროულ მოვლენათა შესახებ არსებულ მონაცემებში ასეთსავე დადასტურებას (იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, ზოგიერთ დეტალს, წარმოდგენილს მხოლოდ ქართლის ცხოვრებაში, პარალელები ეძებნება ტაციტუსის, კასიუს დიოს და სხვათა ტექსტებში.<sup>34</sup>

ორი ახალი ნუსხა მოქცევა ქართლისა-სა აღმოჩნდა უკანასკნელ ხანებში სინას მთაზე მდებარე წმ. კატერინას მონასტერში, მეცხრე-მეთათე საუკუნეებით დათარიღებულ ასზე მეტ სხვა ქართულ ხელნაწერთან ერთად. პირველი მათგანი დაუთარიღებელია, თუმცა პალეოგრაფიული მონაცემებით უეჭველია, რომ იგი შატბერდულ კრებულზე უფრო ადრეული უნდა იყოს. მეორე ხელნაწერის ტექსტი თითქმის იწყება იქ სადაც წყდება პირველი; ვინაიდან ამ ეკლესიის მონასტრისათვის შემწირველი არის ვინმე იოანე, რომელმაც მეცხრე საუკუნის მინურულს შესწირა სრულიად

სხვა ხელნაწერი წმიდა საბას მონასტერს, აღნიშნული ეკუმენიკური უნდა დათარიღდეს არაუგვიანეს მეათე საუკუნის საწყისი ხანისა. ორივე ეს ხელნაწერი ნაკითხვის ბევრად უფრო კარგ შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე შატბერდისა და ჭელიშის ნუსხები. აღნიშნული გარემოებანი, სინას მთაზე მოპოვებული ტექსტების მკვლევარს ზ. ალექსიძეს აფიქრებინებს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს იმ პროტორედაქციასთან, რომელიც უნდა გამოეყენებინა ლეონტი მროველს ქართლის ცხოვრებაში და რომლისგანაც უნდა მომდინარეობდეს, როგორც შატბერდული, ისე ჭელიშური რედაქცია.<sup>35</sup>

მართალია სწავლულნი მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს შექმნას ათარიღებენ განსხვავებულად, მეოთხედან მეცხრე საუკუნემდე, მაგრამ მათი უმეტესობა უპირატესობას მაინც მუშვიდზე<sup>36</sup> ან მეცხრე საუკუნეებს ანიჭებს. მოქცევაჲ ქართლისაჲ შედგება ორი ნაწილისაგან: ქრონიკისაგან, რომელშიც აღწერილია ქართლის ისტორია დასაბამიდან მეშვიდე საუკუნის შუა ხანებამდე (663 წ.), სტიფანოზ I-ის მითაყვარის მმართველობის, ანუ ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის კავკასიაში ლაშქრობის, ხანამდე და წმ. ნინოს ცხოვრებისაგან. დამატება შეიცავს მმართველთა და კათალიკოსთა სიას მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცხრე-მეათე საუკუნეების მიჯნამდე და დაწერილია ძალზე სქემატურად და მშრალი ენით. ქრონიკის პირველი ნაწილი – მირიან მეფის გარდაცვალებამდე ხანის მომცველი – ერთიანი და თანმიმდევრულია, მისი ენა მდიდარია მოკლე გამონათქვამებითა და ლაკონური სხარტი წინადადებებით; იგი ამჟღავნებს კავშირს სამხედრო სფეროსთან. ისტორიული მოვლე-

ნები, ერისმთავართა და კათალიკოსთა ცხოვრება და ქმედებანი დახერილია ერთი ამოსუნთქვით, ნათლად და ცოცხლად. სტილის ეს სისხარტე და სიმარტივე ზოგჯერ განიხილება აღწერილ მოვლენებთან ამ ნაწილის ქრონოლოგიური სიახლოვის ნიშნად და შესაბამისად მეხუთე საუკუნით მისი დათარიღების მოწმობად.<sup>37</sup>

ის გარემოება, რომ მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს ძირითად ტექსტს ქვეყნის ისტორიის თხრობა მხოლოდ მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულამდე მიჰყავს, ხოლო იმ პიროვნებათა სია (ერისმთავართა და კათალიკოსთა), რომლებიც ცხოვრობდნენ აღნიშნული ხანიდან მეცხრე საუკუნემდე მხოლოდ დამატებაშია მოცემული, ქრონიკის დაწერას მეშვიდე საუკუნის შუა ხანებით უნდა განსაზღვრავდეს, ხოლო რედაქტირების თარიღს – მეცხრე-ადრეული მეათე საუკუნით.<sup>38</sup> მეათე საუკუნის დასაწყისისათვის მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს ოთხი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, რედაქციის არსებობა არა მხოლოდ საქართველოს ფარგლებში, არამედ მისგან საკმაოდ დაშორებულ მხარეებში (სინას მთაზე), საშუალებას აძლევს ზ. ალექსიძეს მხარი დაუჭიროს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ამ თხზულების არქეტიპის შექმნა მეცხრე საუკუნესთან შედარებით ბევრად უფრო სიღრმეში უნდა მიდიოდეს; ამასთანავე ქრონიკისა და წმ. ნინოს ცხოვრებას იგი განიხილავს ორი სხვადასხვა ავტორის დამოუკიდებელ ნაწარმოებად, რომლებიც შატბერდული კრებულის შედგენამდელ ხანებში, შესაძლოა მეცხრე საუკუნეში, თემატურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს.<sup>39</sup> მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს შედგენის თარიღად ძირითადად მეცხრე საუკუნეა



მიჩნეული, მისი წყაროების ასაკი ადრეულ მესამე საუკუნეში უნდა ჩადიდოდეს, ამაზე კერძოდ მიგვითითებს ტექსტის ხანმეტობა, პრეფიქსთა და ზმნათა შორის კავშირების ინტერპოლაციის ფაქტი და წინა-არაბული ხანის ლექსიკის გამოყენება.<sup>40</sup>

ჯერ კიდევ მეათე საუკუნის მეორე ნახევრის შატბერდული ნუსხის დამატებაში გვხვდება მითითება მოქცევა ქართლისაჲს ძველ ასაკზე, კერძოდ, რომ თითქოს ეს წიგნი ნაპოვნი იყო მისი შექმნიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგ.<sup>41</sup> რა თქმა უნდა დიდი სიფრთხილე გვმართებს ამ ინფორმაციის სანდოობის მიმართ. პ. ინგოროყვას მიხედვით, მეოთხე საუკუნეს განეკუთვნება გაქრისტიანებული ებრაელი სასულიერო ავტორის, აბიათარ მცხეთელის თხზულება: ცხორება და მოქცევა ქართლისაჲ და მოთხრობა ნათესაეობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა, რომელიც დაკარგულად ითვლება.<sup>42</sup> თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯერჯერობით რამდენადმე სარწმუნო მონობები ქართული სამწერლობო ენის არსებობის შესახებ მხოლოდ მეხუთე საუკუნემდე აღწევს. იაკობ ცურტაველის წმ. მუშანიკის მარტვილობა და საბარების თარგმანები, ისევე როგორც ეპიგრაფიკული მონაცემები, განეკუთვნებიან ამ საუკუნეს.<sup>43</sup> შენიშნულია, რომ ქართველებმა ისტორიოგრაფიული ტრადიცია სომხებისაგან განსხვავებული გზით განავითარეს – შავიოგრაფია გახდა მათთვის ყველაზე პოპულარული ჟანრი.<sup>44</sup> უფრო მეტიც, ხშირად ქართული ისტორიოგრაფია ადგილობრივი შავიოგრაფიიდან წარმოქმნილად განიხილება.<sup>45</sup>

მოქცევა ქართლისაჲს ქრონიკის

მეფეთა სია მეტად მოკლე და ქრონოლოგიურად არასრულყოფილი, თუმცა იგი მხარდაჭერას პოულობს უცხოური წყაროების მონაცემებში. მკვლევართა დაკვირვებით, იქ წარმოდგენილი ოცდაჩვიდმეტი მეფიდან თექვსმეტი, რომელთა ზეობის წლები ექცევა ძვ. წთ. მეოთხედან ახ. წთ. მეექვსე საუკუნემდე, ცნობილნი არიან ტაციტუსის, აბიანეს, კასიუს დიოს, ამიანუს მარცელინუსის, ელიუს სპარტიანუსის, პროკოპი კესარიელის (დაახლ. 500-562 წწ.) თხზულებებიდან, წმ. პეტრე იბერიელის ცხოვრების სიროული ტექსტიდან, აგრეთვე ახ. წთ. მეხუთე საუკუნის ეპიგრაფიკული მონაცემებიდან. როგორც ჩანს, ამ მეფეთა სახელები, მათთან დაკავშირებულ ზოგიერთ მოვლენებთან ერთად, საოცარი სიზუსტით თაობიდან თაობაში გადაეცემებოდა. ამასთანავე, ქართველთა გადმოსახლების ამბავი მათი პირველსაცხოვრისიდან და მათივე სამეფოს აღმოცენების ამბავი, ისევე როგორც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ შემონახული თანადროული ცნობები მიჩნეულია უძველესი ადგილობრივი ისტორიული წყაროებიდან და ტრადიციებიდან ნასესხებად.<sup>46</sup> ს. რეპი არ გამორიცხავს თვით საქართველოს ადრეული ისტორიის ამჟამად დაკარგული ადგილობრივი წერილობითი წყაროების თავის დროზე არსებობის შესაძლებლობას.<sup>47</sup> საესებით სწორედ იყო ამას წინათ მის მიერ შენიშნული, რომ უძველესი ქართული ისტორიული მემკვიდრეობის გამოყენების მცდელობისა და კლასიკური ხანის მონაცემებთან მათი შეპირისპირების გარეშე, საქართველოს ისტორიაგრაფიაში მოღვაწე ზოგიერთი მეცნიერის არგუმენტაცია საგრძნობლად უფასურდება.<sup>48</sup>

ქართლის ცხოვრებაში მოთავსე-

ბული მოქცევაა ქართლისა-ს სანყისი ნანილი, რომელიც შეიცავს ამბავს ალექსანდრე დიდის ქართლში ლაშქრობისა და პირველი აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ჩასახვის შესახებ, განსხვავდება მოქცევა ქართლისა-ს ტექსტიდან იქვე მოთავსებულ ყველა სხვა ნანილისაგან დიდი სახეცვლილებით. ამის გამო ქართლის ცხოვრების აღნიშნული სიუჟეტი, ძალზე განსხვავებული მოქცევაა ქართლისა-ს ოთხივე არსებული ნუსხისაგან, შეიძლება მიჩნეული იქნას ამ თხზულების სრულიად განსხვავებულ ვერსიად ან საკუთრივ ლეონტი მროველის კომპილაციად, რომელმაც მოქცევა ქართლისა-ს ტექსტთან ერთად, სავარაუდოდ გამოიყენა სხვა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი მონაცემები. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ქართლის ცხოვრების პირველი ნანილის, მეფეთა ცხოვრების, და მოქცევა ქართლისა-ს ქრონიკის შესაბამისი სიუჟეტების მსგავსება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ორივე ამ თხზულების პარალელური შესწავლის შედეგად მეფეთა ცხოვრების ტექსტის ავთენტურობის საკითხი, აღარ უნდა იყოს მიჩნეული თანამედროვე კვლევის საგნად. ორივე ეს ნაწარმოები ავლენს არა მხოლოდ ხალხური შემოქმედების კვალს, არამედ, აგრეთვე, განმეორებითი ლიტერატურული რედაქტირების ანაბეჭდს.<sup>43</sup>

ამ ორ მატრიანეს შორის არსებულ თანხვედრების მრავალ მომენტთა შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინფორმაციას ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, რომლის სახელსაც ამავე მატრიანეთა ცნობით მიენერება აღმოსავლეთქართული (ქართლის) სამეფოს წარმოქმნა.

## 2. აპოკრიფული ალექსანდრე დიდი და ქართლის წამეფოს წარმოქმნა

მოქცევა ქართლისა-ს მიხედვით, ალექსანდრე დიდმა ქართლში მოზრძანებისას მასთან ხლებული აზო მცხეთაში შეფედ დაადგინა. შატბერდული კრებულით: "...ესე აზოა წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რეა სახლი [პ. ინგოროყვას კონიუქტურით: "ათასი სახლი მდამიოა უფლისაა უ<sup>30</sup> და ათნი სახლნი მამამძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ყვანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გა, და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზო, ძქ არიან-ქართველთა მეფისაა..." (320)<sup>44</sup> მოქცევა ქართლისა-ს მეორე ნანილის – წმ. ნინოს ცხოვრების – თანახმად, კერპები გაცი და გა ქართველთა ღვთაებები იყვნენ არიან-ქართლში. არსენი ბერი ამ მოვლენას შემდეგნაირად განმარტავს: "ჩუენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსრულთანი, და ენა მათი უწყით, და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან."<sup>45</sup>

არავინ იცის დაბეჯითებით, თუ რა იგულისხმებოდა მოქცევა ქართლისა-ს არიან-ქართლში და სად მდებარეობდა იგი<sup>46</sup>, ვინაიდან ეს მატრიანე არ იძლევა არავითარ ახსნას ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, იმის გამო, რომ მეფეთა ცხოვრების მიხედვით, ქართლის ახალმა მმართველმა, მეფე ფარნავაზმა, აზონის (მდრ. მოქცევა ქართლისა-ს აზო) დამარცხების შემდეგ გაილაშქრა ბერძნების მომიჯნავე მხარეებზე, პონტოს მოსაზღვრე რეგიონებისა და კლარჯეთის დასაპყრობად (I, 23)<sup>47</sup>, მოქცევა ქართლისა-ს არიან-ქართლი, ფართოდ

გავრცელებული აზრის თანახმად, უნდა მდებარეობდეს თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.<sup>55</sup> ამ ვარაუდს მტკიცე საფუძველი ეძლევა ქართლის სამეფო კარის ღვთაებათა ანატოლიური ხასიათის გათვალისწინებით.<sup>56</sup> აღსანიშნავია, რომ რაიმე სხვა ინფორმაცია, დასავლურ თუ სამხრეთ-დასავლურ ქართველური პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ახ. წთ. მეექვსე საუკუნემდე ქართლის დაქვემდებარების თაობაზე, წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით არ მოიპოვება, გარდა ქართული მატრიანების აზო/აზონის ამბის საკმაოდ ბუნდოვანი მინიშნებებისა.

გ. მელიქიშვილის განმარტებით, ქართული მატრიანების ეს ცნობა ნათელს ხდის იმ აქტიურ როლს, რომელსაც ლეონტი მროველის თანახმად ფარნავაზის სამეფო (ქართლი) ასრულებდა საბერძნეთსა და ასურეთს (ანუ პონტოსსა და სელევკიდების სამეფოებს) შორის არსებულ ურთიერთობებში; ამ გარემოებას იგი მიიჩნევს ძვ.წ. III ს. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ქართველთა ტერიტორიებს შორის განფენის მოწმობად.<sup>57</sup> კლასიკური ხანის ავტორების ინფორმაციები, სელევკოს I-ის პროექტის, შავი და კასპიის ზღვების შემაერთებელი არხის გაყვანისა (Plin., n. h. VI, 12, 31) და პატროკლეს ძვ. წთ. 283/282 წწ. კასპიური ექსპედიციის შესახებ (Strabo 2, 1, 2-7; Plin., n. h. II, 67, 167-168; VI, 21, 58), კ. თუმანოვის აზრით, ასაბუთებენ ქართულ ტრადიციას, ადრეულ იბერიულ სახელმწიფოზე სელევკიდების სიუზერენობის თაობაზე.<sup>58</sup> ს. რეპიც ხაზს უსვამს კავშირს ქართული სამწერლობო ტრადიციის მონაცემებსა და ალექსანდრე მაკედონელის მემკ-

ვიდრეების, სელევკიდების მონაწილეობას შორის, ხელშეწყობის სტრატეგიული სავაჭრო გზა, რომელიც კავკასიაზე იყო გადაჭიმული და შავ ზღვასთან მთავრდებოდა.<sup>59</sup>

მეფეთა ცხოვრების მიხედვით, ალექსანდრე დიდთან ხლებული პირისა და მისი თანამებრძოლის სახელია აზონი და მოქცევაა ქართლისა-საგან განსხვავებით, იგი ალექსანდრეს მიერ დადგენილი იყო პატრიკად,<sup>60</sup> და არა მეფედ: "დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი... და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით, და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანით პრომით, რომელსა ქვეან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მჭნენი, და ეკირთებოდეს ქუეყანასა პრომისასა. და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონს პატრიკსა, და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ, და მის თანა სპანი იგი, მპყრობელად ქართლისა (I, 18)". ამ ტექსტის მეთორმეტე საუკუნის სომხური თარგმანის მიხედვით, "ალექსანდრემ ქუეყანაში (ქართლში) პატრიკად, რაც ნიშნავს 'უფროსს', დააყენა ვინმე მაკედონელი სახელად აზონ და ჩააბარა მას ასი ათასი ჯარისკაცი, რომლებიც წარმოადგენდნენ დამცველ რაზმს (protitosik), ძალზე მხნე და მამაც მებრძოლებს. ისინი მანამდე ძალზე ჩავრავენდნენ ბერძნებს მათსავე ქუეყანაში და ამიტომ ალექსანდრემ იქაურობას გაარიდა ეს მეომრები და აზონს ჩააბარა. აზონმა მათგან მეთაურები დანიშნა ქართველთა ქუეყნის მთელს გაყოლებაზე." (20)<sup>61</sup>

მეფეთა ცხოვრების ეს ინფორმაცია ეჭვს გარეშე აღებულია მოქცევა ქართლისა-დან, სადაც, პირველისაგან განსხვავებით, ალექსანდრეს თანამებრძოლის სახელი აზონა და არა

აზონი და მას თან ახლავს არა რომაელი ჯარისკაცები, არამედ თანამემამულეები, რომლებიც მას წინარესაცხოვრისიდან, არიან-ქართლიდან მოჰყვებიან და თან მოაქვთ მცხეთაში თავიანთი ძველი კერპები, გაცი და გა (320).<sup>42</sup>

სომეხთა ისტორიის ავტორის, მოესეს ხორენაცის სიტყვებით: სომეხთა მეფემ, ვალარშაკმა, "...კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუვარელთა პიტიახები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიპრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ [ი]ვერიელთა მოდგმას. ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: 'ძლევა მოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც პერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე [ი]ვერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი, მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქედან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა'. [ი]ვერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს" (11, 8).<sup>43</sup> ინფორმაცია ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსრო II-ის მიერ, ძვ. წთ. VI ს. დასაწყისში, ლიბიიდან (აფრიკა) და იბერიიდან (იბერიის ნახევარკუნძული) მოსახლეობის გადმოსახლების შესახებ, ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში მიუწერებოდა მეგასთენეს (ძვ. წწ. 304-297/293 წწ., ისტორიკოსს, სელევკოს I-ის მუდმივ წარმომადგენელს ინდოეთში)<sup>44</sup> (Euseb., *Præp. Evang.*, IX, 41, 1; *Chron.*, I; შდრ. Josephus, *Con. Apion.*, I; Strabo 15, 1, 6).<sup>45</sup> ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიწისშენება იბერიის (ქართლის) სამეფოს არსებობის ადრეულ ეტაპზე მის სავა-

რუდო კავშირის შესახებ ჩრდილოაღმოსავლეთანატოლიურ, პონტოს-მხარესთან თავისი ასახვა პიოვა აგრეთვე მოესეს ხორენაცის სომეხთა ისტორიაში.

ამავე თხზულების სხვა ფრაგმენტში მოესეს ხორენაცი გვამცნობს, რომ მეფე არტაშესმა, არშაკის ძემ და ვალარშაკის შვილიშვილმა თავისი და არტაშამა "შითხოვა ვინმე მიპრდატს, ქართველთა დიდ პიტიახსს; იგი ნაპირი იყო დარეჰის ნახარარის მიპრდატისა, რომელიც, როგორც შემოთ ითქვა, ალექსანდრემ [ი]ვერიელთა ქვეყნიდან [მოყვანილი] ტყვეების ხელისუფლად დაადგინა. [სომეხთა მეფემ] მიპრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განმგებლობა" (11, 11).<sup>46</sup> სავსებით ცხადია, რომ არტაშესი (ბერძნული წყაროების არტაქსიასი) – არტაშეს I-ია (ძვ. წთ. 189-161 წწ.), ხოლო მიპრდატი – მითრიდატე VI, ევპატორი (ძვ. წთ. 111-63 წწ.), სომეხთა დიდი მეფის ტიგრან II-ის (ძვ. წთ. 95-55 წწ.) სიმამრი. გ. მელიქიშვილი ამ მიპრდატს პონტოს სამეფოს მითრიდატიდთა დინასტიის წარმომადგენლად მიიჩნევს, რომელიც ამასთანავე შესაძლებელი ჩანს ქართული წყაროების აზო/აზონთან იყოს იდენტიფიცირებული.<sup>47</sup> გასათვალისწინებელია, რომ მითრიდატე VI, ევპატორი, ზელს უწყობდა ხოლმე ალექსანდრე დიდთან მისი პიროვნების შედარებას.<sup>48</sup> ამავ დროს მითრიდატე VI, პონტოს სხვა მითრიდატიდების დარად, იჩემებდა დარიოსის, აქემენიდთა ირანის დიდი მეფის, ერთ-ერთი სატრაპის ჩამომავლობას.<sup>49</sup>

ქართული და სომხური მატრიანეების ზემოაღნიშნული მონაცემების შუქზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში მკვიდრად აქვს ფესვები გადგმული აზრს, რომ იბერიის (ქართლის) სამე-



ფოს წარმოქმნა დაკავშირებული უნდა იყოს მცირე აზიის ელინისტური ხანის სახელმწიფოების ან სამხრეთქართული სატომო კავშირების ექსპანსიასთან.<sup>70</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სომეხთა ისტორია, ქართული მატრიანეების მსგავსად, იბერიის სამეფოს წარმოქმნას ალექსანდრე დიდის სახელს მიაწერს, სავსებით ცხადია, რომ ალექსანდრეს არასოდეს გაულაშქრებია კავკასიისაკენ. ქართული და სომხური მატრიანეების ეს ცნობები ეტყობა ნაესხებია ფსევდო-კალისტენეს პოპულარული თხზულებიდან, ალექსანდრეს რომანიდან (*Historia Alexandri Magni*), რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებს (სავარაუდოდ ახ. წთ. IV ს.) განეკუთვნება და დაკავშირებული ჩანს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებასთან, რომელიც კავკასიონის, იგივე კასპიური, კარიბჭის (იხ. ქვემოთ)<sup>71</sup> გამაგრებას ალექსანდრეს მიაწერს.<sup>72</sup> კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური უღელტეხილი ხშირად მოიხსენება კლასიკური ხანის მწერლობაში, როგორც ალექსანდრეს სვეტები თუ ალექსანდრეს ბურჯი (*Cl. Ptol., V, III, 16; Euseb. Hier., Epist., 77, 8*).

ამავე დროს, რალაც მოვლენას ეტყობა მართლა უნდა ჰქონოდა ადგილი ძვ. წთ. გვიან IV-ადრე III სს. იბერიაში. ჯერჯერობით შეუძლებელია იმის გარკვევა თუ ვის ან რას უნდა გამოენებია იგი, თუმცა პლინიუსი და იულიუს სოლინუსი იონყებიან მაკედონელთა გაბატონებას იბერიაში.<sup>73</sup> მოიპოვება აგრეთვე სრულიად სხვა სახის მონაცემებიც; არქეოლოგიური გათხრების შედეგად, კლასიკური ხანის შიდა ქართლში განლაგებულ ძეგლებზე – სამადლო I, ხოვლე გორა III (ძვ. წთ. IV ს. ფენა), უფლისციხე, ურბნისი – აღმოჩნდა კატაპულტისათვის გამოსაყე-

ნებული ქვის ბირთვიც.<sup>74</sup> ამისა და, მხოლოდ მაკედონური ართია იყო ალექსანდრე ანალოგიური მექანიზმებით, გ. ლორთქიფანიძის აზრით, ალექსანდრე მაკედონელის ან მისი უახლოესი მემკვიდრეების ლაშქრობას უნდა ჰქონოდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში.<sup>75</sup>

მაგრამ სტრაბონის (დაახლ. ძვ. წთ. 63 – ახ. წთ. 19 წწ.) იმ ცნობის შეპირისპირებით, რომ ალექსანდრე დიდმა მეწონი გაგზავნა ჯარისკაცებითურთ სისპირიტისში, კაბალის მახლობლად, სადაც ოქროს საბადოებია (II, 14, 9), მისავე მეორე ცნობასთან, რომლის თანახმადაც, აღმოსავლეთის იბერები ცნობილი არიან იმავე სახელით, რომელითაც დასავლეთის იბერები, ორივე ამ მხარეში ოქროს მალარობის არსებობის გამო (II, 2, 19), ცხადი ხდება, რომ საქმე უნდა ეხებოდეს არა იბერთა ცენტრალურამიერკავკასიულ ნაწილს, არამედ მათივე ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, სპერს (თანამედროვე თურქული ისპირი). საყურადღებოა, რომ სპერის უშუალოდ აღმოსავლეთით, თორთომის მახლობლად მდებარე მათე საუკუნის ხახულის ტაძრის გარე კედელზე, მეთოთხმეტე საუკუნით დათარიღებული, ცად ამოღებული წარმართი მეფის (ალექსანდრე მაკედონელის) გამოსახულებაა ამოკვეთილი. ალექსანდრესადმი თავყანისცემა იმდენად ძლიერი იყო საქართველოში, რომ ყველაზე უფრო სახელგანთქმულ ქართველ მეფეს, დავით IV, აღმაშენებელს, ქართული მატრიანეები მეორე ანდა ახალ ალექსანდრეს უწოდებენ.

ადგილობრივ მმართველთა სურვილი, დაეკავშირებინათ საკუთარი მიზნები ალექსანდრე დიდის ინტერესებთან და გამოეყენებინათ მისი ძა-



ლაუფლება მათი რეალიზაციისათვის ასახულია, ახ. ნთ. მეორე საუკუნის რომაელი მწერლისა და პოლიტიკოსის, ფლავიუს არიანეს, თხზულებაში, ალექსანდრეს ლაშქრობა. მისი ინფორმაციით, ძვ. ნთ. 329-328 წწ. შუააზიელი "ზორაზმიელების" მეფე ფარასმანესი ეახლა ალექსანდრეს შუააზიაშივე მდებარე მდინარე ოქსის (თანამედროვე აშუ დარია) სანაპიროსთან და მოახსენა, რომ იგი ცხოვრობდა კოლხებისა და ამაძონელების მეზობლად და მზად იყო მას დახმარებოდა თუ კი ალექსანდრე გადაწყვეტდა იმ ტომების დამორჩილებას, რომლებიც სახლობდნენ პონტოს ექსტინოსამდე (ანუ შავ ზღვამდე) გადაჭიმულ მხარეში (XV, IV, 14, 15).

როგორც მე სხვა ადგილას შევეცადე შეჩვენებინა, ეს ინფორმაცია დაკავშირებული უნდა იყოს ქართული და სომხური მატრიანების იმ ცნობებთან, რომლებიც იბერიის მმართველის ალექსანდრე დიდზე დამოკიდებულებას ეხებიან.<sup>76</sup> თუ ერთის მხრივ, არიანეს მიერ მოხსენიებული ზორაზმიელთა მეფე ფარასმანესი, ალექსანდრეს დახმარებას ელოდებოდა თავისი მეზობლების - კოლხებისა და ამაძონელების - წინააღმდეგ, მეორეს მხრივ, ქართული და სომხური მატრიანების ცნობით, ალექსანდრე დიდმა ქართლში მოსვლის შემდეგ თავისი თანამებრძოლი დაადგინა ამ ქვეყნის მმართველად. ვინაიდან, მეფეთა ცხოვრების ტექსტის ფარნავაზმა აზონის (მოქცევაჲ ქართლისაჲს აზო) დამარცხების შემდეგ გაილაშქრა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, აღმოსავლეთ ანატოლიის სიღრმეში, ხოლო სომეხთა ისტორიის მიმრდატ/მითრიდატეში, როგორც ჩანს, პონტოს სამეფოს მითრიდატიდების დინასტიის წარმომადგენელია ნავულისხმევი, მე

### ერქვესული

ფიქრობდი, რომ სტრატეგიაში - ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში - უნდა ყოფილიყო საძებარი, არა მხოლოდ ქართული მატრიანების არიან-ქართლი, არამედ აგრეთვე ფარასმანესის - კოლხთა და ამაძონელთა მონინააღმდეგის - ქვეყანა, რომლის სახელწოდებაც სავარაუდოდ აღრეული იყო შუააზიური ქვეყნის - ხორეზმის - სახელწოდებასთან.

განსაზილველ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღება მივაქციე სტრაბონის ცნობას, რომ სომხებმა თავისი ქვეყანა განადიდეს იბერიელთაგან გოგარენეს გარდა პარიადრის მთიანეთისა და ხორძენეს ჩამოჭრით (II, 14, 5).<sup>77</sup> შესაბამისად, შესაძლებლად მივიჩნიე, მეფიქრა, რომ ფლავიუს არიანეს ალექსანდრეს ლაშქრობის ტექსტში ზორაზმიელთა მეფის, ფარასმანესის, სახელის ქვეშ იბერიელთა მხარის, ხორძენეს, მმართველი უნდა ყოფილიყო ნავარაუდევნი; ასეთ შემთხვევაში, არიანეს ინფორმაცია და მოქცევაჲ ქართლისაჲს ცნობა არიან-ქართლის მეფის ძის აზოს შესახებ, რომელიც ალექსანდრე დიდის დახმარებით გამეფდა მცხეთაში, ერთი დამავე მოვლენის გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ძვ. ნთ. გვიან IV - ადრე III სს. მოვლენები გარკვეულად უკავშირდებოდა იმ პროცესებს, რომლებმაც გამოიწვიეს იბერიის სამეფოს წარმოქმნა. ეს ცხადი ხდება საქართველოს ადრეული ისტორიის მთელი კონტექსტიდან; ქართული და სომხური მატრიანების მონაცემები ამ გარემოების ანარეკლია. კ. თუმანოვის განმარტებით, შეუძლებელია შეუმჩნეველი დაგვრჩეს მოქცევაჲ ქართლისაჲს ცნობათა არსებითი ავთენტურობა და შესაბამი-

სად მისი წყაროების სარწმუნოება და სიძველე; განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, ალექსანდრე დიდის მიერ აქემენიდთა იმპერიის დაპყრობასა და *pax achaemenia*-ს *pax macedonica*-თი შეცვლის ფაქტიურ კავშირს ქართველების შემდგომ დამოუკიდებლობასა და მათი მონარქიის დაფუძნებასთან, რამაც სათავე დაუდო მათ ისტორიულ მახსოვრობასა და ერის უწყვეტ ორგანულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას.<sup>78</sup>

მოქცევაჲ ქართლისაჲს აზოს პიროვნების მორგების საჭიროებაჲ მეფეთა ცხოვრების კონცეპციასთან – ქართველთა ავტოქტონობისა და მათი პირველი, ადგილობრივი, მეფის ფარნავაზის შესახებ – აიძულა ამ უკანასკნელის ავტორი (თუ რედაქტორი) შეეცვალა აზო, „მაკედონელი“ აზონით, ხოლო აზოს თანამემამულეები არიან-ქართლიდან, აზონის თანმხლები „რომაელი ჯარისკაცებით“ – ფროტათოსელებით (მდრ. I, 18). გ. მელიქიშვილის აზრით, ციკლები აზოსა (=მიპრდატს, მოვსეს ხორენაცის სომეხთა ისტორიიდან) და ფარნავაზის შესახებ, შესაძლოა ადრე ერთმანეთის დამოუკიდებლად არსებობდნენ ანდა იქნებ სულაც, იბერიის სამეფოს წარმოქმნის შესახებ არსებული, ერთიადიმავე ამბის ვარიანტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მეფეთა ცხოვრების ავტორმა გვიანდელ ლიტერატურულ ვერსიაში გაართიანა.<sup>79</sup> მაგრამ თუ ამბავი, აზონის მიერ წამოყვანილი ასი ათასი (?! – გ.ქ.) რომელი ჯარისკაცის შესახებ, რომელთა წაწილიც შემდგომში ადგილობრივ მოსახლეობაში იყო ასიმილირებული (I, 25), მთლიანად გამოგონილი იყო შემატანის მიერ და დამატებული მოქცევაჲ ქართლისაჲს სიუჟეტზე ქართველთა პირველი მეფის, აზოს შესახებ, როგორც ეს უკვე ადრე

იყო ნაგარაუდები,<sup>80</sup> რე მიხედვითად იყვნენ ისინი ნოდებულნი ქართველთა ცხოვრებაში „ფროტათოსელებად“? (I, 18), რაც შესაძლოა ფროტათოს ხალხს ნიშნავდეს. დანამდვილებით ხომ არავინ იცის ეს ტერმინი, „ფროტათოსელი“, რას ნიშნავს, ან სად იყო „ფროტათოს ხალხის“ სამშობლო? (იხ., აგრეთვე, ქვემოთ).

ი. გაგოშიძის შეხედულებით, ტერმინი „ფროტათოსელი“ შესაძლოა მომდინარეობდეს ბერძნული *φρόταξ*-იდან, რაც ნიშნავდა დაწინაურებულს, წინა ხაზზე მდგომს, მაგრამ ქართლის ცხოვრების ავტორმა იგი მნიშვნელობის გაგების გარეშე გამოიყენა.<sup>81</sup> უკანასკნელ ხანებში, ნაგარაუდები იყო ისიც, რომ ტერმინი „ფროტათოსელი“ შესაძლოა მომდინარეობდეს მოწინავე რაზმის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვიდან: *φρόταξ*, *φρόταξ*, რომელიც გამოყენებული იყო ალექსანდრე დიდის დროინდელი სამხედრო კორპუსის აღმნიშვნელად.<sup>82</sup>

ვფიქრობთ, ტერმინ „ფროტათოსელი“ ახსნა ბერძნული სიტყვის *φρόταξ*, *φρόταξ*-ის მეშვეობით, უფრო სარწმუნო გახდებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ ამავე ბერძნული სიტყვის ატიკურ ფორმას: *φρόταξ*, უფრო ახლო მდგომს ქართულ ტერმინთან – „ფროტათოს“. როგორც ცნობილია, ატიკური დიალექტი გამოყენებული იყო მაკედონელთა მიერ, ჯერ კიდევ ალექსანდრეს მამის ფილიპე II-ის ხანაში და ფართოდ გავრცელდა მთელს ელინისტურ სამყაროში ალექსანდრეს არმიის ექსპანსიასთან ერთად. ვინაიდან, ეს სიტყვა, ატიკურ დიალექტზე ნიშნავს „ადგილს ან სადარაჯოს წინა ხაზზე“, „დგომას ვინმეს წინ მისი დაცვის მიზნით, წინ აფარებას“,<sup>83</sup> იგი თვით იბერიის სამეფოსა და საზოგადოდ მთელი ამიერკავკა-

სიური არეალის ისტორიულ დანიშნულებას გამოხატავს. კავკასიის ჭიშკრისა ანუ ალექსანდრეს სვეტების უშუალოდ სამხრეთით მდებარეობა და, ამასთანავე, ერთიანი ელინისტური სამყაროსადმი კუთვნილება, განაპირობებდა იბერიის სამეფოს მიერ, მის გადაღმა მდებარე ხმელთაშუაზღვისპირეთულ-ნიჩაზიურ *αιχμησών* - ს, საზიარო ინტერესების მქონე ცივილიზებული სამყაროს, ჩრდილოეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის, მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან დამცველის ფუნქციის აღებას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ცხოვრებისეულ ტერმინს "ფროტათოსელები", ამჟამად მიაკუთვნებენ მაკედონელთა არმიის ნაეარაუდევექსპანსიას (იხ. ზემოთ), კარგად არის ცნობილი, რომ თავად ალექსანდრეს არასოდეს ულაშქრია კავკასიისაკენ. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ალექსანდრე დიდის სახელის კავშირი ქართულ სახელმწიფოებრიობასთან უნდა მიუნიშნებდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ სახელმწიფოს *raison d'être*-ზე (არსებობის არსზე), კერძოდ, მის დანიშნულებაზე, ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი, ამ უკანასკნელის ბრძოლაში ვოგისა და მაგოგის საუფლოსთან, რომელსაც კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, პიპერბორეელთა უდაბნოში ედო ბინა.<sup>84</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა შევაჩეროთ მეფეთა ცხოვრების განცხადებაზე (I, 17), რომ ალექსანდრე დიდმა ქართლში შემოსვლისას: "...მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცბონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუენა... და დაუტყენა ნათესავნი ქართლოსიანნი". მანვე უბოძა ქართველებს მმართველი და

მისცა იდეოლოგიური, საფუძვლად ყველა სახელმწიფოს მკაცრად დებელი კომპონენტი, - მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემა და სამყაროს შემოქმედი უხილავი ღმერთის სამსახური (I, 18).<sup>85</sup> საინტერესოა, რომ დღესაც, საქართველოს სახელმწიფო გერბზე გვხვება დიდი მეფის ლეგენდარული ხატების მიერ ბოძებული მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის გამოსახულება, ხოლო თეთრი გიორგის ცხენის ფლოქვებთან, წმ. გიორგის ხატის ურჩხულის ნაცვლად, ძვეს კავკასიონის მთები - ქვეყნის წინაშე მდგარი ბუნებრივი გამოწვევის სიმბოლო (არნოდდ თონბისეული - *Challenge*-ი), სიმბოლო მისი ბედის კავშირისა დედამიწის გეოგრაფიული და პოლიტიკური დაყოფის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანსვეტთან.

### 3. კავკასიონის უღელტეხილების მნიშვნელობა ამიერკავკასიის ადრეული ისტორიისათვის

ქართულ მატიანეებში ხატოვნად არის აღწერილი ალექსანდრე დიდის ქართლში შემოჭრის ამბავი; მას აქ უნახავს საზარელი ბარბაროსები, მდ. მტკვრისა და მისი ჩრდილოეთი შენაკადების (კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთებიდან ჩამავალი) გაყოლებით მოსახლე, ხალხი, რომელთაც ქართველები "ბუნ-თურქებსა" და "ყიჭალებს" უწოდებდა. ალექსანდრე გაცხებული დარჩენილა, ვინაიდან არცერთი სხვა ხალხი არ იქცეოდა მათსავით უგვანად. მემატინეების განცხადებით, მათ არ ყოფნით სიტყვები მათი ქმედებების აღსაწერად. თუმცა მათ პქონიათ კარგად გამაგრებული ქალაქები და ყოფილან უშიშარი მეომრები.

ბუნ-თურქებში, რომელთა სახელი ჩვეულებრივ ახსნილია ხოლმე, რო-

გორც, „თავდაპირველი, ფუნდამენტური თურქები“, ანდა, როგორც „პუნ-თურქები“ და რომელთაც ვითომდა ალექსანდრე შეეჩეხა კავკასიაში ლაშქრობისას, უნდა იგულისხმებოდნენ კავკასიის გადმოლაზვის შედეგად იმიერკავკასიიდან შემოჭრილი ჩრდილოური ნარმოშავლობის ტომები. ეს გარემოება რამდენადმე დასტურდება მეფეთა ცხოვრების ცნობითაც, კერძოდ, რომ ალექსანდრეს ჯარის მიერ სარკინეს ციხე-სიმაგრეში გარშემორტყმულნი, ისინი კლდეში არსებული ხვრელით დაუსხლტნენ მას და თავშესაფარი კავკასიონის მთებში პპოვეს (1, 18).<sup>66</sup> არსენი ბერის განმარტებით, ის რეგიონი სადაც პუნ-თურქები ქართლის მიტოვების შემდეგ გადასახლდნენ, მდებარეობდა ოვსეთს (ოსთა ანუ ალანთა ქვეყანა)<sup>67</sup> იქით და ნარმოადგენდა ნყლით მდიდარ ვრცელ მხარეს, სადაც უფრო გვიან ყოჩაღთა ძლიერი მოდგმა ბინადრობდა. უეჭველია, რომ არსენ იყალთოელს სამხრეთ რუსეთის სტეპები პქონდა მხედველობაში.

ვინაიდან, მხოლოდ მეფეთა ცხოვრების იმ ნაწილში, სადაც საუბარია კავკასიაში ალექსანდრეს ლაშქრობაზე, არიან პუნ-თურქები მოხსენიებულინი, ხოლო ამავე ტექსტში უფრო ადრეულ და გვიანდელ ჩრდილოელ მომთაბარეებზე საუბრისას ძირითადად ხაზართა სახელი იჩენს თავს (1, 11-13, 27, 63, 65-66), ეს გარემოება დამატებით საბუთს უნდა ნარმოადგენდეს მეფეთა ცხოვრების სწორედ ამ ნაწილის მოქცევა ქართლისა-ს ტექსტიდან თუ არა, რომელიდაც ჩვენთვის ჯერაც უცნობი მესამე წყაროდან ორივე ამ მატთანეში სესხების სავარაუდებლად.

მეფეთა ცხოვრებაში ალექსანდრეს წინადროინდელი მოვლენების აღ-

წერისას ხაზარების მოხსენიება, ცხადია მოწმობს, რომ ეს ტომთა მხარე რობითი მნიშვნელობით არის ნახმარი, იმიერკავკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომების აღსანიშნავად. მაგალითად, მეფეთა ცხოვრების ცნობით, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებაში, ხაზარებს თურმე ჩრდილოეთ კავკასიაზე ულაშქრიათ: „მას შამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასიონთა... და ითხოვეს შუელა ხაზართა ზედა. ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი, და გარდავლეს მთა კავკასია. და მოტყუენეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი, და აღაშენეს ქალაქნი პირსა ხაზარეთისასა, და წარმოვიდეს. ამისა შემდგომად ხაზართა იჩინეს მეფე, და დაემორჩილნეს ყოველნი ხაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა. და წარმოიძღუნეს იგი და გამოვიდეს ზღეს-კარები, რომელსა აწ პქან დარუბანდი. ვერ წინააღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვ ხაზართა, წარტყუენეს ქუეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატიანნი და მასისისანი და ჩრდილოსანი... (1, 11-12)“.

იმიერკავკასიაში, ხაზარეთის შესასვლელთან სიმაგრეთა აგების შესახებ არსებული ცნობები, ეტყობა ამიერკავკასიის მოსახლეობის პერმანენტული სურვილის გამოხატულებაა, თავის ხელში მოექცია კავკასიონის უღელტეხილები გადაღმა (ჩრდილოეთის) მხრიდანაც. ქართული მატთანეების ინფორმაციით, ქართველი მეფეები ჩრდილოთ კავკასიაში ლაშქრობისას დარიალის (სპარსული დარი-ალანი, ალანთა კარი) ხეობას იყენებდნენ. ცხოვრება ეახტანგ გორგასლისა იუნყება, რომ: „წარვიდა ეახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს

ყოველნი მეფენი კაცკასიანნი ორმოც-დაათი ათასი მედეარი. და წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარები დარიალანისა. შესღვასა მისსა ოვსეთად იყო ეახტანე წლისა თექუსმეტისა. მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით, და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა (1, 151)". დავით აღმაშენებლის ხანასთან დაკავშირებით, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი გვამცნობს, დავით მეფის მიერ კაცკასიონზე გამავალი ყველა უღელტეხილის მისი კონტროლისადმი დაქვემდებარების თაობაზე: ეს განსაკუთრებით საშური ხდებოდა დავითის ლაშქრისათვის ჩრდილოეთიდან მეომართა გადმოყვანის უზრუნველსაყოფად. მატანიის ტექსტის მიხედვით, ისინი (მეფე დავითი და გიორგი ჭყონდიდელი): "შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძველნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშვედობა ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კაცკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშვედობისა ყივჩაღთათეს, და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი (1, 336)".

მეფეთა ცხოვრების ტექსტი, შემოსულ ხაზართა მიმართ წინააღმდეგობის განევას სპარსელთა სარდალს, არდამს, მიანერს: "მოვიდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი. და მოსრა ყოველი რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა (1, 13)". ეს მოვლენა ეხება ალექსანდრე დიდის ბუნ-თურქებთან

ბრძოლის ხანაზე აღწერილ ნაშრომს და, როგორც უკვე ითქვა, მიჩნეული უნდა იყოს შედარებით უფრო გვიანდელ დანამატად.

მეფეთა ცხოვრება, ჩრდილოეთიდან ამიერკაცკასიაში შემოსაჭრელ ორგზაზე ამახვილებს ყურადღებას და, ამასთანავე, მიგვანიშნებს ამ ტექსტის შექმნის მოახლოებულ ხანაზე, ჩრდილოელი მოლაშქრეების ხაზარებად მოხსენიებით: "და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღესკარები დარუბანდი და არაკესკარები, რომელ არს დარიალა (1, 14)".<sup>88</sup>

სომეხთა ისტორიის ავტორი მოვსეს ხორენაციც, მოიხსენიებს ჩრდილოელ ტომებს მისი ეპოქის რეალობიდან გამომდინარე ხაზარებად და ბასილიკებად, რომელთაც დარუბანდის კარის (ჭორას კარი, დერბენდი) გავლით გადმოსულეებმა დალაშქრეს მტკვრის მარჯვენა სანაპირო: "...ვალარშის დროს შეიკრიბნენ ჩრდილოელთა ბრბოები, ვგულისხმობ ხაზარებსა და ბასილებს და გადმოლახეს ჭორას კარები. მათი წინამძღვარი და მეფე იყო ვინმე უნასემ სურჰაპი; მათ გადმოლახეს მდინარე მტკეარი". თავდაპირველად ვალარშმა, სომეხთა მეფემ, გაიმარჯვა, "შერმე დიდხანს სდია მტერს და განვლო ჭორას ხეობა. იქ მტრებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი" და ვალარშიც მომდევნო ბრძოლაში იქნა მოკლული. მისმა შვილმა, ხოსროვმა, "შეკყარა სომეხთა ჯარი და გადააირა დიდი მთა, რათა შური ეძია მამის მკვლელებზე. [ხოსროვმა] მახვილითა და შუბით შემუსრა იქაური ძლიერი ტომები და ყოველი ასი გამოსადეგი [ადამიანიდან] ერთი მძველად წამოიყვანა. თავისი ხელისუფლების [დამყარების] ნიშნად მან [იმ ხაზარები] სვეტი აღმართა ბერძნული წარწე-

რით. ამით ისიც აჩვენა, რომ იგი რომაელებს ემორჩილებოდა. (11, 65).<sup>89</sup>

ეს ინფორმაცია დაკავშირებული ჩანს, აგათანგელოსის, სავარაუდოდ გვიანი მეხუთე საუკუნის ავტორის, სომეხთა ისტორიის მონაცემებთან (§19), ჩრდილოური წარმომავლობის მოსახლეობის ამიერკავკასიაში შემოსვლის შესახებ, ორთავე, დარიალი-სა და დერბენდის კარის (ჭორას ციხესიმაგრე) გამოყენებით, თუმცაღა, ამჯერად, სომეხთა მეფის მიპატივების შედეგად: „სომეხთა მეფემ ხოსრომ დაიწყო ძალების მოგროვება და ჯარის შეკრება. მან მოიხმო ალბანელთა და ქართველთა ჯარები, გააღო ალანთა და ჭორთა კარიბჭეები და გადმოიყვანა პუნთა ძალები, რათა შეეტია სპარსელთა სამფლობელოებისათვის და შეჭრილიყო ასორესტანში, ქტესიფონის კარამდე“. ჩრდილოელთა ასეთი ძალის შეტევის შესახებ მნიშვნელობა, ცხადი ხდება შემდეგი სიტყვებიდან: „მან [ხოსრომ] უდაბნოდა და ნანგრევებად აქცია მთელი ქვეყანა, მჭიდროდ დასახლებული ქალაქები და აყვავებული დაბები. გააჩანავა და გაძარცვა ყოველივე. იგი შეეცადა ამოეძირკვა, დაენგრიო, გაენადგურებინა და დაენარცხებინა ერთხელ და სამუდამოდ სპარსთა სამეფო; მისი მიზანი იყო მოესპო სპარსელთა ყოველი ნამოქმედარი“.<sup>90</sup>

ეს ამბავი აირეკლა ქართლის ცხოვრებაშიც: „ხოლო სომხითს მეფე იქმნა კოსარო. და ამან კოსარო მეფემან უწყყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეწყოდა მას ასფაგურ, მეფე ქართველთა, და ამან ასფაგურ განუზუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი, და მივიდის კოსარო მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა. და პირველსავე შესვლასა სპარსეთად ეწ-

ყო ქასრე, მეფე სპარსთა და მოტესიტი და მოსრეს სპა მისს. და მისერსაგან ვერლარა წინააღუდგა ამით მეფე იგი სპარსთა, და განამრაველეს შესვლა სპარსეთად და ტყუენვა სპარსეთისა... ვითარ იოტეს სომეხთა და ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე სპარსთა, და განამრაველეს შესვლა სპარსეთს და ორება სპარსეთის; და ვერლარა ოდეს წინააღუდგა მეფე სპარსთა (1, 59-60)“.

სომეხთა, ისევე როგორც ქართველთა, მიმართება ჩრდილოელებსა დამი ამბივალენტური იყო. თუ, ერთის მხრივ, აუცილებელი იყო კავკასიონის უღელტეხილების დაცვა მათი შემოსევებისაგან, მეორეს მხრივ, დიდი იყო ცდუნება მათი ძალის გამოყენებისა უფრო სამხრეთით მდებარე ძლიერი მტრის წინააღმდეგ. მოვსეს ხორენაცის მიხედვით: „თრდატ მეფე სომხეთის მთელი ლაშქრით დაეშვა გარგარელთა ველზე; იქ იგი შეეჩება და ბრძოლა გაუმართა ჩრდილოელებს... თრდატი გამოუდგა მათ და პუნთა ქვეყანამდე მისდია... ჩვეულებისამებრ, თრდატმა მძევლები წამოიყვანა მტრის ქვეყნიდან და უკან გამობრუნდა. ამის შემდეგ მან მიიმხრო ყოველი ჩრდილოელი, გადმოიყვანა იქედან დიდძალი ჯარი, შეკყარა მთელი თავისი ლაშქარიც და გაეშურა სპარსთა ქვეყნისაკენ შაპუჰ არტაშირის ძის წინააღმდეგ...“ (11, 85).<sup>91</sup> მეფეთა ცხოვრებაში შემავალი წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დასკვნითი ნაწილის თანახმად, ქართლის მეფის, ვარაზ-ბაქარის, დროს: „...გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ხარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და გა-

ნახუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღმდეგენ სპარსთა. და წარჩინებულნი თჳსნიცა ეტყოდეს წინააღმდეგომასა სპარსთასა (I, 136)". ანტისპარსული სომხურ-ქართული გაერთიანებული წინააღმდეგობის იდეის არსებობა, ასე ხშირად გამოვლენილი ძველ სომხურ და ქართულ მატრიანეებში, ადვილად გასაგები ხდება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამიერკავკასიის ორივე ეს ქვეყანა მრავალი მიმართებით ერთ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა.<sup>12</sup>

თუმცა, ჩვეულებრივ, ქართველ, სომეხ და სპარსელ მონარქთა ინტერესები თანხვედებოდა დერბენდის კარიბჭის დაცვის საკითხში – ჩრდილოეთიდან მომდგარი მტრის შემოღწევის საწინააღმდეგო ზომების მიღებისას. მეფეთა ცხოვრება გვამცნობს, რომ მეფე მირიანი, მომავალში პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე, იყო ყველაზე უფრო თანმიმდევრული გამტარებელი ასეთი პოლიტიკისა. მან "...იწყო ბრძოლად ბაზართა, და მარადის პბრძოდის: ოდესმე გაავდიან მირიანს ლეკნი და მათ გამოიყვანიან რა ბაზარნი თანამეშენედ მათდა, მიეგების მათ წინა მირიან ჰერეთს ანუ მოვაკანს და მუნ ეწყეს მათ; და ოდესმე დურძუკთა და დიდოთა მოირთიან და გამოიყვანიან ბაზარნი, მაშინ ეწყეს და ვეროდეს სძლეს ბაზართა, და ყოვლადვე მირიან სძლის. და ესრეთ მრავალგზის გადაიწადა წყობა ბაზართა. და უფროსი ლაშქრობა მისი იყვის დარუბანდს. რამეთუ მოვიდიან ბაზარნი და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარილეს და განალეს კარები ფართო, და მუნით იწყეს გასლვად სპარსთა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდიან ბაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდის მირიან შუელად დარუბანდისა: ოდესმე უომრად

მიპრიდიან ბაზართა მეფე მურუზს, და ოდესმე ბრძოლით ეგუგუნოს (I, 137)". მირიან მეფის მიერ წარმოებული ბრძოლის არსი განსაკუთრებული სიცხადით არის გადმოცემული მემატიანის მიერ მისადმი მიწერილ სიტყვებში, რომ: "მუნ ყოველნი დღენი ჩემნი დამიყოფიან ბრძოლასა შინა ბაზართასა, და მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიკავეს სპარსეთი ბაზართაგან" (I, 67).

ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა ნათელპყოფს, დარიალის გარდა, აგრეთვე დერბენდის კარიბჭის დიდ მნიშვნელობაზე ჩრდილოეთის მხრიდან ქართლის თავდაცვის საჭიროებისას: "მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოქრნეს ველნი არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თნიერ კასპისა... და ვანვლეს კარები დარუბანდისა, რამეთუ თვთ გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი (I, 145-146)". მოვსეს ხორენაცი ასევე იუწყება, რომ შამშა: "შამშაჰმა, ორმიზდის ძემ, ჩვენი მეფის, ტირანის მიმართ დიდი სიყვარული გამოამყლავნა, დაეხმარა მას, დაიფარა ჩრდილოელ ტომთა შემოტყევისაგან, რომლებიც გაერთიანდნენ, გადმოლაბეს ჭორას ვიწრობი და ოთხი წლის მანძილზე ალვანეთში დაიბანაკეს." (III, 12)<sup>13</sup>

ხორენაცისავე ინფორმაციით, რომელიც ბევრად უფრო ადრეულ ხანებს ეძღვნება, ვალარშაკის ძის "არშაკის დროს საშინელი არეულობა მოხდა დიდი მთის, კავკასიის მიდამოებში, ბულღართა მხარეში. ბევრი მათგანი აიყარა და ჩვენს ქვეყანას მოაშურა. ისინი დიდხანს მკვიდრობდნენ კოლის [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარე, კოლა, თანამედროვე თურქულ ქა-



ლაქ გიოლესთან, ქ. ყარსის დასავლეთით – გ. ქ.] ქვემოთ, ნოყიერ მიწებზე, პურით მდიდარ ადგილებში” (II, 9).<sup>54</sup> როგორც ჩანს, ქართული მატია-ნეების ბუნ-თურქები და სომხურის – ბულღარები, ჩრდილოური წარმომავლობის ერთი და იგივე ტომი უნდა ყოფილიყო. მათი ერთმანეთთან გაიგივება კიდევ უფრო საკარაუდო გახდებოდა, თუ მხედველობაში მივიღებდით ხორენაცის ტექსტის მონათხრობს “ველურ, მოსულ ტომზე”, რომელიც წინ უსწრებს სიუჟეტს ბულღარების შესახებ, და რომელთა დაბასიათებაც მოგვაგონებს ბუნ-თურქთა ზოგიერთ თვისებას და ამ უკანასკნელთა განსახლების არეალს – ცენტრალურ ამიერკავკასიას. ამ ცნობის მიხედვით, ვალარშაკმა, ზემოხსენებული არშაკის მამამ: “...მოუხბო ველურ, მოსულ ტომს; იგი ბინადრობდა ჩრდილოეთის ველზე და კავკასიის დიდი მთის ფერდობზე, ჭალებსა და ვრძელ, ღრმა ხეებში, რომელნიც მთის სამხრეთ კალთებიდან დიდი ველის თავამდე ჩადიდნენ. [ვალარშაკმა] უბრძანა მათ, მოეშალათ ავაზაკობა და კაცთა ღალატი, დამორჩილებოდნენ ხელმწიფის ბრძანებებს, გადაეხადათ ხარკი...” (II, 6).<sup>55</sup>

უჭველია, რომ მოვსეს ხორენაცს ამ შემთხვევაშიც ისევ ის ბულღარები ჰყავს მხედველობაში. იგი ამ პარაგრაფში (II, 6) ზემო ბასიანს (ტერიტორია არეზისა და მტკერის ზემო დინებებს შორის) ლტოლვილი ბულღარის, ვლენდურ ეუნდაის ახალშენად მიიჩნევს; სახელწოდება ვანანდი (ყარსის სანახები) მას ამ უკანასკნელის სახელის მიხედვით უნდა დარქმეოდა.

როგორც ვხედავთ, მოვსეს ხორენაცი რამდენჯერმე მოიხსენიებს კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე მხარეების ბარბაროსულ მოსახლეობასა და

მათ შემოსევებს ქედის საკმარისად და კერძოთ სომხეთის მიმართულად. ამდენად, ვფიქრობთ, რომ მისივე ნაწარმოების სხვა, ზემოთ უკვე ციტირებულ ფრაგმენტში (II, 8, II), რომელიც ეხებოდა სომხეთის მეფის მიერ ჩრდილოეთის მთების გამგებლობის ჩაბარებას ქართლის მმართველის, მითრიდატესადმი, ასახულია იგერიის სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, დაეცვა “ჩრდილოეთის მთებზე” (ანუ კავკასიონზე) არსებული გადასასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან ბარბაროსი ტომების შემოღწევისაგან.

ორი სამყაროს, ცენტრალური ევრაზიისა (ანუ შიდა აზიის) და მისი პერიფერიის, შორის არსებულ საკონტაქტო ზონაში განლაგებული საქართველო და მთლიანად კავკასია ღია იყო ზეგავლენისათვის, რომელსაც ქმნიდა პუმიანური გარემო, მუდმივი გარეგანი ზეწოლის სახით. აქ მდებარე კავკასიის კარიბჭე (*Porta Caucas*, დარიალი, იგივე კასპიის კარიბჭე), პლინიუს უფროსის სიტყვებით, სამყაროს ორ ნაწილად ჰყოფდა (იხ. ზემოთ). იგი კუმიანის ციხესთან (გაიგივებულია ჯვრის უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე მდებარე ქუმლისციხესთან) ერთად, ვზას უკეტავდა კავკასიონის გადაღმა მყოფ უთვალავ ტომებს (*ი. ხ. VI, 30*).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ რომის იმპერიის რღვევის ხანაში ალექსანდრე მაკედონელის სახელმა იტვირთა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებთან ბრძოლის წინამძღოლის ფუნქცია – როგორც კი ცივილიზებული სამყარო ბარბაროსთა შემოსევის პირისპირ აღმოჩნდა, კვლავ გაცოცხლდა ძველი ლეგენდა ალექსანდრე დიდის მიერ, ბარბაროსთა წინააღმდეგ მონყობილი რკინის კარის შესახებ. ამდენად, სავ-



სებით დასაშვებია, რომ ქართული მატრიანების ბუნ-თურქებში, რომელთაც წააწყდა ქართული ალექსანდრე, ნაგულისხმევი ყოფილიყო ჩრდილოეთის მომთაბარე, მეჯოგე მოსახლეობა, აქ კავკასიის კარიბჭის გადმოღახვით შემოღწეული ანუ იმ ადგილიდან, სადაც, მათი განდევნის შემდეგ, რკინის კარი აუგია თითქოს დიდ მეფეს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ პლინიუსის ცნობით, კავკასიის კარის ხის მორებზე რკინის ფურცლები ყოფილა გადაკრული (n.h. VI, 30).

აღსანიშნავია, რომ რკინის კარის ცნება, როგორც წესი, უკავშირდება ტოპონიმს – კასპიის კარი, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე სხვადასხვა გადასასვლელს უკავშირებოდა. თუ ეს ტერმინი – კასპიის კარი, და მასთან ერთად რკინის კარის ცნება, – თავდაპირველად დასავლეთ ირანში, სიღარის ხეობაში (ფირუზკუხი) მდებარე უღელტეხილს უკავშირდებოდა,<sup>36</sup> სადაც ალექსანდრეს ლაშქარსაც გაუვლია, ახ. წთ. პირველ საუკუნეში იგი უკვე დარიალს (კავკასიის კარს) აღნიშნავდა, ხოლო უფრო გვიან ეს სახელწოდება დაუმკვიდრდა კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე მდებარე დარუბანდის კარს (დერბენდს).<sup>37</sup>

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ დერბენდის კარის გამოყენების შესაძლებლობა ვერ იქნებოდა მაინცადამაინც ეფექტური ახ. წთ. მეხუთე საუკუნემდე, უფრო ადრეულ ხანებში კასპიის ზღვის ბევრად უფრო მაღალი ზღვის დონის გამო (მაგ. ძვ. წთ. I ს.)<sup>38</sup> – მიზეზი, რომელმაც ალბათ განაპირობა ტერმინ კასპიის კარის გამოყენება დარიალის უღელტეხილის მნიშვნელობით. მეფეთა ცხოვრება დერბენდის

კარის გამაგრებას მიანერს ალექსანდრეს წინა ხანის ლეგენდარული კარსელ სარდალს – არდამს: „ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღესკარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების „დაშუა კარები“ (I, 13). დერბენდის კარიბჭის (არაბული ბაბ-ალ-აბვაბი, „კართა კარი“) დანიშნულება, ჩაეკეტა კასპიის ზღვის სანაპირო გასასვლელი ჩრდილოელი მომთაბარე დამპყრობლებისათვის, არ უნდა ყოფილიყო რამდენადმე აქტუალური ახ. წთ. VI საუკუნემდე, როდესაც იგი გამაგრებული იქნა სპარსეთის შაჰის ხოსრო ანუშირვანის მიერ (531-579 წწ.). როგორც ჩანს, ამ დროისათვის კასპიის ზღვის დონე, ერთ დროს მაღალი, დაეცა და გზა მისცა სანაპირო გასასვლელს და შესაბამისად საჭირო გახდა სანაპირო საფორტიფიკაციო ნაგებობების არსებობა.<sup>39</sup> ტაციტუსთან გვხვდება მინიშნება უფრო ადრეული ხანის მდგომარეობაზე; ახ. წთ. 32-37 წწ. დაკავშირებული მოვლენების აღწერისას, იგი თავის 109 წელს დანერილ ანალებში შენიშნავს, რომ ვინრობები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ალბანეთის საზღვართან, ზღვასა და მთებს შუა, მაინცდამაინც გამოსადეგარი არ იყო, ვინაიდან იგი მხოლოდ ზამთრობით იყო ღია, როდესაც ქარი ნაპირიდან ერეკებოდა ტალღებს და ამიშვლებდა მერჩეებს ნაპირის გასწვრივ (VI, 33).

რაც შეეხება დარიალის უღელტეხილსა და მის მიმართებას იბერიის სამეფოსთან, ქართველებმა არა მხოლოდ მოაზერხეს კავკასიის კარიბჭის დაცვა მომხდურთაგან, არამედ მეტად ხელსაყრელად გამოიყენეს იგი თავისი სტრატეგიული მიზნებისათვის – საჭიროების შემთხვევაში ჩრდილოეთიდან დამატებითი სამხედრო ძალები მოეზიდათ საკუთარი სამხრეთელი

მონინალმდეგების მოსათოკად. ჯერ კიდევ ლეგენდარული არდამის მიერ ხაზართა წინააღმდეგ სპარსული კონტრშეტევის აღწერისას მეფეთა ცხოვრება მოგვითხრობს, ჩრდილოკავკასიელებთან ქართველთა თანამშრომლის შესახებ სპარსელების საზიანოდ: "ისინი [ქართველები - გ. ქ.] უზრახნეს ოვსთა, გარდამოიყვანეს ოვსნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე, და კნისობდა, და მოკლეს იგი. და რომელ პოვეს სპარსი, ყოველი მოსწყდეს ოვსთა და ქართველთა, და განთავისუფლდეს ქართველნი, ბოლო რანი და პერეთი დარჩა სპარსთა (I, 13-14)".

პლინიუსი აკეთებს მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას, რომ იბერიული ქალაქი პარმასტუსი (იგივე ქართლის ძველი დედაქალაქი - არმაზი) კავკასიის კარის პირდაპირ მდებარეობდა (n.h. VI, 29). ეს გარემოება მიუთითებს პარმასტუსის ფუნქციაზე - გადაეკეტა გზა ჩრდილოეთიდან, კავკასიის კარიდან (ანუ დარიალიდან), შემოსული და თერგისა და არაგვის ხეობების გავლით წამოსული მოთარეშეებისათვის; რისი მსურველთა რიცხვი ქედს გაღმა ურიცხვი იყო. ვ. ე. დ. ალენის შენიშვნით, მცხეთა არმაზის ნაცვლად გადუქალაქდა, ალანებთან ბრძოლის პირობებში მისი შედარებით აღმატებული სტრატეგიული დანიშნულების გამო.<sup>100</sup> ერეკლე I-ის კარზე მყოფი გერმანელი "ექიმის", იაკობ რაინგსის<sup>101</sup> აზრით, მცხეთის უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა სომხეთ-ალბანეთის (იბერიის გარდა) გაკონტროლებისათვის უნდა გამზდარიყო მიზეზი აქ რომაელთა თუ ბერძენთა მიერ ციხე-სიმაგრის დაარსებისა. მას არც არაგვის გზით მცხეთის კავშირი ავინყდება ჩრდილოეთის მომთაბარე ხალხებთან.<sup>102</sup> ი. რაინგსის მოსაზრებით, მცხეთის სახელწო-

დება "ციხის" ქართული სახელწოდების გადასხვაფერებრი შედეგად უნდა წარმოქნილიყო; ამის დამადასტურებელ საბუთს იგი მცხეთის ადგილმდებარეობის გარდა, აქ ციხე-სიმაგრეთა ნანგრევთა სიუხვეს მიიჩნევს.<sup>103</sup>

თუმცა მცხეთის უაღრესად მნიშვნელოვანი მდებარეობა რომაელთა აქ გამოჩენამდე იქნებოდა უკვე შენიშნული. შესაძლოა, აქვე მდებარე ერთთმა სიმაგრემ, ბელტის ციხემ (იგივე ბებრის თუ ბერის ციხე), რომელიც დედაქალაქის საერთო საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილს წარმოადგენდა და ჩრდილოეთის შემოსავლელს ეკეტავდა, თავისი სახელწოდება მიიღო ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი არამეული (ან სხვაენოვანი მისგანვე ნაწარმოები) სიტყვიდან - ბირტა.<sup>104</sup> ქართველი არქეოლოგების აზრით, არმაზის ციტადელის ნანგრევებში შესამჩნევია წინააზიური (ურარტულ-აქემენიდური) არქიტექტურული ტრადიციები.<sup>105</sup>

თბილისი, აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქი ახ. წთ. V საუკუნიდან, ეკეტავდა რა მტკვრის ხეობის შუა დინების ვინოებებს, აკონტროლებდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას და ამდენად მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და დასავლეთ ირანისათვის.

იბერიის სამეფოს ცენტრალური ნაწილის - შიდა ქართლის - სტრატეგიული მნიშვნელობა ხაზგასმულია მეფეთა ცხოვრებაში, ქართველთა მცდელობის აღწერისას, მიეღოთ ახ. წთ. გვიანი მესამე საუკუნის სპარსეთის შაჰის მხარდაჭერა: "ბოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სიერცე და სიმაგრე მისი და მახლობლობა ბაზართა და ოვსთა...<sup>106</sup> კეთილად სთნდა სპარსთა მეფესა, და შეიწყნა-

რა ვედრება ქართველთა. რამეთუ თუცა უკუთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა პბრძოდეს მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა. აღუსრულა ყოველი იგი სათხოველი ქართველთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა... და მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვანი და პერეთი... (I, 63-64)\*.

იბერიისა და სპარსეთის კავშირი მიუღებელი იქნებოდა როგორც ბიზანტიისათვის, ასევე ლაზიკისათვის, უპირველეს ყოვლისა სწორედ იმ დიდი საფრთხის გამო, რასაც კავკასიის კარიბჭის კონტროლის სპარსეთის ხელში გადასვლა განაპირობებდა და მათ ნინალმდეგობასაც ხანგრძლივად არ უნდა დაეყოვნებინა. ამასთან დაკავშირებით, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს გვიანი VI ს. ინფორმაცია ბიზანტიელი ისტორიკოსის, მენანდრე პროტიქტორისა, კერძოდ, რომ იბერია (ქართლი), სუანიის (სვანეთი) მსგავსად დაპყრობილი ჰყავდა ლაზიკას (6, I, 278-280).<sup>107</sup> ამ ცნობას ამკარად ეხმიანება VI ს. შუა ხანებამდე მოღვაწე გოთური წარმომავლობის ავტორი იორდანე, რომელიც თავის თხზულებაში გოთთა წარმომავლობისა და საქმეთა შესახებ (*De origine actibusque Getarum*) ნათელს ხდის, თუ რა უნდა ყოფილიყო ლაზთა ექსპანსიის მიზანი. იორდანე იუწყება, რომ მის დროს კასპიის კარის (ანუ დარიალის - გ.ქ.) ზედამხედველობას ლაზები ანხორციელებდნენ ბიზანტიის იმპერიის ინტერესების დაცვის მიზნით (VI, 50).<sup>108</sup> ასე რომ, როგორც კი იბერიას (ქართლს) აღარ ძალუძდა კავკასიის

კარიბჭეზე საკუთარი კონტროლის შენარჩუნება და ინტეგრირება სპარსეთით, აღმოსავლური ძალა, ეუფლებოდა, აუცილებული ხდებოდა დასავლური საზოგადოებების (ბიზანტია, ლაზიკა) მიერ კარდინალური ზომების განხორციელება მდგომარეობის (მათი თვალთახედვით) გამოსასწორებლად. როგორც ჩანს, საქმე ეხება 523-542 წწ. - გურგენ მეფის სპარსთა წინააღმდეგ აჯანყებისა და მისი დამარცხების შემდგომი ხანის ქართლში დამდგარ უმეფობის პერიოდის დასაწყისსა და ეგრისის მეფის გუბაზ II-ის ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყების დაწყების შორის მდებარე დროის მონაკვეთს.

მენანდრესა და იორდანეს ზემომოყვანილ ცნობათა ურთიერთმჭიდროსპირება ცხადყოფს, რომ ქართლში უმეფობის ხანა სულაც არ იყო აქ მხოლოდ სპარსთა პეგემონობის ეპოქა და რომ ამ დროისათვის მომძლავრებულ ეგრისის სამეფოს (ლაზიკას) მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა კავკასიის კარიბჭისათვის ბრძოლაში.<sup>109</sup> შესაძლოა, სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა კავკასიის გასასვლელების დაცვის საკითხის ბიზანტიისა და სპარსეთის დიპლომატიურ მოლაპარაკებათა ცენტრში ხელახალ მოქცევას ახ. წთ. VI ს. პირველი მეოთხედის დასასრულიდან.<sup>110</sup>

კავკასიონის უღელტეხილების მნიშვნელობა კრიტიკული იყო აგრეთვე არაბებისათვის. მათი მისწრაფება ხელთ ეგდოთ უღელტეხილების კონტროლი ასახულია ქართულ მატრიანეებში. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა გვამცნობს, არაბთა მიერ ქალაქების განადგურებასა და თითქმის მთელი კავკასიის დამორჩილებას, კავკასიონის მთავარ ქედზე გარდამავალი ორივე ძირითადი კარიბჭის ჩათ-



ვლით: "და ყოველნი მთავარნი და პატიახსნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნენ კაცკასიად, და დაიძალნეს ტყეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან ყოველი კაცკასია, და დაიძყრა კარები დარიელისა და დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა (I, 234)". ბევრად უფრო ამბივალენტურია ქართლის მატიანის მონათხრობი ჩრდილოელი მონააღმდეგვის მიმართ არაბი სარდლის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ: "შან [ბულა თურქმა, არაბმა სარდალმა - გ.ქ.] განალო კარები დარუბანდისა და გამოიყვანნა ხაზარნი, საბლი სამასი, და დასხნა იგინი შანქორს. დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ საბლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზაფხულის შესვლა ოვსეთად. ხოლო ამირ-მუმან ვითარ ცნა, ვითარმედ ხაზართა, ტომთა მისთა, ზრახავს, მოუვლინა ბულას, რათა დაუტეოს ქართლი ჰუმედს, ხალილის ძესა (I, 256-257)". როგორც ჩანს, თურქული წარმომავლობის მქონე ბულა თურქის მიერ მიღებულმა ზომებმა, ჩაცხადლებინა ამიერკავკასიაში "თავისი მეტომეები", ეჭვები აღუძრა არაბ ხელმძღვანელობას. ბულა თურქის ეს ნაბიჯი, როგორც ჩანს, განპირობებული იყო მისწრაფებით, დაესუსტებინა ამიერკავკასიის მოსახლეობის უნარი, საჭიროების შემთხვევაში მოეხერხებინა ჩრდილოეთის ტომების გამოყენება სამხრეთელ მომხდურებთან საბრძოლველად. ჯერ კიდევ, ტაციტუსი შენიშნავდა, რომ იბერიელები "დიდი ხელოვანები" იყვნენ სხვადასხვა პოზიციები თავის სასარგებლოდ გამოყენებინათ და შეუძლოთ უეცრად "გადმოესხათ" მოქირავნეები კავკასიონის გადაღმა მხარეებიდან თავიანთი

მტრების წინააღმდეგ მისჯამებულად (Ann. VI, 33).

ნიკელიძე

შეიძლება ითქვას, რომ მართალია ჩვენ არ გავგანჩნა რამდენადმე მაინც სანდო საბუთი, მაკედონელთა მიერ ცენტრალური ამიერკავკასიის დალაშქრის სამტიციებლად, მაგრამ წინააზიის ელინისტური სახელმწიფოების დიდი ინტერესი იბერიის მიმართ ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. აღმოსავლეთხმელთაშუაზღვისპირეთულ-წინააზიური არეალის სახელმწიფოთა ყველა დროის გამგებლებისათვის, მომთაბარეთათვის გზის გადამკეტი კავკასიის კარიბჭის ეფექტური კონტროლის დიდი საჭიროების გამო სასურველი იყო ცენტრალურ ამიერკავკასიაში, იბერიაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საკმაო ძალის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა, რომელიც მოახერხებდა ამ ფუნქციის შესრულებას.

#### 4. იბერიის სამეფო და *Orbis Terarum*-ი

თუმცა ქართული და სომხური მატიანეები იბერიის სახელმწიფოს წარმოქმნას კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის აპოკრიფულ ლაშქრობას მიაწერენ, ორი გარემოება, მეფეთა ცხოვრების ტექსტში ალექსანდრეს ხანის ბერძნულ სამხედრო კორპუსთან ფროთატოსელთა გაიგივების თვალსაზრისით, არ არის ჩვენთვის სავსებით გასაგები.<sup>111</sup>

უპირველეს ყოვლისა, გაუგებარია, რატომ არის მოხსენიებული მაკედონელი აზონისადმი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილები - რომაელ ჯარისკაცებად. მეფეთა ცხოვრების ავტორისათვის, ისევე როგორც ადრეული შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურისათვის, ხომ კარგად არის ცნობილი განსხვავება რომაელსა

(პროში) და ბერძენს შორის. ამ საკითხთან გარკვეულ ინტერესს იწვევს ქართლის ცხოვრების სომხური ადაპტაციის ტექსტი (იხ. ზემოთ). საფიქრებელია, რომ სომეხმა მთარგმნელმა, იგრძნო რა ქართული ტექსტის ლოგიკური შეუსაბამობა, რომლის მიხედვითაც, ალექსანდრეს ბერძენ და მაკედონელ მოლაშქრეთა შორის დასახელებული იყო ძნელად წარმოსადგენი რაოდენობის (ასი ათასი ჯარისკაცი) რომაელი, ისინი, როგორც ჩანს, ბერძნებად მიიჩნია; თარგმანში არცერთი სიტყვა არ გვხვდება რომაელებისადმი მათი კუთვნილების შესახებ, თუმცა იგივე ტექსტი იცნობს ცნებას "რომაელი". ამასთანავე სიტყვა "ფროთატოსელნი", სომხურად ნათარგმნია, როგორც *"p'rotitosik" (պրոտიტოსիկ) = "დამცველი რაზმი"*. რ. ვ. თომსონის აზრით, ეს სიტყვა არ შეიძლება ყოფილიყო წარმომდგარი ბერძნული *πρότατος*-იდან, როგორც ამას სომხური თარგმნის ტექსტის 1884 წლის ვენეციის გამოცემის რედაქტორი ა. ტიროიანი ვარაუდობდა, ვინაიდან სომხური *p'* შეესაბამება ბერძნულ *φ*-ს, და არა *π*-ს? (როგორც ეს *patrik*-შია, იხ. ზემოთ).<sup>112</sup> პ. აჭარიანი ამ სიტყვას უკავშირებს ბერძნულ *φρασιπα*-ს (მნიშვნელობით, "გვარდია, დამცველი რაზმი") ანდა სიტყვას, რომელიც მისგან არის ნაწარმოები: *φρασιπα* და რომელსაც სომხურში უნდა მოეცა *պրոტიტოსიკ*, სომხური ასოების *ι, ρ*-ს, ერთის მხრივ, და *σ*-ს, მეორეს მხრივ, მსგავსების გამო ერთმანეთთან და გვთავაზობს კონიექტურას სიტყვისას *"p'rotitosik" (պրოტიტოსიკ)* სიტყვა *"p'raitosik"*-ად (*պրაიტოსიკ*), მაგრამ ეს გარემოება ვერ გვიხსნის ტექსტის ქართულ ორიგინალში გამოყენებული სიტყვის - "ფროტატოსელნის" მნიშვნელობას.<sup>113</sup>

მეორეც ერთი, ტერმინი *πρότατος* თუ *πρότατος*, თავისუფალია მითითების მიხედვით, მიუთითებს მის თავდაცვით ხასიათზე (იხ. ზემოთ), რაც ნაკლებად შეესაბამება, როგორც ალექსანდრე დიდის, ისე მისი შემკვიდრების ხანის პოლიტიკურ სიტუციას და უფრო რომის იმპერიის არსებობის გვიანდელ ხანას შეესატყვისება. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიას ცენტრალური ადგილი ეკავა რომის თავდაცვით გეგმებში აღმოსავლურ პროვინციებთან დაკავშირებით.

პონტოს მეფის, მითრიდატე VI ეპატორის სიკვდილისა და სომხეთის მეფის, ტიგრან II-ის კაპიტულაციის შემდეგ - ორივე ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა ძვ. წთ. 66 წ. -, რომაელებმა განსაკუთრებული მცდელობა გამოავლინეს ამიერკავკასიაში თავისი გაფლენის გაფართოებისათვის. ისევე როგორც სხვა, აქ მათ წინამორბედ, ძალეზს, მათთვისაც ამ რეგიონს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ჩრდილოეთის ბარბაროსი ტომების შემოსევის საწინააღმდეგო თავდაცვით ჯვების კავკასიონის მდებარეობის საკვანძო მნიშვნელობა, გარდა ზემოთ მოყვანილი პლინიუსის სიტყვებისა (კავკასიის კარიბჭის მიერ სამყაროს ორ ნაწილად გაყოფის შესახებ), მისთვის ჩვეული გამჭრიახობით აქვს შენიშნული სტრატონს, რომ იბერია მდებარეობს ჩრდილოეთიდან მომავალ გზაზე და ბუნებრივად კეტავს მას; კერძოდ: "ჩრდილოეთიდან, მომთაბარეთა ქვეყნიდან იბერიაში გადასვლას სჭირდება სამი დღე, შემდეგ ოთხი დღის სავალი საცალფებო გზა ჩაუყვება მდინარე არაგუსის [არაგვი - გ.ქ.] ვიწრო ხეობას, რომლის ბოლოსაც დაჯაჯობდა ძნელად ასაღები ციხე-სიმაგრე [ალბათ, ბებრის ციხე - გ.ქ.]...

ორი მდინარის [მტკვრისა და არაგვის - გ.ქ.] შეერთების ადგილამდე, მათი სანაპიროების გასწვრივ კლდეებზეა განლაგებული ქალაქები. ისინი დაახლოებით თექვსმეტი სტადიით არიან ერთმანეთს დაშორებულნი - მხედველობაში მათეს პარმონიკე კიროსზე [არმაზციხე მტკვარზე - გ.ქ.] და სევსამორა მეორე მდინარეზე... [წინამური არაგვზე - გ.ქ.]<sup>114</sup> მოცემული სურათი მკაფიო მინიშნებას იძლევა იბერიის სამეფოს სიძლიერესა და დანიშნულებაზე უკვე წინა-რომაულ ხანაში. კასიუს დიოს (ახ. წთ. 155-235 წწ.) სიტყვებითაც, დედა-ციხე ('Ακρόπολις) [არმაზციხე - გ.ქ.] აგებული იყო იმ მიზნით, რომ დაეცვა უფინროესი ადგილი, სადაც ერთ მხარეს მტკვარი (Cyrus) მოედინება, ხოლო მეორე მხარეს კავკასიონია აღმართული (Dio XXXVII, 1, 4)<sup>115</sup>.

ამიერკავკასია, ამასთანავე, აკავშირებდა სავაჭრო გზებით, შავი ზღვის არეალს, ერთის მხრივ, და ცენტრალურ აზიას, ინდოეთსა და ჩინეთს, მეორეს მხრივ. პლინიუსიდან მომდინარე ინფორმაციით, ჯერ კიდევ პომპეუს დიდის (გნეუს პომპეუს მაგნუსი, ძვ. წთ. 106-48 წწ.) პირველი კავკასიული ექსპედიციის (ძვ. წთ. 65 წ.) ნეერი მარკუს ვარო (ძვ. წთ. 116-27 წწ.) იუნყებოდა, რომ მათი ექსპედიციის ხანაში არსებული ინდოეთის სავაჭრო გზა, მდინარეების ბაქტრუსისა და ოქსის გაყოლებით ბაქტრიაზე გამავალი, კასპიის ზღვას კვეთავდა, ხოლო შემდეგ მტკვრის აყოლებით ფასისამდე აღწევდა და იქიდან შავ ზღვამდე (ი.ი. VI, 511). პომპეუსის ექსპედიცია იყენებდა შავი ზღვის სანაპიროდან კასპიის ზღვამდე მიმავალ ძველ სატრანზიტო გზას - გარემოება, რომელიც ამ გზის მიმართ რომაელთა დიდ ინტერესზე მიგვანიშნებს.<sup>116</sup> როგორც

პლუტარქე გვამცნობს, პომპეუსს დიდი სურვილი ჰქონდა წინა კავკასიის ზღვისაკენ წაენია თავისი სამხედრო ძალები, მაგრამ იქ არსებული მრავალრიცხოვანი შხამიანი გველების გამო იძულებული გახდა უკან დაეხია (Plut., Pomp. 36). რომაელთა მიერ, აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზების ძიების აუცილებლობა უნდა აიხსნას იმ ხანად პართული სახელმწიფოს არნახული გაძლიერებით, რომელმაც მოახერხა გადაეცეტა მათთვის ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან ხმელთაშუაზღვისპირეთის დამაკავშირებელი ადრე არსებული გზები.<sup>117</sup>

ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე იბერიის სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჩანდეს თუნდაც იმ გარემოებაში, რომ სომხეთიდან წამოსულმა პომპეუსმა ჯერ იბერიაზე ილაშქრა, შემდეგ უფრო დასავლეთით მდებარე კოლხეთი დაიპყრო და მხოლოდ ამის შემდეგ გაეშურა, იბერიის აღმოსავლეთით მდებარე, ალბანეთის წინააღმდეგ, თუმცა ამჯერად იბერიის გაუვლელად სომხეთიდან გადასულმა (Dio XXXVII, 3). როგორც ჩანს, კავკასიის კარიბჭის მაკონტროლებელი ცენტრალური ამიერკავკასიის (იგივე იბერიის) დაქვემდებარების გარეშე, ლაშქრობის ნაშროწყება ამიერკავკასიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში არ იყო სავსებით უზიფათო საქმე. კასიუს დიო შენიშნავს, რომ პომპეუსი, წინააღმდეგ მისი ადრინდელი გადაწყვეტილებისა, იძულებული შეიქმნა უპირველეს ყოვლისა იბერიებს შეებრძოლებოდა (XXXVII, 1).

მას შემდეგ რაც იბერიის მეფე არტაგი და ალბანელთა ტომობრივი გაერთიანების ბელადი ოროსი დამარცხდნენ პომპეუსთან ბრძოლაში, რო-

მაელებმა ისინი "მეგობრებად და მოკავშირეებად გამოაცხადეს" (Plut. Pomp. 34; Dio XXXVIII.; Strabo 11,3,5). მაგრამ ეს "მეგობრობა" დიდხანს არ გაგრძელებულა - უკვე ძვ. წთ. 36 წ., მარკუს ანტონიუსის (ძვ. წთ. 83-30 წწ.) პართული ექსპედიციის დროს, რომაელთა ჯარი კანიდიუსის (პუბლიუს კანიდიუს კრასუსი) ხელმძღვანელობით ვაგზავნილი იყო იბერთა<sup>118</sup> და ალბანელთა<sup>119</sup> წინააღმდეგ, დიოს ცნობით, იბერთა მეფის ფარნაბაზზე (ფარნავაზ II-გ.ქ.) და ალბანეთის მეფე ზობერზე მიღწეულმა გამარჯვებებმა და რომაელებთან მათი ერთიანობისა და მეგობრობისაკენ ხელახალმა იძულებამ გაამხნევა ანტონიუსი (Dio XLIX, 24f.). ამ სიმხნევის მიზეზი ალბათ ისევე კავკასიონზე გადასასვლელების დიდი მნიშვნელობა იყო, რომლებსაც ორივე ეს ქვეყანა (იბერია, ალბანეთი) აკონტროლებდა და რის გამოც პერსპექტიული ჩანდა კავკასიონის გადაღმა მყოფი მომთაბარე ტომების გამოყენება რომაელთა ინტერესების შესაბამისად და პართელთა წინააღმდეგოდ.<sup>120</sup> ტაციტუსი მართებულად აცხადებს, რომ მრავალ უღელტეხილზე გაბატონობებულ იბერებს შესაძლებლობა ჰქონდათ კასპიის გზით კავკასიონზე გადმოეყვანათ ჩრდილოელი მებრძოლები და წარმატებით გამოეყენებინათ ისინი საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად (იხ. ზემოთ).

მომდევნო ასეული წელი იბერიის სამეფოს სიძლიერის ხანა იყო. იბერებმა არა მარტო წარმატებით განდევნეს სომხეთიდან პართელები, არამედ შეცვალეს კიდევ ისინი იქ რომაელთა ხელშეწყობითა და დარიალის უღელტეხილით გადმოყვანილი მომთაბარე მეომართა სამხედრო ძალის დახმარებით. კერძოდ, ტიბერიუსის ხანაში (ახ. წთ. 14-37 წწ.) რომაელებ-

მა ეფექტური დიპლომატიის გამოყენებით, ნააქვუს იმერულელები და ალბანელები, რათა ისინი, იმიერკავკასიელი სარმატების დახმარებითა და რომაელთა არმიის აქტიური მონაწილეობის გარეშე, თავს დასხმოდნენ პართიას. იბერიის მეფემ ფარასმანეს I-მა (ფარსმან I - გ.ქ.) აიღო არტაქსატა, სომხეთის დედაქალაქი, და თავისი ძმა მითრიდატე (ახ. წთ. 35-52 წწ.) აიყვანა სომხეთის ტახტზე, საიდანაც იგი შემდეგ თავისივე ძმისწულისა და ფარასმანესის ძის, რადამისტის მიერ იყო ჩამოგდებული (Tac. Ann. VI, 31-6; XI, 8-9; XII, 44-51; XIII, 5-6, 37; XIV, 26; Plin., n. h. XV, 83; Dio LVIII, 26, 3; LX, 8; Jos., Ant., 18, 97).<sup>121</sup>

ნერონმა (ახ. წთ. 54-68 წწ.) თავისი ზეობის წლების მიწურულს (66-67 წწ.) წამოიწყო ახალი კავკასიური ექსპედიციის გრანდიოზული გეგმა (Pliny, n. h. VI, 15, 40). არ არის გამორიცხული, რომ იმ ხანად იგი აპირებდა დარიალის უღელტეხილის გადალახვით იმიერკავკასიის დალაშქვრას.<sup>122</sup> ტაციტუსის ინფორმაციით, ნერონმა მრავალ სამხედრო ნაწილს - გერმანიიდან, ბრიტანეთიდან, ილირიიდან - მოუყარა თავი კასპიის გადასასვლელებისაკენ გასაგზავნად, იმ ექსპედიციისათვის, რომელიც ალბანელთა წინააღმდეგ მზადდებოდა ("quos idem Nero electos praemissosque ad claustra Caspiarum et bellum quod in Albanos parabat") (Hist. 1,6,2)<sup>123</sup>. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ იმ ხანად ალბანეთი აღწინააღმდეგობით ყოფილიყო მოქცეული; იბერიისაგან განსხვავებით, ალბანეთი მხარს აღარ უჭერდა რომაელთა დალაშქრობებს<sup>124</sup>. ასეთ შემთხვევაში, ტაციტუსის ზემოთყვანილი ფრაგმენტის ალბანელების, თ. მომზენის მიერ, აღანებად შესწორება, რეალურად არსებულ მდგომარეობაზე მხო-



ლოდ ფაქტიური მინიშნება იქნებოდა.<sup>125</sup> ტაციტუსის ინფორმაციით, რომელიც იბერთა მეფის ფარასმანეს I-ის გამონათქვამს გვამცნობს, ახ. წთ. I საუკუნის შუახანებში ომი მიმდინარეობდა იბერიასა და ალბანეთს შორის (*Ann.* 12, 45). ფარასმანესმა, რომელმაც თავი დაოსტატებულ დიპლომატად გამოიჩინა, ეტყობა მიიღწია რომაულ-ალბანურ ურთიერთობათა მკვეთრ და საბოლოო გაუარესებას და აიძულა ალბანელები რომაული ორიენტაცია მათ მიმართ წინააღმდეგობის განეხილათ პოლიტიკით შეეცვალათ.

თუ ჩვენ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რომის ურთიერთობა პართიასთან ამასთანავე გაუმჯობესდა ისე, როგორც არასდროს, ასეთ შემთხვევაში, რომის იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონებისათვის უახლოეს მომავალში ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის მოლოდინი და, შესაბამისად, ნერონის მიერ დაგეგმილი პრევენტული ზომების მიღების საჭიროება მეტად საეარაუდო ხდება. რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო იმ ნაშონყების ხასიათი, რომელიც ნერონმა ჯერ დაგეგმა, ხოლო შემდეგ მიატოვა, იგი საფიქრებელია, რომ უფრო ითვალისწინებდა რომის პართიასთან ერთად მოქმედებას, ვიდრე მის სანინააღმდეგოდ – ამ ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობის შენარჩუნების საერთო ინტერესები იმტამად შედუღებული იყო კავკასიონის გადაღმა მხრიდან მომდინარე საერთო საფრთხით.<sup>126</sup> ჯერ კიდევ ლუკანი (მარკუს ანელუს ლუკანუსი, ახ. წთ. 39-65 წწ.) მოიხსენიებდა პართელებსა და ალანებს კასპიის კარიბჭესთან კავშირში (*Parsalia*, VIII, 222-225)<sup>127</sup>:

“და თქვენ, პე პართელებო, თუ მე ოდესმე დავინახე კასპიის კარიბჭე და მასთან

ალა(უ)ნური ტომები, მძინვარე, მუდამ მებრძოლი, მძლე მე დავრთეთ ნება, რათა სპარსეთის მიწაზე გებორიალათ, არ გაიძულებდით თავშესაფრად გეტებნათ ბაბილონის კედლები”.

ალანები, კავკასიონის სამხრეთით მდებარე ქვეყნებისაკენ მუდმივად მსწრაფნი, მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდნენ ამიერკავკასიის სტაბილურობისათვის და რომაული სტრატეგია საკუთარ მონანილეობას მოითხოვდა ამ მხარის დაცვაში.<sup>128</sup> ჩრდილოელ მომთაბარეთა შემოსევის საშიშროება, ეტყობა, საკმაოდ აქტუალური იყო; იოსებ ფლავიუსი (ახ. წთ. 37 წ.-93 წ. შემდეგ), ნერონის უშუალოდ მომდევნო ხანის მოვლენებთან შეხებისას, წერს, რომ: “ალან ხალხს – რომლებიც სკვითები არიან და მეოტის ტბასთან [აზოვის ზღვა – გ.ქ.] ცხოვრობენ – აზრად ჰქონდათ მიდიაზე და მის იქით მდებარე მხარეებზე ალაფის აღების მიზნით თავდასხმა. ასეთი ჩანფიქრის მქონეებმა ხელშეკრულება დაუდეს პირკანიის მეფეს; ვინაიდან იგი იყო გაბატონებული უღელტეხილზე, რომელიც მეფე ალექსანდრემ რკინის კარებით ჩაკეტა. მან [პირკანიის მეფეს – გ.ქ.] მისცა მათ [ალანებს – გ.ქ.] უფლება მის ქვეყანაზე გაეარათ; ისინი დიდი რაოდენობით მივიდნენ და მოულოდნელად დაეცნენ მიდიას, გაძარცვეს ეს ქვეყანა... და ვერეინ ვერ გაბედა მათთვის წინააღმდეგობის გაწევა... ამიტომ ამ ალანებმა ეს ქვეყანა წინააღმდეგობის გარეშე და ძალზე იოლად დაარბიეს და გადავიდნენ სომხეთში, რომელიც დაუცველად იყო გადაშლილი მათ წინაშე. ამ ქვეყნის მეფე, ტირიდატი შეეგება და შეებრძოლა მათ,



მაგრამ ბრძოლაში კინალამ ცოცხლად იყო შეპყრობილი; ვილაცამ მას შორიდან ბადე ესროლა და თავისაკენ მოქაჩაედა და დაატყვევებდა მას იმწამსვე, თოკი ხმლით რომ არ გადაეჭრა და არ გაქცეულიყო ამის თავიდან ასაცილებლად. ამით შეგულიანებულმა ალანებმა მთლად გააცამტვერეს ეს ქვეყანა და წაასხეს დიდი რაოდენობა ადამიანებისა და თან წაიღეს დიდი ალაფი, ორივე ამ სამეფოში აღებული და უკან თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ” (ებრაელთა ომი, 7, 7, 4)<sup>129</sup>.

იოსებ ფლავიუსისეული ეს გადმოცემა დაკავშირებული ჩანს კასიუს დიოს ინფორმაციასთან, კერძოდ, რომ პართიის მეფე, ვოლოგესი, ინტენსიურად ცდილობდა ნერონის შემცველ ვესპასიანთან (ახ. წთ. 69-79 წწ.) თანამშრომლობას მიეღწია ალანთა საინალმდევოდ, თუმცა წარუმატებლად.<sup>130</sup> ვესპასიანეს ხანაში, კაპადოკიის პროვინციის ორი ლეგიონითა და კონსულის რანგის მმართველით გაძლიერებას, ბარბაროსთა გამუდმებული თავდასხმების გამო<sup>131</sup>, ჩვეულებრივ ამ მოვლენებს მიანერენ ხოლმე.

თუმცა მოიპოვება რიგი ფაქტებისა, რომლებიც ამ ეპოქის რამდენადმე უფრო რთულ სურათს გვიხატავენ: სამხედრო კონფრონტაციას რომაელთა და პართელთა შორის.<sup>132</sup> საფიქრებელია, რომ ურთიერთობა რომსა და პართიას შორის მკვეთრად შეიცვალა ვესპასიანეს ეპოქაში, რომელიც ნერონისაგან განსხვავებით, სულაც არ იყო ანთებული სურვილით, ჰქონოდა პართელებთან საერთო თავდაცვითი პროექტები.<sup>133</sup> მას ერჩია, რომ მისი გეგმები არა მარტო დამოუკიდებელი ყოფილიყო პართელებისაგან, არამედ გარკვეულად განპირობებულიც კი ყოფილიყო საქორებით, დაედგინათ მათი ტრადიციული, თუმცა არა ყოველ-

თვის ადვილად შესაძრმეკოპოზიცია აღმოსავლურ საკონტინენტის რიგგარეთა მიერ ყველაფერი კეთდებოდა, რათა ჩამოყალიბებულიყო გადაულახავი ჯებირი მათი აღმოსავლელი მონინალმდევებისათვის და ყოველნაირად ხელი შეწყობოდა იბერიისა და ალბანეთის რომაულ ორიენტაციას.<sup>134</sup>

რომაული სამხედრო ძალების კონცენტრაცია აღმოსავლეთ საზღვარზე და თვით მისი კონტურების გარეთაც, ამასთანავე, უნდა აიხსნას არა მხოლოდ საკუთარი აღმოსავლური პროვინციების დაცვის საჭიროებით, არამედ მათი ძირითადი პოლიტიკური ამოცანის კონტექსტში: უპირატესობისათვის მიეღწიათ ისეთი უდიდესი საკვანძო მნიშვნელობის არეალზე პოლიტიკური დანაღის ინტენსიურობის მხრივ, როგორც იყო კავკასია; ქედს გადაღმა, ჩრდილოეთით, უზარმაზარი სამხედრო რესურსები პერმანენტულ მზადყოფნაში იყო სამხრეთით მიმდინარე პროცესებში პოტენციური ჩარევისათვის. ამ ძალებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ დაერღვიათ ნინაზიურ-ახლოაღმოსავლურ არეალში არსებული გეოპოლიტიკური *status quo*. კავკასიონის უღელტეხილების კონტროლის საშუალებით იქმნებოდა მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა ნინა აზიაში *Pax Romana*-ს ჩამოყალიბებისათვის. ნ. დებევეუაზის შეხედულებით, ის გარემოება, რომ მესოპოტამიაში ჩატარებული თითქმის ყველა რომაული კამპანია სომხეთში ლაშქრობით იწყებოდა, უარსაყოფელს ხდის წარმოდგენას, თითქოს რომაული ინტერესები კავკასიაში მხოლოდ კომერციული და არა სამხედრო ხასიათისა ყოფილიყოს.<sup>135</sup> ამიერკავკასიაში რომაელთა ძირითადი ამოცანა, ვფიქრობთ, იყო არა იმდენად კავკასიაში ჩრდილოეთიდან გადმოსული ბარბაროსებისათვის



გზის გადაკეტვა, რამდენადაც მათი საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისათვის დაქვემდებარება. მხოლოდ ასეთი საშიშროების არსებობის შესაძლებლობაც კი უკვე მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა რომაელთა ხელში, მიმართულს მათი აღმოსავლელი ოპონენტების საწინააღმდეგოდ.

ისეთი ძნელად სამართავი ძალებით მანიპულირება, როგორც ჩრდილოელი მომთაბარეები იყვნენ, უკიდურეს მძიმე და სახიფათო ამოცანას წარმოადგენდა და მოითხოვდა რეგიონში რომის სამხედრო ნაწილების ყოფნას. რომაელთა გეგმების განსახორციელებლად აუცილებელი ხდებოდა კაპადოკიაში არმიის ერთეულების, ხოლო ამირკავკასიაში გარნიზონების დგომა. მოკავშირე რეგიონალური ძალაუფლების არსებობა რომაელებს გარკვეულ უპირატესობას მიაჩნებდა მეტოქეებზე. ამ თვალთახედვით იბერთა მიმხრობა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იყო. კავკასიის კარიბჭეზე გაბატონებულ იბერებს, ამავე დროს, გააჩნდათ ტრადიციულად მჭიდრო კავშირები ალანურ-სარმატულ, ნომადურ ტომებთან – რაც მეტად ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა ორივე მხარისათვის და რაც მთელი შუასაუკუნეების ეპოქის განმავლობაში შენარჩუნებული იყო ცვალებადი წარმატებით.

ახ. წთ. 77 წ., რომაული ლეგიონის, *Legio XVI Flavia Firma*-ს, სირიიდან სატალაში, მცირე სომხეთში,<sup>136</sup> განააცვლების თარიღი და მისი გაერთიანება *Legio XII Fulminata*-თან, მ. პირიუს ფრონტოს საექსპედიციო კორპუსად, მიჩნეულია ალანთა შემოსევისა და ამავე დროს რომაელთა კონტრშეტევის მაუწყებლად. ეს თარიღი დადასტურებას ჰპოვებს და კიდევ უფრო

დიდი სიზუსტითაც კმ. შვიმდღეობის დაფიქსირებული რაიმეხელის მქონე იბერებისათვის ჰარმოზიკეს (ანუ არმაზციხის),<sup>137</sup> გამაგრებაში განეული დახმარების ხანის განსაზღვრით, რასაც ადგილი ჰქონდა ახ. წთ. 75 წ. საკვლევი თემიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმის განსაზღვრას ეს მოვლენა მომხდარა, როგორც გამაფრთხილებელი ზომა მტრის თავდასხმის მოლოდინში, თუ მხოლოდ ამ თავდასხმის შედეგი იყო.<sup>138</sup> ეს გარემოება ნებისმიერ შემთხვევაში, მონიშნავს, რომ ახ. წთ. 75 წ. რომაელთა საჯარისო ნაწილები და მშენებლები უკვე იბერიაში არიან და ამდენად მათი სამხედრო ექსპედიცია ამ თარიღზე უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო.<sup>139</sup> ინფორმაცია იბერიაში რომაელთა აქტიურობის შესახებ მიღებულია ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერიდან, რომელიც მცხეთის, იბერიის დედაქალაქის, მახლობლად იყო ნაპოვნი: "თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა, დიდმა ქურუმთმთავარმა, შეიდგურ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ თვითმპყრობელად (არჩეულმა), ექვსჯერ პატოსმა, მშვიდჯერ გამოცხადებულმა, სამშობლოს მამამ, ცენზორმა და თვითმპყრობელმა ტიტე კეისარმა, სებასტოსის ძემ ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ პატოსმა, მეხუთედ გამოცხადებულმა, ცენზორმა და დომიციანე კეისარმა, სებასტოსის ძემ, სამჯერ პატოსმა, მეოთხედ გამოცხადებულმა, იბერთა მეფეს, მითრიდატეს მეფე ფარსმანიისა და (ი) ამაზასპუშის ძეს, კეისარის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს ეს კედლები გაუმაგრეს"<sup>140</sup> საინტერესოა, რომ ქართლის ცხოვრება იცნობს ვესპასიანეს, თუმცა იე-

რუსალიში მის ლაშქრობასთან დაკავშირებით: "და მეფობდეს შემდგომად მისსა ძენი მისნი. ხოლო ამათსა მეფობასა [ქართლის მეფეების - ბარტომისა და ქართამის - გ.ქ.] უესპასიანოს პრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხედეს ძუელთავე ურიათა თანა, რომელთა თანა ერთნეს შვილნი ბარაბასნი, რომელი ჯვარცმასა უფლისასა განუტევეს ურიათა უფლისა ჩუენისა იესოს წილ (1, 44)". ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში, ისევე როგორც ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისაში, ვესპასიანე მის ძესთან, ტიტუსთან, ერთად არის მოხსენიებული: "ეთარცა იტყეს ესაია: ალილე და წარწყმიდე ყოველი წული მათი, ტიტოს და სპასიანოსის მიერ. (1, 164)".

ის გარემოება, რომ ზემომოყვანილი ბერძნული წარწერა ნაპოვნი იყო მცხეთიდან 7 კმ სამხრეთით და არა დარიალის უღელტეხილის მახლობლად, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს თავდაცვითი ნაგებობები ალანთა წინააღმდეგ იყო აგებული, როგორც ამაში ეჭვი ეპარება მ. შაილს.<sup>141</sup> ამ მხრივ რამდენადმე გასათვალისწინებელია ი. რაინეგის ცნობა, რომ სწორედ მცხეთის ჩრდილოეთით, საქართველოში მის ჩასვლამდე (ანუ 1779 წ.), არცთუ მრავალი წლით უფრო ადრე, ერთერთ მაღლობზე მკვიდრად ნაგებ ნახევრადმიტოვებულ ციხე-სიმაგრეში (ალბათ ბებრის ციხეს გულისხმობს - გ.ქ.) ნაპოვნი ყოფილა ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერა, თუმცაღა დაუთარილებელი, რომელზედაც ადგილობრივი, ერუდირებული ქართველების მიერ ამოკითხული ყოფილა სიტყვა აკროფთოპოლისი (Acroftopolis). ი. რაინეგი ვარაუდობს, რომ ეს

უნდა ყოფილიყო მცხეთის ძველი სახელწოდება.<sup>142</sup> მაგრამ როგორც უკვე ვიცით კასიუს დიო აკროპოლისის (Ἀκρόπολις), არმაზციხეს უწოდებდა და არა მცხეთას.

ა. ბოსვორსის მიხედვით, ვესპასიანეს წარწერის დიპლომატიურმა ენამ არ უნდა გააბუნდოვნოს ის ფაქტი, რომ რომის საჯარისო ნაწილები განლაგებულნი იყვნენ იბერიაში და რომ ნერონის გეგმა იმპერიის დასაველეთში მომხდარი აჯანყების გამო ჩაშლილი, ატაცებული და ძირითადად აღსრულებული იყო ფლავიუსი იმპერატორების მიერ. მისი აზრით, იბერიაში მდგომი რომაული ნაწილები, წარმოდგენილი XII *Fulminata*-ს ან XVI *Flavia*-ს ლეგიონერებით, კაპადოკიის ლეგატის ზედამხედველობის ქვეშ იყოფებოდნენ.<sup>143</sup>

ამავე დროს, მარკუს პირიუს ფრონტო ნერატიუს პანსას წარწერა სეპინუშიდან (თანამედროვე სეპინო, ტერავეკიაში, იტალია) შემდეგნაირად გვამცნობს მის თანამდებობას: *"leg(atus) pr(o) pr(aetore) (imp(eratoris) Caesaris Vespasiani Aug(usti) exercitus qui in A[-]"*. ვინაიდან ამ წარწერაში გვხვდება გამოთქმა: *"exercitus qui in... est"* და არა ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში გამოყენებული ფორმულა: *"exercitus qui est in..."*, მ. თორელი დაასკენის, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნულ თანამდებობას კავშირი არა აქვს საზღვარზე მყოფ *exercitus*-ის ჩვეულებრივ სარდალთან. მისი აზრით, პირიუს ფრონტოს თანამდებობა, წარწერის მიახლოებული თარიღის, ახ. წთ. 75 წ. (პართიაში ალანთა შეჭრისა და იბერთა მეფისათვის თავდაცვითი გალაენის აგების ხანა), ისევე როგორც ფრონტოს განსაკუთრებული გამოცდილების გათვალისწინებით აღმოსავლეთის პოლიტიკურ და სამხედრო



საქმეებში, ინტერპრეტირებული უნდა იყოს აღმოსავლური ექსპედიციის მთავარსარდლის შესატყვისად და ამისდა შესაბამისად ნარწერის ტექსტი დასრულებული უნდა იყოს შემდეგი სახით: *“leg(atus) pr(o) pr(aetore) [imp(eratoris) Caesaris Vespasiani Aug(usti) exercit]us qui in A[meniam Maiorem ან in A[lanos ანდა in A[ibanos missus est].”*<sup>144</sup>

ქართული მატრიანების მიხედვით, მცხეთის ბერძნული ნარწერის იბერიის მეფის მითრიდატეს დაახლოებით თანამედროვენი გამოდიან ქართლის ორი მეფე, აზორკი არმაზში და არმაზელი მცხეთაში, რომელნიც ერთდროულად მართავდნენ ქვეყანას. ამიტომ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სწორედ მითრიდატე II, იბერიის მეფე, უნდა იგულისხმებოდეს ორივე ამ სახელის, აზორკისა და არმაზელის, ქვეშ. გ. მელიქიშვილის მიხედვით, არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ იბერ მეფეს ორი სახელი ჰქონდა ერთი ადგილობრივად გამოყენებული და მეორე, მითრიდატე, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდა გარე სამყაროში გამოყენებულ იბერიის მეფეთა დინასტიურ სახელს და ცნობილი იყო თუნდაც მოვსეს ხორენაცის სომეხთა ისტორიიდან.<sup>145</sup>

სახელწოდება არმაზელი ქართული სადაურობის - ელი სუფიქსით არის გაფორმებული და საფიქრებელია, რომ იგი იყო არა მეფის სახელი, არამედ აზორკის სახელისადმი დართული ტერიტორიული ეპითეტი, რომელიც ქართლის ცხოვრების ტექსტის თანახმად არმაზში მეფობდა. თვით სახელწოდება აზორკი, თავის მხრივ, უქველად დაკავშირებულია ქართლის პირველი მეფის (მოქცევაა ქართლისა-ს ცნობის), აზოს სახელთან, რომელიც (აზორკის მსგავსად?) ავ-

რთვე ცნობილია სომეხთა ისტორიიდან მიპრდატ/მითრიდატეს (მითრიდატე II, 8, 11). კ. თუმანოვის *პრინციპის* პოლინიმიას უნდა აქვს უღებინა ლეონტი მროველის წყაროს ანონიზური ავტორი, ერთი მეფე ორად “გაეზლია”, რაც უკავშირდებოდა, ერთის მხრივ, ორ მეფეს შორის ქვეყნის ხანმოკლე დაყოფას ახ. წთ. 370-378 წწ., რომელთაგანაც ერთი რომელითა, ხოლო მეორე – ირანის ვასალი იყო და, მეორეს მხრივ, ახ. წთ. პირველი საუკუნის შუა ხანებიდან მეორე საუკუნის შუა ხანებამდე იბერიაში პიტიახშთა ინსტიტუტის არსებობას.<sup>146</sup>

მეფეთა ცხოვრება ამ დაყოფას ათარიღებს ახ. წთ. პირველი საუკუნით: “ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა მისისა [ადერკის, ქართლის მეფისა – გ.ქ.] იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანისასა (I, 35)” და თვით კონკრეტულ მითითებას იძლევა ორივე ამ იბერიული სამეფოს ტერიტორიული განფენის შესახებ: “ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თესი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, შერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა – ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თესსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თესსა. და მოკუდა ადერკი (I, 43).”<sup>147</sup> მეფეთა ცხოვრების თანახმად, ბარტომი და ქართამი იყვნენ შესაბამისად არმაზელისა და აზორკის პაპები (მამის მამები).

სომეხეთში ალანთა ლაშქრობის თა-

ობაზე იოსებ ფლავიუსის გადმოცემას, ამავე დროს ქართლის ცხოვრებისეულ აზორკისა და არმაზელის ამბავთან ეძებნება პარალელი: "ესე მეფენი არმაზელ და აზორკ იყვნეს კაცნი მწნენი და შემმართველნი. და შეითქუნეს ესენი და განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა... ამით მეფეთა ქართლისათა აზორკ და არმაზელ მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გოლიათნი, სახელით ბაზუკ და აბაზუკ, სპითა ოვსეთისათა. და მათ გარდამოიტანნეს თანა პაჭანიკნი და ჯიქნი. და გარდამოვიდა მეფე ლეკთა და გარდამოიტანნა დურძუქნი და დიდონი. და ამით მეფეთა ქართლისათა შემოკრიბნეს სპანი თვსნი და შეკრბა ესე ყოველი სიმრავლე ურიცხვ. და სიმარჯვით ფარულად შეკრბეს, ვიდრე შეკრბებოდეს სპანი სომეხთანი. და შევიდეს ესენი სომხითს და უგრძნეულად წარმოსტყუენეს შირაკუანი და ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე, და შეიქცეს და ჩატყუნეს დაშტი ვიდრე ნახტევანამდე, და აღიღეს ტყუე და ნატყუნავი ურიცხვ, და აღივსნეს ყოვლითავე ხუასტავითა, და გამოელეს გზა ფარისოსისა... ესე ყოველნი ჩრდილონი განსრულ იყვნეს მტკუარსა და მისრულ იყვნეს კამბეჩოანს, და დაებანაკათ იორსა ზედა, და განიყოფდეს ტყუესა და ნატყუნავსა (1, 45-46)".<sup>148</sup>

რაც შეეხება მდინარე იორზე დაბანაკებულ ადგილს, შდრ. პრისკე პანიონელის (*Hist. Fr.* 47) და იოანე ლიდეს (*De Mag.*, 3, 52) ცნობები, კასპიის კართან მიმართებაში მოხსენიებულ იუროპაახ-ის ან ვირაპარახ-ის შესახებ, რომელიც შესაძლოა უდაბნოში, იორის ქვემო წელზე იყოს ლოკალიზებული, სადაც უკანასკნელ წლებში დიდი საფორტიფიკაციო კომპლექსი აღ-

მოჩნდა, დათარიღებულია გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ადრეულ მუსულმანურ ეპოქამდე.<sup>149</sup> ზემონახსენები ქართლის ცხოვრების აბაზუკი (სომხურ თარგმანში – ანბაზუკი), ოსეთის ორ მეფე-ძმათაგან ერთ-ერთი, როგორც ჩანს, იგივე პროკოპი კესარიელის ომთა ისტორიის ამბაზუკია, რომელიც რომაელთა და მათი იმპერატორის, ანასტასიოსის (დაახლ. 430-518 წწ.) მეგობრად ითვლებოდა, თუმცა პუნი იყო წარმომავლობით. ამბაზუკს სურდა, მისი კუთვნილი და კასპიის კართან მდებარე ციხე-სიმაგრე ამ კართან ერთად რომაელებისათვის გადაეცა ჯერ კიდევ 502 წ. სპარსელებთან ომის დანყების წინ (1, 10, 9ff.). ქართლის ცხოვრებაში მისი სახელის ორ ნაწილად ბაზუკად და აბაზუკად "გაყოფა" ალბათ ბიბლიურ გოგსა და შავოგთან ასოცირებით იყო გამოწვეული.

ქართლის ცხოვრების ზემომოყვანილი სიუჟეტი გაერთიანებული ქართულ-ჩრდილოკავკასიური ლაშქრობის შესახებ, რომელსაც, სავარაუდოდ ადგილი უნდა ჰქონოდა ახ. წთ. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში, დიდი ექსპრესიით არის აღწერილი მოესეს ხორენაცის სომეხთა ისტორიაში, თუმცა ავტორი მხოლოდ ქართლის ნახევარს (შდრ., ზემოთ, იბერიის სამეფოს ორ ნაწილად დაყოფის შესახებ) მიიჩნევს ალანთა მოკავშირედ: "იმ ხანებში ალანები შეუთანხმდნენ ყველა მთიელებს, მიიზრეს ქართველთა ნახევარი ქვეყანაც და დიდძალი ლაშქრით მოეფინნენ ჩვენს მიწა-წყალს. არტაშესმაც შეუყარა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი და ატყდა ომი ორ მამაც, მშვილდოსან ნათესავს შორის. ალანებმა ცოტა უკან დაიწიეს, გადალახეს დიდი მდინარე მტკვარი და დაიბანაკეს მის ჩრდილო ნაპირზე. არტაშესი მიჰყვა მათ და დაისადგურა



რამ ვიდრე ცხენს მათრახს გადაუჭერ-  
და, თრდატმა დაასწრო, მარცხენა ხე-  
ლით სწედა საბელს და საშინელი ძა-  
ლით მოჰქაჩა თავისკენ, მარჯვედ  
დაჰქრა ორღესული, შუაზე გააპო  
მხედარიცა და ცხენის თავ-კისერიც.  
როცა [მტრის] მთელმა ჯარმა თავისი  
მეფე და სარდალი ეგზომ საშიში  
მკლავით გაჩეხილი იხილა, პირი იბ-  
რუნა და გაიქცა. თრდატი გამოუდგა  
მათ და პუნთა ქვეყნამედ მისდია..."  
(II, 85).<sup>152</sup>

ქართლის ცხოვრებაც იუწყება,  
აზოკისა და არმაზელის ხანაში ციხე-  
სიმაგრეთა გამაგრების თაობაზე, მაგ-  
რამ მხოლოდ სომეხთა მიერ წრდილო-  
ური კოალიციის დამარცხების მომ-  
დევნო პერიოდში: "...შემოიხუეუნეს  
ორნივე მეფენი ქართლისანი მცხე-  
თას, მოწყლულნი. მაშინ სუმბატ [სო-  
მეხი სარდალი - გ.ქ.] გამარჯუებული  
შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა  
ქართლი, რომელი პოვა ციხეთა და ქა-  
ლაქთა გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა  
არა პბრძოდა, რამეთუ არა მზა იყო  
მსწრაფლ გამოსვლისაგან... ხოლო მე-  
ფენი ესე ქართლისანი, არშოკ და არ-  
მაზელ, სიფიცხლითა გულისა მათისა-  
თა არა შეუშინდეს, არამედ განამაგ-  
რნეს ციხენი და ქალაქნი თვისნი..." (I,  
47).

ასე, რომ ქართულ-სომხური წყა-  
როების მონაცემები მთლიანობაში  
ემთხვევიან ახ. წთ. I საუკუნის მეორე  
ნახევრის შუა ხანებისათვის ისტორიუ-  
ლი წყაროების მიერ აღდგენილ სუ-  
რათს.

ამავე დროს, ჩვენ არა ვართ სავსე-  
ბით დარწმუნებული, რომ ვესპასიანეს  
მიერ არმაზციხის გალავნის გამაგრე-  
ბა მხოლოდ და მხოლოდ ალანთა ნი-  
ნააღმდეგ იყო მიმართული. როგორც  
ცნობილია, ქვა ვესპასიანესა და მისი  
შვილების წარწერით ნაპოვნი იყო

მტკვრის მარჯვენა ნაპირსუპრალის  
პიდროლექტროსადგურის მხარობ-  
ლად მდებარე რკინიგზის ხიდთან,<sup>153</sup>  
სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთის  
მხრიდან არმაზციხეში შესასვლელის  
ჩამკეტ საუკეთესო ადგილას.<sup>154</sup> ისიც  
გასათვალისწინებელია, რომ ვესპასი-  
ანეს მოკავშირის, მითრიდატე II-ის ხა-  
ნის არმაზციხის ნეკროპოლის ერთ-  
ერთ არამეულ წარწერაში იბერიის პი-  
ტიახშის, შარაგასის, სომხეთში მიღწე-  
ული გამარჯვებები მოხსენიებუ-  
ლი;<sup>155</sup> კ. თუმანოვის განცხადებით,  
მითრიდატე ყოველ შემთხვევაში ცდი-  
ლობდა მაინც განეგრძო თავისი მამის,  
ბიძის და ძმის სომხური პოლიტიკა.<sup>156</sup>  
ნ. დებევეუაზი ხაზგასმით შენიშნავს,  
რომ მაშინ როდესაც ისეთი გამაფრთ-  
ხილებელი ღონისძიებები, როგორი-  
ცაა რომაელთა მიერ იბერიაში ციხე-  
სიმაგრეების გამაგრება, ეტყობა ძი-  
რითადად ალანთა მოსათოკად ტარ-  
დებოდა, არ არის გამორიცხული, რომ  
იმავე დროს პართელთა წინააღმდე-  
გაც ყოფილიყო მიმართული. როგორც  
ცნობილია, ახ. წთ. 76 წ. მ. ულფიუს  
ტრაიანემ, მომავალი იმპერატორის  
მამამ, მიიღო ტრიუმფალური ინსიგ-  
ნიები პართიის მეფის, ვოლოგეს I-ზე  
მიღწეული რომელიღაც დიპლომატი-  
ური გამარჯვების გამო.<sup>157</sup>

რომაული სამხედრო ნაწილების  
ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერ-  
კავკასიაში ყოფნა, როგორც ირკვევა  
არ იყო ხანმოკლე მოვლენა, რომ არა-  
ფერი ეთქვათ ამიერკავკასიის დასავ-  
ლეთ ნაწილზე, რომელიც თითქმის  
მუდმივად მათი ძალაუფლების ქვეშ  
რჩებოდა. ახ. წთ. 95 წ. დანერღ სტა-  
ტიუსის (ახ. წთ. 45-96 წწ.) პოემამი  
"სილეა" კასპიის კარიბჭე წარმოდგე-  
ნილია კაპადოკიის არმიის მოქმედე-  
ბის ბუნებრივ რეგიონად (Silv. 4, 4,  
63f.).<sup>158</sup> ამიერკავკასიაში ფლავიუსთა

გვიანდელი ხანის რომაელთა ყოფნის დამატებით მოწმობას წარმოადგენს კავკასიონის ქედსა და კასპიის ზღვას შორის მდებარე გობუსტანში, ქ. ბაქოს სამხრეთ-დასავლეთით, ნაპოვნი წარწერა: *"Imp(eratore) Domitiano Caesare Aug(usto) Germanic(o) L(ucius) Iulius Maximus (centurio) leg(ionis) XII Fulminatae"*. იგი ამოკვეთილი იყო ბეიუქ დაშის ("დიდი ქვა") კლდეზე და ახ. წთ. 84 წ. მომდევნო ხანით უნდა დათარიღდეს, როგორც ამაზე იმპერატორის წოდება *Germanicus*-ი მიუნიშნებს.<sup>159</sup> ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ლ. ელნიციკიმ ივარაუდა, რომ ლ. იულიუს მაქსიმუსი, XII ლეგიონის ნაწილიდან, განეკუთვნებოდა აბსაროსის, ფაზისის ან ჰარმოზიკეს რომაულ გარნიზონს.<sup>160</sup> თუმცა იბერიაში, კოლხეთისაგან განსხვავებით, რომელიც რომის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა, რომაულ სამხედრო ერთეულებს მხოლოდ იბერიის ხელისუფლების ნება-სურვილით შეეძლოთ დგომა. ის გარემოება, რომ იბერიის მეფეები დიდი მეფის ტიტულს ატარებდნენ, უნდა მოწმობდეს იბერიის სამეფოს მნიშვნელოვან პოტენციალზე. არმაზციხის ნეკროპოლის სამარხებში გამოვლენილ, ბერძნულ და არმაზული ტიპის არამეულ წარწერებში სხვა იბერ მეფეთა შორის, მეფე მითრიდატეც (რომელსაც ფლავიუსები გალავნის გამაგრებაში დაეხმარენ) არის მოხსენიებული: *მეფე მითრიდატე, დიდი მეფე, ძე მეფე ფარასმანესი* [ფარსმან I-ი - გ.ქ.], დიდი მეფისა.<sup>161</sup>

ლეგიონი *XII Fulminata* მოხსენიებული იყო აგრეთვე მდ. არეზის მარცხენა ნაპირზე, კარიაგინოსთან (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) ნაპოვნი და ამჟამად დაკარგულ ქვაზე.<sup>162</sup> აზერბაიჯანშივე, ბუიუქ დელნესთან ნაპოვნი ბერძნული ეპიტაფია განეკუთვნებო-

და ახ. წთ. მეორე საუკუნეში<sup>163</sup> ზაგარდჯოსთან მდებარე მცვეტსუ ჩაქუნეს ნინონშინდის ტაძრის გარეთა კედელში ჩასმულ და ვარდულის ბარელიეფებით შემკულ დიდი ზომის ოთხკუთხა ქვიშაქვაზე ამოტიფრულია უცნაური სახის წარწერა. გამოყენებული ქვიშაქვა ადგილობრივი წარმომავლობის უნდა იყოს და საფიქრებელია, რომ ეკლესიის აგების დროს შეორადად ყოფილიყო გამოყენებული. მოუხედავად იმისა, რომ ეს წარწერა შეიცავს ცალკეულ ლათინურის მიმსგავსებულ ასოებს, იგი ნამდვილად არ არის ლათინური და არ არის გამორიცხული, რომ რომაელი ჯარისკაცების მიერ გამოყენებულ საიდუმლო დამწერლობით შესრულებულ წარწერას წარმოადგენდეს.

ლათინური და ბერძნული წარწერების გამოვლენის ფაქტი იბერიასა და კასპიის ზღვას შორის მდებარე მხარეში, სავარაუდოდ დაკავშირებული უნდა იყოს რომაელთა და იბერთა შემოაღნიშნულ საერთო სტრატეგიულ ინტერესებთან, კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ ამ არეალში განლაგებული უღელტეხილები. იბერიელთა სამფლობელოების აღმოსავლეთის მიმართულებით გავრცელება, რაც ამავე დროს აღმოსავლელი მეტოქეების ხარჯზე მათი პოლიტიკური ძალაუფლების ექსპანსიის ვარანტიას იძლეოდა, რა თქმა უნდა, რომის იმპერიის ინტერესებშიც შედიოდა. ამის გამო, *Legio XII Fulminata*-ს მონაწილეობა რომაელი იმპერატორის კლიენტის, იბერიის მეფის ლაშქრობაში პართელთა მოკავშირე, ალბანელების წინააღმდეგ, მოსალოდნელი იქნებოდა.<sup>164</sup>

არმაზისხევეში ნაპოვნი, ახ. წთ. II საუკუნის ორენოვანი - ბერძნულ-არამეული - ეპიტაფია დამატებით საბუთს იძლევა, იბერიაში რომაელთა,



თუ მათ შთამომავალთა ყოფნის მტკიცების სასარგებლოდ. არამეული ნარწერა (ბერძნულისაგან ოდნავ განსხვავებული) გვამცნობს: "მე სერაფიტი, ასული ზევებისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა - ძღვევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოდღერისა ხსეფარნუგ მეფისა ძისა აგრიფა ეზოსმოდღერისა ფარსმან მეფისა, ვაება ვაებისა. ის რაც იყო... არადასრულებული და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო მსგავსი სილამაზით, და გარდაიცვალა 21 წლისა",<sup>165</sup> ხოლო ბერძნული ტექსტი იძლევა სერაფიტის მამამთილის სრულ სახელს - პუბლიკიუს აგრიპა და მას პიტიახშად მოიხსენიებს: "სერაპიტი, მცირისა პიტიახშის ზევების ასული, პიტიახშ პუბლიკიოს აგრიპას ძის, იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოდღერის, იოდმანგანის მეუღლე გარდაიცვალა ახალგაზრდა, 21 წლისა, რომელსაც ჰქონდა უბადლო სილამაზე".<sup>166</sup> ეს პიროვნება, ა. ბოსვორსის შენიშვნით, ვერ იქნებოდა იბერიელი დიდებული, რომელმაც რომაული მოქალაქეობა მიიღო. მოქალაქეობის მინიჭება კლიენტო-საბელმწიფოს გამორჩეული წევრებისათვის ხდებოდა იმპერატორის მიერ ზოძიებით და მსგავს შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ რომაული მოქალაქეობის მიმღებს ეტარებინა იმპერიული ნომენი, თუმცა აგრიპას ძე, იოდმანგანი უკვე სავესებით "გაიბერილებული" უნდა ყოფილიყო.<sup>167</sup>

იბერიის სამეფო სახლში დასტურდება რომაული სახელის მატარებელი პიროვნება - ფლავიუს დადესი. მისი საბელი ამოტივრულია არმაზციხის ნეკროპოლის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნ ვერცხლის ლანგარზე: "მე მეფე

ფლავიუს დადესმე ვერცხლი ჩვენსა ჰიტიახშს." "ბერსუმა პიტიახშის ქვემოთ ამოკანრულია სხვა ხელით, დაუდევრად და მკრთალად Μακρόβιος - მაკედონს"<sup>168</sup> ფლავიუს დადესის სახელის მატარებელი ეტყობა ადგილობრივი პირი იყო, რომლის წინაპრებმა რომაული მოქალაქეობა პრივილეგიის სახით მიიღეს ფლავიუსი იმპერატორისაგან. ამ თასის შემცველი სამარხის კონტექსტი მონიშნავს, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო მონყობილი ახ. წთ. 251 წ. უფრო ადრე, ხოლო თვით თასი, თავისი მოყვანილობითა და შემკულობით მეტად ახლოა ახ. წთ. მესამე საუკუნის შუახანების ვერცხლის თასებთან.<sup>169</sup>

მონაცემები ტრაიანეს (ახ. წთ. 98-117 წწ.) დროს იბერიისა და რომის ურთიერთობის შესახებ წარმოდგენილია რომში ნაპოვნი ეპიტაფიით, რომელშიც მოხსენიებულია ახ. წთ. 115 წ. ნიზიბისში პართელთა მიერ მოკლული იბერიის მეფის, მითრიდატეს III-ის ძმა, ამაზასპი: "მეფის საბელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჭესთან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც ააგო ნიკატორმა მიკდონის ზეთისბილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამგზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მოსული პართელებთან საბრძოლველად, (გარდაიცვალა) უწინ ვიდრე გაისვრიდა ხელს (ვთა რომ ძლიერ ხელს) მტრის სისხლში შუბსა, მშვილდსა და მახვილის პირზე, (იყო) ქვეითიცა და მხედარიც, თვით - მორცხვი ქალწულემის მსგავსი."<sup>170</sup> ნავერაუდევია, რომ ამაზასპი იყო ტრაიანეს დასახმარებლად ნიზიბისში მისული იბერიელთა ლაშქრის წინამძღოლი.<sup>171</sup>

მეგობრული ურთიერთობა რომსა



და იბერიას შორის შენარჩუნებული იყო მომდევნო საუკუნეებშიც. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი, ანტონიუს პიუსის ზეობის (ახ. წთ 138-161 წწ.) ადრეული წლებით დათარიღებული, უკუდავყო კასიუს დიომ: "როდესაც ფარასმანესი [ფარასმან II ქველი - გ.ქ.], იბერიელი, რომს ეწვია თავის მეუღლესთან ერთად, ანტონიუსმა განაევრო მისი სამფლობელოები, დართო ნება მას, რათა კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა და მისი ცხენზე ამხედრებული გამოსახულება დადგა ქანდაკებად ბელონის ტაძარში. ანტონიუსი დაესწრო შეიარაღებულ ვარჯიშს, რომელშიც გარდა ფარასმანესი, მისი ძე და სხვა გამოჩენილი იბერიელი დიდებულები მონაწილეობდნენ" (LXIX, 15, 3).<sup>172</sup>

არმაზიციხეზე (ბაგინეთში) უკანასკნელ ხანებში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ეპიგრაფიკულმა მასალამ დამატებით გაგვაცნო მეფე ამაზასპის ეზოსმოძღვრის ანაგრენესის, აგრეთვე დედოფალ დრაკონტისისა და მსახურთუხუცესის ანიონის სახელები (ქართული პრესის ცნობა). სავარაუდოა, ეს მეფე ამაზასპ I (ახ. წთ. III ს. პირველი ნახევარი) ყოფილიყო. ამაზასპ II (ახ.წთ. III ს. შუა ხანები) გამოირჩეოდა მკვეთრი პრო-ირანული ორიენტაციით.

როგორც რომის იმპერიაში, ასევე იბერიაში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, კიდევ უფრო განამტკიცებდა ადრევე არსებულ კავშირურთიერთობებს. IV ს. ერთი ეპიტაფიის თანახმად მცხეთის მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ყოფილა ვინმე ავრელი აქოლისი.<sup>173</sup>

ზემომოყვანილი ფაქტები მიუთითებენ არა მხოლოდ რომაელებსა და იბერების ახლო თანამშრომლობაზე, დაფუძნებულზე კავკასიაში მათ საერ-

თო სტრატეგიულ ინტერესებზე, არამედ ზოგიერთი რომაელის სტრატეგიული ინტეგრაციაზე იბერიულ საზოგადოებაში. იბერია არ წარმოადგენდა იმდენად ძლევამოსილ სახელმწიფოს, რომ სრულიად დამოუკიდებლად შესძლებოდა თავისი პოლიტიკური მიზნების ხორცმესხმა - მრავალი ქვეყნის განსხვავებული ინტერესი კეთილად ერთმანეთს კავკასიონზე გადაამავალი უმთავრესი უღელტეხილის უშუალოდ სამხრეთით მდებარე ცენტრალურ ამიერკავკასიაში. კ. თუმანოვის აზრით, იბერიის პრეტენზია კავკასიურ *oikoumene*-ზე და მრავალსაუკუნოვან სრულიად კავკასიურ კოსმოკრატიულ ტრადიციაზე, გაძლიერებული იყო მეზობელი სომხეთის კოსმოკრატიაზე მიღწეული გამარჯვებით, როდესაც ახ. წთ. 35 წ., რომის მოკავშირე იბერიის მეფემ ფარასმან-მა აიღო სომხეთის დედაქალაქი არტაქსატა.<sup>174</sup> როგორც ჩანს, სწორედ რომაული ხანებიდან მომდინარეობს ქართული სახელმწიფოს ხანგრძლივი სწრაფვა, გაერთიანებინა თავის ხელქვეით შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე არსებული კავკასიონის ყველა გადასასვლელი, რაც ამავე დროს გამოიხატა ამ ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობის ფორმულაში "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე". როგორც ვხედავთ, აღნიშნული ფორმულა განსაკუთრებულ მახვილს ჩრდილოეთის საზღვრის გაყოლებაზე სვამდა, რომელიც გადაჭიმული იყო დაახლოებით თანამედროვე ტუაფსედან, შავ ზღვაზე, თანამედროვე დერბენდამდე, კასპიის ზღვაზე, და რომლის დაცვა და კონტროლი ამ შუასაუკუნებრივი სამეფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა.

ცენტრალურ ამიერკავკასიურ მოვლენებში რომაელთა მონაწილეობის კვალი არქეოლოგიურ მონაცემებშიც

გამოვლინდა. უკანასკნელ ხანებში, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების წარმოებისას, არმაზციხის ტერიტორიაზე, ახ.წ.თ. პირველი საუკუნის ტაძრის ცენტრში ნაპოვნი იყო ოთხკუთხა ფორმის კვარცხლბეკი (70 სმ X 70 სმ, სიმაღლე – 32 სმ). იგი დამზადებულია მონოლითური ქვისაგან და მისი ფრიზი შემკულია ე. წ. იონური კოლონადის გამოსახულებით. კვარცხლბეკის ზედაპირზე შესამჩნევია ადამიანის ტერფის ფორმის ღრმულები, რომლებიც ეჭვს გარეშე ადამიანის ქანდაკებას უნდა განეკუთვნებოდეს. გამოთქმულია აზრი, რომ ეს ქანდაკება რომაელ იმპერატორს (ვესპასიანეს, ტიტუსს ან დომიციანეს) გამოსახავდა და აღმართული უნდა ყოფილიყო მისი თანამედროვე იბერიელი მეფის მიერ, რომელიც რომის მოკავშირე იქნებოდა და ალბათ ფლავიუსის ნომენის გარდა, რომის მოქალაქეობის მატარებელიც იქნებოდა.<sup>175</sup>

აღსანიშნავია, რომ ი. რაინეგის ცნობის თანახმად, მეთვრამეტე საუკუნის მცხეთელები არმაზციხეს (*Hermozika*) პორომის ციხეს (*Horum Zighe*) ანუ რომაელთა ციხეს უწოდებდნენ; ხოლო მტკვრის საპირისპირო, მარცხენა ნაპირზე არსებული გალავნის ნაშთებს (როგორც ჩანს, ე.წ. "პომპეუსის ხიდის" მახლობლად – გ.ქ.), რომლებიც საკმაო მანძილზე გასდევდნენ მდინარეს და ადიდებული წყლისაგან იცავდნენ ნაპირს, ი. რაინეგსი რომაულ ან ბერძნულ ნახელავად მიიჩნევს და კატეგორიულად გამორიცხავს მათ ადგილობრივ ან სპარსულ კუთვნილებას.<sup>176</sup>

მონაცემთა ერთობლიობა შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ალექსანდრე დიდის მიერ იბერიაში მმართველად დადგენილი აზონის თანამებრძოლი ფროტათოსელების

შესახებ ქართლის ცხოვრებისეული ამბავი (I, 18) რომაულ ხანას უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ზემოთ იყო ხაზგასმული, ქართლის ცხოვრების ტექსტში აზონის მებრძოლნი მოიხსენიებიან არა მაკედონელებად, არამედ რომაელ ჯარისკაცებად. მხოლოდ ახ. წ.თ. I საუკუნის შუა ხანებში წარმოიქმნა ცენტრალურ ამიერკავკასიაში რომაული სამხედრო ნაწილების დგომის საჭიროება, რათა აღკვეთილი ყოფილიყო ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი შემოსევა, ისევე როგორც სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოების რომაელთათვის არასასურველი მისწრაფებები, გაეფართოვებინათ თავიანთი კონტროლი აღნიშნულ რეგიონზე.

ვინაიდან, ქართლის ცხოვრებაში გამოყენებული სიტყვა "ფროტათოსელნი" (I, 18) არ შეიძლება ყოფილიყო ბერძნული *φροτατιδας*-იდან მომდინარე, ქართული ფ გადმოსცემს ბერძნულ ფ-ს, და არა π-ს (იხ. ზემოთ), უფრო შესაძლებელი თითქოს უნდა ჩანდეს სიტყვა "ფროტათოსელნი", რაც ფროტათოს-ს ხალხს უნდა ნიშნავდეს, დაუკავშიროთ ვესპასიანეს ხანის აღმოსავლური ექსპედიციის მთავარსარდლის, მ. პირიუს ფრონტოს სახელს (იხ. ზემოთ); ამავე დროს, ეს გარემოება გამოდგებოდა ფრონტოს მიერ მსგავსი თანამდებობის მიღების დასტურად. ცნობილია, რომ მაშინაც კი, როდესაც სამხედრო ნაწილებს მუდმივი სახელი ჰქონდათ მინიჭებული, ისინი მაინც, სიმარტივისათვის თუ პირფერობისათვის, მათი სარდლის სახელით მოიხსენიებოდნენ.<sup>177</sup> შესაძლოა, რომ ეს ტერმინი – "ფროტათოსელნი" – თავდაპირველად აღნიშნავდა პირიუს ფრონტოს ხელქვეით მყოფ სამხედრო ერთეულს და შემდგომში (ჯერ კიდევ ქართლის ცხოვ-



რების შედგენამდე) გაგებული იყო, როგორც ბერძნული სიტყვა, παράταξ, მნიშვნელობით „ადგილი ან პოსტი რაიმეს წინ“ (იხ. ზემოთ).<sup>178</sup> გარდა ამისა, ქართლის ცხოვრების ფროტათოსელთა წინამძღოლის აზონის ნოდება – „პატრიკი“ (I, 18), ჩვეულებრივ თარგმნილი ხოლმე – „პატრიციად“ (patrician),<sup>179</sup> შესაძლოა პირიუს ფრონტოს ტიტულის – *adlectio inter patricos* – გამოხატულებას წარმოადგენდეს, რომელიც მან ახ. წთ. 73/74 წწ. მიიღო,<sup>180</sup> ანუ უშუალოდ აღმოსავლური ექსპედიციის დაწყებამდე.

თუ მხედველობაში მივიღებთ ალბანელთა ტრადიციულ წინააღმდეგობას რომაელთა მიმართ და ამავე დროს *Legio XII Fulminata*-ს სახელის დამაფიქსირებელი ბეიუქ დაშისა და კარი-აგინოს წარწერების აღმოჩენის ფაქტს ყოფილი ალბანეთის ტერიტორიაზე, ასეთ შემთხვევაში პირიუს ფრონტოს მიერ ექსპედიციის ჩატარება ალბანელთა წინააღმდეგ მოსალოდნელად უნდა ჩაითვალოს და ამისდა შესაბამისად შესაძლებელი გახდებოდა სეპინუმის (*Saepinum*) წარწერაში მნიშვნელოვანი ლაკუნის ახლებური შევსება,<sup>181</sup> ნაცვლად ფართოდ მიღებული რეკონსტრუქციისა, *exercitus qui in Armeniam maiorem*, გვექნებოდა: *exercitus qui in A/ibanos*.<sup>182</sup>

რომაულ-ქართული ურთიერთობების თვალთახედვიდან გამომდინარე, მხედველობაშია მისაღები, რომ იბერიის უზენაესი ღვთაება, არმაზი, რომელიც თუმცაღა ანატოლიური წარმომავლობისა უნდა იყოს, ავლენს ზოგიერთ ნიშან-თვისებას, ტიპურს რომის იმპერიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ღვთაებისათვის – *Juppiter Optimus Maximus Dolichenus*-ისათვის. ამავე დროს მეფეთა ცხოვრება განიხილავს სახელწოდება „არმაზს“ მეფე

ფარნავაზის სახელწოდების სპარსულ სახესხვაობად: „და არმაზუ ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერთგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა სატყურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა (I, 25)“.<sup>183</sup> კ. თუმანოვის შეხედულებით, ეს ინფორმაცია მოწმობს, რომ ფარნავაზის სახელი წარმოქმნილია ავესტ. *xarenahvant*, – „ბრწყინვალე“, „შესანიშნავე“<sup>184</sup> ანდა იმ ეპითეტებიდან, რომელიც განეკუთვნება თეშუბის ხეთური ვერსიის კულტს. მიუხედავად არმაზის ლუნარული ხასიათისა და მისი კავშირისა ხეთურ მთვარის ღვთაებასთან – არმასთან,<sup>185</sup> არ უნდა გამოირიცხოს მისი არსებითი იდენტურობა თეშუბთან, ვინაიდან, ქარიშხალი, წვიმა და ნაყოფიერება – თეშუბის საუფლო – იოლად ასოცირდება მთვარის კულტთან, ხოლო ხარის რქები ასევე წარმოადგენენ მთვარის სიმბოლოს.<sup>186</sup>

მეფეთა ცხოვრების დასკვნითი ნაწილის, წმიდა წინოს მიერ ქართლის მოქცევის მიხედვით, არმაზის კერპი აღწერილია, როგორც: „...კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალაბი მყარი, და თვალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ქელთა მისთა აქუნდა ჭრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ქელთა შინა... და ეუაღად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვეცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უწნდეს ერსა მას ქართლისასა (I, 89-90)“. იგივე ტექსტი სომხურ თარგმანში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „...კაცი შემოსილი ბრინ-

## ეროვნული

ჯაოს გულსაფარით და ოქროს მუზარადით, თვალეები შემკული ქქონდა ზურმუხტითა და ბიერილით, ხელში ეკავა მახვილი, მსგავსი ელვათა კონისა. ამოძრავებდა მას და შიშში აგდებდა შეკრებილთ... მისგან მარჯვნივ იდგა ოქროს გამოსახულება სახელად გაცი, და მის მარცხენა ხელთან ვერცხლისა – სახელად გაიმი" (47).

"ელვათა კონა", "მახვილი", "ჯავშანი" ("ქერცლიანი-ჯავშანი" ან "გულსაფარი"), ფრიგიულ ჩაჩთან ერთად, რომელ სამხედროთა (და არა მხოლოდ მათი) ღვთაების, *Iuppiter Optimus Maximus Dolichenus*-ის დამახასიათებელი ნიშნებია, რომელიც, არმაზის მსგავსად, ხეთური რელიგიული პანთეონის ქარიშხლის ღვთაებიდან იღებდა სათავეს. ვინაიდან *Iuppiter Dolichenus*-ი, ანუ სირიული ღვთაება *Hadad*-ი დოლიჩედან (თანამედროვე დიულიოქი, გაზიანთეფეს ჩრდილოეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში), გაბატონდა რომელ დამპყრობლებზე, როდესაც მათ, ძვ. წთ. 64 წ., დაიპყრეს და შეიერთეს სირია. მან მიიღო რომაელთა უმაღლესი ღვთაების – *Iuppiter Optimus Maximus*-ის – სახელი და განასახიერებდა არა მხოლოდ აღმოსავლურ, არამედ აგრეთვე ბერძნულ აზრობრივ წარმოდგენებს. *Iuppiter Dolichenus*-ი იყო "მთელი სამყაროს დამცველი", რომელთა ხელისუფლებისა და მათი იმპერატორის ძირითადი მხსნელი და ამავდროს, რომაული ძალაუფლების ხელშემწყობი, აღმოსავლეთში მისი გავრცელებით.<sup>17</sup>

განსაკუთრებით საინტერესოა არმაზის თავსაბურავის აღწერა, როგორც მყარი ჩაბალახისა (I, 89). ზედსართავი "მყარი" არმაზის თავსაბურავთან მიმართებაში მოსალოდნელი გახდებოდა თუ საქმე გვექნებოდა "ფრიგიული ჩაჩის" მსგავს საგანთან,

ვინაიდან საკუთრივ ქართველთაგანის "ჩაბალახი" (ყაბალახი) წარმოადგენს სინამდვილეში მეტად "არამყარ" ქსოვილის ნაჭერს სამკუთხად გამოჭრილი ზედა ნაწილით, ფრიგიული ჩაჩის მსგავსად, და მკერდსა და ზურგზე შემოკრული გრძელი ტოტებით.

არმაზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს განლაგებულ ოქროსა და ვერცხლის კერპებს, გაცსა და გაიმს (მოქცევაა ქართლისაჲს – გაცი და გა), როგორც ჩანს, მზისა და მთვარის გამოსახულებებს, პარალელი ეძებნებათ დოლიქენური პანთეონის ღვთაებების *Apollo Citharoedus*-ის და *Diana Lucifera*-ს სახით. ნაეარაუდვეი იყო, რომ *Diana* იყო ლუნარული პარტნიორი სოლარული *Apollo*-სი და რომ მათ ზუსტად განსაზღვრული მუდმივი დოქტრინალური პოზიცია ეკავათ *Iuppiter Dolichenus*-ის თეოლოგიაში.<sup>18</sup> მზისა და მთვარის ღვთაებების მკაფიოდ გამოხატული დაქვემდებარებული მდგომარეობა *Iuppiter Dolichenus*-ისადმი გვხვდება საკუთრივ დოლიჩეში ნაპოვნ ბრინჯაოს ფილაზე, რომელზედაც ორივე ეს ასტრალური ღვთაება გამოსახულია ვარსკვლავებით გარემოცული *Iuppiter Dolichenus*-ის ფერხთ (შდრ. ქართლის ცხოვრება, I, 18). არა მხოლოდ *Apollo*-სი და *Diana*-სი, არამედ აგრეთვე სხვა ღვთაებების ხშირი გამოსახულება *Iuppiter Dolichenus*-თან – *Hercules*-ის და *Minerva*-სი, *Isis*-ს და *Serapis*-ის, ღვთაებრივი ტყუპების, *dioscure*-ების, *Castor*-ის და *Pollux*-ის, *Juno Dolichena*-სი და *Asclepius*-ის და ა.შ. – მისი კულტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავისებური გამოხატულებაა.<sup>19</sup>

მეცნიერთა შეხედულების თანახმად, გაცი და გა (გაიმი) შეესაბამებოდნენ ანატოლიურ ღვთაებებს, *Attis*-სა და *Kibela*-ს, მაშინ როდესაც იბერი-



ული თეოლოგიური იერარქიის მეორე ღვთაება, ზადენი, იყო იგივე Sandas/Santas-ი, ვეგეტაციისა და ნაყოფიერების ხეთური ღვთაება.<sup>190</sup> იბერიის რელიგიური პანთეონი ეტყობა ძირითადად შედგებოდა სინკრეტული ხასიათის ღვთაებებისაგან, რომელთა დამახასიათებელი თვისებები შემდგომში გამდიდრებული იყო რომაული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით. ცენტრალური ამიერკავკასიის მოვლენებში რომაელთა მონანილეობის ინტენსიურობას შეეძლო დაემჩნია თავისი კვალი ადგილობრივად არსებულ რელიგიურ წარმოდგენებზე.

ქართულ და სომხურ მატრიანებში მოხსენიებული, პირველი ქართველი მეფის აზოს თუ მითრიდატე/მიპრდატის შესახებ არსებულ ინფორმაციებში ნაგულისხმევი პრობლემის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გვიან IV – ადრეულ III საუკუნეების ცენტრალურ ამიერკავკასიაში მართლაც ჰქონდა ადგილი გარკვეულ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) ისტორიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტთან – სახელმწიფოებრიობის წარმოქმნასთან. მოქცევაა ქართლისა-ს და სომეხთა ისტორიის მონაცემები აღადგენენ იმ მოვლენებს, რომელთაც სანყისი სტიმული ალექსანდრე დიდის მიერ აქემენიდთა იმპერიის დაპყრობით მიეცა და რომლებმაც გამოიწვია პოსტ-ალექსანდრულ ხანაში აღმოსავლეთ-ქართული (იბერიული) სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბება.

მეორეს მხრივ, იბერიის პირველი მეფის, აზოს უკვე დამახინჯებული ამბავი, სუბლიმირებული ქართლის ცხოვრების სიუჟეტში იბერიის მკე-

დონელი დამპყრობელის კარნახსახებ, როგორც ჩანს, თავის მხრივ აღწერულია, რომელიღაც ჯერჯერობით უცნობ მყაროსთან, მიძღვნილთან ცენტრალურ ამიერკავკასიაში რომაელთა მიერ (საეარაუდოდ ფლავიუსთა ხანაში – ახ. წთ. 69-96 წწ.) ჩატარებული ღონისძიებებისადმი.

რომაელთა ერთ-ერთი კარდინალური ამოცანის – ახლო აღმოსავლეთში Pax Romana-ს შენარჩუნების – ყველაზე უფრო ხელსაყრელ შესაძლებლობას კავკასიის უღელტეხილებზე განხორციელებული კონტროლი იძლეოდა. იბერიელები, რომელთა ძალაუფლება კავკასიის კარიბჭეზე ვრცელდებოდა, ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით, დარიალის უღელტეხილიდან მცხეთა-არმაზამდე – რეგიონში რომაელთა ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირეები იყვნენ. რომაელებსა და იბერებს, ერთიდაიმავე *orbis terrarum*-ის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა, დაფუძნებული საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე, მოითხოვდა იბერიულ საზოგადოებაში რომაელთა სამხედრო კონტიგენტის ინტეგრაციას – კაპადოკიასა და ამიერკავკასიაში განთავსებული რომაელთა სამხედრო ძალები მათივე გეგმების განხორციელების გარანტებს წარმოადგენდნენ. საეარაუდოა, რომ სწორედ ამ გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული ქართულ საზოგადოებაში ფროტათოსელთა გათქევის შესახებ ქართლის ცხოვრებისეული ცნობის აღმოცენება.

ასეთი შესაძლებლობის არსებობის არაპირდაპირ საბუთს იქნებ წარმოადგენდეს მეფეთა ცხოვრებაში სავსებით ცხადად გამოხატული, ქართველების სპარსელებთან აღრევის სანიხალდეგო ტენდენცია. მატრიანე შე-

მოგვინახა ქართული არისტოკრატიის დამოკიდებულება სპარსეთის მეფის ძის (მოშავალი მეფე მირიანი) ქართლის მეფედ მოვლენისა და ქართლის სამეფო ოჯახის ერთადერთი წარმომადგენლის, მეფის ასულის აბესურას მეუღლედ გახდომის მიმართ: "ვითხოვოთ მისგან [სპარსეთის მეფისგან - გ.ქ.] დამჭირვა სჯულსა ზედა მამათა ჩუენთასა, და ვითხოვოთ ჩუენ თანა არა აღრევა სპარსთა და წარჩინებულად პყრობა ჩუენი. ნუ უკუე შეიწყნაროს ვედრება ესე ჩუენი... მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთათჳს ვიდრე მონახვასა ესვეითარისასა. დავსხნეთ თავნი ჩუენნი ციხეთა და ქალაქთა შინა და მოვსწყედეთ ყოველნი (I, 63)".

მეფეთა ცხოვრების თითქმის მთელი ტექსტის გაყოლებაზე შეიმჩნევა მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება სპარსეთის მონარქიისადმი. ასეთი განწყობილების ჩამოყალიბება ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა ახ. წთ. VII საუკუნის შუახანების მომდევნო პერიოდში, მას მერე რაც სპარსელებმა არაბებისაგან სრული მარცხი განიცადეს. თვით პერსიანულ არიულ-თურანულ დაპირისპირებისას ქართველი მემკვიდრის სიმპატიები თურქების მხარეზეა, რომლებიც ჯერ კიდევ ალექსანდრეს გამოჩენამდე მოსულან მცხეთაში და სპარსელთაგან დამარცხებულები იქ თავშესაფრეს ეძებდნენ. მისი სიტყვებით: "და იყენეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისყოფელ ერთმანერთისა, მოელოდეს მოსლევასა სპარსთასა, ამავრებდეს ციხეთა და ქალაქთა. მას ჟამსა შინა სადათაც ვინ მივიდის ძკრის-მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიშეკობრიან ქარ-

თველთა შემწეობისა (ქმნაპარსსა ზედა (I, 15)".

ნიკოლოზიძე

აღმოსავლურ პოლიტიკურ ფორმაციებისადმი მკვეთრად გამოვლენილი სანინალმდგომ განწყობა და პროდასავლური ორიენტაცია გამოვლენილი კლასიკური ხანის ზემომოხსენებული წერილობითი და ეპიგრაფიკული წყაროებისა და ქართული მატრიანების მიერ, წარმოადგენდა საქართველოს მთელი ისტორიის ლაითმოტივს, ჩასახულს ჯერ კიდევ ნინა-კლასიკური ხანებიდან, და შესაძლოა ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში იბერიის გაქრისტიანებისა.

## 5. კავკასია, როგორც სასაზღვრო ზონა

კომუნისტური სისტემის ანიჰილაციისა და აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მომხდარი ძირეული ცვლილებების შემდეგ, მოსალოდნელი ხდება იმ ქვეყნების მნიშვნელობის გადაფასება, რომლებიც მდებარეობდნენ დასავლური და აღმოსავლური სამყაროების სასაზღვრო ზონაში.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში პ. მაქქინდერის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, მსოფლიოში გამოიყოფა ღერძული არეალი (Pivot Area, იგივე შუაგული ქვეყანა, დ. სინორის განსაზღვრებით - ცენტრალური ევრაზია), რომელიც მოიცავდა რუსეთის იმპერიისა და ჩრდილოეთ ირანის იმ ტერიტორიებს, რომელთა მდინარეთა სისტემა ჩრდილოეთ-ყინულოვან ოკეანეს ან კასპიის ზღვას განეკუთვნებოდა; ხოლო რუსეთის იმპერიის უკიდურესი დასავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი რეგიონები და დასავლეთ კავკასია, აგრეთვე ირანის სამხრეთ სანაპირო ევროპასთან, ახ-



ლო აღმოსავლეთთან, ინდოეთთან და ჩინეთთან ერთად შეადგენდა შიდა ანუ განაპირა ნახევარმთვარეს (*Inner or Marginal Crescent*, დ. სინორის ევრაზიის პერიფერია), განსხვავებით გარეთა ანუ კონტინენტური ნახევარმთვარისაგან (*Outer or Insular Crescent*), რომელიც თავის მხრივ შეიცავდა ამერიკას, აფრიკას, ინდონეზიას, ავსტრალიას, იაპონიას და რუსეთის უკიდურეს შორეულ აღმოსავლეთს.<sup>191</sup>

შუაგულ ქვეყანასა და განაპირა ნახევარმთვარის მხარეებს შორის არსებულ მწვავე კონფლიქტში, პირველს ჩვეულებრივ აგრესორის ფუნქცია ეკისრებოდა. აღსანიშნავია, რომ თუ შუაგული ქვეყნის ეკონომიკა ძველთაგანვე ძირითადად მესაქონლეობაზე იყო დაფუძნებული, განაპირა ნახევარმთვარის მომცველ რეგიონებში მინათმოქმედება იყო ნამყვანი, თუმცა ძირითადი მიზეზი დაპირისპირებისა იყო ქონება-უქონლობა, მომთაბარე უქონელები თავს ესხმოდნენ მჭონებელ ბინადარ მოსახლეობას.<sup>192</sup>

გარკვეულწილად ანალოგიური კონფლიქტია ასახული ქართულ ხალხურ ლექსში "შემომეყარა ყივჩაღი", რომლის სიუჟეტიც მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს, ანუ იმ ხანას, როდესაც, დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჯუკებთან საბრძოლველად გადმოყვანილი, ყივჩაღები საქართველოში სახლობდნენ:

"შემომეყარა ყივჩაღი  
სამზღვარს მუხრანის გზისასა,  
პური მთხოვა და ვაჭმეი,  
ვურჩევდი თათუხისასა.  
ხორცი მთხოვა და ვაჭმეი,  
ვურჩევდი ხოხობისასა,  
ღვინო მთხოვა და ვასმეი,  
ვურჩევდი ბადაგისასა.

ცოლი მთხოვა და ვურჩევდი ნულსი  
მიმყვანდა სიდედრიცა ზღაპრითა...  
...

გავჭერი ცხენი და კაცი,  
წვერიც მომიხედა ქვიშასა...<sup>193</sup>

საკვებით მომარაგებას შეეძლო გალატაკებული მოსახლეობის შემოსევის თავიდან აცილება და ამას, მართლაც, მრავალგზის ჰქონია ადგილი ზემოაღნიშნულ ორ სამყაროს შორის არსებულ ურთიერთობებში. ეს დაპირისპირება არა მარტო კავკასიის კარიბჭის ანალოგიური ფუნქციის მჭონე დაცვითი კედლების არსებობას მოითხოვდნენ, როგორც, მაგალითად, იყო ჩინეთის დიდი კედელი ან ადრიატის კედელი (*Roman Limes*), არამედ საჭიროს ხდიდნენ ამ კედლებზე ბევრად უფრო ძნელად დასანგრევი მორალური ჯებირის აგებას ადამიანთა სულში, ვინაიდან მუდმივი მტრობა უცხოთა მიმართ ზრდიდა საზოგადოებრივი სოლიდარობის ერთიანობას და იგი (საზოგადოება) უფრო იოლად დასაქვემდებარებელი ხდებოდა მმართველი ნრეებისათვის. მმართველის უპირვალეს მოვალეობად ბარბაროსებთან ბრძოლა ხდებოდა. ბარბაროსების განდევნა *οικουμένης*-ს თუ *orbis terrarum*-ის საზღვრებს იქით და მათი შემდგომი შემოსევების აღკვეთა იყო ის სულისკვეთება, რომელმაც უბიძგა ალექსანდრე დიდის ლეგენდარულ სახეს რკინის კარიბჭის მიღმა, შეუღწევად მთებში ჩაეკეტა გოგისა და მაგოგის უწმინდური ტომები, კვინტუსენციური ჭარბაროსის მითოური განსახიერება.<sup>194</sup>

შუასაუკუნეების ამიერკავკასიის ისტორიაში შუაგული ქვეყნიდან ანუ ცენტრალურევრაზიული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის, თურქ-სელჯუკების, ხორეზმელების, მონღოლ-



ბის, თემურ-ლენგის ურდოების, აკ-კონილუსა და კარა-კონილუს მესაქონლე ტომების შემოსევები, ერთი შეხედვით, შესაძლებელი ჩანს ა. თონისიულ სტიმულთა პირველ მოდელს მიენეროს, რომელიც ადამიანური გარემოს მიერ იყო ინსპირირებული და უეცარი გარეგანი დარტყმის ფორმით იყო გამოხატული, თუმცა ცენტრალურაზიული მოსახლეობის თავდასხმების სისტემატური ხასიათის გამო უფრო მეორე მოდელის – უწყვეტი გარეგანი დანოლის სტიმულის – ფორმას ლებულობდა.<sup>155</sup> ასეთ შემთხვევაში, ამ უკანასკნელი მოდელის ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორი – სასაზღვრო ზონის (*marches*) ფუნქცია – არა მარტო ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის იყო გაზიარებული, არამედ, აგრეთვე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს. სხვა სიტყვებით, ცენტრალურაზიული მოსახლეობის შემოსევებს არა მარტო ჩრდილოეთიდან ჰქონდა ადგილი, კიმერიელების, სკითების, სარმატების, ალანების, პუნების, ბოლღარების, ხაზარების, ოსების სახით, არამედ სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც.

ახლო აღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული საზოგადოებების დაინტერესება ამიერკავკასიით გარდუვალი იყო, ამ უკანასკნელის მდებარეობის გამო ცივილიზებული და ბარბაროსული სამყაროების შეხების ზონაში, ან უფრო ზუსტად, ამ ორი სამყაროს გამყოფ რღვევის ხაზზე. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ამიერკავკასიის ასეთი მდებარეობა განაპირობებდა მის სივრცეში ისტორიული განვითარების ორი დიამეტრალურად სანინალმდეგო მოდელის შეჯახებას, კავკასიონის მთავარი ქედის ფაქტორი, რომლის სამხრეთითაც ეს რეგიონი

ნი მდებარეობდა, განსაზღვრავდა მის ბედს – ყოფილიყო ანაღმადმადგანივითარებული განაპირა ნახევარმდვარის (ევრაზიული პერიფერიის) ფორპოსტი განვითარების დაბალი ტემპის მქონე შუაგული ქვეყნის (ცენტრალური ევრაზიის) ნინალმდეგ, ანუ, სხვა სიტყვებით, ყოფილიყო ცივილიზებული სამხრეთისა და დასავლეთის ბურჯი ბარბაროსული ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ნინალმდეგ.

ვფიქრობთ, სრულიად ნათელია იბერიაში სახელმწიფოებრიობის ნარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების კავშირი ჩრდილოეთის ნომადი ტომების შემოღწევისაგან კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების დაცვის საჭიროებასთან. საყურადღებოა, რომ დარიალის მახლობლად მცხოვრები მთის ქართული მოსახლეობა ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ საქართველოს მეფეთა ძველ მეციხოვნეთა შთამომავლებლად მიიჩნევადა თავს.<sup>156</sup> ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ერთ-ერთი ინტერპოლაცია, მათი ამ ფუნქციის ჩამოყალიბებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს: "ზოლო დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მალაღნი, და დაადგინა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ჴელეწიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა (I, 156 ჩანართი თქ)".

ქართული სახელმწიფოებრიობის ბედის კავშირი კავკასიის კარიბჭის უშიშროების მოთხოვნასთან მკაფიოდ იკვეთება მთელი მისი ისტორიის განმავლობაში. მეთვრამეტე საუკუნის დამლევისა თუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის, ანუ რუსეთის იმპერიის-

მიერ აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისდროინდელ ხალხურ ლექსში „ერეკლეს დატირება“ ვკითხულობთ:

“ვერ გაიგეთა ქართველნო,  
შაგეხსნათ რკინის კარიო,  
მზე ჩაგვივიდა უკულმა,  
ჩაეარდა შუა ზღვაშიო...  
ვერ გაიგეთა ქართველნო,  
შაგეხსნათ რკინის კარია?  
იმისა სანეფოზედა  
იცილებიან სხვანია...”<sup>197</sup>

თუ გავიხსენებთ ზემომოყვანილ ცნობას, რომ კავკასიონის გადაშვევითი დარიალის უღელტეხილი ძველ დროში ცნობილი იყო აგრეთვე რკინის კარის სახელით, აქ მოყვანილი ხალხური ლექსი უნდა ჩავთვალოთ ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის დაკარგვის კონკრეტული ფაქტის ამსახველად, დაეცვა თავისი მთავარი ჩრდილოეთის კარიბჭე. როგორც ჩანს, რკინის კარის კონცეპცია წარმოადგენდა გამოხატულებას ქართული სახელმწიფოებრიობის კონკრეტული პოლიტიკური ფუნქციისა – ყოფილიყო დამცველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტისა.

აღნიშნული სახელმწიფოებრივი ფუნქცია იყო ერთ-ერთი ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძვ. წთ. პირველი ათასწლეულის დასკვნით საუკუნეებში. როგორც ითქვა შუაგულ ქვეყანასა და

განაპირა ნახევარმთხრეს შორის, ქარსებულ საკონტაქტო, თუ გამყოფ, ხანაში საქართველოს მდებარეობა განაპირობებდა მის კუთვნილებას იმპულსების ა. თოინბისეული მეორე მოდელისადმი. გამუდმებულ გარეგან დანოლასა თუ გამოწვევას (*Challenge*) მოპყვა პასუხი (*Response*), რომელმაც გამოიწვია ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოს – იბერიის სამეფოს წარმოქმნა. ამ სახელმწიფოს არსებობის არსს (*raison d'être-s*) წარმოადგენდა დანიშნულება, ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს (*oikoumenē, orbis terrarum*) ფორპოსტი, ამ უკანასკნელის ბრძოლაში კავკასიის კარიბჭის გადაღმა მდებარე ბარბაროსული სიბნელის საუფლოსთან. ამასთანავე, იბერიის ხელისუფალნი პერმანენტულად და დიდი წარმატებითაც იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას, რათა გაენონასწორებინათ გარესამყაროს ყველა მხრიდან მომდინარე ძალთა დანოლა. ამრიგად, გეოპოლიტიკური ხასიათის აღნიშნულმა ფაქტორებმა არა თუ გამოიწვიეს კლასიკური ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა, არამედ განაპირობეს კიდევ მომდევნო ხანებში მისი ისტორიული განვითარება.

მუდმივი დაპირისპირება ბარბაროსსა და ცივილიზებულს, მიმთვისებელსა და მეურნეს, ყაჩაღსა და შემოქმედს შორის იყო ის კვესი და აბედი, რომლის საშუალებითაც დაინთო სახელმწიფოებრიობის ცეცხლი კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის გადმოღმა მდებარე ქართლში.

## შენიშვნები

თარგმანი  
ზიგლინოვიჩის

- 1 Toumanoff 1943, 139.
- 2 Allen & Muratoff 1953, 7.
- 3 შდრ. Sherwin-White 1984, 1993მდ.
- 4 ქავთარაძე 1997.
- 5 მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილების გაერთიანების შემდეგ, ტერმინი ქართლი ანუ საქართველო აღნიშნავს საქართველოს მთელ ტერიტორიას (იხ. ჯავახიშვილი 1914, 286).
- 6 მ. ბროსეს, ფ. სენ-მარტენის, დ. ბაქრადის, მ. ჯანაშვილის, პ. ინგოროყვას, გ. ნერეთლის, გ. მელიქიშვილის აზრით, ქართლის ცხოვრების მონაცემები ძირითადად დამაჯერებელია, მაშინ როდესაც კ. პატკანოვი, ი. ჯავახიშვილი და კ. ქველიძე ბევრად უფრო სკეპტიკურად იყენებენ განწყობილნი.
- 7 Rapp 1998, 14.
- 8 ყაუხჩიშვილი 1955, 024ფფ.
- 9 მაგ. Pättsch 1985, 14; Schybol 1998, 946. კ. თუმანოვის აზრით, მისი მონაბეები ჩინებულად უძლებენ მეცნიერთა გამოწვევით შესწავლას და ამდენად მას ჩვენი ნდობა უნდა მიეცეს (Toumanoff 1963, 443).
- 10 ყაუხჩიშვილი 1955, 015; შდრ., აგრეთვე, Toumanoff 1947, 340-344.
- 11 ს. რაპი შენიშნავს, რომ იგი არის ერთიადიმავე დროს ამჟამად დაკარგული ქართული ეკუმენიკის თარგმანი, ადაპტაცია, შემოკლება და ამასთანავე არაზუსტი გადმოცემა (Rapp 1998, 31).
- 12 Thomson 1996, v. Rapp 1998a, 3.
- 13 Thomson 1996, xlii, xlii, i, კ. თუმანოვისა და რ. ბედროსიანის აზრით, მას გაქმოყენებული უნდა პქონოდა სომხური ევრსია (Toumanoff 1943, 161; Bedrosian 1991).
- 14 იხ. აბულაძე 1953, 020.
- 15 შდრ. Меликишвили 1989, 22.
- 16 Rapp 1998a, 18.
- 17 Rapp 1998, 18.
- 18 Меликишвили 1959, 29-31; Rapp 1998, 20.
- 19 Rapp 1998, 20.
- 20 ინგოროყვა 1941; Tarchnishvili 1957, 86-89; Toumanoff 1969, 1 მუნ.3. ყოველ შემთხვევაში, კ. თუმანოვს ეჭვი არ ეპარება, რომ იგი წინ უნდა უსწრებდეს 973 წელს (Toumanoff 1963, 24).
- 21 აქაც და ქვევითაც ფრჩხილებში მოთავსებული ქართლის ცხოვრების გვერდები მითითებული გვაქვს ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით, იხ. ყაუხჩიშვილი 1955.
- 22 Thomson 1996, v, xxxviii. სომხური თარგმნის ტექსტი ფაქტიურად შედგება მხოლოდ ოთხი ავტორის ექვსი ნაწარმოებისაგან და მოიცავს პერიოდს დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე, ანუ 1125 წლამდე. რ. ვ. თომსონის აზრით, სომხური თარგმანის ახალი სათაური, "ქართული მატრიანები", მცდარ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვინაიდან ნაწილს მთელისაგან ვერ განასხვავებს - იგი მოიცავს მხოლოდ მცირე ნაწილს ქართულ ენაზე შექმნილ ანალოგიური ნაწარმოებების მთელი ნეებიდან (Thomson 1996, xxxviii).
- 23 ქველიძე 1958, 208; Меликишвили 1959, 30. აქდა ქვემოთ სომხური თარგმნის გამოყენებისას, მითითებულია ქართლის ცხოვრების სომხური ევრსიის 1884 წლის "გენეციის გამოცემების" გვერდები.
- 24 Rapp 1998a, 1.
- 25 Allen 1932, 16; Toumanoff 1943, 166.
- 26 Rapp 1998, 253მდ.
- 27 Rapp 1997, იხ. Rapp 1998, 22.
- 28 Rapp 1998, 18.
- 29 Rapp 1998, 233მდ.
- 30 სომხურმა ეკლესიამ შეაჩვენა ქართველები დვინის მესამე საეკლესიო კრებაზე 608/609 წწ., თუმცა, განხეთქილებამ ფორმალური ხასიათი 726 წლის მანასკერტის სომხურ სასულიერო კრებაზე შეიძინა (იხ. Sarkissian 1965, 2, 206 მუნ.1, 215; Garsoian 1985, 236 მდ.; Rapp 1998, 17).
- 31 Меликишвили 1989, 24, 26. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისის ხანის ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში არა მარტო წმიდა მამების ტექსტებში არსებული ხარვეზები იყო შევსებული,



- არამედ, აგრეთვე, იმხანად კონსტანტინეპოლში გამოყენებული ბიბლიური, ლიტურგიული და პაგიოგრაფიული ტექსტების ახალი ვარიანტები იყო შექმნილი (Thomson 1996, xxxvii; შდრ. Tarchnishvili 1955).
- 32 კეკელიძე 1923, 533მდ.; ინგოროყვა 1941; Меликишвили 1959, 313მდ.
- 33 Меликишвили 1989, 26. მოესეს ხორენაცის სომეხთა ისტორიის ნუსხები მეთოთხმეტე საუკუნეზე ადრეული ხანით არ თარიღდებიან, თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ თვით ბევრი კლასიკური (ბერძნულ-რომაული) ტექსტი შემოინახა მხოლოდ შუა საუკუნეების ხანის რედაქციით (Rapp, 1998, 15).
- 34 Toumanoff 1943, 169; შდრ. Джанашиვილი 1905, 216-220.
- 35 Alexidze 1995.
- 36 მაგ. თაყაიშვილი 1909, 16; Thomson 1996, xxxviii; Toumanoff 1943, 149.
- 37 Tarchnishvili 1955, 87მდ., 406.
- 38 მ.თარხნიშვილის ვარაუდით, მოქცევა ქართლისა 688 თუ 687 66. უნდა გამოყენებინა სომეხ ავტორს, ფილონ ტირაკაცის (Tarchnishvili 1947, 33მდ.; Tarchnishvili 1955, 87).
- 39 Alexidze 1995. მოქცევა ქართლისა-ს ცნობები ნმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ მნიშვნელოვანწილად წარმოადგენენ ვერსიას ამბისა, რომელიც სათავეს იღებს რუფინუსის მეთოთხე საუკუნის დასასრული ხანის თხზულებაში, *De Conversione Gentis Iberorum per Captivam Facto* (Тақайшვილი 1900, 80, 93, 104; Toumanoff 1943, 151).
- 40 იბ. Rayfield 1994, 49.
- 41 თაყაიშვილი 1890, xviii-xx, xlv-lxxix.
- 42 ინფორმაცია ასეთი თხზულების არსებობის შესახებ მომდინარეობს ქართლის ცხოვრების უძველესი შემორჩენილი ხელნაწერიდან, ანა-დედოფლისეული მეთოთხმეტე საუკუნის ნუსხიდან (ინგოროყვა 1939, 1073მდ., 1373მდ.; ინგოროყვა 1941a, 2833მდ.). ამავე დროს, მოქცევა ქართლისა-ს ტექსტში გრეციზმების ადვილად თვალშისაცემი სიუხვე მიჩნეულია ამ მატანიის წარმოქმნის თარიღის მეხუთე საუკუნეზე უფრო ადრეული ხანით განმსაზღვრელად (ყუბანი-სამეფო-ში მისი საწყისი ეტაპის დასაბამად ნადმი ჩამოყალიბებული ეროვნული ფეოდალურ-საეკლესიო ლიტერატურის არსებობამდელი პერიოდით (იბ. Toumanoff 1943, 153მდ.).
- 43 მაგ. Toumanoff 1943, 1483მდ.; Fähnrich 1986, 12.
- 44 Thomson 1996, xxxvii; Rapp 1998, 9.
- 45 Rapp 1998, 19.
- 46 Toumanoff 1943, 1503მდ.; Меликишვილი 1959, 47-62; Rapp 1998, 24.
- 47 Rapp 1998, 24.
- 48 Rapp 1998, 17.
- 49 Меликишვილი 1989, 25; Меликишვილი 1989a, 255.
- 50 ინგოროყვა 1941, 2693მდ.
- 51 აქაც და ქვემოთაც ფრწილებში მოთავსებული მოქცევა ქართლისა-ს გვერდებისათვის იბ. გივინიშვილი, გიუნამეილი 1979.
- 52 ინგოროყვა 1941, 283.
- 53 ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, არიან-ქართლში იგულისხმება ქართლის სპარსული (ე.ი. არიული, ძველსპარსული *ariyana-*დან) ანუ აქემენიდური ნაწილი, მდებარე მის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (Меликишვილი 1959, 278). არიან-ქართლი მიჩნეული იყო აგრეთვე პტოლემეოსის *Armenia*-დ (V, 6, 18) და ხეტების *Harrana*-დ, რომელიც მცირე სომხეთში მდებარეობდა, თოგორმა/თეგარამა/თილ გარიმუს მახლობლად (Tseretheli 1935, 50-54; Toumanoff 1963, 90მდ.124).
- 54 "წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძენთისა ანძიანძორა, და ეკლევით შემოიქცა, მივიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა".
- 55 ანალოგიური დასკვნა მიიღება ჯუან-შერის ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისას არაპირდაპირი ინფორმაციის საფუძველზე (1,160) (ყუბანიშვილი 1955, 139-244). იბ., აგრეთვე, Kavtaradze 1996, 2053მდ.
- 56 Tseretheli 1935, 45-50; Меликишვილი 1959, 112, 2293მდ.; Toumanoff 1963, 1003მდ., სენ.151.

- 57 Меликишвили 1959, 47-50, 276-283, 291.  
 58 Toumanoff 1963, 81შენ.104.  
 59 Rapp 1998, 24.  
 60 გ. ლორთქიფანიძე ტექსტის პატრიკს მიიჩნევს "ნინაპრის" მნიშვნელობის მქონე ბერძნული სიტყვიდან,  $\alpha\upsilon\tau\text{-}\rho\iota\alpha\kappa\tau\text{-}$  იდან, ნაწარმოებად, იხ., Лордки-панидзе 1998, 160. რ. ვ. თომსონის ინ-გლისურ თარგმანებში, როგორც ქართული ორიგინალის (I, 18), ისევე სომხური ადაპტაციისა (20), ეს სიტყვა ნათარგმნია, როგორც პატრიცი (patrician) (იხ. Thomson 1996, 25).  
 61 შდრ. Thomson 1996, 253შმდ.  
 62 მოქცევაჲ ქართლისაჲს მჟორე ნაწილის - წმ. ნინოს ცხოვრების - მიხედვით, კერპები გაცი და გა ნარმოადგენდნენ ქართველთა ნინაპართა ღვთაებებს არიან-ქართლში (335).  
 63 აბდალაძე 1984, 106შმდ.  
 64 შდრ. Olshausen 1979, 292.  
 65 შენიშნული იყო, რომ მოვსეს ხორენაცი, ევსების შემომოყვანილი ცნობის ციტირებისას (Chronicle: Aucher, I: 58-9), სომხურ თარგმანს იყენებდა; ეს დასტურდება მის მიერ შეგასთენეს სახელის შედსართავად მცდარი გადათარგმნით ("მძღაერი"), რომელიც თითქოსდა ნაბუქოდონოსორის შემამკობელ ეპითეტს ნარმოადგენდა (იხ., მაგ., Thomson 1980, 141შენ.14).  
 66 აბდალაძე 1984, 111.  
 67 Меликишвили 1959, 39 და შენ.95.  
 68 McGing 1986, 44.  
 69 რ. ვ. თომსონის მითითებით, მოვსეს ხორენაცს აერია, იბერიული მეფისწულების ნარმოშავლობა იბერიის მეფე მიპრდატისაგან, მრავალრიცხოვან პონტიელ მითრიდატებთან (Thomson 1980, 147შმდ., შენ.7).  
 70 Меликишвили 1959, 47-50, 233, 283.  
 71 იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც დარიალი, ოვსთა, იბერთა, სარმატიის და არაგვის კარიბჭე.  
 72 შდრ. Anderson 1932, 15-19.  
 73 პლინუსის სიტყვებით: *Haec est Macedonia terrarum imperio potita quondam, haec Asiam, Armeniam, Hiberiam, Albaniam, Cappadociam, Syriam, Aegyptum, Taurum, Caucasum transgressa...* (i.h. IV, 39), იხ. Mommsen 1958, 66. სოლინუსი ასევე იმეორებს, რომ აღნიშნული ქვეყნები ემედებარა: *Asiam, Armeniam, Hiberiam, Albaniam, Cappadociam, Syriam, Aegyptum, Taurum Caucasumque transgressus est* (9, 19), იხ. Winkler 1988, 140შმდ.  
 74 კატაპულტის ბირთვებს, რომლებიც სამადლოს გვიან მეოთხე-აღრე მესამე საუკუნეების ფენებში აღმოჩნდა, აქეთ 21 სმ დიამეტრი და ინონიან 9,5 კგ (Гаршидзе, 1979, 40, 48, 96; Лордки-панидзе 1998, 159 შმდ.).  
 75 Tam 1984, 113, 119; Лордки-панидзе 1998, 159შმდ.  
 76 Kavtaradze 1996, 209-213.  
 77 როგორც ჩანს, სომხური მინების გაფართოება მდინარე მტკვრამდე მოხდა იბერიული პროვინციის, ხორძენეს, მისაკუთრების შედეგად (შდრ., Strabo, II, 14, 5; I, 3, 21; Plut., Pomp., XXXIV). ლირსშესანიშნავია, რომ მეფეთა ცხოვრების ცნობით, თუმცა კი უფრო გვიანდელი ხანების მოვლენების აღწერასთან დაკავშირებით, სომხებმა ქართველებს მინები ნაართვეს არტანის (არდაჰანის) მხარეში მიმდინარე მტკვრამდე (I, 44-50). ამავე დროს, მოიპოვება შესაძლებლობა ტერმინ ბორძენეს გავრცობისა უფრო ვრცელ ტერიტორიაზე. არსიანის ქედი (თანამედროვე იაზლინჯამ დალღარი) მოხსენიებულია ბორძიანის მთის სახელწოდებით გიორგი მერჩულიის მეათე საუკუნის პაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელისა (იხ. Kavtaradze 1996).  
 78 Toumanoff 1943, 142, 150შმდ., 443; შდრ. Gugushvili 1936, 109შმდ.  
 79 შდრ. Меликишвили 1959, 280შმდ.  
 80 Меликишвили 1959, 39. თუ ქართული ორიგინალის მიხედვით, მათ მაღალ მდგომარეობას ფარნავაზის წყალობით მიაღწიეს (I, 25), სომხური თარგმანის ტექსტი, მათ დანიშნურებას, უფრო ლოგიკურად აზოს პერიოდს მიაწერს, ალბათ ქართლის ცხოვრებისეული იმ განმარტების გაზიარებით, რომ ტერმინი "აზნაური", აზოს მიმდევარს ნიშნავდა: აზონმა მათგან დანიშნა მეთაურები ქართველთა ქვეყნის მთელ გაყოლებაზე (20).



- 81 Гагошидзе, 1979, 97; შდრ. Tiroyean 1884, 12, იხ. Bedrosian 1991.
- 82 Lordkipanidze 1998, 160.
- 83 Liddel & Scott 1950, 1534.
- 84 შდრ. Cary 1967.
- 85 "და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივისცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და პმსახურებდენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა".
- 86 "ხოლო სარკინელთა შესჭიხდა, რამეთუ პრბძოდა თერთმეტ თუე. იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განკრიტეს კლდე იგი, რომელი ღობილ იყო და ადვილად ხაწრეტელი. და განკრბეს წრელსა მას სარკინელნი ღამე, და შეივლტოდეს კავკასიად, და დაუტყვევს ცალიერად ქალაქი".
- 87 შეფთა ცხოვრების განსაზღვრებით, ოესთა ქვეყანა წარმოადგენდა მდ. ლომეკის (თანამედროვე თერგი) დასავლეთით მდებარე კავკასიის ნაწილს (1, 12).
- 88 კავკასიონის სამხრეთით ხაზართა თავდასხმებს ადგილი უქონდა გვიან მეშვიდე – ადრე მერვე საუკუნეებში.
- 89 აბდალაძე 1984, 154.
- 90 შდრ. Thomson 1976, 37.
- 91 აბდალაძე 1984, 170მმდ.
- 92 Rapp 1998, 17.
- 93 აბდალაძე 1984, 188.
- 94 აბდალაძე 1984, 110.
- 95 აბდალაძე 1984, 104.
- 96 ხალიფა ვათიყმა, 842 წელს ცენტრალურ აზიაში გაგზავნა თავისი დესპანი სალამი, რათა მას რაიმე გაერკვია რკინისა და თითბერის კედლის თაობაზე, რომელიც თითქოს ალექსანდრე დიდს უნდა აღეშარათა გარეთა სტეპის ბარბაროსი გოლიათების, გოგისა და მაკოგის სანინაალმდეგოდ, როგორც ამის შესახებ ყურანშია (XVII, 82-96) მოთხრობილი (Bosworth 1996, XIII, 22).
- 97 შდრ. Cary 1967.
- 98 იხ. Мухомов 1983.
- 99 შდრ. Hewson 1992, 122.
- 100 Allen 1932, 61.
- 101 ი. რაინვეს გრ. პოტიომკინისაგან, და ეკატერინე II-თან შეთანხმებით, დავალებული უქონდა ერეკლე დაეთანხმებინა რათა მას რუსეთის მფარველობა ეთხოვა (იხ. [http://www.1812.ru](#)).
- 102 Reineggs 1797, 86ფ.
- 103 Reineggs 1797, 86. შდრ. ქავთარაძე 1985, 85.
- 104 ქავთარაძე 1985, 85, 173მმდ.361.
- 105 აფაქიძე 1959, 36მმდ.
- 106 სომხური თარგმანის მიხედვით: "და ჩვენთან ახლოს მდებარეობენ ოსები, და ალანები, და ლეკები, და სონები, და ხაზარები, და ჩრდილოეთის ყველა მზარენი", (40). იხ. Thomson 1996, 75.
- 107 Blockley 1985, 68მმდ. საყურადღებოა, რომ ახ. წთ. მეოთხე საუკუნის კომენტატორის სერვიუს პონორატუსის განმარტებით, იბერია პონტოს ნაწილია და მდებარეობს პერსიდასა და არმენიას შორის (Serv. in Verg., IX, 579).
- 108 იორდანე ბიზანტიის სამსახურში მყოფი ალანი მხედართმთავრის, გუნტიგის ბაზას, მდივანი იყო და კარგად გათვითცნობიერებული ჩანს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და იმიერკავკასიის საქმეებში.
- 109 ზემომოყვანილი გარემოებანი შესაძლოა უნდა აჰყენდეს წანართა წარმომავლობის საკითხს, რომელთაც მდ. თერგის ზემო ნელზე, ხევის ტერიტორიაზე, უშუალოდ დარიალის მახლობლად უნდა ეცხოვრათ. მათი სახელწოდება ქანებისას უნდა უკავშირდებოდეს. მეგრულ-ლაზურ შ-ს, ქართულში წ თანხმოვანი შეესაბამება (შდრ. ჭყონი-წყანი), ხოლო -არ, მეგრულ-ჭანურში ადამიანის სადაურობა-წარმომავლობის გამომხატველი სუფიქსია, ქართული -ელა-ს შესატყვისი. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე XIII ს. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის "მსოფლიო ისტორიის" ცნობა, რომ კავკასიის მთის ძირას დასახლებული წანარები წარმომავლობით ხალდეები ყოფილან, ხოლო მოვსეს ხორენაცის ცნობით: ქანიევი, იგივე ხალტიქია (11, 76).
- 110 ინაძე 1996, 49-68. აღსანიშნავია, რომ უახლესი მონაცემების მიხედვით, VI ს. შუახანებში, სწორედ სპარსელებს აუგიათ კელასურის ანუ აფხაზეთის დიდი კედელი, ბიზანტი-

- ელთა და მათ მოკავშირეთა სანინაალ-მდეგოდ (იხ. Alexidze 2002, 15).
- 111 შდრ. Меликшвили 1989ა, 256. რომელიც, აზონის რომაელ თანამებრძოლებს ბერძნებად მიიჩნევს.
- 112 Thomson 1996 25შენ.ბ.
- 113 აჭარიანი 1971; შდრ. აბულაძე 1953, 027 და Thomson 1996 25შენ.ბ.
- 114 შდრ. Jones 1924.
- 115 იხ. Cary 1969, 99.
- 116 Меликшвили 1959, 325; Дреер 1994, 31.
- 117 სანიკიძე 1956, 193შმდ.; Меликшвили 1959, 324შმდ.
- 118 სტრაბონის ინფორმაციით, კანიდიუსმა იბერიაში შესასვლელად იგივე გზა გამოიყენა, რომელიც მანამდე გაიარა სომხეთიდან იბერიაში გადასულმა პომპეუსმა (XI, 3, 5).
- 119 კასიუს დიოს (აბ. ნთ. 155-235 66.) მიხედვით: "პუბლიუს კანიდიუს კრასუსმა გაილაშქრა აზიაში იბერთა წინააღმდეგ, დაამარცხა ბრძოლაში მათი მეთვე ფარნაბაზუსი, აიძულა ისინი რომაელებთან კავშირი დაეფო და მათ მეფესთან ერთად შეიჭრა მომიჯნავედ მდებარე ალბანეთში; ამ უკანასკნელთა და მათი მეფის ზობერის ძლევის შემდეგ, შემოიერთა აგრეთვე ისინი" (XLIV, 24, 1), იხ. Cary 1969ა, 391.
- 120 Меликшвили 1959, 335შმდ.
- 121 იხ. Isaac 1990, 43; ქანთარია 1996, 25-47.
- 122 Isaac 1990, 43შმდ.
- 123 დიოს მიხედვით, ნერონის მრავალრიცხოვან პატარ-პატარა ოხუნჯობების შორს იყო ერთი ხუმრობა, რომ, თითქოს "ალბანელთა მიწაზე იმდენმა სიხლმა იწვიმა, რომ იქაურმა მდინარეებმა მიწა სიხლით დატბორა" (LXIII, 26, 5), იხ. Cary 1968, 185. ეს ცნობა ეგებ მიგვანიშნებდეს ალმოსავლეთ ამიერკავკასიაში მომხდარ რალაც არეულობაზე და ამავე დროს მონიშნავს ტაციტუსის ინფორმაციის სანდოობას, ნერონის მიერ ალბანელთა წინააღმდეგ ექსპედიციის მომზადების შესახებ.
- 124 ალბანელთა და რომაელთა მტრობა დაიწყო ამიერკავკასიაში პომპეუსის შეჭრით, როდესაც, ალბანელთა მეფემ, ოროსესმა, გაილაშქრა წინააღმდეგ საგანგებოდ სატურნალიის დროს, რათა დაესწრო ალბანეთში მათი შესვლისათვის (Dio XXXVI, 54, 1).
- 125 Mommsen 1909, 62შენ.1. ამ შემთხვევისაგან განსხვავებით, ირანის სასანიანი შაჰის, შაპურ I-ის ნარჩერა ქაბა-ი-ზარდოშტიდან, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ალბანელთა კარის ნაცვლად შეცდომით ალანთა კარს მოიხსენიებს (იხ. Honigsmann & Maricq 1953, 88; შდრ. ყაუხჩიშვილი 1976, 255-260).
- 126 Syme 1995, 143. ალმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხის შიში დიდი ხნის განმავლობაში ნარმოადგენდა რომაული პოლიტიკის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას (იხ. Sonnabend 1989, 319-345; Sonnabend 1998 191-206).
- 127 იხ. Ridley 1896.
- 128 Sherk 1980, 992.
- 129 იხ. Whinston, 1895.
- 130 დიოს სიტყვებით: "როდესაც პართელბმა, რომლებიც ჩაბმული იყვნენ ომში თავის ზოგიერთ მეზობელთან, თხოვეს მას [ვესპასიანეს - გ.ქ.] დახმარება, იგი არ დაეხმარა მათ და განაცხადა, რომ მის ჩვევაში არ არის სხვათა საქმეებში ჩარევა (LXV, 15, 3), იხ. Cary 1968, 291. სვეტონიუსი (დაახლ. აბ. ნთ. 69 - 140 66.) იძლევა დამატებით მონაცემებს საქმის ვითარების შესახებ: "როდესაც, პართელმა მეფემ, ვოლოგესმა, ითხოვა რომაელთა დამხმარე ჯარების გაგზავნა ვესპასიანეს ერთ-ერთი შვილის ხელმძღვანელობით ალანთა წინააღმდეგ, დომიციანემ ყველაფერი გააკეთა, რათა იგი გაეგზავნათ იქ და არა მისი ძმა ტიტუსი; ხოლო მაშინ როდესაც ეს საქმე ჩაიშალა, შეეცადა საჩუქრებითა და შეპირებებით დაერწმუნებინა სხვა ალმოსავლელი მეფეები, რათა მათაც მიემართათ ანალოგიური მოთხოვნით" (Suet. Dom., 2, 1).
- 131 Suet. Vesp. 8, 4: propter adsidios barbarum incursus.
- 132 იხ. Halfmann, 1986, 403შმდ.
- 133 სვეტონიუსის ცნობით, როდესაც ვოლოგესმა სენატს გაუგზავნა ნარ-

მომადგენლები პართულ-რომაული კავშირის განსაახლებლად, ამავე დროს მოითხოვა პატივი მიგებოდა ნერონის ხსოვნას. სვეტონიუსი ასევე გვამცნობს, რომ ნერონის სიკვდილის შემდეგაც, მრავალი წლის განმავლობაში მისი სახელი პართელთა შორის ისევ დიდ პატივში იყო (Suet. Nero, LVII).  
 134 Sherk 1980, 995.  
 135 Debevoise 1938, 201შენ.60.  
 136 სატალის ადგილმდებარეობისათვის თანამედროვე სადაკიან (ყოფილი საზაკი), იხ. Olshausen & Biller 1984, 163.  
 137 იბერიის უძველესი დედაქალაქი – ამავე დროს ქართული წარმართობის წინდა აღავი – მოხსენიებულია, როგორც Ἄραძαქ სტრაბონის მიერ (XI, 3, 5), როგორც Ἄρακτια პტოლემეოსის მიერ (V, 10, 2) და როგორც Harmastus-ი პლინიუსის მიერ (VI, 29). კასიუს დიო მხოლოდ მის ფუნქციურ მნიშვნელობას იძლევა – Ἀκρῶσις (XXXVI 1, 1,4).  
 138 Halftmann 1986, 48; უფრო გვიან გამოქვეყნებულ ნერიოში, პ. პალფმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირიუს ფრონტოს მიერ აღმოსავლეთის მთავარსარდლობის მიღება, უკავშირდება ალანთა შემოსევას, რომელიც კარგად არის დადასტურებული თანადროული წყაროების მეშვეობით და თარიღდება ახ. წთ. 75-76 წწ. (Halftmann 1991, 42).  
 139 Halftmann 1986, 48.  
 140 იხ. ყაუხჩიშვილი 1976, 241-244.  
 141 Heil 1989, 174შმდ.  
 142 Reineggs 1797, 86.  
 143 Bosworth 1976, 75.  
 144 Torelli 1968, 172შმდ.  
 145 Мелиюшвили 1959, 56, 58.  
 146 Toumanoff 1969, 3. ქართული ტერმინის პიტიახის ლათინური შესატყვისია vitaxa (ბერძნული – vitaxē), სომხური – vitax-ი. ყველაზე უფრო მისაღებ ეტიმოლოგიად ამ ტერმინისა, რომელიც კლასიკური ხანის ავტორთა მიერ ჩვეულებრივ ითარგმნებოდა როგორც მეფე ან tetrarch-ი, მიჩნეულია მისი წარმომავლობა ძველსპარსული \*pa[iti]-axš/a, რომლის პირველი

ელემენტი აღნიშნავს თავის მრავალ მხორე დაკავშირებულ სიტყვასთან – xšayami (“ემართავ”) (Toumanoff 1963, 155შმდ.); ქართველი ისტორიკოსები ამ ტერმინს აიგივებენ ქართულ ნოდუბასთან ერისთავი (“ერის, ჯარის ანუ ხალხის მეთაურის” მნიშვნელობით) (აფაქიძე 1959, 27შენ.1). კ. თუმანოვის აზრით, თუ არა გვაქვს საქმე არშაკიდების (პართელების) მიერ ამ ტერმინის გამოყენების დოკუმენტური მონაცემების ნაკლებობასთან, ასეთ შემთხვევაში ეს ტერმინი კავკასიაში ძველი სპარსული ენის არსებობის ეპოქაში ჩანს შემოტანილი, თუმცა მეფის ნაცვალითა და მთავარმართებელთა აქემენიდური ინსტიტუტები (პიტიახთა ფუნქცია), აგრეთვე ნინარე-პართული ხანის სელევკიდურ კარზე იჩენდა თავს (Toumanoff 1963, 156, 158). ვინაიდან, ამ ტერმინის ქართული ფორმა, pataxš/pitaxš, ძველ სპარსულ პროტოტიპთან უფრო მიახლოებულია არის მიჩნეული სომხურთან შედარებით და ნინა-პართული ხანის კუთვნილება ჩანს (შდრ. Toumanoff 1963, 158), მისი წარმომავლობის საწყისი საძებარი ხდება სელევკიდური ან თვით აქემენიდური ხანის მოვლენებთან დაკავშირებით.  
 147 მეთორმეტე საუკუნის სომხური თარგმანის მიხედვით: “ადრიკა [ქართული ტექსტის ადრეკი – გ.ქ.] თავისი გვირგვინი თავის ორ ძეს უბოძა, გაყო რა ქვეყანა მათ შორის. ქართლი თავისი ვრცელი საზღვრებით დაუტოვა ბარტოსს [ქართული ტექსტის – ბარტომი – გ.ქ.], ხოლო ქართამს უბოძა ხუნანი კლარჯეთამდე. შემდეგ მან სული განუტყეა” (30). იხ. Thomson 1996, 52.  
 148 მეთორმეტე საუკუნის სომხური თარგმანის ტექსტის მიხედვით: “ქართველმა მეფეებმა აზუქმა და აზმათერმა [აზორკი და არშახელი – გ.ქ.] დახმარებისათვის მიმართეს მოქირავე ძალებს, ლეკებისა და ოსების მეფეებს, ბაზუქა და ანბაზუქს [აბაზუკი – გ.ქ.], მათ თან წამოიყვანეს პაჭანიკები და ჯიქები, დურძუკები და დი-



## ბიოგრაფიკალიგრაფიკა

- დოკუმენტი. ქართული ნაწილები ერთ ადგილას შეიკრიბნენ და მოულოდნელად შევიდნენ სომეხთა მიწაზე, როდესაც ეს უკანასკნელი ჯერაც მოუმზადებელი იყვნენ, ააოხრეს შირაქი და ვანანდი ბასენამდე [ბასიანი - გ.ქ.], შემდეგ მობრუნდნენ ნახჭევანის ელზე. მათ აიღეს დიდი ალაფი და წაყიდნენ ფარისოსის უღელტეხილით. მდინარე კური [მტკვარი - გ.ქ.] სიჩქარეში გადალახეს, გადავიდნენ კამბეჩში [კამბეჩოვანი - გ.ქ.] და დაბანაკდნენ მდინარე იორზე" (შდრ. Thomson 1996, 533მდ.).
- 149 შდრ. ყაუხჩიშვილი 1965, 240 მდ. შენ. 2. იხ. იქვე, 239მდ. კასპიის კარის შესახებ.
- 150 აბდალაძე 1984, 141.
- 151 Еремѣн 1935, 3; Манандян 1948, 69მდ.; ირანე 1955, 317; Меликишвили 1959, 345; Тревер 1959, 126; Toumanoff, 1969. იმ ვარაუდის დასაბუთებისათვის, რომელიც ამ შემოსევას კასპიის ზღვის სამხრეთითა და რაგის (*Rhagae*) აღმოსავლეთით მდებარე კასპიის კართან აკავშირებდა, იხ. Täubler 1909, 17-22. ი. მარკვარტის აზრით, შუა სპარსული ენის მრავლობითის ფორმა - *Vrkan*, სომხური მრავლობითის - *Wir-k'*-იდან მიღებული და თავის მხრივ *Hyrcan*-ების ბერძნულ-ლათინური დასახელებიდან ნანარმოები, ზოგჯერ ქართულთა აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა (იხ. Markwart 1930, 80; Chaumont 1976, 126მდ.).
- 152 აბდალაძე 1984, 169მდ.
- 153 მაგ. Меликишвили 1959, 348.
- 154 შდრ. Heil 1989, 174მდ. მეფეთა ცხოვრების მიხედვით, დაახლოებით ამავე ადგილას უნდა მომხდარიყო ალექსანდრემდელი ხანის ლეგენდარული სპარსელი სარდლის არდამის მიერ გალავნის აგება: "მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქუთკირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქუთკირისა. და ამის გამო დაისწავლეს ქუთკირი. ამანვე არდამ მოჰკოდა კირიზლუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდა ცხერი არმაზისი ვიდრე მტკურამდე (1, 13)".
- 155 აფაქიძე 1959, 72მდ., ტაბ. LXI.
- 156 Toumanoff 1963, 1013მდ. აფაქიძე 1959, 73.
- 157 Debevoise 1938, 201მდ.
- 158 Bosworth 1977, 227.
- 159 Агиев 1992, 76; Mitford 1980, 1194 მდ. 57.
- 160 Ельницкий 1950, 194.
- 161 იხ. აფაქიძე 1959, 72მდ., ტაბ. LXI.
- 162 Mitford 1980, 1194.
- 163 Агиев 1992, 76.
- 164 შდრ. Меликишвили 1959, 351მდ.
- 165 ნურეთელი 1942, 16.
- 166 ყაუხჩიშვილი 1976, 246.
- 167 Bosworth 1977, 231.
- 168 ყაუხჩიშვილი 1976, 252.
- 169 იხ. Braund 1993, 483მდ.
- 170 ყაუხჩიშვილი 1976, 245.
- 171 Debevoise 1938, 222.
- 172 იხ. Cary 1968, 471.
- 173 ყაუხჩიშვილი 1943, 577-583.
- 174 Toumanoff 1963, 1013მდ.
- 175 ნონეშვილი 1999, 176.
- 176 Reineggs 1797, 86-88. ი. რაინეგსი ამკარა უკიდურესობაში ვარდება და თვით ქართველთა თვითდასახელებას "ქართველი" ლათინური ქართული-რიორუმუმიდან (*Cartulariorum*) წარმოქმნილად მიიჩნევს (Reineggs 1797, 70ი). თუმცა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ტერმინი არმაზციხის, იგივე "დედა ციხე - აკროპოლისის", ანუ მთა ქართლის სახელწოდებიდან მომდინარე არის მიჩნეული (მელიქიშვილი 1965, 238მდ.). საკითხის ისტორიის თვალთახედვით, საინტერესოა, რომ ე. თაყაიშვილი, ერთერთი ბეჭდის თვალზე (გემაზე) ამოკეთილ ბერძნულ წარწერას: Οὐδὲ πῦρ ἀπὸ τῆς Ἰβήρας κερχὸν ἄσ - "უმა პიტიაში კარქედთა იბერთა", კითხულობს როგორც: "უჩა, პიტიაში იბერთა ქართლელთა" (თაყაიშვილი 1948, 99მდ. შდრ.: ყაუხჩიშვილი 1976, 253მდ.). თუმცა, იქნებ, სამხრეთქართულ ტოპონიმებში: არტაანი და ართვინი (ძვ. ფორმა - ართვანი) მართლაც შემონახული იყოს ქართველთა უძველესი სახელწოდებები. მხედველობაში გვაქვს სამხრეთკავკასიურ-აღმოსავლეთანატოლიურ ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი გარემოება:



თავკიდურა ქ და ზ თანხმონების და-  
კარგვა/გაჩენა, მაგ., ქალ ზევენი > აღ-  
ზევენი, ხარიმატი > არიმატი, ხაბარე-  
ნი > ობარენი და ა.შ. მსგავსი მოვლენა  
ჯერ კიდევ სტრაბონის პქონდა შემ-  
ჩნეული, როდესაც "ილიადაში" შემო-  
ნახული ქვეყნის სახელწოდება "ალი-  
ბე" (II, 11, 857) მელითონეობით ცნო-  
ბილ სამხრეთშია ვიზღვისპირეთში  
მცხოვრებ ხალიბების ტომს დაუკავ-  
შირა (Strabo 12, 3, 191). თუ ჩვენი ეს  
მსჯელობა ოდნავ მაინც საფუძველს  
მოკლებული არ არის, მაშინ იქნებ გვე-  
ვარაუდა ქართაანი (შდრ. ანალოგიუ-  
რი შინაარსის მქონე ტოპონიმი გურ-  
ჯაანი) და ქართვანი ("ქართველთა  
სადგომი") ფორმების შესაძლო არსე-  
ბობაც უხსოვარ ხანებში არტაანისა  
და ართინის ნაცვლად. თუმცა უფრო  
მოსალოდნელი ჩანს, ორივე ამ ტოპო-  
ნიმში, ისევე როგორც ქართველების  
სახელწოდებაში, ქალაქის აღმნიშვნე-  
ლი ზურიტული არდ-ძირის გამოყოფა  
(შდრ. ურარტული საკულტო ცენტ-  
რის, მუსასირის სახელწოდება „არ-  
დინი" ანუ ქალაქი). მაშინ იქნებ მთა  
ქართლის სახელწოდებაშიც ზურიტუ-  
ლი არდ-ძირი გამოიყოს (ურარტული  
ლი-სუფიქსი ადგილის აღმნიშვნელი  
ტერმინების მანარმოვებელი).

177 Speidel 1982, 165-172.  
178 წ-თანხმონის უქონლობა მასში შე-  
იძლება აიხსნას ტექსტის რედაქტი-  
რებისას მისი ამოღებით. აღსანიშნა-  
ვია, რომ დამატებითი წ-ბგერის გაჩე-  
ნა ზოგიერთი თანხმონის წინ ტიპუ-  
რი მოვლენაა ზოგიერთი ქართული  
დიალექტისათვის, მაგ. კიტრი > კინ-  
ტრი, (შდრ. ფლენტრი 1953, 993მდ.).  
ასეთ შემთხვევაში "სუფიქსი" - ადო-  
სტელი უნდა შედგებოდეს წარმომავ-  
ლობისა და სადაურობის ბერძნული  
სუფიქსისაგან - *ates/atis* და წარმოშე-  
ლობის მრავლობითი რიცხვის ქართუ-  
ლი სუფიქსისაგან - სტელი.  
179 Thomson 1996, 25.  
180 შდრ. Hallmann 1991, 41; Eck 2000, 844.  
181 M. Hirt's f. -n. F[r]on[ti] Neratis Pansa,  
cos.,] curator [aedium sacrarum] et operum  
locorumq. Publicorum, adlectus ab] imp.  
Caesare Ves[pasiano Aug. inter patricios,

ab [eodem donatus hastis] [M. Hirt's  
III, coronis III,] murali, [classicae, au-  
rea (?) —] im [—] [c]ensendo reg[ionis] (de-  
cimae), leg. pr. praet. imp. Caes. Vespasi-  
ani Aug. exercitus qui in Armeniam maio-  
rem (?) missus est —,] XV vir s. f., leg. pr.  
pr. imp. [Caes. Vespasiani Aug. provinciae  
Ca[ppadociae Galatiae Armeniae minoris]—  
—]. შდრ. Torelli 1968, 173, tab. XI.

1828. პაილის წინადადების შესახებ, გა-  
ნებილათ აფრიკა ფრონტოს ექსპედი-  
ციის მიზნად და შესაბამისად შევე-  
სოთ შემომოცემული ლაკუნა, რო-  
გორც: *Africae (exercitus qui in Africae)*  
(Heil 1989, 165-184), იხ. Hallmann 1991,  
41-43), შდრ., აგრეთვე, Eck 2000, 844.  
183 სომხური თარგმანით: "მან დაამზა-  
და თავისი დიდი გამოსახულება, ეს  
არის არმაზი; ვინაიდან ფარნავაზს არ-  
მაზი ერქვა სპარსულად. მან აღმარ-  
თა ეს გამოსახულება ქართლის შესას-  
ვლელთან, რომელსაც დღევანდლამ-  
დე ქქვია არმაზის მთა" (24). შდრ.  
Thomson 1996, 36.  
184 ფარნავაზის სახელი დაფუძნებუ-  
ლია *farnah*, ანუ სამეფო დიდების ცნე-  
ბაზე (იხ. Rapp 1998, 25).  
185 Tarchnischvili 1961, 36-40. ქართულ-  
მცირეზოულ ღვთაებათა მსგავსების  
შესახებ, იხ. გიორგაძე 1985, 147-157.  
186 Toumanoff 1963, 100მენ.151. ხარის  
კულტი, ადგილობრივი პაგანიზმის  
გადმონაშთი, მკაფიოდ არის აღბეჭდი-  
ლი ქართული ქრისტიანობის ადრეული  
სტადიის რელიგიურ მონუმენტებზე.  
187 Speidel 1978, 1; Speidel 1980, 7-13, 17-  
18, figs. 7, 9, 11, 21, 38, 41; Schwertheim  
1991, 40.  
188 Speidel 1978, 21-24. აღსანიშნავია,  
რომ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლე-  
ული გამოყენებული იყო *Iupiter Doliche-  
nus*-ის კულტში (Speidel 1980, 17).  
189 Speidel 1980, 12, 16, 18, fig. 31.  
190 Tseretheli 1935, 45-50.  
191 Mackinder 1904.  
192 იხ. Sinor 1987, 2, 436მდ.  
193 ხარანაული 1985, 2053მდ.  
194 Sinor 1987, 173მდ.  
195 Toynbee 1956, 31, 101, 208ff.; იხ. ქავ-  
თარაძე 1997.  
196 Allen 1932, 31.  
197 იხ. ხარანაული 1985, 81, 83.

## ბიბლიოგრაფია



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- აბდალაძე, ა. 1984. მოვისეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი.
- აბულაძე, ი. 1953. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- აფაქიძე, ა. 1959. მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბილისი.
- აჭარინი, პ. 1971. პაიერენ არმატაკან ბარარან. ერევანი (სომხურ ენაზე).
- გიგინეიშვილი, ბ., გიუნაშვილი, ე. 1979. შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბილისი: მეცნიერება.
- თაყაიშვილი, ე. 1890. სამი ისტორიული ბრონიკა. ტფილისი.
- გიორგაძე, გ. 1985. ხეთურ-არმაზული „ტრიადები“. – მნათობი, №7.
- თაყაიშვილი, ე. 1909. მოქცევა ქართლისაჲს ჭელიშური ვარიანტი. – ძველი საქართველო, I, 5. ტფილისი.
- თაყაიშვილი, ე. 1948. როდის შეიძვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ. – მნათობი, 8.
- ინაძე, მ. 1955. იბერიისა და რომის ურთიერთობა მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. – ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I.
- ინაძე, მ. 1996. ვასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ-ის I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში. – ქართული დიპლომატია. წელინდგული 3. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ინგოროყვა, პ. 1939. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. – მნათობი, 4.
- ინგოროყვა, პ. 1941. ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი. "ჰამბაეთა მწერალი" მე-8 საუკუნისა. – ენიშკის მოამბე, X.
- ინგოროყვა, პ. 1941a. ძველ-ქართული მატთანე "მოქცევა ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის მეფეთა სია. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI-B.
- კეკელიძე, კ. 1923. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, III.
- კეკელიძე, კ. 1958. ქართული ლიტერატურის ისტორია, I. თბილისი: სახელგამი.
- მელიქიშვილი, გ. 1965. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი: მეცნიერება.
- ნონეშვილი, ა. 1999. რომის იმპერიისა და იბერიის სამეფოს ურთიერთობა ახ. წთ. I საუკუნის მეორე ნახევარში. – კულტურის ისტორიის საკითხები, VI. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჟღენტი, ს. 1953. ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა. თბილისი.
- სანიკიძე, ლ. 1956. პონტოს სამეფო. თბილისი.



- ქავთარაძე, გ. 1985. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბილისი: მეცნიერება.
- ქავთარაძე, გ. 1997. საქართველო და კავკასია (საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეპციისათვის). – მნათობი, 3-5.
- ქანთარია, გ. 1996. რომის იმპერია და ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა (ახ. წ-ის I საუკუნის 40-50-იანი წლები). – ქართული დიპლომატია. წელიწადული 3. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ყაუხჩიშვილი, თ. 1976. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ყაუხჩიშვილი, ს. 1943. მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 6.
- ყაუხჩიშვილი, ს. 1955. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, I. თბილისი: სახელგამი.
- ყაუხჩიშვილი, ს. 1965. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2. თბილისი.
- წერეთელი, გ. 1942. არმაზის პილინგვა. – ენიმკის მოამბე, XIII.
- ხარანაული, ბ. 1985. ხალხური პოეზია. ტომი შეადგინა ბ. ხარანაულმა. წგნ.: ქართული პოეზია, ტ. 17. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ი. 1914. ქართველი ერის ისტორია, II. ტფილისი.
- Алиев, К.Г. 1992. *Античная Кавказская Албания*. Баку: Азернешр.
- Бутков, П. Г. 1869. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*. С.-Пб.
- Дреер, М. 1994. Помпей на Кавказе: Копхида, Иберия, Албания. – *Вестник древней истории*, 1.
- Ельницкий, Л. А. 1950. Северочерноморские заметки. – *Вестник древней истории*, 1.
- Еремян, С. Т. 1935. *Феодальные образования Картли в период марзабанства (532-627 гг.)*. Тезисы диссертации. Ленинград.
- Гагошидзе, Ю. М. 1979. *Самаძლო (археологические раскопки)*. Тбилиси: Мецნიერება.
- Джанашвили, М. 1905. *Картлис Цховреба - Житие Грузии*. – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, XXXV.
- Лорджианидзе, Г. 1998. Проблемы войны и мира в античной Грузии (VI-IV вв. до н.э.). – *Caucasica, The Journal of Caucasian Studies*, vol. 2.
- Манандян, Я.А. 1948. О местонахождении Caspia via и Caspiae portae. – *Исторические записки*, 25.
- Меликишвили, Г. А. 1959. *К истории древней Грузии*. Тбилиси: Издательство Академии наук Грузии.
- Меликишвили, Г. А. 1989. *Источники. В кн.: Очерки Истории Грузии*, I: *Грузия с древнейших времен до IV в. н.э.* Тбилиси: Мецნიერება.
- Меликишвили, Г. А. 1989а. Образование Картлийского (Иберийского) государства. В кн.: *Очерки Истории Грузии*, I: *Грузия с древнейших времен до IV в. н.э.* Тбилиси: Мецნიერება.
- Муравьев, С. Н. 1983. Птолемеева карта кавказской Албании и уровень Каспия. – *Вестник древней истории*, 1.

- Такайшвили, Е. 1900. Источники грузинских рукописей - Три хроники. - *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, XXVIII. Тифлис.
- Тревер, К. В. 1959. *Очерки по истории и культуре кавказской Албании*. Москва-Ленинград.
- Alexidze, Z. 1995. The New Recensions of the "Conversion of Georgia" and the "Lives of Thirteen Syrian Fathers" Recently Discovered on Mount Sinai. *Settimane di Studio del centro Italiano di stum sull'alto ibedloevo XIII Il Caucaso: Cerniesia fra Culture dal Medditeraneo all Persia (Seccoli 4-11)* 20-26 aprile 1995.
- Alexidze, Z. 2002. Four Recensions of the "Conversion of Georgia" (Comparative Study), in: *Die Christianisierung des Kaukasus*. W.Seibt (Hrsg.). Wien: Verlag der Osterreichischen Akademie der Wissenschaften.
- Allen, W. E. D. 1932. *A History of the Georgian People from the Beginning down to the Russian Conquest in the Nineteenth Century*. London.
- Allen, W. E. D. & Muratoff, P. 1953. *Caucasian Battlefields. A History of Wars on the Turco-Caucasian Border 1828 - 1921*. Cambridge: University Press.
- Anderson, A. R. 1932. *Alexander's Gate, Gog and Magog, and the Inclosed Nations*. The Medieval Academy of America. Cambridge, Massachusetts.
- Bedrosian, R. 1991. *The Georgian Chronicle (Juansher's Concise History of the Georgians)*. Translated from the At' T'iroyan's edition (Venice 1884). Sources of the Armenian Tradition (Series). Long Branch, New Jersey.
- Blockley, R. C. 1985. *The History of Menander the Guardsman*. Introductory Essay, Text, Translation, and Historical notes. ARCA, Classical and Medieval Texts, Papers and Monographs, 17. Ottawa: Francis Cairns.
- Bosworth A. B. 1976. Vespasian's Reorganization of the North-East Frontier. - *Antichthon*, Journal of the Australian Society for Classical Studies, vol. 10.
- Bosworth, A. B. 1977. Arrian and the Alani. - *Harvard Studies in Classical Philology*, vol.81.
- Bosworth, C. E. 1996. *The Arabs, Byzantium and Iran*. Studies in Early Islamic History and Culture. Collected Studies Series c529. Norfolk.
- Braund, D. 1993. King Flavius Dades. - *Zeitschrift für Papyrologie und Epigraphie*, Band 96.
- Braund, D. 1994. *Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC - AD 562*. Oxford: Clarendon Press.
- Cary, E. 1968. *Dio's Roman History*. With an English translation by E. Cary on the basis of the version of H. B.Foster, vol. VIII. The Loeb Classical Library. London: William Heinemann & Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
- Cary, E. 1969. *Dio's Roman History*. With an English translation by E. Cary on the basis of the version of H. B.Foster, vol. III. The Loeb Classical Library. London: William Heinemann & Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
- Cary, E. 1969a. *Dio's Roman History*. With an English translation by E. Cary on the basis of the version of H. B.Foster, vol. V. The Loeb Classical Library. London: William Heinemann & Cam-

- bridge, Massachusetts: Harvard University Press.
- Cary, G. 1967. *The Medieval Alexander*. Cambridge: University Press.
- Chaumont, M. - L. 1976. L'Arménie entre Rome et Iran, in: *Aufstieg und Niedergang der Römischen Welt*, II. Principat, 9.1 (Neunter Band, 1. Halbband). H. Temporini (Hrsg.). Berlin, New York: Walter de Gruyter.
- Debevoise, N. C. 1938. *A Political History of Parthia*. Chicago: The University of Chicago Press.
- Eck, W. 2000. Neratius, in: *Der neue Pauly. Enzyklopädie der Antike*. H. Cancik & H. Schneider (Hrsg.), B. 8. Stuttgart, Weimar: Verlag J. B. Metzler.
- Fähnrich, H. 1986. *Kurze Grammatik der Georgischen Sprache*. Leipzig: VEB Verlag Enzyklopädie.
- Garsoian, N. 1985. *Armenia between Byzantium and the Sasanians*. London: Variorum Reprints.
- Golden, P. B. 1983. The Turkic Peoples and Caucasia, in: *Transcaucasia, Nationalism and Social Change*. Essays in the History of Armenia, Azerbaijan and Georgia. R. S. Suny (ed.). East European Studies, no.2. Ann Arbor.
- Gugushvili, A. 1936. The Chronological-Genealogical Table of the Kings of Georgia. - *Georgica*, 1-3.
- Halfmann, H. 1986. Die Alanen und die römische Ostpolitik unter Vespasian. - *Epigraphica Anatolica*, Zeitschrift für Epigraphik und historische Geographie Anatoliens, Heft 8.
- Halfmann H. 1991. 'Nachbehandlung': M. Hirrius Fronto Neratius Pansa, in: *Studien zum antiken Kleinasien*. Friedrich Karl Dörner zum 80. Geburtstag gewidmet (Asia Minor Studien, Bd. 3: Studien zum antiken Kleinasien). Forschungsstelle Asia Minor im Seminar für Alte Geschichte der Westfälischen-Wilhelms-Universität Münster. Für die Red. des vorliegenden Bd. Sind verantwortlich.: Antke Schütte, Daniela Pohl und Jutta Teichmann. Bonn: Habelt.
- Heil, M. 1989. M. Hirrius Fronto Neratius Pansa, legatus exercitus Africae. - *Chiron*, Mitteilungen der Kommission für Alte Geschichte und Epigraphik des Deutschen Archäologischen Instituts, Bd. 19.
- Hewsen, R. H. 1992. *The Geography of Ananias of Širak (Ašxarhac'oyc'), the Long and Short Recensions*. Introduction, Translation and Commentary by R. H. Hewsen. Wiesbaden. Beihefte zum Tübinger Atlas des Vorderen Orients, Reihe B, Nr. 77.
- Honigmann, E. & Maricq, A. 1953. *Recherches sur les Res Gestae Divi Saporis*. Bruxelles.
- Isaac, B. 1990. *The Limits of Empire. The Roman Army in the East*. Oxford: Clarendon Press.
- Jones, H. L. (Ed.) 1924. *The Geography of Strabo*. Cambridge, Mass.: Harvard University Press & London: William Heinemann Ltd.
- Kavtaradze, G. L. 1996. Probleme der historischen Geographie Anatoliens und Transkaukasiens im ersten Jahrtausend v. Chr., in: *Orbis Terrarum*, Internationale Zeitschrift für Historische Geographie der Alten Welt, 2, 1996. Stuttgart: Franz Steiner Verlag.
- Liddel, H. G. & Scott, R. 1950. *A Greek-English Lexicon. A New Revised and*



- Augmented throughout by H. St. Jones, vol. II. Oxford: Clarendon Press.
- Mackinder, H. J. 1904. The Geographical Pivot of History. - *The Geographical Journal*, vol. XXIII.
- Markwart, J. 1930. Iberer und Hyrkanier, in: *Caucasica*, Fasc.6, Leipzig.
- McGing, B. C. 1986. *The Foreign Policy of Mithridates VI Eupator King of Pontus*. Leiden: E.J. Brill.
- Mitford, T. B. 1980. Cappadocia and Armenia Minor: Historical Setting of the Limes, in: *Aufstieg und Niedergang der Römischen Welt*, II. Principat, 7.2 (Siebenter Band, 2. Halbband). H. Temporini (Hrsg.). Berlin, New York: Walter de Gruyter.
- Mommsen, T. 1909. *The Provinces of the Roman Empire*, vol. II. London.
- Mommsen, T. 1958. *C. Iulius Solinus. Collectanea Rerum Memorabilium*. Iterum recensuit Th. Mommsen. Berlin: Weidmannsche Verlagsbuchhandlung.
- Olshausen, E. 1979. Zur Frage ständiger Gesandtschaften in Hellenistischer Zeit, in: *Antike Diplomatie*. E. Olshausen (Hrsg.). Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft.
- Olshausen, E. & Biller, J. 1984. *Historisch-geographische Aspekte der Geschichte des Pontischen und Armenischen Reiches*, Teil I. Untersuchungen zur historischen Geographie von Pontos unter den Mithradatiden. Beihefte zu Tübinger Atlas des Vorderen Orients, Reihe B, Nr. 29/1. Wiesbaden: Dr. Ludwig Reichert Verlag.
- Pätsch, G. 1985. *Das Leben Kartlīs. Eine Chronik aus Georgien 300-1200*. Herausgegeben von Gertrud Pätsch. Leipzig: Dieterich'sche Verlagsbuchhandlung.
- Rapp, St. H. 1997. *Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and the Architects of the Written Georgian Past*. Ph. D. diss., University of Michigan, 1997. (UMI reprint #9722070).
- Rapp, St. H. (Ed.) 1998. *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation*. Vol. I. Anatolian and Caucasian Studies. Delmar, New York: Caravan Books.
- Rapp, St. H. (Ed.) 1998a. *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation*. Vol. II. Anatolian and Caucasian Studies. Delmar, New York: Caravan Books.
- Rayfield, D. 1994. *The Literature of Georgia, a History*. Oxford: Clarendon Press.
- Reineggs, J. 1797. *Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus*. Aus dessen nachgelassenen Papieren gesammelt und herausgegeben von F. E. Schröter. Zweiter Theil. Hindelsheim und St. Petersburg: bei Gerstenberg & Dittmar.
- Ridley, E. 1896. *The Pharsalia of Lucan*. Translated by Sir Edward Ridley. London: Longmans, Green, and Co.
- Sarkissian, K. 1965. *The Council of Chalcedon and the Armenian Church*. London: S.P.C.K.
- Schwertheim, E. 1991. Iupiter Dolichenus, der Zeus von Doliche und der kornagenische Königskult, in: *Studien zum antiken Kleinasien*: Friedrich Karl Dörmer zum 80. Geburtstag gewidmet. Forschungsstelle Asia Minor im Seminar für Alte Geschichte der Westfälis-



- chen-Wilhelms-Universität Münster. A. Schütte, D. Pohl, J. Teichmann (Hrsg.). *Asia Minor Studien*, Bd. 3. Bonn: Habelt.
- Schyboll, A. 1998. Georgisch (III. Literatur), in: *Der neue Pauly. Enzyklopädie der Antike*. H. Cancik & H. Schneider (Hrsg.), B. 4. Stuttgart, Weimar: Verlag J. B. Metzler.
- Sherk, R. K. 1980. Roman Galatia: The Governors from 25 B.C. to A.D. 114, in: *Aufstieg und Niedergang der römische Welt. Geschichte und Kultur Roms in Spiegel der neueren Forschung*, II. Principat, siebenter Band (2. Halbband). Herausgegeben von H. Temporini. Berlin, New York: Walter de Gruyter.
- Sherwin-White, A. N. 1984. *Roman Foreign Policy in the East 168 B.C. to A.D. 1*. London.
- Sinor, D. 1987. Introduction: The Concept of Inner Asia, in: *The Cambridge History of Early Inner Asia*. D. Sinor (ed.). Cambridge etc.
- Sonnabend, H. 1989. Pyrrhos und die „Furcht“ der Römer vor dem Osten. - *Chiron*, Mitteilungen der Kommission für Alte Geschichte und Epigraphik des Deutschen Archäologischen Instituts, Bd. 19.
- Sonnabend, H. 1998. Ein Hannibal aus dem Osten? Die „letzten Pläne“ des Mithridates VI. von Pontos, in: *Alte Geschichte: Wege-Einsichten-Horizonte: Festschrift für Eckart Olshausen zum 60. Geburtstag*. U. Fellmeth & H. Sonnabend (Hrsg.). Spudasmata, Studien zur Klassischen Philologie und ihren Grenzgebieten, Bd. 69. Hildesheim, Zürich, New York: Olms.
- Speidel, M. P. 1978. *The Religion of Jupiter Dolichenus in the Roman Army*. Leiden: E. J. Brill.
- Speidel, M. P. 1980. *Jupiter Dolichenus. Der Himmelsgott auf dem Stier*. Stuttgart.
- Speidel, M. P. 1982. Auxiliary Units Named after their Commanders: Four New Cases from Egypt. - *Aegyptus, Rivista italiana di egiptologia e papirologia*, 62 (1-2).
- Syme, R. 1995. Flavian Wars and Frontiers, in: *The Cambridge History*, vol. VI: *The Imperial Peace A.D. 70-192*. S. A Cook, F. E. Adcock, M. P. Charlesworth (eds.). Cambridge: Cambridge University Press (First published 1936).
- Täubler E. 1909. Zur Geschichte der Alanen. - *Klio*, Beiträge zur alten Geschichte, B. 9.
- Tarchnishvili, M. 1947. Sources arméno-géorgiennes de l'histoire ancienne de l'Église de Géorgie, in: *Le Muséon* 60.
- Tarchnishvili, M. 1955. *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur* (Studi e Testi 185). Città del Vaticano: Bibliotheca Apostolica Vaticana.
- Tarchnishvili, M. 1957. La découverte d'une inscription géorgienne de l'an 1066, in: *Bedi Karthlisa* 26-27.
- Tarchnishvili, M. 1961. Le dieu lune Ar-mazi, in: *Bedi Karthlisa* 36-37.
- Tarn, W. W. 1984. *Hellenistic Military and Naval Developments*. Chicago.
- Thomson, R. W. 1980. *Moses Khorenats'i. History of the Armenians*. Translation and Commentary on the Literary Sources by R.W.Thomson. Cambridge, Mass., London.



- Thomson, R. W. 1976. *Agathangelos History of the Armenians*. Translation and Commentary by R. W. Thomson. Albany: State University of New York Press.
- Thomson, R. W. 1996. *Rewriting Caucasian History. The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles*. The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation. Translated with introduction and commentary by R. W. Thomson. Oxford: Clarendon Press.
- Torelli, M. 1968. The Cursus Honorum of M. Hirrius Fronto Neratius Pansa. - *The Journal of Roman Studies*, vol. LVIII.
- Toumanoff, C. 1943. Medieval Georgian Historical Literature (VIIth - XVth Centuries). - *Traditio*, I. *Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion*. New York.
- Toumanoff, C. 1947. The Oldest Manuscript of the Georgian Annals: The Queen Anne Codex (QA), 1479-1495. - *Traditio*, V. *Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion*. New York.
- Toumanoff, C. 1963. *Studies in Christian Caucasian History*. Washington: Georgetown University Press.
- Toumanoff, C. 1969. Chronology of the Early Kings of Iberia. - *Traditio*, XXV. *Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion*. New York.
- Toynbee, A. J. 1956. *A Study of History*, vol. II. London, New York, Toronto: Oxford University Press.
- Tseretheli, M. von. 1935. The Asianic (Asia Minor) Elements in National Georgian Paganism, in: *Georgica*, Journal of Georgian and Caucasian Studies, vol. I, no. 1 London: Austin.
- Whinston, W. et al., 1895. *Flavius Josephus. The Works of Flavius Josephus*. Translated by William Whiston, A.M. Auburn and Buffalo. John E. Beardsley. 1895.
- Winkler, G. 1988. *C. Plinius Secundus d.Ä. Naturkunde*. Lateinisch-Deutsch. Bücher III/IV. Geographie: Europa. Herausgegeben und übersetzt von G. Winkler in Zusammenarbeit mit R. König. Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt. München & Zürich: Artemis.

ავტორის ვებ-გვერდი: <http://www.geocities.com/komblege/kavta.html>  
 ელ.ფოსტა: [giorgikavtaradze@hotmail.com](mailto:giorgikavtaradze@hotmail.com)



## ჰასილი კანდინსკი

დღეს 17 ნოემბერია, 2002 წელი. სან-მიშელის მოედნის ხატვით დაღლილმა მოვიკრიბე ძალა და ხალისით გავედი პომპიდუს მუზეუმში: დინჯად ვიარე დარბაზებში. აქ, ჩემს წინ ბობოქრობენ პიკასო, მატისი, მოდილიანი, ბრაკი, რუო, დერენი, ლეჟე, ხუან მირო და ლარიონოვი. ასე ვსტუმრობ სხვა მრავალთ და რატომღაც სტიქიურად ვასილი კანდინსკი მომწყურდა. დიდი მხატვრის დარბაზში ზედამხედველის სკამზე ჩამოვეჯექი. არავინ არაფერს მეუბნება, განსაკუთრებით როცა ვწერ, პირიქით, ხელი არ შევეშალოთო და ზედამხედველები შორიშორ ტრიალებენ. დაეინყე ჩანერა ჩემი შეხედულებებისა და დრო ისე ჩქარა გასულიყო, რომ მუზეუმის დაკეტვაც დაენყოთ. ოთხი თუ ხუთი ზედამხედველი და მუზეუმის დაცვის მუშაკები ღიმილით თავს დამადგნენ: „დრო ამოიწურა, ბატონო!“

არასოდეს აზრადაც არ მომსვლია ვასილი კანდინსკიზე დამენერა რამე; იმიტომ კი არა, რომ მისი შემოქმედებისა არ მესმის, უბრალოდ შინაგანად მეძნელებოდა და ჩემგან შორეულ თემად მიმაჩნდა. მაგრამ დღეს ყვავილის მათრობელა სურნელივით მოეფინა ჩემს სულს მისი სასწაულებრივი შედეგების ძალა. კანდინსკი სუფთა შევირდია უფლისა და მისი დავალებით

აღამიანებს ამცნობს და ნათლად უმხელს ღმერთის, კოსმოსის და სამყაროსეულ, ჩვენთვის უხილავ სულიერ ფერებს, ფორმებს და ხაზებს.

კანდინსკის სურათებში თითქოსდა უმოკლესი გზაა სულის და მუსიკის გამოხატვისა. უმარტივესი და ადვილად მისაწვდომი! მაგრამ, ამ დონის უმაღლესი ხელოვნების შექმნა მხოლოდ გენიათ ძალუძთ... კოსმიურის ასე მოტანა და გადმოცემა, მხოლოდ განსაკუთრებულთა და რჩეულთა ზვედრია.

პომპიდუს მუზეუმში, აბსტრაქციონისტები მრავლად არიან ნარმოადგენილნი და ზოგ მათგანს ცალკე დარბაზებიც აქვთ დათმობილი, მაგრამ, მათ შორის გამორჩეულია ვასილი კანდინსკი. მის სურათებში რაც უპირველესად თვალს უხარია, უდიდესი ფერწერულობაა, ხაზის და ფორმის სრულიად ახლებური და ნოვატორული მოზღვაება. მართალია, ყველა ის ფორმა და ხაზი შეესიტყვება ჩვენს პლანეტაზე უნესრიგოდ თუ მოწესრიგებულად მიმოფანტულ გეომეტრიულ ფორმებს, მაგრამ მხატვრის ღრმა ფილოსოფიური ზედვა კოსმოსში გადის და მისი სურათები ინარჩუნებენ კოსმიურ სუფთა ჰაეროვნებას და უსასრულო სიშორის განწყობას.

კანდინსკის ფერი, პალიტრიდანვე

ცოცხალ ნაკადად მომდინარეობს, როგორც ყველა დიდი მხატვრისა, მაგრამ მისი სურათები უხილავი სამყაროს ხილულად გარდაქმნაა, მათში ყველგან უწყვეტი სიცოცხლე ბოხოქრობს. რისგანო? შეგვეკითხებიან: მისი უბადლო და თავისუფალი ნერის მანერიდან გამომდინარე. როგორც მოგახსენეთ, სურათის ყოველი მილიმეტრიც სიცოცხლის სისხლსავე არტერიით ფეთქავს. ყოველი სურათიდან სუნთქვა და ნერვთა ფეთქვა ისმის; ვარსკვლავთა შორის უსასრულობის ფორმათა გამომხატველი სურათებია ვასილი კანდინსკის შედეგები. მხატვარი, ამ უცნაური სურათების შექმნისას არ ეკუთვნის თავის მიწიერ არსებას.

ამჟამად, ვზივარ მის დარბაზში, სადაც ექსპონირებულია ოთხი დიდი, სხვადასხვა ფორმატის სურათი; არც პიკასოს ენათესავეებიან ისინი და არც მატისს, არც ლეჟეს, ბრაქს, მიროს და მალევიჩს, არადა ერთი ეპოქის და პერიოდის შვილები არიან და თანაც პარიზშივე მოღვაწეობდნენ, ერთ ქალაქში.

სამყაროს უსასრულობის, უჯრედების, მთლიანი, მხატვრული და სულიერი ფორმა კანდინსკის აბსტრაქტული შემოქმედება.

აი ამ ნაშთაც ვუყურებ მხატვრის ერთ-ერთ დიდ ტილოს და მის წინ გიგანტივით მამაკაცმა გაიარა, ამ სურათიდან უფრო მეტი თუ უსასრულო მასშტაბური სუნთქვა მესმის, ვინემ იმ გიგანტისა, რომელიც სურათის წინ რობოტის მსგავსად გამოჩნდა. რა შეძლება თურმე დიდ ხელოვნებას, სულიერებადინიჭებულ წითელ ფერებს, მწვანეებს, ცისფერებს, ლურჯებს, შინდისფერებს, ყვითლებს, ნარინჯისფერებს, განსაკუთრებით შავ ფერებს, რომელიც ადამიანის ღამეულ სუნთქ-

ვასავით და დაუმახსოვრებელ სიზმარით არიან. სურათების მთლიანი განწყობილება, უსასრულო, ლეთიური სიყვარულის ფორმაა. მხატვრის პალიტრიდან წყაროსავით მომდინარე ფერები არ ერიდებიან უკიდურეს კონტრასტებსაც, ფერთა და ტონალურ ლაქათა მემუვებით, რომელნიც ძალიან თავისუფალსა და თავისუფლ სივრცეში იმყოფებიან.

შიშველ, აბსტრაქტულ ფორმათა დამოუკიდებელი გამოცხადება ფერწერაში თუ ქანდაკებაში ჩვენი ეპოქის ხვედრი ყოფილა, მაგრამ, აბსტრაქტული სულის მოძრაობა, ყოველი შორეული ეპოქის შემოქმედებაშიც ბოხოქრობს, თუ გნებავთ მაგალითისათვის, ნიკეას ქმნილებაში, ვენერა მილოსელის სასწაულებრივ ქანდაკებაში ან „აფროდიტეს“ საოცარ, ნათელი მარმარილოს ქანდაკებურ ფიგურაში (სამივე ანტიკური ხელოვნების ნიმუშია). მათში, აბსტრაქტული ბოხოქრობაა, რეალურ სხეულში გაცხადებული, რომელთა ავტორებს ბევრად დიდი და რთული ამოცანის წინაშე მოუწიათ მოღვაწეობა; ან ლეონარდო და ვინჩის ჯიოკონდას სულიერი აბსტრაქცია იმდენად დიდია და ღრმა, რომ მის წინაშე ყოველი ადამიანი იწურება, შინაგანად იხარჯება, სულიერად იღვევა, თითქმის პიროვნება იფიტება და უძლური ხდება. რატომ? ისმის კითხვა, რათა ის უხილავი აბსტრაქტი, რომელიც ჯიოკონდაშია ჩასახული, ყოველი ადამიანისათვის, რაც გინდა მალაღი ინტელექტისა არ იყოს, სასტიკად დამორგუნველია. ვასილი კანდინსკისთან კი დგახარ ღია აბსტრაქციის, უსაგნო სურათის წინაშე და სუნთქავ უიშვიათეს სუფთა ჰაერს, რის შედეგად შენი გონება ელასტიური ხდება და სულ სხვა, უცხო და ზეციური კრისტალური გარემოთი იკვებება.

სიკვდილის ფენომენთან, ყოველი მინიერი არსება უძლეურია, ალბათ თვით ეშმაკიც. ყველაზე უძლიერესნი ამა ქვეყნისა – გენიები, მეფეები, მეომარი გმირები, წმიდანები, პატრიარქები, პაპები და შორეული ქურუმები, ფრთებჩამოყრილნი ხედებიან მის სისასტიკეს. სიკვდილი გარდაუვალია და მისი შედეგი საშინელია.

კანდინსკის სურათები, ყოველ სამყაროსეულ და ამაღლებულ ხილვებთან ერთად ამ ფენომენის (სიკვდილის) გამჭლავენტის სანყისი პროცესია თავისი კოსმიური ფორმულით. კანდინსკიმ და მისმა თანამოაზრე მხატვრებმა, მრავალი კოსმიური ხომალდის შესადარი რამ შექმნეს თავიანთი სულიერი ხელოვნებით, რომლითაც ძალიან შორს გაწვდნენ სამყაროსეულ უსასრულობის სივრცეს.

ჩაფერულილ ცივილიზაციებზე საუბარი ჩემთვის უმძიმესი და ურთულესი თემაა; მაგრამ ჩემეული შეხედულება და შეგრძნება მინდა გამოვხატო: ადამიანი მილიონობით წლების განმავლობაში, როგორც სამყაროს აუცილებელი და უიშვიათესი მოვლენა კოსმოსის ძალითა ზენოლის პროცესში ჩართული ორგანული სხეული იყო და იქნება მარადის, იგი, სამყაროს შემადგენელ უთვალავ ჯაჭვთა ერთერთ მოქმედ რგოლთაგანია. თავიდან კი ადამიანი გახლდათ, ყოველივე ამ მოვლენებზე ანალიზს მოკლებული, განვითარებული არსება, რომლის ირგვლივ უსასრულოდ ბოგინობდა სამყარო, კოსმოსი და შიშის მომგვრელი ბუნებრივი მოვლენები. სიკვდილი, მისთვის უეცარი და საიდუმლოებით მოცული მოვლენა იყო, ხოლო მის ირგვლივ არსებული სტიქიური დინამიკის ფონზე, ამ საშინელსა და ურთულეს პროცესზე გააზრების დანყებასაც ვერ ასწრებდა.

დრო სამყაროში მრავალი განხილვისაა; ყოველ მზის სისტემას გააჩნია თავისი დამოუკიდებელი კოსმიური დრო, მაგრამ სამყაროსეული გლობალური და ვეებერთელა უსასრულო დრო ყველა დროზე ბატონობს.

სამყაროს დრო ნარმოშობს, აცოცხლებს, აბერებს და სიკვდილის გავლით ისევ დიდ წრეში ამოძრავებს.

მილიონობით წელი დაჭირდა ეპიკურიობას, რომ მოვლენოდა სამყაროს განმჭვრეტი გონებისა და ნიჭის ადამიანები: აინშტაინი და მის გვერდით მდგომი ბუმბერაზი მეცნიერები; ვასილი კანდინსკი და მასთან მყოფი უდიდესი მოაზროვნე მხატვრები: პიკასო, ბრაკი, მირო, ჯეკსონ პოლაკი, სალვადორ დალი და მრავალი მათი თანამოაზრე, რომელნიც ეუნდერკინდი ბავშვებივით, სამყაროს უზილავობაზე ფერწერის ურთულესი ენით გვესაუბრებიან. ჯერჯერობით პირველი ნაბიჯია გადადგმული სამყაროსაკენ, სულის შესწავლისაკენ, სიკვდილის რაობისაკენ, გონებას თვალთ გახედვისა და ჭეშმარიტების დადგენისაკენ. ეგების, შიშის მომგვრელიცაა, თუ რას მოუტანს ადამიანს ესოდენ შორეული გზის გავლა და შესწავლა. ვინ იცის ამ სვლით, სიკვდილის საშინელ ფორმაც შეეჩეხოს ადამიანი. აი ეს თემაა ადამიანისათვის ურთულესი და მტკივნეული, ხოლო მომავალ ათასწლეულებში, პლანეტების შესწავლა და მათთან დაახლოება ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა.

ვასილი კანდინსკი არ გახლავთ პლანეტის ჩვეულებრივი მოვლენა, მასთან თავმოყრილია სამყაროსეული აზროვნება, ფერწერის უდიდესი ნიჭი, კოსმიური ინტუიცია, მის პიროვნებაშია ჩადებული კომპიუტერული სისტემის მსგავსად სამყაროს უამრავ საიდუმლოებათა დაპროგრამება. სუ-

ლის აღმოჩენამდე თვალთა ხედვა, სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებასთან მიახლოება, უსასრულო სიერცეში უხილავი და მრავალმნიშვნელოვანი ფორმათა ანალიტიკური ხილვა, ღმერთთან მჭიდროდ მისვლა.

ადამიანს სრულყოფისათვის უფრო დიდი და მაღალი ცივილიზაციები დასჭირდება, რათა ისევ უდიდესმა მოაზროვნე და წინამძღოლმა მხატვრებმა, ვასილი კანდინსკის, ხუან მიროს, პიკასოს, ბრაკის და სხვათა სახით, საიდუმლოებები სრულყოფილად გახსნან და ადამიანს მარადიული გლოვა და სევდა მოაშორონ, სიკვდილის შედეგად პიროვნების გაქრობის და ინდივიდის მოშლის გამო. ძველ კოლხეთში საძულველ კაცს წყველიდ-

ნენ ასე, „მოლასერო და მოშლილიყავი - ეტყოდნენ ზრღმე; კოლხთა რწმენით პიროვნების სიკვდილთან ერთად ცაზე ვარსკვლავიც მოიშლებოდა თურმე და ამაზე დიდი უბედურებაც არ არსებობდა. სამეგრელოში, დასავლეთ საქართველოში, ეხლაც შეხედებით ამდაგვარ გამოთქმას „მოლასერედა“, მაგრამ ქრისტიანულ რწმენასთან დაკავშირებით ამ ფორმამ შედარებით უფრო მსუბუქი ხასიათი მიიღო.

ვასილი კანდინსკი, როგორც უდიდესი აბსტრაქციონისტი, ნოვატორი, სასწაულებრივი შედეგების უპირველესი მებაირალეა მთელს პლანეტაზე, როგორც ალბერტ აინშტაინი, თავისი საკვირველი მეცნიერული აღმოჩენებით.

პარიზი-თბილისი, 2002-2003 66.



## ქაბათა ქაბა საზოგადოებს

## ენისა სიტყვაობა

ეს მცირე პირველხათქმელიც და ქვემოთ თარგმანიც, ჩემო კარგო მკითხველო, ერთმა არცთუ დიდმნიშვნელოვანმა ამბავმა შემომათავაზებინა. სულ ახლახან რუსულ „ლიტერატურნაია გაზეტაში“, რომელიც ამჟამად კანტიკუნტად აღწევს თბილისამდე, ფრიად სახელგანთქმული ტელეჟურნალისტის ვლადიმერ პოზნერის ინტერვიუ წაეკითხე („რას კითხულობენ ტელეეარსკვლავები“). ეს აგრერიგად „საჯარო ფიგურა“, როგორც თავის თავს თვითონ უწოდებს (ტერმინ „ტელეეარსკვლავს“ იუმორითა და სკეფსისით ვუყურებო), კორესპონდენტის კითხვას, რომელ მწერალთ კითხულობო, ჯერ უპასუხებს, გოგოლსო, და მერე იქვე დასძენს, რაბლეს ვალმერთებო, თავაულებლად შემოძლია, რომ დილიდან საღამომდე ვიკითხოო.

ასეთ შემთხვევაში, როცა მოსაუბრე იმისთანა რამეს ამბობს და თანაც ისე, რომ შენს გულისთქმას სიტყვა-სიტყვით იმეორებს, ვიტყვით ხოლმე, ეს კაცი ისე ლაპარაკობს, თითქოს ჩემს გულში იფედესო.

დღევანდელ, „ნიგთან მწყრალად ყოფნის“ მძიმე ჟამს სწორედ ასე დამემართა ერთ-ერთი მართლა კარგი მკითხველი კაცისგან გოგოლისა და რაბლეს ერთად დაკეთილად ხსენებისას. სასიამოვნოდ აშლილმა ფიქრმა კვლად მიმახედა ცინიკეშეთში ყველაზე ფილოსოფიურად მზიარულ „გარგანტუასა და პანტაგრუელს“, რომლის ქართულად თარგმნასაც არა ერთი და ორი წელიწადი მივათვალე. ვინც საქმეში ჩახედულია, იცის, რომ გოგოლის სიყვარული იგივე რაბლეს სიყვარულია, რადგან გოგოლის სათავე (მწერლები მდინარეებზეთ არიან) რაბლეა და არა მართო გოგოლისა, ჩვენი ილია ჭავჭავაძეც კარგა გვარიანი რაბლეელია (კაციო? ადამიანო? - დიალაც რაბლეურად ოთხში იღებს საწყალ ლუარსაბს). თვითონ რაბლე კი თუ ვისმესგან არის „შექმნილი“, ერთ-ერთი ძველი ბრძენკაცი ლუკიანეა, სირიში დაბადებული, ქალაქ სამოსატაში, მერმე ფრიად სახელგანსმენილი ბერძენი მწერალი გახდა, სატირისა და სარკაზმის დიდოსტატი (თუ საჭიროება მოიტანდა, თავად ოლიმპის ღმერთებსაც არ ინდობდა, სუყველას განურჩევლად სისხლს უზრობდა), თითქმის სამოცდაათი წლისა ელინისტურ ეგვიპტეში აღესრულა პირველი ათწლეულის დაახლოებით 190 წელს.

ეს ყველაფერი კი იმად მოგახსენე, კარგო მკითხველო, რომ თვითონ ფრანგი რაბლეც, რუსი გოგოლიც, ჩვენი ქართველი ჭავჭავაძეც და ძველი ბერძენი ლუ-

## ეროვნული

კიანეც თავიანთ დიდ სათქმელს ისეთნაირად ამბობენ, თითქმის გრძობენ, მესამეც, მეოთხეც მართლაც ჩემს გულში იჯდეს, ჩემს გულს რომ ვამბობ, ცხადია, შენს გულსაც ვგულისხმობ, ჩემო მკითხველო, და ლიტონი სიტყვა რომ არ გამოიძვიდეს, ამჯერად ლუკიანეს მოვიშველიებ, უფრო სწორად კი ლუკიანეს ერთ მომცროს თხზულებას („ქებათა ქება სამშობლოს“) და თავად დარწმუნდები ჩემი ნათქვამის სიმართლეში.

„გარგანტუასა და პანტაგრუელის“ თარგმნისას ხშირად მიხედებოდა ლუკიანეში ჩაბედა და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ რაბლესთან ერთად ის თითქოს ჩემს გულში იჯდა. ქვემოთ ჩემეულ თარგმანსაც ამიტომ ვთავაზობ. გულდაგულ წაიკითხე და ის შენს გულშიც აღმოჩნდება. თუ ვტყუი, გამამტყუნე.

1. ძველი ჭეშმარიტებაა, რომ „არცრაა მამულზედ უტკბესი“. მართლაც, განა არის რამე არა მართოდენ უფროსე ტკბილი, არამედ უფროსე უნმინდესი, უფროსე ამაღლებული, ვინემ სამშობლოა, რაც კი რამ ადამიანის შვილთ ნმიდათანშიდად და უმთავრეს დედაზრად უჩანთ, ყველაცა დასტურ სამშობლოსგან უსწავლიათ, რამეთუ სუყოველ კაცთაგანს სამშობლო სძღენის სიცოცხლეს, სამშობლო ასაზრდოებს და ზრდის. რა ვუყოთ, თუ ბევრნი დასტროფან უცხო ქალაქთა შემძლებლობასა და დიდმშენიერებას, შენებულობა-ნაგებობათა საჩინოებას, სამაგისტროდ სუყველას გულზეც ახატია მამულის ხატება. ბევრი დამტკბარა – და ძალიან ხშირადაც – უცხო მზარეთა შინა ურიცხვი სასწაულისა ჭერტით, მაგრამ არცინ ისეგვარად არ მოუხიბლავს იმ სასწაულთა უბეებას, რომ სამშობლო გადაევიწყებინებინოს.

2. ჩემის ფიქრით, ვინცა ვინ იმით ამაყობს, მდიდარი ქალაქის მოქალაქე ვარო, მამულის სიყვარულისა ჭეშმარიტი აზრი არა უწყის; აშკარაა ესეგვარი კაცი ფრიად იმჭმუნვარებ-

და, უკეთუ წილად უფროსე ნაკლებად უჭირველი სამშობლო ერგებოდა. მე კი თავად სიტყვა „მამულის“ პატივდება მგერის სიამოვნებას. ვინაც ადგება და სხვადასხვა ქალაქთ ერთმანეთს შეადრის, საზომად სიდიდესა და სილამაზეს უნდა მიმართოს, აგრეთვე, ამა ქალაქთა შინა საქონლისა სიუხვესაც უნდა გაუნიოს ანგარიში. ქალაქთა ერთმანეთისთვის შემდარებელი კაცი იგი ღმერთებს უმალ იმას შეევედრება, ჩემი სამშობლოც სიმდიდრით იმა ქალაქთ გამითანაბრეო, არჩევით კი ოდენ თავის სამშობლოს აირჩევს, სულ ერთია, რანაირიც არ უნდა იყოს ის სამშობლო.

3. ესეგვარადვე იქცევთან კეთილნი ძენი და გულმართალნი, მიუფერებელნი მამანი. ხატკეთილი და აზნა, ანუ კეთილშობილი ჭაბუკი შემქმნელ მამასა არც როდის დაამბჯობინებს სხვა ვინმე კაცსა, სწორედ მართალი, ანუ ჭეშმარიტი მამა კი არცროდის იმზომ არ შეიყვარებს სხვა ვისიმე ყრმასა, თავისი ღვიძლი შვილი რომ დაივინყოს, რომელი მამანიც თავიანთი შვილების სიყვარულით არიან გულსაესენი, ისინი სხვა მრავალთა შორის



მინყივ გამორჩეულად ხედავენ საკუთარ სისხლსა და ხორცსა, და ეჩვენებათ, ძეთა ჩვენთა ნახვას არა სჯობია რაო, ყოველის უფრორე ღამაზნი და ლომგულნი არიანო, ყოველის უფრორე უხინჯონიო. ვგონებ, ვინაც სხვარეგად სჯის თავისი ძისა გამო, ის საკუთარ ნაშიერს მამის თვალთ არ უყუროებს.

4. არცრა სიტყვაა უფრორე ახლობელი და ძვირფასი, ვინემ სიტყვა „მამულია“, როგორაც არცრაა ჩენთვის მამაზედ მეტად ძვირფასი. უკეთუ ჭაბუკი მამისა მიმართ ჯეროვანი პატივდებით გულსავსეა (ესეგვარია კანონისა და ბუნების ნება), განა ის ამით სამშობლოსაც არ მიაგებს პატივს? მეორედა, მამამისიც ხომ ნაწილია სამშობლოსი, მამისა მამაც, იგივე პაპა, და ყოველი წინაპარი, პეპერად ხმობილი, და მამა-პაპათა ჩვენთა ღმერთნიც, რომელთა სახელთაც თანდათან მივატანთ, თაობიდან თაობამდე აღმა სვლით.

5. თავად ღმერთებსაც უყვართ თავიანთი სამშობლო: ვითარ შეჰფერით, ისერიგად ადევნებენ ისინი თვალყურს ძეხორციელთა საქმეთ, რამეთუ სუყოველი მინა და ზღვა თავიანთ საბრძანებლად უჩანთ, მაგრამ თითოეული უკვდავთაგანი ყოველთა ქალაქთა შორის ყოველის უმეტესად იმას მიაგებს პატივს, სადაც ამა ქვეყანას მოვლენია.

ცხადია, სუყოველი ქალაქი, სადაც ღმერთნი შობილან, საკუთრად და განსხვავებით წმინდა ადგილია, კურთხეულია, აგრეთვე, უყოველი კუნძული, სადაც ღმერთების დაბადებას დღესასწაულობენ. ის კი არა, ღმერთის სამშობლოში მისული კაცის მიერ შეწირული მსხვერპლიც სასურველად მიითვლება ზეცისა მკვიდრთაგან. და უკეთუ მამულის სახელით ავად ღმერ-

თებისთვისაც ძვირფასნი გნებნენ, ჩა, ვითომ უფრორე მეტად მსხვერპლად რთხილდებოდნენ სამშობლოდ სახელდებულ მინა-წყალს?

6. მზეც ხომ სუყოველმა კაცმა პირველად სამშობლოში დაინახა. და თუმცალა მზე ყოველთა კაცთა საერთო ღმერთია, მაგრამ სუყველას თავის მამაპაპისეულად მიაჩნია, რადგანაც პირველად თავისი მშობლიური წყალქალიდან ჰკიდა თვალი; და ენაც აკი სუყოველმა მამაპაპისეულ მხარეში ამოიდგა; ყოველის უადრე მშობლიურ ენაზედ იქ აღლულუნდა და იქავე შეიცნო ღმერთნიც.

უკეთუ კაცსა წილად ისეთი სამშობლო ხედა, საიდანაც დიდი ცოდნისა შესაძენად სხვაგან, უცხო მხარეში უხდება ნასვლა, მაინც მაღლიერი უნდა იყოს თავისი მამულისა, თუნდაც სულ მცირე რამის სწავლებისთვის: სხვას თავი დავანებოთ, სიტყვა „ქალაქიც“ კი არ ეცოდინებოდა, უკეთუ სამშობლოში არ შეიტყობდა, რომ ქვეყნად ქალაქები არსებობენ.

7. ვგონებ, სუყოველ ჩვევას, სუყოველ ცოდნას კაცნი იმად მოინაგრებენ, რათა მეტი არგონ სამშობლო ქვეყანას და სიმდიდრესაც მოკვდავთ პატივმოყვარეობა ახვეჭინებს. რა არის მერმე, მამულისა კეთილდღეობას და ახარჯონ. ჩემის ფიქრით, მართალნიც არიან: ოდეს დიდ სიკეთეს მოუყრი თავსა, უმადურობა არღა ეგების. უკეთუ ჟამისად ერთი კაცის მაღლიერი ვართ, ვინაც კეთილსა გვნია (სამართლიანობა აგრე ითხოვს), სამშობლოს მით უფრორე მეტი უნდა გადავუხადოთ, საკადრისი სიყვარულით შევმოსოთ.

თითქმის არ არის ქალაქი, განჩინება რამ რომ არა ქონდეს, რომელიც დაუსჯელსა არცვის უმეებს, დედ-მამასა ვინაც უღირსად, უკეთურად ემყ-



რობა, სამშობლო კი ჩვენთა საყოველთაო დედად უნდა გვიჩნდეს და ყველაგვარ სიკეთეს ვძლენიდეთ იმისდა მადლიერების ნიშნად, რომ მან, მანოვნებელმა ჩვენმა, დაგვზარდა, დაგვაფრთიანა, არც რა დაუკლია რა, და კანონთ თუ ვიცნობთ, ესეც იმის ნასწავლია.

8. ჯერეთ არცვის უნახავს სამშობლოზედ ესეგვარად გულაყრილი კაცი, უცხო მზარეში თავის საგაზრდილოზედ ერთხელ მაინც არ აშლოდეს ფიქრი. სხვათა ქვეყანაში გადახვენილთაგან, ვისაც საქმე მაინცდამაინც დამში ვერ მოუყვანია და ხელი არ ემართება, სუყველანი ერთხმად გაიძახიან, სამშობლო ყოველის უფრორე დიდი მადლიაო. ის კი არა, რომელნიც ნარმატებულან და ფეხზედ ნულგამართულად დგანან, ისინიც ჩივიან, ფუფუნებას რა ხელსა ვყრით, მთავარი რამ გვაკლიაო, უცხო ქვეყანა ვერ გვასამშობლოებსო. შენი მინა-წყლის გარეთ ცხოვრება, სხვა არა იყოს რა, ცოტა შეურაცხმყოფელიც კია, და აკი ხშირადაც ვხვდებით მონმენი, რომ მრავალთაგან, ვინაც სხვათა ქვეყანაში ცხოვრობს, რარიგ ვაითქვა მავანმა და მავანმა სახელი, რარიგ გამდიდრდა და გაპარპაშდა, ანდა რარიგ დიდი პატივი და საყოველთაო აღიარება მოიხვეჭა თავისი უტყუარი ვაჟკაცობისა თუ დიდი განსწავლულობისა გამო, მაგრამ ის მაინც სამშობლოსკენ ილტვის, იმის სული და გული სამშობლოშია, თითქოსდა უცხო მზარეში ღირსეული შემფასებელი და დამფასებელი ვერ ეპოვნოს. და რაც მეტ სახელ-დიდებას აღწევს კაცი სხვა ქვეყანაში, მით უფრორე ძლიერად მიიწევს სამშობლოს გულში ჩასახუტებლად.

9. სამშობლო სანუკვარი რამ არის ყმანვილკაცთათვის. მაგრამ ბერი-

კაცთ იმზომ ძალუმ მჭუნქემ სამშობლოსკენ გული, რაზრმაღ-მსინისსახალგაზრდებზედ მეტად ბრძენკაცნი არიან. სუყოველი ხანმრავალი კაცი იქ მიილტვის და იქა ცდილობს სიცოცხლის დასრულებას, სადაც არსებობა დაინყო, რათა უკვე ნეშტად ქცეული მშობლიურ მიწას მიებალოს და თავისი ადგილი მიიჩინოს მამა-პაპათა ძვალთაშესალაგში.

10. კაცსა ოდენ მკვიდრ მსახლობელთა კვლობაზეც შეგიძლია განსჯა, რა მონინებითაც ექცევიან სამშობლოს ნამდვილნი შვილნი, ვინაც კი იქ დაბადებულა, ხოლო გამრიელნი და გარმიანელნი, ანუ უცხონი, ჩამოხენცილნი, როგორაც უკანონო-უხსნიერნი თუ ნაბუშარ-ნაბიჭვარნი, გულარხეინად მიდი-მოდიან, როცა უნდათ, მაშინ აიყრებიან სიტყვა „მამული“ ან სულ არ უწყიან, ანდა სულაც არ ეძვირფასებათ, პასუხიც აკი მიწყევზა და აქვთ, ჩვენს ნილ სარჩოს მზისა ქვეშე ყოველგან მოვიშოვებთო, ისინი კეთილდღეობას კუჭის მზიარულებით ზომავენ. ვისთვისაც მამული იგივე დედაა, ძვირფასია ის მინა-წყალიც, სადაც ისინი დაბადებულან და დავაჟკაცებულან, მერე რა, თუ მინა-წყალი ესე არ არის ვრცელი, „ხირხატია და არ ეთქმის მოსაველიანი“. და თუგინდ საქებარი მიზეზი ამა მინა-წყლისა ძნელი საპოვნელიც იყოს, ერთგულნი ძენი მაინც იპოვნიან და სამშობლო ქვეყნის აზმაქების შესხმით არლა დაძვირებიან. ხოლო ყურში თუ ჩასწვდებათ სხვაგნებურთა კვებნა, ჩვენი ველმინდვრებიც თვალუნგდენელებია და ხოდაბუნებიცაო, მთა უხვად ტყიანი გვაქვს, ბარი ხეხილიანიო, ისინი არც მაშინ დააყოვნებენ თავიანთი სამშობლოს აზმაიფარს, ანუ საქებარ სიტყვას, სულაც არად ჩააგდებენ ბედაუ-

რების მხარეს, კვალად „კარგ მოყმეთა ამღზრდელ“ ქვეყანას ეტყვიან ქება-დიდებას.

11. სუყოველი კაცი სამშობლოს მიელტვის: თუნდაც ის კუნძულები იყოს და უკეთუ უცხო მხარე მარადიულ ნეტარებას ჰპირდება, ის არც დაფიქრდება, ხელსა ჰკრავს სხვაგან შეძლებულ ამ უკვდავებას, რადგანაც მშობლიურ მინაში დამარხვას ამჯობინებს. და შინ მიბრუნებულს სამშობლოს კვამლი უცხო ცეცხლზედ უფრორე ნათელი მოეჩვენება.

12. ჩანს, მამული სუყოველი კაცისთვის ისერიგად ძვირფასია, რომ კა-

ნონმდებელთაგან უმადესი დაწინაუღთათვის სასჯელის უმალღეს სახეულად ყოველგან მოკვეთა, თემიდან განდევნაა დაწესებული. და არა მართო კანონმდებელი, ამავე აზრისანი არიან მხედართუფროსნიც, ვისაც ლაშქრის გაგულოვნება ევალებათ: ბრძოლის ველზედ მწყობრში მდგომათვის ყოვლის მეტად გულის შემძვრელი ხომ მამულისთვის თავდადების მონოდებაა და ვინაც ამ მონოდებას ყურთ შეატყობინებს, არცვინ ისურვებს უღირს კაცად გამოჩენას, რამეთუ სიტყვა „სამშობლო“ მხდალსაც ავაჭკაცებს.

წინასიტყვაობა და თარგმანი  
გურამ გოგიაშვილისა

### ბანმარტაბანი

1. ... „არცრაა მამულზე უტკბესი“. – „ოდისეა“ (IX, 34).
10. ... „ხირხატია და არ ეთქმის მოსავლიანი“. – „ოდისეა“ (IV, 605).
11. ... თუნდაც ის კუნძულები იყოს...

– იგულისხმება ოდისეესი, კუნძული ითაკეს მეფე, გზად იყო გადაებული, ძველ მსოფლიოში ქვეყანა არ დარჩენია მოუვლელი.



## ვალტერ ბენიაშინი

### პოლ ვალერი

ოდესლაც ვალერის ზღვაოსანი სურდა გამხდარიყო, ოფიცრობას ნატრობდა. მის საბოლოო სახეს ეტყობა ამ ყმანვილობისდროინდელი ოცნების ნიშნები. უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ მისივე ფორმათა სიმჭიდროვით და სისავსით აღბეჭდილი პოეზია. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ენა აზრს შეებრძოლა და გამოსტაცა ეს ფორმები, როგორც ზღვა მიიტაცებს ხოლმე სიჩუმეს უქარო დღეებში; და კიდევ: ასეთივეა ვალერის აზროვნება – ერთიანად გამსჭვალული მათემატიკით, – საგნებს და მოვლენებს ზემოდან ისე დაპყრობს, როგორც საზღვაოსნო რუკებს და „სიღრმეთა“ შემცნობელი, ბედნიერია იმითაც, რომ აღებული კურსიდან არ გადაუხვევია. ზღვა და მათემატიკა: ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი ფრაგმენტი, მის მიერ დანერგილი სოკრატეს მონათხრობია, სადაც ის უყვება ფედროსს ზღვის პირას ნაპოვნ საგანზე. ეს ძალზე უცნაური საგანია, სპილოსძეღისაა თუ ჩვეულებრივი ძეღისა, ისიც კი შეიძლება იფიქრო, მარმარილოს ნატეხიაო, ზღვისგან ნაპირზე გამოჩეხული და ფორმით აპოლონის თავის მსგავსი. სოკრატე ეკითხება საკუთარ თავს: ვისი ქმნილებაა ეს, ზღვის ტალღებისა თუ მხატვრისა.

სოკრატე ფიქრობს იმის შესახებ, თუ რამდენი დრო დასჭირდება ოკეანეს, ვიდრე მილიარდი ფორმისგან შემთხვევის წყალობით სწორედ ამ ფორმას მიაგნებს, და რამდენ დროს მოანდომებს ამ ქმნილების შექმნას მხატვარი. საბოლოოდ იგი ასკვნის: „ერთი მხატვარი ათასი ათასწლეულის ტოლფასია, და მეტიცაც, ასი ათასი ათასწლეულისა... აი სად ძვეს საკვირველი მასშტაბი ხელოვნების ნაწარმოებისა“. შესაძლებელი რომ იყოს „ევპალინოსის ანუ არქიტექტორის“ ავტორისთვის ექსლიბრისის სამოცი წლისთავის აღსანიშნავად ჩუქება, ის ასეთად წარმომიდგებოდა: უზარმაზარი ფარგალი, რომლის ერთი ფეხი ზღვის ფსკერშია ჩასობილი, მეორე კი პორიზონტისაკენ არის გაშვერილი. ეს სახე გამოკვეთილად აღიბეჭდავდა ამ ადამიანის უჩვეულო სულიერ დიაპაზონს. მისი სახე ყველაზე მეტად დამუხტულობას ამჟღავნებს. დაძაბულობის მანიშნებელია მისივე თავდაჭერა, გამოხედვა, თვალები, რომელთა მეშვეობითაც ვალერი გამოხატავს თავის მიმართებას მინიერი სურათებისა და ვარსკვლავებისადმი. მარტოობაა ის ღამე, ამ სურათებს რომ ასხივებს. პოლ ვალერის მარტოობის დიდი გამოცდილება გააჩნია. ოცდახუთი

ნლის ასაკში მან თავისი პირველი ლექსები და ესეები გამოსცა, მერე ოცი წელი არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ გამოუქვეყნებია და ერთი შესანიშნავი ლექსის პუბლიკაციით დაარღვია ეს პაუზა. რვა წლის შემდეგ რამდენიმე შესანიშნავი, ცნობილი ნაწარმოების და გააზრებული მანევრის გამოისობით იგი მიიღეს საფრანგეთის აკადემიაში. იქ მას არცთუ ისე ფართული ნიშნისმოგების გარეშე უბოძეს ანატოლ ფრანსის სავარძელი. ვალერიმ ეს დარტყმა არაჩვეულებრივად ელეგანტური შესავალი სიტყვით მოიგერია – ნესების თანახმად მას თავისი წინამორბედი უნდა შეექო, არადა, ვალერის ის არც კი უხსენებია. ამ სიტყვაში საკმაოდ უჩვეულო თვალსაზრისია გადმოცემული მწერლობის შესახებ. ეს არის სიტყვა, სადაც ორიგინალობა თავისებურად არის დანახული: „ყოველი ახალი იკარგება სხვა ახალში, ყოველი ილუზია საკუთარი ორიგინალობისა აქ ნამიერად ქრება“. ვალერისთან საკუთარი გამორჩეულობის ამოა გრძნობის ადგილას სხვა მისწრაფება ჩნდება – ნანერის დღევრძელობისა. ნანერის დღევრძელობა მწერლის დღევრძელობისაგან განსხვავებული რამაა, უიმისოდ იკვლევს გზას. ვალერის სწორედ დღევრძელობა აინტერესებს და არა ორიგინალობა ტექსტისა. ეს განსაზღვრავს მისთვის კლასიკურობას. „კლასიკოსი მწერალი – ამტკიცებს ვალერი – ის არის, ვინც თავის იდეურ ასოციაციებს მალავს ან აბსორბირებს უკეთებს“ იმ ადგილებში, სადაც შთაგონება მთლიანად ნთქავს მწერალს, სადაც ის ფიქრობს, რომ განგება მიუძღვის მას, სადაც ვერ ამჩნევს ხარვეზებს. და ამიტომაც არ შეუვსია ისინი – სწორედ აქ იკიდებს ფეხს სიძველის ნიშნად ხავსი.

რათა გაცნობიერო ნაპრალები,

და მათ ადგილას აზრებს მწერის გაქვნილი საზღვრები, საჭიროა ყველაფერი ტიკა. ინკვიზიტორის გამომცდელი გუშანით იკვლევს ვალერი მწერლის, განსაკუთრებით პოეტის აზროვნებას, მოითხოვს იმ გავრცელებული თვალსაზრისის უარყოფას, რომლის თანახმადაც ყოველი კალმოსანისთვის აზროვნება თავისთავად ნაგულისხმევი რამაა. ასევე ამბობენ პოეტ ზედაც, მისთვის აზროვნება არცთუ მთლად არსებითიაო. პოეტისთვის აზროვნება თავისთავად ნაგულისხმევი რამ არ შეიძლება იყოს. გავიხსენოთ ბატონი ტესტი, რომელიც აზროვნების განსახიერებაა. ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ავტორი კვლავ და კვლავ უბრუნდება ამ უცნაურ სახეს, რომლის ირგვლივაც შემოიკრიბა მთელი გვირგვინი მცირე ნაწარმოებებისა. ბატონი ტესტი წარმოადგენს ინტელექტის პერსონიფიკაციას. ის ძალზე გვაგონებს მამალმერთს, რომელზეც გვესაუბრება ნიკოლაი კუზელი თავის ნეგატიურ თეოლოგიაში. ყველაფერი, რაც შეიძლება შეეიტყვოთ ბატონ ტესტზე, უარყოფითამდე დაიყვანება. უმეტეს მომზიბლობას მის თვალსაზრისებს ანიჭებენ არა თეორემები, არამედ აზრის მოულოდნელი სვლები: „ყოველგვარი ალგზნება, ყოველგვარი გრძნობა არის კონსტრუქციაში ხარვეზის ნიშანი“. ბატონი ტესტი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანად გრძნობს თავს, მაგრამ ამავე დროს მანვე ძალზე ახლოს მიიტანა გულთან პოლ ვალერის სიბრძნე, რომლის თანახმადაც ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები ისინია, რომელთაც ჩვენი გრძნობები ეწინააღმდეგება. ამასთანავე, ტესტი თავის თავში „ადამიანურის“ უარყოფასაც ატარებს: „აი, შეხედე, ზღურბლთან დგას ადამიანის სახეს მოკლებულთა ბატონობა, რომელსაც წარმო-

შობს სიზუსტე, სიმკაცრე და სისუფთავე ადამიანურ საქმეებში". ვალერის ეს გმირი არავითარ პათეტიკას, სულიერ სიფართოვეს, არავითარ „ადამიანურს“ არ აძლევს გზას თავის თავში. მისთვის ერთადერთი სუბსტანცია, რომელსაც სრულყოფილების შექმნა ძალუძს, ისევე და ისევე აზრია. აზრის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი – განუწყვეტელობაა. „ლეონარდო და ვინჩის სისტემის შესავალი“ ბატონ ტესტის „წინამორბედაა“. აქ ის მეთოდია აღნიშნული, რომელმაც საბოლოოდ ცნობილ „წმინდა პოეზიამდე“ მიიყვანა ვალერის შემოქმედება. ვალერი გამუდმებით, არაჩვეულებრივად მარჯვედ აღნუსხავდა პოეზიის თეორიის ისტორიაში არსებულ ცალკეულ ეტაპებს – ედგარ პოს, ბოდლერის, მაღარმეს თეზისებს, როცა კონსტრუქტიული და მუსიკალური საწყისები ლირიკაში ერთობლივად ცდილობდნენ დაესაზღვრათ ერთმანეთის კომპეტენცია. თვითონ პოლ ვალერის შემოქმედების გვირგვინს ლირიკული შედეგები წარმოადგენს: ამ ნაწარმოებების იდეები კუნძულებივით ამოიზიდება ზღვაური ხმირების მორევიდან. სწორედ ეს განასხვავებს მის ინტელექტუალურ ლირიკას იმისგან, რასაც ჩვენ ამ სიტყვით გერმანულად აღვნიშნავთ: აქ არსად არ ეჯახება იდეა „ცხოვრებას“ ან „სინამდვილეს“. აზრს აქ ხმის გარდა არაფერთან არა აქვს საქმე: ეს წმინდა პოეზიის კვინტესენციაა. „ლირიკა – პოეზიის ის გვარია, რომლის წინამძღვარი მოქმედი, მოლაპარაკე ხმაა, ხმა, რომელიც სიახლოვეს მყოფი საგნებით არის უშუალოდ გამოლევადებული ან საგნებიდანვე ამოდის. ამ საგნებს ხმის თანდასწრებით აღვიქვამთ და ვხედავთ“. და კიდევ: „მკაცრი პროსოდის მოთხოვნილება მხატვრული ხერხია. ამ

ხერხის „ძალისხმევათ“ ჩვეულებრივი ლაპარაკი მასალის საბუნსაქმს სესხასალა ეწინააღმდეგება ჩვენს სურვილებს და უცხოა ჩვენი სულისთვის“. ამაშია წმინდა ინტელექტის თავისებურება. თუმცაღა ეს წმინდა ინტელექტი ვალერისთან ზამთრის ბინებში დამკვიდრებული და ეხოთერული პოეზიის მწვერვალზე შეფენილი – იგივე ის ინტელექტია, რომლის მენინავეობითაც ევროპული ბურჟუაზია პირველადმოჩენათა საუკუნეში მიუკვლეველ მხარეთა აღმოსაჩენად ეშურებოდა; კარტეზიანულმა ეჭვებმა ვალერის ცოდნაში სათავგადასავლო ელფერი შეიძინა და ამავე დროს მეთოდური, სიღრმისეული სახეც მიიღო: „შემთხვევის, ღმერთის ან ბედისწერის ძალა ჩვენს სულიერ სისუსტეს გამოხატავს. ყველაფერზე რომ გაგვაჩნდეს პასუხი, მხედველობაში მატებს ზუსტი პასუხი, ეს ძალები არც კი იარსებებდა... ჩვენ ამასაც ვგრძნობთ ზედმინევენით და აქ არის საიმისო მიზეზი, რომ საბოლოოდ საკუთარსავე კითხვებს ვუჯანყდებით. მაგრამ ეს უნდა იყოს კიდევ დასაწყისი. აუცილებელია ჩვენსავე არსებაში ჩამოვყალიბოთ კითხვა, რომელიც ყველა სხვა კითხვაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იქნება“. მსგავსი აზრების პირდაპირი კავშირი ევროპული ბურჟუაზიის გმირულ პერიოდთან ნებას გვაძლევს დავიკოთ გაკვირება, რომელთან ერთადაც აქ, ძველი ევროპული ჰუმანიზმის ამ შორეულ ფორპოსტზე, კვლავაც ვგახედვრებს პროგრესის იდეას. მაგრამ ეს არის უკვე დამკვიდრებული იდეა, მეთოდურად გადმოცემული. ვალერისთან ეს იდეა თვალნათლივ ეხმიანება კონსტრუქციის ცნებას, რომელიც თავის მხრივ შთაგონების აკვიატებულ იდეას ეწინააღმდეგება. „მხატვრული ნაწარმო-

ები - ასეთი ფორმულირება აქვს ვალერიის ერთ ინტერპრეტატორს - არ არის ქმნილება; ეს არის კონსტრუქცია, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს ანალიზი, გაანგარიშება, დაგეგმვა". მეთოდური პროცესის უკანასკნელი გმირობა ვალერიისთანაც დასაბუთდა. ეს იყო მკვლევარის ახალი უნარის გამოხატვა, გასვლა საკუთარ თავს მიღმა. ასეთია ბატონი ტესტიც. ის არის ინდივიდი, რომელიც ისტორიული გაქრობის ზღურბლზე გადაბიჯებამდე კიდევ ერთხელ შემობრუნდება და ყურს უგდებს ძახილს, რათა იმ ვითარებას შეუერთდეს, ვალერიის რომ ახასიათებს: „ნაპოლეონის საუკუნეში ელექტრობას დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქრისტიანობას ტიბერიუსის დროში. თანდათან ცხადი შეიქნა, რომ ეს საყოველთაო იმპულსი უფრო მკვეთრად შეცვლიდა მომავალს, ვიდრე ყველა „პოლიტიკური“ მოვლენა

ერთად აღებული ამპერადენდუმინდელ დღემდე". მზენჯა ჯიქიძის ლექსი ტყორცნის მომავლის ქვეყნიერებას, უკვე ოფიცრის მზერა კი არ არის, არამედ ქარცეცხლში გამოვლილი ზღვაოსანი კაცის მზერაა. ის გრძნობს ნიშნების მიხედვით მძლავრი შტორმის მოახლოებას და ძალზე კარგად ამოიცნობს მსოფლიო მოვლენათა ცვალებადობებს - გაზრდილ მოთხოვნილებას სიზუსტისადმი და დახვეწილობისადმი, ეფექტურობისაკენ სწრაფვას". და კიდევ: „რომელიღაც მაკიაველის ან რიშელიეს ყველაზე უფრო ღრმა აზრებს სადღეისოდ იმაზე მეტი ფასი არა აქვს, რაც ბირთვზე მოცემულ რჩევას". ამიტომ ვალერიი დგას „აზრის კონცხზე. მხარგამოლილი, წელგამართული და გასცქერის სიშორეს თავის მაქსიმალურად გამჭრიახი მზერით." ეს საგანთა ზღვრამდე და თვითონ მხედველობის ზღვრამდე მიწვდენილი მზერაა.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

### რელიგიისა და მისნიარების შესახებ

„რელიგია ყოველთვის იყო მეცნიერების მტერი და ახლაც მტერია“. ასეთი შეფასება ბევრმა ჩვენთაგანმა, ალბათ, სკოლის მერხიდანვე ისე შეისისხლხორცა, რომ აღარც ეჭვს ინვევს და აღარც გადაფასებას მოითხოვს. მართალია, ათეისტური პროპაგანდა ამ ბოლო დროს აღიარებს, ახლა რელიგია „ღიად აღარ ესხმის თავს მეცნიერებასო“, მაგრამ იმასაც ამატებს, პრინციპული „საომარი მდგომარეობა“, თუმცა ფარული ფორმით, მაინც არსებობსო.

არადა, მეცნიერება სწორედ რელიგიის წყალობით იშვა და ორივე მათგანი, ოდითგანვე, მჭიდრო ურთიერთკავშირით არსებობდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ უძველესი ეგვიპტისა და ბაბილონის ქურუმები მათემატიკის, ასტრონომიისა და მედიცინის საფუძვლებს იმისთვის ქმნიდნენ, რომ „ახალ დროებას მორგებოდნენ“. ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის ტაძრები მეცნიერების აკვანი იყო და პირველი სკოლები, ლაბორატორიები და ობსერვატორიები სწორედ იქ შეიქმნა. პირველი ანატომიური ატლასები, პირველი მათემატიკური ფორმულები, პირველი რუკები იმ ხალხის შექმნილია, ვინც რელიგიას ემსახურებოდა. ეს აღიარებული ფაქტია და ამას ვერავინ გაეჭქვევა.

ანტიკურ მეცნიერებას საფუძველი

სწორედ რელიგიურმა მოაზროვნებმა ჩაუყარეს. პითაგორელთა საზოგადოება, ვინც მათემატიკის განვითარებას გაუხსნა გზა, რელიგიური ორდენი იყო. არისტოტელემ, თანამედროვე ბუნებისმეტყველების მამამ, ის რელიგიურ-ფილოსოფიური პრინციპებიც შექმნა, მოგვიანებით ქრისტიანული აზროვნების ნაწილად რომ გადაიქცა. შუა საუკუნეებში სწორედ ეკლესია აღმოჩნდა ევროპის ერთადერთი კულტურული კერა, ვინც ანტიკური მეცნიერების ჩანასახები შემოინახა. მონასტრები უძველეს ლიტერატურას აგროვებდნენ და თავის კედლებში თავს ეპოქალური ცოდნის მთელ საგანძურს უყრიდნენ. გვიანი ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების ქრისტიანი მოაზროვნეები თავისი დროის უდიდეს მეცნიერებადაც გვევლინებოდნენ. დიდ წმინდა ბასილსა და ნეტარ ავგუსტინეს ბუნებისმეტყველება ძალიან აინტერესებდათ. წმინდა ალბერტისა და წმინდა თომა აკვინატელის ენციკლოპედიური გონება მეცნიერებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და მის მრავალ დარგს სწავლობდა. ბერი როჯერ ბეკონიც, შუა საუკუნეების მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი წვლილი რომ შეიტანა, ლეთისმეტყველი და მისტიკოსი გახლდათ.

არაქრისტიანულ სამყაროშიც იგი-



ვე სურათი იშლება. არაბი ღვთისმეტყველები არისტოტელეს მოძღვრებას სწავლობდნენ. ასტრონომიას, ალგებრასა და ანატომიას აწვითარებდნენ, ბუდისტები ლოგიკასა და შემეცნების თეორიას ქმნიდნენ.

ასე რომ, ძველი აღმოსავლეთის სამყაროში, ანტიკურ ეპოქასა და შუასაუკუნეებში რელიგია და მეცნიერება გვერდგვერდ, მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში ვითარდებოდნენ და ერთმანეთისთვის სასარგებლოც კი აღმოჩნდნენ. პირველი ძლიერი დაპირისპირება მეჩვიდმეტე საუკუნეში, დედამიწის ბრუნვის პრობლემასთან დაკავშირებით გაჩნდა და ამ კონფლიქტზე ცოტა დანვრდებით შევჩერდებით.

თეორია იმის შესახებ, რომ დედამიწას სამყაროში ცენტრალური ადგილი უჭირავს, საერთოდ არაა რელიგიური მოძღვრება და მით უმეტეს ქრისტიანული. იგი ჩამოყალიბდა მეორე საუკუნის ალექსანდრიელი სწავლულის, პტოლემეოსის თხზულებაში „დიადი შენობა“. ამ წიგნის გამოჩენა კოსმოლოგიაში უდიდეს მოვლენად გადაიქცა, რადგან მან ანტიკური ხანის ასტრონომიული ცოდნა დააჯამა. თავისი დროისათვის ეს, როგორც ახლა ამბობენ, „პროგრესული მოვლენა“ გახლდათ.

საუკუნეების მანძილზე გეოცენტრული სისტემა ასტრონომიის ქვაკუთხედად ითვლებოდა. მეცნიერული აზროვნების სისწლი და ზორცი ამით გაიყვინთა. ბუნებრივია, რომ მთელ სამეცნიერო სამყაროსთან ერთად, მას ქრისტიანი ფილოსოფოსებიც იზიარებდნენ. ბიბლია ხომ ამის შესახებ

არაფერს ბრძანებდა, თუმცა დედამიწა არაფერზეა ჩამოყალიბებული, ამტკიცებდა (იობი. 26.7).

მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებში გეოცენტრიზმს საფუძვლები შეერყა და პირველი ეჭვი სწორედ ქრისტიანულმა მოაზროვნებმა გამოთქვეს. მაგალითად, ცნობილი გერმანელი ღვთისმეტყველი კარდინალი, ნიკოლოზ კუზანსკი (1401-1465) წერდა: „დედამიწა ამკარად მოძრაობს, ჩვენ კი ამას ვერ ვგრძნობთ, რადგან მოძრაობა მხოლოდ რაიმე უძრავთან შეფარდებით შეიძლება აღიქვას“. ახალ, პელიოცენტრულ პრინციპებს სამეცნიერო ფორმა პოლონელმა მღვდელმა, ნიკოლოზ კოპერნიკმა მოუძებნა. მისი წიგნი „ციურ სფეროთა ბრუნვის შესახებ“, პაპს მიეძღვნა და პაპმაც დიდი შადღიერებით მიიღო. მაშინ ეს თეორია მრავალმა ასტრონომმა, მათ შორის ტიხო ბრაგემაც უარყო. ამის მიუხედავად, ქრისტიანმა სწავლულებმა მსჯელობისთვის ერთ-ერთ შესაძლებელ ვერსიად ჩათვალეს.

ასე გავიდა სამოცდაათიოდე წელი. კოპერნიკი და ტიხო ბრაგეც კარგა ხნის გარდაცვლილები იყვნენ, როცა ამ პრობლემის ირგვლივ, მოულოდნელად სასტიკი, იდეური ბრძოლა გაჩაღდა. მისი პრელუდია „მეცნიერების მარტივად“ გამოცხადებული ჯორდანო ბრუნო ნოლანელის (1548-1600) ბედკრული პროცესი აღმოჩნდა. მაგრამ გავიხსენოთ, რომ ბრუნოს პროცესი მაშინ შედგა, როცა კოპერნიკის თეორიის ცენტურული აკრძალვა ვერ კიდევ არ არსებობდა და ამ მიზეზით მისი გასამართლება არაეის შეეძლო. მაშ რამ მიიყვანა კოცონთან მამაცი ნოლანელი?

ჯორდანო ბრუნო ღვთისმოსავოჯახში გაიზარდა და მრავალი წელი



მონასტერში გაატარა. მისმა ცოცხალმა და პოეტურმა გონებამ სწრაფად აითვისა ის ახალი დინებები და ფილოსოფიური იდეები, რომელიც ირგვლივ ტრიალებდა. ამის გავლენით თავისებური პანთეისტური მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდა, რაც ძალიან ჩამოჰგავს ნეოპლატონურ მისტიკას. მისთვის ღმერთი მთელ სამყაროში მოფენილი ძალა იყო, რომელსაც პითაგორელებივით სამყაროთა უსასრულო რაოდენობაში ხედავდა. ასეთი ფილოსოფიისათვის კოპერნიკის პიპოთეზა ძალიან მნიშვნელოვანი, ნმინდა სამეცნიერო ნაწილი აღმოჩნდა.

ბრუნო საკუთარი მოძღვრების გავრცელების სურვილით იწვოდა და მონასტრიდან საზღვარგარეთ გაიქცა. მრავალი წელი სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებში, მათ შორის რომისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებშიც ყარბობდა. ლონდონს, პროტესტანტულ ჟენევას, პარიზს ესტუმრა, იტალიური სახელმწიფოები, ვენეცია და ვენუა მოიარა და ყველგან უჩვეულო მგზნებარებით ქადაგებდა, მსჯელობდა და კამათის უნის აღვივებდა. რომს, კურიას თავს ისე მძაფრად ესხმოდა, რომ მისი მკრეხელური ხუმრობები ფართოდ გავრცელდა. ასეთმა სახიფათო პოლიტიკურმა მონინააღმდეგემ რომი, რა თქმა უნდა შეაშფოთა. ამ დროს ზომ ყველგან რეფორმაციის კერები დუღდა და თითქმის მთელი ევროპა ამბოხების, განხეთქილებისა და ომის ქარიშხალში გაეხვია. იდეურ ბრძოლას პოლიტიკური ვნებები აძლიერებდნენ. ჯორდანო ბრუნომ კი თავისი თავი „უფრო სრულქმნილი ღვთისმეტყველების მოძღვრად და ზეცისა და დედამიწის ძედ“ გამოაცხადა და რა თქმა უნდა, ცრუმოდღვრების ბრალდება დაიმსახურა.

როცა ერთმა ვენეციელმა აზნაურ-

მა კურიის ტრიბუნადან მის მიმართ ანგარიშსწორების გამოცხადებას, პირუნიო არც კი შეშფოთებულა. დარწმუნებული იყო, რომ ერეტიკოსობას ვერავინ დააბრალებდა. მართალია მისი პანთეისტური დოქტრინა ზოგიერთ პუნქტებში ქრისტიანულ მოძღვრებას არ ეთანხმებოდა, მაგრამ ოფიციალურად იგი არავის შეურისხავს და არც ცრუმოდღვრებად გამოუცხადებია. სამსჯავროს წინაშე ბრუნომ სწორედ ეს აღნიშნა.

დაკითხვის დროს განსაკუთრებით პროტესტანტულ სახელმწიფოებთან ბრუნოს კავშირებით და მისი პირადი სიმპატიებით დაინტერესდნენ. კერძოდ: ესაუბრა თუ არა ნავარის მეფეს? დაპირდა თუ არა მხარდაჭერასა და წყალობას? ქონდა თუ არა მისი იმედი? პროცესზე ბრუნომ კათოლიკე და ეკლესიის შვილი ვარ, ჩემი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები კი ქრისტიანობას არ უპირისპირდებაო, განაცხადა. „ჩემი ხედვა ყოველთვის ემთხვეოდა ნმინდა დედა კათოლიკური ეკლესიის ხედვას.“

მაგრამ მისი გულწრფელობა არავინ დაიჯერა და „სიმშვიდის სახიფათო დამრღვევი, ერეტიკოსების მეგობარი და ცრუმოდღვრების მქადაგებელი“ რომის საერო გუბერნატორს გადასცეს, თან თვალთმაქცური თხოვნაც დაურთეს, ისე დასაჯეთ, ნურც მოკლავთ და ნურც დაამახინჯებთო. მიუხედავად ამისა, ანგარიშსწორება მაინც შედგა. 1600 წლის 19 თებერვალს ბრუნო სიკვდილით დასაჯეს.

ეს ტრაგიკული მოვლენა, ისევე როგორც ინკვიზიციის მთელი მოღვაწეობა ეკლესიის ხელისუფალთა პირდაპირი და დანაშაულებრივი ღალატია რელიგიისა. აზრიც არა აქვს იმის შესხენებას, რომ რწმენის საკითხებით ძალმომრეობა სახარების მოძღვრე-



ბას საფუძველშივე უპირისპირდება. ეკლესიის მამამთავარი პირდაპირ ადასტურებდნენ, რომ „რელიგიამ უნდა დაგარნმუნოს და არა გაიძულოს“.

ფანატიზმს, შეუსწარებლობას, იდეოლოგიურ დიქტატს რელიგიის სული კი არა, ადამიანთა ბუნების ყველაზე ცუდი მხარეები ქმნიდა და ახლაც ქმნის. იგი მაშინ ჩნდება, როცა ძალა ურწმუნო ადამიანების ხელში ვარდება, ისიც ხომ ყველას კარგად ახსოვს, რა რეპრესიები გაიარეს ჩვენს ათასწლეულში ახალი სამეცნიერო კონცეპციის მომხრეებმა (გენეტიკა და ა. შ.).

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბრუნო დასაჯეს როგორც პოლიტიკურად სახიფათო პირი, ერეტიკოსი და რომის კურიის მონინალმდევე და არა როგორც სამეცნიერო იდეების მსხვერპლი. რაც შეეხება კოპერნიკის ლიტერატურას, იგი მხოლოდ თექვსმეტი წლის შემდეგ აიკრძალა და ისიც სულ სხვაგვარ ვითარებაში.

კოპერნიკის იდეებმა ქრისტიანულ სწავლულებს შორის ფეხი მალე მოიკიდა. 1916 წლის თებერვალში გამოვიდა ბერი პაოლო ფოსკარინის წიგნი, რომელიც პელიოცენტრულ პიპოთეზას იცავდა. საერო ასტრონომებს შორის კი მისი მხარდამჭერი სახელგანთქმული გალილეო გალილეი აღმოჩნდა (1564-1642), რომელიც თავისი მეცნიერული ხედვის ენერგიულ პროპაგანდას შეუდგა.

გალილეი ლეთისმოსავი ადამიანი იყო და საეკლესიო წრეებთან მეგობრობდა. პაპი ურბან მერვე მეცნიერს დიდ პატივს სცემდა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა თავად სტუდენტი მას ლექსებს უძღვნიდა. ურბანი ფორტოფიკაციული და პიდროტექნიკური პროცესების ავტორს, გალილეის დიდად

აფასებდა. თეორიული მეცნიერების ნაშრომებსაც იცნობდა. სამეცნიერო ლექსები სწავლულს ვარსკვლავთა აღმოჩენის დროს მიუძღვნა. არც პელიოცენტრულ სისტემას ემტერებოდა, სანამ იგი ობიექტურ აზრად არ ჩამოყალიბდა. იმ დროინდელი რელიგიური კოსმოგონიის მსგავსად, პელიოცენტრული სისტემა მეცნიერებსაც და განათლებულ პუბლიცისტს პაპსაც, მხოლოდ გონების მათემატიკურ სავარჯიშოებად მიაჩნდათ.

მაგრამ გალილეი კოპერნიკელობის საყოველთაო აღიარებისათვის იბრძოდა და დამაჯერებლად ასაბუთებდა, კოსმოგონიის საკითხებში წმინდა წერილზე დაყრდნობა სრული უაზრობაა. წმინდა წერილი, რა თქმა უნდა, არ ცდება, აი მისი განმარტების მსურველი კი შეიძლება შეცდესო... აქ ბუნებრივ მოვლენებზეა საუბარი, მას კი უშუალოდ გრძნობებით აღვიქვამთ ან დასაბუთებული მტკიცებულებების საფუძველზე, გონებით ვალიარებთ, ამიტომ, წმინდა წერილის ტექსტებმა არ უნდა დაგვაეჭვოსო. გალილეის შეკითხვებს კარდინალმა კონტმა უპასუხა, არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც ბიბლიური ტექსტების განმარტება პელიოცენტრიზმის პიპოთეზას არ უპირისპირდება, მაგრამ ეს საყოველთაო აზრი არააო.

და ამჯერადაც, საბედისწერო ეპოს, თამაშში პოლიტიკური ბრძოლა ჩაერთო. გალილეიმ ბევრი ისეთი მტერი გაიჩინა, რომის თვალში მისი ავტორიტეტის განადგურებას რომ ცდილობდა. ურბანი რელიგიური ფანატიკოსი არ გახლდათ, იგი ოცდაათწლიანი ომის მონაწილეთა და მონმეთა ტიპური ნარმომადგენელი იყო და მონინალმდეგეებით გარემოცული უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში ცხოვრობდა. კათოლიკური

ესპანეთის ძალადობა, პროტესტანტული ჩრდილოეთის მღვლეარება, შვედ პროტესტანტებთან წარუმატებელი კავშირი, ვენეციასთან დაძაბული ურთიერთობა, ეს ყოველივე რომის სახელმწიფოს უჩვეულოდ რთულ მდგომარეობაში აგდებდა.

გარდა ამისა, პროტესტანტულ სამყაროში ხმა დაირბა, პაპი უფლის მტერი და ანტიქრისტია, რადგან კოპერნიკის ცრუმოდგერებას უჭერს მხარსო. გალილეის მტრებმა სწორედ ამით ისარგებლეს და პაპი დაარწმუნეს, ეს დაუსრულებელი დავა ბრუნავს თუ არა დედამიწა ადამიანთა გონებას ალაგზნებს, მოაზროვნე ადამიანებში კი ცდუნებასა და მანიკერ სულს აღვიძებსო; ეს ხომ მხოლოდ პიპოთეზაა, მეცნიერულად ზუსტად მას ვერავინ ასაბუთებსო და აქვე მოითხოვეს პელიოცენტრული ლიტერატურა ცენზურით აეკრძალათ, რადგან ცუდის მეტი არაფერი მოაქვსო. გალილეიმ, თავის მხრივ, კოპერნიკელობის დაცვა სცადა, მაგრამ მისივე თანამედროვეის თქმით „საკუთარ აზრს უფრო ენდო, ვიდრე მეგობრებისას“. და თუმცა ამ რთული, საკარო ინტრიგების გარემოცვაში აულელებლად იმოქმედო, არწმუნებდნენ, არავის უსმინა. პაპი თბილად იღებდა და ეს აიმიედებდა, მაგრამ არც მტრებს ეძინათ. მართალია, პელიოცენტრიზში ერესად ვერ გამოაცხადეს, მაგრამ მათი ძალისხმევით ამ თემაზე შექმნილი ნიგნები ცენზურული აკრძალვის ქვეშ მოექცა. დეკრეტის თანახმად იგი დროებით, მის შესწორებამდე უნდა შეჩერებულიყო. „შესწორებას“ კი ცენზორები პელიოცენტრული დასკვნების პიპოტეტიურობისა და ცალსახად გონებისიერობის დასაბუთებაში ხედავდნენ. დეკრეტი 1916 წლის 5 მარტს გამოქვეყნდა.

სწორედ ამ დროს მღვლეატენტრიზმის ირგვლივ ატეხილს უამბათის კაჩვბლი საბიფათოდ გაფართოვდა და გალილეის წინააღმდეგ ინტრიგებიც უფრო ჩაიხლართა. ბოლოს და ბოლოს სწავლეულის მონინაალმდეგეებმა იგი რომში, სასამარლოში გამოიძახეს და ამ პროცესზე გალილეიმ თავისი შეხედულებები მთლიანად უარყო.

„ბრუნოს საქმისაგან“ განსხვავებით, გალილეის პროცესი უკვე აღარ უკავშირდება რომელიმე ფილოსოფიურ დოქტრინას. აქ საუბარია იმ სამეცნიერო თეორიის პროპაგანდაზე, რომელსაც საეკლესიო ცენზურა კრძალავდა. მაგრამ, სანინაალმდეგო პოზიციაც ხომ მეცნიერულია, თუმცა მცდარია. ისევე შეგახსენებთ, რომ გეოცენტრიზმი მეცნიერული თეორიაა და არა რელიგიური. როგორც კი პელიოცენტრიზმი მეცნიერულად დასაბუთდა, იგი აღარც აღარავის ანუხებდა და აღარც აღელებდა. დღესდღეობით ამ ასტრონომიული თეორიისთვის ამხელა იდეური მნიშვნელობის მიჩიება უაზრობადაც კი გვეჩვენება.

რა თქმა უნდა, მეცნიერების განვითარებაში პოლიტიკისა და იდეოლოგიის ჩარევა უარყოფითი მოვლენაა. საბედნიეროდ, ეს იშვიათად ხდება ხოლმე. რაც შეეხება ათეიზმს, ასეთი ჩარევა მან სისტემად გადააქცია. განა გალილეის პროცესზე ბევრად უფრო სამარცხვინო მოვლენები არ გვახსოვს? დიდი ხანი კი გავიდა მას შემდეგ, რაც გენეტიკას ცრუმეცნიერების იარლიფი მიაკერეს, ათეულობით მეცნიერმა კი თავისი მონანიებით გალილეის ბედი გაიზიარა? ფსიქოლოგიაში – ფსიქოანალიტიკური მიმართულებები, ლინგვისტიკაში – სემანტიკა, ისტორიულ მეცნიერებაში – „წრეების თეორია“, კოსმოლოგიაში – სამყაროს გაფართოების თეორია ხომ



ასევე აიკრძალა. შესანიშნავი სწავლულების, მენდელისა და მორგანის, სახელები კი საღანძღავ სიტყვებად გადაიქცა... და ეს ყველაფერი ბნელ შუასაუკუნეებში კი არა, მეოცე საუკუნის შუანლებში ხდებოდა. მამ რა უფლება აქვს ათეიზმს ასე შორეული წარსულის მაგალითი გამოიყენოს? განა თავად სულ ახლახან არ გაითხვარა თავი?

რელიგიისა და მეცნიერების ისტორიული ურთიერთობა კი ასეთი ინციდენტებით აღარ დარღვეულა. ნიუტონსა და დეკარტეს, კეპლერსა და პასკალს მეჩვიდმეტე საუკუნეში რელიგიისა და მეცნიერების „კონფლიქტი“ არ აწუხებდათ. მეცნიერულ გმირობას მათთვის ხელი არ შეუშლია ქეშმარიტად რელიგიურ და ღვთისმეტყველ ადამიანებად დარჩენილიყვნენ. თავისუფლების სულით გაჟღენთილ მეთორამეტე საუკუნეშიც კი ლომონოსოვი, გერშელი და ეილერი ბუნების შესწავლას რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძვლებიდან იწყებდნენ. მეცხრამეტე საუკუნეშიც იგივე სურათს ვხედავთ. ლიბიხი და პასტერი, კიუვიე და უოლესი, ლაიელი და ფარადეი, მაიგრი, რენტგენი, ომი, მაქსველი და მრავალი სხვა ღვთისმოსავეები იყვნენ. დარვინიზმზე ცალკე ვისაუბრებთ და არც სახელგანთქმული სწავლულების რელიგიური შეფასებების ჩამონათვალთ შეგანყენთ თავს. იმასლა აღვნიშნავთ, რომ მეოცე საუკუნეში „მეცნიერებისა და რელიგიის კონფლიქტმა“ ფაქტიურად ყოველგვარი აზრი დაკარგა.

„მეცნიერება და რელიგია, – წერს ამერიკელი ფილოსოფოსი პოკინგი, – ჩვენს დროში ერთმანეთს აღარ ებრძვიან. მხოლოდ ის თავქარიანი სწავლულებიღა შემორჩნენ დიდი სურვილი რომ აქვთ რელიგია სიძველეების

მუზეუმს ჩააბარონ. და ეს რელიგიური კი აღარაა. აი, რელიგიურ მოღვაწეთა შორის კი უჭეი შეპარება ისეთი განცდეს, ვინც მეცნიერების დათრგუნვას მოინდომებს ან დაიჯერებს, რომ ეს შესაძლებელია“.

●  
ახლა რელიგიისა და განათლების ურთიერთობის პრობლემას გადავხედოთ.

უმთავრესი საკითხია: შეიძლება თუ არა, რომ რელიგია და მეცნიერება თავისუფლად განვითარდნენ და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ?

დადებითი პასუხი თავისთავად მოდის, ეს ობიექტები ხომ თვისობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეცნიერება ხილულ სამყაროს სწავლავს, რელიგიას კი ზემგრძნობიარესკენ სულიერი სწრაფვა ახასიათებს და ნმინდა სამეცნიერო მეთოდებით მას ვერასოდეს შეიცნობ.

მეცნიერება კვლევას ვერასოდეს შეაჩერებს, მან ხომ უფრო და უფრო მეტი მოვლენა უნდა ახსნას. მაგრამ, ნუ დაგვაფინყდება, რომ მთელი მატერიალური სამყაროს შეცნობა რომც შესძლოს, არამატერიალური მისთვის მაინც მიუღწეველი დარჩება. სწორედ ამის გამოა, რომ სწავლულმა ფილოსოფიური დასკვნა ფაქტებზე დაყრდნობით ძალიან ფრთხილად უნდა გააკეთოს. განსაკუთრებით საზიფათოა დოგმატიზმი, რომელიც არა მხოლოდ მეცნიერებისათვის უცხო სფეროში იჭრება, არამედ თავად მეცნიერების განვითარებასაც ამუხრუჭებს. ასეთი დოგმატიზმის ნიმუშია, ვთქვათ, ერნსტ გეკელის სისტემა, ვინც მეცნიერებაში ისეთი დებულებების დამკ-

ვიდრება სცადა, მისი აზრით უცვლელი რომ დარჩებოდა.

იმის მაგალითები თუ როგორ იცვლებოდა ერთი სამეცნიერო დებულება მეორეთი საკმარისზე მეტი გვაქვს. და ეს სულაც არ არის „მეცნიერების კრიზისი“. ასეთ კრიზისს მხოლოდ ძველი ქვეშაობების უკანონო აბსოლუტიზაცია აჩენს.

მეცნიერება, თავისი არსით, რელიგიისა და ფილოსოფიის მიმართ ნეიტრალურია. ასე მაგალითად, პლატონის მოძღვრება ანტიკურ სამყაროში შეიქმნა, მაგრამ ამ იდეას თავისი ფასეულობა არც ჩვენს თანამედროვეობაში დაუკარგავს და ვერნერ გეიზენბერგმა ეს მშვენივრად დაასაბუთა. რელიგიურ სულიერებაში თუ ხელოვნების მშვენიერებაში კაცობრიობის აღმოჩენები არც აფერხებენ და არც უნდა აფერხებდნენ მატერიალურ სფეროში მეცნიერების ამოჩენებს.

რელიგიური აზროვნება ხშირად იყენებს სამეცნიერო მეთოდებს ინტუიციური, რელიგიური ცდების გასააზრებლად თუ შესაცნობად, თუმცა სხვა საშუალებებიც გააჩნია. მეცნიერებასაც ასევე შეუძლია რელიგიური მსოფლმხედველობის ნიშნით განვითარდეს ან სულაც მის მიღმა დარჩეს.

სწავლულისთვის რელიგიის მნიშვნელობა ყველაზე კარგად ეინშტეინმა ახსნა, როცა განაცხადა, მკვლევარისთვის ნამდვილი შთაგონების წყაროა იმისი რწმენა, რომ სამყარო გააზრებული მოვლენააო. როცა სულიერების მატარებელი სწავლული სამყაროს სივრცეებში ან ატომის სიღრმეებში უზენაეს კანონზომიერებას აღმოაჩენს, ამაში უზენაესი გონების გამოვლინებას ხედავს და თავის გამოკვლევებსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

თუ რელიგიისა და მეცნიერების

საზღვრებს ასეთი კუთხით დავეხებით, მათ შორის ყოველგვარი „დაპირისპირება“ გაქრება. დღეს ამას მსოფლიოს სწავლულთა დიდი ნაწილი აღიარებს. ეს კი ათეისტებს ძალიან ანუხებთ, მათ ხომ „კონფლიქტის“ გაღვივება ჭირდებათ. ამიტომ წერდა ასე შეშფოთებით ერთ-ერთი მათგანი: მრავალი ბურჟუაზიული მეცნიერი რელიგიისა და მეცნიერების კავშირზე ალაპარაკდა; მ. ბორნი, მ. პლანკი, ვ. გეიზენბერგი, კ. ფ. ფონ ვეიცზეკერი, პ. იორდანი და სხვა ცნობილი ფიზიკოსები ერთხმად ამტკიცებენ, მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს არ უპირისპირდებათ.

მეცნიერება ადამიანის ცხოვრებაში შეზღუდულ როლს თამაშობს. თავისი არსით იგი მორალის მიღმა რჩება. განა ერთნაირად მეცნიერებას არ ეკუთვნის ის სწავლული, ვინც თავისივე მსგავს ადამიანებზე დანაშაულებრივ ცდებს ატარებს და ისიც, ვინც ექსპერიმენტის პროცესში საკუთარ სიცოცხლეს წირავს?

არ არსებობს მხოლოდ საბუნებისმეტყველო მონაცემების საფუძველზე აგებული „სამეცნიერო მსოფლმხედველობა“. ცხოვრების ჩვენიული ხედვა ყოველთვის შეიცავს რაღაც ისეთს, მეცნიერების მიღმა რომ რჩება. გარდა ამისა, ადამიანს არ შეუძლია მხოლოდ ბუნების შესწავლით მიღებული დასკვნებით იხელმძღვანელოს. აზრისა და ფასეულობის, ბოროტისა და კეთილის უზენაესი კატეგორიები ხომ რწმენის სფეროს განეკუთვნება. სწორედ ამიტომ მაქს პლანკის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ: „მეცნიერება და რელიგია თავისი ქვეშაობიტი არსით ერთმანეთს არ უპირისპირდება. ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის ისინი ერთმანეთს უნდა ავსებდნენ“.

რელიგია ადამიანს ასწავლის რის-

თვის ცხოვრობს და როგორ უნდა იცხოვროს. მეცნიერება ასეთ კითხვებზე პასუხს ვერ გასცემს, იგი სამყაროს მატერიალური მონყობის შესწავლითა დაკავებული. მეცნიერების სფერო – უპირატესად ინტელექტის სფეროა, ადამიანს კი არ შეუძლია თავისი თავი მხოლოდ ერთი სფეროს ჩარჩოებში მოაქციოს. რელიგიური მსოფლშეგრძნება ის უწყვეტი ნრეა, რომელშიც მოქცეულია ადამიანის ცხოვრება. მისი ცოდნისკენ სწრაფვაც და სამყაროს მეცნიერული კვლევაც ამის ნაწილია. „რელიგია, – აღნიშნავს ფრანგი ფილოსოფოსი ემილ ბუტრუ, – ადამიანს უფრო მდიდარ და სიღრმისეულ ცხოვრებას სთავაზობს, ვიდრე თვით-

მყოფადი ან თუნდაც ინტელექტუალური ცხოვრება მისცემდა. ეს არის თავისებური სინთეზი ან თუ გნებავთ ინსტინქტისა და გონების იდუმალი, სულიერი კავშირი, სადაც თითოეული მათგანი მეორესთან შერწყმის ნყალობით გარდაისახება, აენტება და ისეთ სრულ შემოქმედებით ძალას შეიძენს, ვერასოდეს რომ ვერ შეიძენდა ცალ-ცალკე რომ ემოქმედა“.

ამგვარად, მეცნიერება და რელიგია, რეალობის შეცნობის ეს ორი გზა, დამოუკიდებელ სფეროებად კი არ უნდა დარჩნენ, პარამონიულ სინთეზს უნდა ქმნიდნენ, რაც ჭეშმარიტების გზაზე კაცობრიობის სვლას დიდად დაეხმარება.

თარგმანი მანანა მიქელაძემ



## „ვა, სოფელო...“

„ვა, სოფელო...“ ზაირა არსენიშვილის – მწერლის, მუსიკოსის, კინოსცენარისტის მეორე რომანია. პირველი რომანი „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის“, რომელშიც ასახულია საბჭოთა რეპრესიების ხანაში თბილისის საოპერო თეატრის მუსიკოსთა ხვედრი, გამოქვეყნდა 1997 წელს და 1998 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

რომანი „ვა, სოფელო...“ იმავე თემას ეძღვნება, ოღონდ გაცილებით ფართო ტილოა. აქ აღწერილია კახეთში ბოლშევიკების მძვინვარების პერიოდი, გასული საუკუნის ოციათი წლებიდან 50-იან წლებამდე.

მკითხველი გაეცნობა 24 წელში ქაქუცა ზოლოყაშვილის თანამგრძობთა ნინა-ალმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებს, 30-იანი წლების კოლექტივიზაციისა და განკულაკების პერიოდებს და 37 წელს განხორციელებულ რეპრესიებს.

სხვათა შორის, ამ თემატიკაზე დაწერილ საინტერესო რომანებს უკვე იცნობს ქართული ლიტერატურა.

და მაინც არის ერთი უმნიშვნელოვანესი რამ, რითაც, ჩემის აზრით, ზაირა არსენიშვილის ეს რომანი გამოიყოფა ყველა დანარჩენისაგან.

ეს არის ღვთის რწმენითა და რელიგიური მსოფლმხედველობით გატენილი შემოქმედის მიერ დაწერილი რომანი, რომელიც მისი უშუალო და ჭკვიანი ნინაპრი-

საგან, ბებისაგან (რომლის არაჩვეულებრივი სახე შექმნა მწერალმა) ეზაირა „ბიბლიისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნეს.

„ვა, სოფელო...“ გახლავთ მალალმხატვრული ხორცშესხმა იმ შოარული აზრისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კაცის მეორე სახარებაა. არც ისაა შემთხვევითი, რომ რომანის ყველა თავს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სწორედ სტრიქონები „ვეფხისტყაოსნიდან“.

ეს ნიგნი ელენე ახვლედიანის ნახატებითაა გაფორმებული, – „თელავი“ და „თელავი ზამთარში“.

და ამ ნიგნს, ამ რომანს ელენე ახვლედიანისეული უცნაური სიმყუდროვეც ახლავს. სიმყუდროვე, რომელიც შემოზღუდულ სივრცეს, ეზო-კარმიდამოს იდილიას კი არ გულისხმობს, ერთი სიტყვით, ანტიურაგის განწყობილება, კამერული სიმყუდროვე და იდილია კი არა მაქვს მხედველობაში, არამედ სამყაროს, დროგამის ბუნებრივი ციკლი, მისი მარადიული, მოუნუნენელი რიტმი: გაზაფხული-ზაფხული-შემოდგომა-ზამთარი. აი, ამ რიტმით, ამ პროპორციით, ამ უღალატო სიმყუდროვით ენაცვლება სოფლის ტკბილ-მწარე დღეები ერთმანეთს...

უჩვეულო სიღრმითა და სიზუსტით მოძებნილ ამ სათაურში „ვა, სოფელო...“ უკვე იგულისხმება ის თავბრუდამხვევი წრებრუნვა, რომელიც ქუმმარტი ღირებულებებისათვის ვერმოცლილი დღეები-

სა და წუთების გამო კაცს ათქმევენებს: „ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“

ამ ბრუნვაში იკვეთებიან სხვადასხვა ზნისა და სხვადასხვა ხასიათის მატარებელი გმირები და პურსონაჟები...

მიუხედავად იმისა, რომ ყოფიერების ყველა ჯურღმულია ამ რომანში გახსნილი, ათასი მკაცრი საიდუმლოა ფარდააბდილი, სისასტიკისა და ბინიერების მღვრიე ნაკადებითა და ასერილი ეს უღამაზესი გარემო, ეს კოპნია, ძველი, პროვინციული და თან არისტოკრატიული ქალაქი – თელავი, მაინც რალაცნაირი უბინო თვალსაწიერიდან თუ უბინო არსების მიერ დანახული უშუალობა და შთაგონება ახლავს ამ რომანს.

არა, ის არაფერ შუაშია, რომ თხრობა ბაეშვის პირით მიმდინარეობს. მე ვგულისხმობ სამყაროს პირველქმნილ ფერებს, ისეთივე ნოტიო, ტენიან და ხასხასა ფერებსა თუ სურნელს, ისეთივე სურნელოვან სიტყვებსა და განსაცვიფრებლად მდიდარ ლექსიკას, სიტყვის მარაგს, როგორი თავბრუდამხვევი სურნელებითაც ხედება ტყე ევას თავისი მსუსხავი რიყრეებითა თუ შებინდებებით.

ევა, მაკა და რუსუდანი უცნაურად მშობლიური, თბილი და ძვირფასი შეხამენია ქართველი ქალის კლასიკური ძლიერი ხასიათებისა ჩვენს ლიტერატურაში.

გიოსა და ევას, ლექსოსა და აღისას სიყვარულს ვერაფერს აკლებს დრო-გამის სვლა; პირიქით, ისე გამოაწართობს განსაცდელელებში, როგორც ოქროს ცეცხლში და მინაზე დანყებულ სიყვარულს ხატის სიყვარულში, წმინდანობის ხარისხში გადაზრდის...

გიო და ევა დაუვინყარი წყელია და მათი წყალობით ბოლო ეღება სკეფსისს, რომ ყველაფერი დასავეინყებლადაა განწირული...

საერთოდ, სკეფსისს რაც შეეხება, მინდა ვთქვა, რომ ბედნიერებაა სწორედ ამ წლებში, სწორედ დღეს რომ შეიქმნა ეს დიდებული რომანი, როცა ასეთი ამჩატებული, ამღვრეული, შეშლილი და გასაცოდავებულია ქვეყანა.

ეს ნიგნი დიდ სიყვარულთან, დიდ სინათლესთან, დიდ მზნეობასთან მიბრუნების ნიგნია და შემთხვევითი არაა, რომ იგი ვედრებით, შენდობისა და მადლიერების ლოცვით მთავრდება.

მაკა ჯოხაძე



## მოძრაობა წრეში

პოეტურ სუბსტანციაში პროზაული რეალიზების შეტანა თანამედროვე ლიტერატურის განუყრელი თვისებრივი ნიშანია. პოეტური და პროზაული ელემენტების ეს ალქიმია, განზავების ეს უწყვეტი პროცესი, რა თქმა უნდა, გარკვეულ დოზირებასაც გულისხმობს, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება...

გიორგი მირზაშვილი ლექსების კრებულში „მარშრუტი №48“ შიშვლად, პოეტურ აქსესუარში თითქმის განუზავებლად წარმოაჩენს ყოფითობის ნიშნით აღბეჭდილ პროზაულ მასალას. ეს ნიგნივრცელი რეესტრია იმ ატრიბუტიკისა, რომლითაც ჩვენი ყოველდღიურობა, ჩვენი მზერა, ჩვენი გული და გონებაა სავეტი. გიორგი მირზაშვილი თითქოს ერთ ვინაოვრეში ტრიალებს და ეს წრე გატენილია უკვე ნაცნობი ნივთებით, საგნებით, მელოდიებით, სიტყვებით, ადამიანებით. „მარშრუტი“ მრავალფეროვანი კოლაჟია; საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ნამსხვრევებისგან შეკონინებული. ეს საკმაოდ ფართო ტილოა, მრავალფეროვანი კომპოზიციაა, რომლის შუაგულშიც ავტორის მჭიდრო და დახშული სივრცით გარემომონერილი ფსიქიკაა მოქცეული. ამ ფსიქიკას თითქოს ყოველდღიურობის მონოტონური ხმა ბურღავს.

გიორგი მირზაშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს გაუხშობებულ ჰაერით სავსე წრის სივინროვეს. სივინროვეში მრავალი საგანი ბრუნავს, მაგრამ ისინი წრიულად ბრუნავენ, ე. ი. ჩვენი თვალსაწიერის შიგ-

ნით ტრიალებენ და გარკვეული დროითი ინტერვალის შემდეგ ჩვენივე მხედველობის არეში ექცევიან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ირგვლივ ტოტალური ერთგვაროვნებაა გამეფებული და ჩვენი ფიზიკური და სულიერი ყოფა საზღვრებშია მოქცეული. საზღვრებს მიღმა გასვლა არ ხერხდება. ამ მხატვრულ და მსოფლმხედველობრივ ეფექტზეა აგებული გიორგი მირზაშვილის ლექსების კრებული „მარშრუტი №48“\*.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ხომ არ ნიშნავს იმას, რომ შინაგანად ჯერ კიდევ არა ვართ თავისუფლები და საბჭოთა სტერეოტიპები აფერხებს ჩვენს წარმოსახვას? ჩემი აზრით, სწორედ ეს თვალსაზრისია უკუფენილი გიორგი მირზაშვილის ლირიკულ ნააზრევში. აქვე ჩნდება ირონიული რაკურსიც.

გიორგი მირზაშვილის ირონია ამ უცნაურმა სიმბიოზმა წარმოშვა, რომელიც პოსტსაბჭოთა „ნამსხვრევებისგან“ არის შედგენილი. ქალაქის ფაქტურა, ახალი საგნობრივი სამყარო, ფირნიშები, ქუჩები, სხვაგვარად სტრუქტურირებული სივრცე, მალაზიები და ჯიხურები, ცხოვრების განახლებული რიტმი და მელოდია, ფერი და სურნელი, სივრცე და სინათლე – ყველაფერი პოეზიის საგნად იქცა, ყველაფერი მაინიერ ქვეყნიერებაში გადაინაცვლა. „ფირნიში“ „ავტოსკოლა“. დები იშხნელები. ჟინტლავს. ასფალტი. ბაზრობა – ტლაპო. ნახმარი „ფორდი“ – ტაქსი – კატაფალკი. „დინამოს“ სტადიონი. თურქუ-

\* გიორგი მირზაშვილი. „მარშრუტი №48“. შემდგენელი და წინათქმის ავტორი ნინო დარბაისელი, რედაქტორი თეიმურაზ დოიაშვილი. თბ., 2003წ.



ლი პროდუქცია. რიგი საელჩოსთან, რუბი „გოსკინპრომი“. მთელი პლენხანოვი მყუდრო უბანია. ფოსტამტი. კედლები, ქიშკრები, თალები“. „სასტუმრო „საქართველო“ აფთიაქი „ავერსი“, ყველაზე დაბალი ფანსები, პრეზერვატივი „სიკო“, შემდეგი გაჩერება ლაღიძის წყლებთან, მეტრო „რუსთაველი“, ძველი რუსთაველის, „მაკდონალდსი“. პოთ-დოვი, ხაჭაპური, ღვეზელი სოკოთი, ბორჯომი, სპრაიტი, ფანტა და პეპსი, ოტელი „მერანი“, არაყი „გომი“, „ნოტები“, „სონის“, მთავრობის სახლი“... „პალსტუხი“, ბენდენა, სოფომისტების პარნასი, პედოფილები, ტრანსვესტიტები, ნიფომანები, კონფორმისტები, ვირთხები ოფისების, ანემიური კავშირები, ჯინის და ტონიკის წრუბეა...“

ეს ნაწვევები სხვადასხვა ლექსებიდან არის ამოკრეფილი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთი ლექსის ციტირებას ვახდენდეთ. ასეა მთელი წიგნი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი წიგნი ერთი ვრცელი პოემაა, ერთი სულიერი თავგადასავლის პერიპეტოები, საგანთა და მოვლენათა ხედვის ერთი რაკურსია. ლექსების თანმიმდევრული წყობა დასრულებულ და გამოკვეთილ მთლიანობას უნდა ქმნიდეს. ამგვარი მთლიანობა ხშირ შემთხვევაში თავისებურ ფაბულას, უხილავ განწყობილებიანი მიერ ქვედინებებს, გამჭოლ მედიაციურიობას უნდა ითავსებდეს თავის შიგნით. ეს ნიშნები შეიმჩნევა გიორგი მირზაშვილის წიგნშიც და ყოველივე ამასთან ერთად ასოციაციური აზროვნებაც იკვეთება.

გიორგი მირზაშვილი მხატვარი და მისი სიტყვიერ-საგნობრივი ანტიურატივიზმი ნატურმოკრებს ქმნის, ხან პეიზაჟებს. მაგრამ არის ფრაგმენტები, სადაც სხვადასხვა სიტყვა თუ საგანი თავის სემანტიკურ ველში სხვადასხვა სიტყვებს და საგნებს იქცევს, იქსელდება ასოციაციური ხლართი, რომელიც ზოგჯერ მთელი ლექსის სიურცეს იკავებს. „თონე, რკინიგზა. მტვერი. ქარხანა. ბუფეტი სკოლის, დაფა, მერხები. ზურგჩანთა, ზარი, მასტიკა, ნახერხი, სამელნე, დლიური, შატალო, რეწული, მშობელთა კრება, მშობელთა აქტივი. სხდომა პარლამენტის. კიტრი, პომი-

დორი, ქინძი, რეპანი, ქმარი და წყვილი, სვანური მარილი, ხახვი, შიშოლი, სპირტის ამბები, მატრი ფენებურთის“ და ა. შ.

წიგნის წინასიტყვაობაში (ნ. დარბაისელი) მოითხოვულა XX საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების ის ავტორები, რომელთა ნაწარებიც რაღაც ნიშნით ირეკლება გიორგი მირზაშვილის ლექსებში. ყოველგვარი გამოცდილების გაზიარება უმეტესწილად ნაწილობრივ ხდება, კონკრეტული დროის ესთეტიკური მოთხოვნობების გათვალისწინებით. გიორგი მირზაშვილმაც გამოიყენა საგანთა ჩამონათვალის ის ხერხი, რომელიც 10-იანი და 20-იანი წლების ქართულ პოეზიაში ნამდვილად იყო. ეს გამოცდილებაც გარკვეულწილად გათვალისწინებულია „მარშრუტის“ ავტორის მიერ, მაგრამ გიორგი მირზაშვილის „ნახელავი“ მაინც სხვა ნიშნებს ამტკიცებს. წიგნის წინასიტყვაობაში გაკრთება სიტყვა „ნეონატურალიზმი“. ეს სიტყვა-ცნება, მე მგონი, სხვა პირობით თუ მიახლოებით სიტყვა-ცნებებს შორის ყველაზე უფრო ზუსტად გამოხატავს „მარშრუტის“ მხატვრულ თავისებურებას თუ თავისთავადობას. ავტორი აცოცხლებს ნატურას, მას უშუალოდ ნატურიდან შეაქვს ტექსტში უხეში პირობული შტრიხები. ამ შტრიხების თანმიმდევრობაში ზოგჯერ ირონია, ღიმილი ან სევდა გამოსჭვივს, უმეტესწილად კი ამავე ტექსტში ნატურის ცივი გულგრილობა ირეკლება.

ყოფით-ცხოვრებისეული რეალიების, პროზაული მასალების შეტანას ქართულ პოეზიაში თანმიმდევრული ხასიათი აქვს. ამგვარი რეალიები უფრო ხელშესახებია, კონკრეტულ-დროით ატმოსფეროს ქმნის ლექსში, აფართოებს პოეტურ თვალსაწიერს.

ეფექტობა, რომ შედარებით ახალი თაობის პოეტებმა საკმაოდ ნარმატიულად მოახერხეს როგორც კონვენციური, ისე თავისუფალ ლექსში ამ სიახლის დამკვიდრება. უკვე ტენდენციად ქცეული ნოვაციის რეცეპტი არ არსებობს. პროზაული რეალობის განფენა თუ განზაყვება პოეტურ სუბსტანციაში ინდივიდუალური ხელნერის, ცალკეული მიგნებების, ხშირად თამამი ექსპერიმენტების მეშვეობითაც ხორ-

ერისეთული

სიმბოლოთა

ციელდება. ამავე ზოგადი ხასიათის ტენდენციას არცთუ იშვიათად ავანგარდის ან მოდერნის სახელით ნათლავენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ არის არსებითი. არსებითია ისე მოხდეს პროზაულ-პოეტური ელემენტების ერთმანეთში აღრევა, რომ პოეზიამ არ დაკარგოს პოეტური სახე და არ იქცეს ჩვეულებრივ პროზად. ერთი რამ გასათვალისწინებელია: პოეზიის სახე მთელი XX საუკუნის მანძილზე იცვლიდა გამომეტყველებას. ეფიქრობ, არ გამოდგა მთლად სწორი სენტენცია იმის თაობაზე, რომ ოსვენციმის შემდეგ ლექსები აღარ იწერება. ლექსები იწერება, მაგრამ სხვაგვარი. ფაშიზმის და ბოლშევიზმის შემდეგ, ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ, საბჭოთა იმპერიის დაშობის შემდეგ კელავაც იწერება ლექსები, სადაც ამ იმპერიის ნამსხვრევებია აღბეჭდილი. გიორგი მირზაშ-

ვილმაც ეს ნამსხვრევები აღბეჭდა თავის პოეტურ შემოქმედებაში.

კრებულის ბოლოს დართული ჩანაწერები თავისებურად აგრძელებს ვრცელ ლექსებს. ისევ ქალაქის პანორამა, ისევ თბილისი, ისევ ნაცნობი სახეები და ადგილები: „მელიქ-კაზარიანცის სახლი – მთელი სამყარო, ქეის ფასადი, ნაცრისფერი, მოვამული, მაგრამ იმედის მომცემი; მალაქერიანი ბინები, ბნელი სადარბაზოები, პორელიფები, ერკერები, მტკერი, სიმყარე, სადარბაზოების ფანჯრების პაეროვნება, საბურავები, ლურჯი ცა, თეთრი ღრუბლების ნაგლეჯები, წვიმა, მოახლოებული ქვეა-ქუხილი, მტკრის მძაფრი სუნი, განათებული ცა, ალვების კენწეროები, ელბაქიძის დაღმართი, მოზაიკა კუთხის კედელზე, საპარიკმახერო“ და ა. შ. – მარშრუტი №48 თავის წრიულ სელას აგრძელებს.

ანდრო ბუაჩიძე



## საინტერესო მონობრაფია დიდ მაგულიზილზე

ქართველთა სათაყვანებელ, ჩვენი ეროვნული ენერჯის გამომავლინებელ დიად პიროვნებათა შორის ერთ-ერთი, უიცი ყოველი დროის საქართველოსთვის მარადიულ სახელად რჩება – დიმიტრი ყიფიანია, კაცი, რომელიც უპირველესად თავისი არსებობის ფორმით ქმნიდა ქვეყნის ინტელიგენტურ, კულტურულ და მის კვალობაზე მხატვრულ ატმოსფეროს.

დიმიტრი ყიფიანს, 1832 წლის შუთქმულების მონანილეს და მის გამო მკაცრად სასჯელმთხედის, შემდგომში აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, მართლაც იმ დროის „მოაზრე“ და „მოსაქმე“ საქართველოს ერთ-ერთ თავკაცთაგანს, არც სიცოცხლეში აკლდა საზოგადოების ყურადღება, ის ყოველთვის იყო გარემოსილი ჩვენი ხალხის სიყვარულით, მაგრამ მთელი სიღრმით მისი პიროვნების ძალა და ხიბლი მას შემდეგ გაისიგრძეებინა ქართველობამ, როცა დიმიტრი ყიფიანმა ტანჯული სამშობლოსთვის თავი გაწირა, ეკლის გვირგვინი დაიდგა და ამ მონამუშობრივი ქმედებით „თავდადებული“ „ურჩი რაინდის“ სახელით შევიდა ისტორიაში. ესაა სწორედ ღვთაებისაგან შემთავონებული, მონამის გზით მავალი ადამიანის ხეყდრი და ამ ზეარაკად თავის მიტანისთვის ნაბიჯის გადადგმა სულ სხვა სულის ძალას ითხოვდა. ამ ძალით განგებისაგან დაჯილდოებული აღმოჩნდა დიმიტრი ყიფიანი. მთელი შინაარსი მისი მსხვერპლმუნირვისა კი იმამი მდგომარეობდა, რომ აკაკი ნერეთლის მოგონებით, ეს გმირი რაინდი სამშობლოსათვის მოახლოებულ თავგანწირვას, თურმე „ღვთის წყალობად“ თვლიდა.

ამ ნიშნით იქცა ის „გაზაფხულის მახარობლად“, თაობათა ქცევის ეტალონად და შეიქმნა „მავალითი ყრმათა“.

ამიტომაც, როცა ასეთ გამორჩეულ პიროვნებაზე ინერება რაიმე, იქნება ეს მხატვრული ქმნილება, სტატია, ნარკვევი და მით უფრო მონობრაფია, შეუნელებელ ინტერესს აღძრავს ის ყოველი დროის იმ მკითხველში, ვისაც კი ჩვენი ბედკრული ქვეყნის სეე-ბედი აღელვებს.

ამთავითვე უნდა ითქვას: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ 2002 წელს გამომქვეყნებული თამაზ ჯოლოგუას მონობრაფია „დიმიტრი ყიფიანი“ სწორედ ამგვარი ინტერესებით მცხოვრები მკითხველის გულსა და გონებას უხვ საზრდოს აწვდის.

თამაზ ჯოლოგუას კეთილსინდისიერად, საქმის ღრმა ცოდნით, სანაქებო ერუდიციის ნიადაგზე გაშლილი ძიებიდან კარგად ჩანს, რომ ამ მონობრაფიამდე ქართველი მკითხველი ვაცნობია: ზაქარია ჭიჭინაძის, არჩილ ჯორჯაძის, სიმონ ხუნდაძის და უკანასკნელად იოსებ უთურაშვილის სპეციალურ გამოკვლევებს. მართალია, დიდმა აკაკიმ თავისი „განთიადით“ სამარადისოდ უკვდავყო ვეღლა ქართველის ცნობიერებაში დიმიტრი ყიფიანის სახელი, მაგრამ საქმიანი, მეცნიერული ნაშრომი როცა შექმნა მასზე სახელოვანმა არჩილ ჯორჯაძემ, გადმოცემით, იმდენად აღტაცებული ყოფილა გენიალური ვაგა-ფშაველა, რომ უთქვამს: „რამშვენიერია!“ დიდებული მგოსანი ჩვენს განათლებულ ახალგაზრდობას მოუწო-

დებდა, შეექმნათ ასეთ უკვდავ პიროვნებათა შესახებ მათი ღირსების შესაფერისი მსგავსი მონოგრაფიები. ასე რომ, თ. ჯოლოგუას, ერთის მხრივ, ყოველწლიურად შემზადებული ვითარება დახვდა, რომ გულდაჯერებით გაეშალა თავისი კვლევა, მაგრამ მეორეს მხრივ, დგება საკითხი, ბოლოს და ბოლოს, რა არის დიმიტრი ყიფიანის, ვითარცა XIX საუკუნისა კი არა მხოლოდ, ყოველი დროის დიდი ქართველის ცხოვრების საზრისი, მისი კონკრეტული შინაარსი, რითაც ის დგას ჩვენთანაც და მომავალთანაც. ასე ადრე არ განხილულა ამ მართლაც რაინდული სულის პიროვნების ღვაწლი.

თამაზ ჯოლოგუა ფართო განზომილებით სვამს პრობლემას და ამ პრობლემის შინაარსს არა მხოლოდ პოეტური, მხატვრული, თუნდაც ემოციური მიდგომის მომენტით საზღვრავს, არამედ სერუპულოზურად, საბუნებრივ-საარქივო მასალებზე დაყრდნობით, შესანიშნავად ახერხებს ახილოს კონკრეტული პიროვნების, თუნდაც ეროვნული გმირის პრობლემა ქართული ინტელიგენციის ისტორიის კვლევის პრობლემამდე, რაც, რასაკვირველია, გულისხმობის მოვლენათა კომპლექსურ შესწავლას და მათი ღირებულების მრავალმხრივ გააზრებას.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რანაირად ექცევა ლიტერატურის მზერის არეში ისეთი რანგის პოლიტიკური მოღვაწე, ლიტერატორი, პუბლიცისტი, მეცნიერი, ჟურნალისტი, როგორც დიმიტრი ყიფიანი იყო... ეს ხომ ცალკე არსებულ სფეროთა კომპეტენციაა, მაგრამ ასეთი ტიპის მოღვაწე, როგორც მაგალითად, დიმიტრი ყიფიანია, არ ექვემდებარება ამ დოგმას. პრობლემის შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომა ასეთ შემთხვევაში არის მხოლოდ ნარმატივების ერთადერთი გარანტი.

უნდა XIX საუკუნის საქართველოს კულტურულ-ლიტერატურული, საერთოდ, სულიერი ცხოვრების დინამიკას გაიხედოს თავისი დაკვირვების ობიექტად, ის ძალზე უზერხულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს, თუ დიფერენციალურად განვიხილავს ისეთი პიროვნების ღვაწლს, როგორც დიმიტრი ყიფიანია.

თამაზ ჯოლოგუას მიერ საკითხ-კითხვით დაწერილ მონოგრაფიაში ნაშრომებზე მკვლევართა ღვაწლის კეთილსინდისიერად და თანაც კრიტიკული გაანალიზების საფუძველზე, ახალი, ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალების მოხმობით, ორიგინალურადაა გააზრებული ამ მეტად კოლორიტული, მართლაც რომ ქართველთათვის თავდადებული, მასშტაბური პიროვნების საქმიანობა. ავტორის მართებული თვალსაზრისით, დიმიტრი ყიფიანი, დიდი მამულმწილი და გამორჩეული პიროვნება, პირველყოვლისა, არის XIX საუკუნის საქართველოში დასრულებული ინტელიგენციის ტიპი; ოღონდაც მას თავისი მენტალიტეტით არაფერი აქვს საერთო რუსულ სინამდვილეში ჩამოყალიბებულ ნიპალიზმის შხამით გატენილ ამოქრისტიანო ინტელიგენტთან (ს. ბულგაკოვი). ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ქართველი ინტელიგენციის ისტორიის კვლევის სათავეებთან მდგომარეობა მოაზროვნემ, არაჩილ ჯორჯაძემ იმთავითვე აქცია იგი თავისი კვლევის ერთ-ერთ მთავარ ობიექტად. თუმცა თავისი ღრმა ერუდიციის მიუხედავად, ისიც ვერ ასცდა ამ დიდი პიროვნების ცალმხრივ შეფასებას. ეს ინტერესი ჩაუქრობელი აღმოჩნდა დღემდე, იმიტომაც, რომ იდეა დიმიტრი ყიფიანისა სასიცოცხლო არსებობის ფორმაა საღად მოაზროვნე ყოველი დროის ქართველისთვის...

ვინ უნდა იკვლევდეს ასეთ პიროვნებათა ღვაწლს ყველაზე მეტად? თუ ვერწმუნებით ცნობილ სოციალურ ფსიქოლოგთა აზრს, ლიტერატორები, თურმე, ყველაზე მეტად ნედებიან ამდაგვარ პიროვნებათა თუ მოვლენათა ღირებულების ნამდვილ არსს, ვიდრე ნებისმიერი სხვა დარგის სპეციალისტები (ტ. შიბუტანი). ალბათ, ამის გამოცაა, რომ მაგალითად, რუსული ინტელიგენციის ისტორია დაწერილი აქვს არა სხვა სფეროს ნარმომადგენელს, არამედ ისეთ დიდ ლიტერატურათმცოდნეს, როგორც დიმიტრი ოვსიანიკო-კულიკოვსკი იყო.

ლიტერატორის თვალთახედვით დაწერილი თამაზ ჯოლოგუას მეცნიერული გამოკვლევებიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ

დემიტრი ყიფიანის სახით ახალი დროის სრულიად საქართველოს მკვდარი ქვეყნის ინტელიგენტი. ინტელიგენტის შინაარსს კულტურაზე ორიენტირებული გონებრივი ცხოვრებისაკენ, შრომისაკენ მიდრეკილება, ადამიანის შინა-სამყაროს მაღალმოციური ნაყოფი შეადგენს. კრიტიციზმი, სიახლის ზიარება-შექმნის ნურვილი, დიპლომატიური მანევრირება ინტელიგენტის ქცევის კომპონენტებია, ხოლო სასიცოცხლო არსებობის ფორმა კი ზნეობრივი უკომპრომისობა, სამშობლოს სიყვარული, საკაცობრიო იდეალებისადმი ერთგულება, ვინაობა, შოუინისტური ზრახვებისაგან განთავისუფლება, მის გარემო არსებული რუტინის გარღვევის მოთხოვნა, კერძო ურთიერთობებში შემწყნარებლობა-მიმტეხლობა, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ინტელიგენტის ყველა აღნიშნული ნიშანი ვლინდება დემიტრი ყიფიანის პიროვნებაში, ანუ იმ „ურჩ რაინდში“, რომელიც ახალი ცხოვრების გადასხვაფერებულ პირობებში სხვა არა არის-რა, თუ არა ინტელიგენტი.

ახასიათებს რა დემიტრი ყიფიანის ცხოვრების გზას, ახალ სამუზეუმო-საარქივო წყაროებსა და ძველი პრესის მასალაზე დაყრდნობით თამაზ ჯოლოგუას მრავალი კორექტივი შეაქვს ამ დიდი მოღვაწის საქმიანობისა თუ პოლიტიკური პოზიციის ტრადიციულ გაგებაში. ის მოსაწონი ტაქტიკით წარმართავს პოლემიკას ცნობილ ავტორებთან (მაგალითად, ა. კალანდარიძე).

თ. ჯოლოგუა გვამცნობს, თუ 1840-იან წლებში, გადასახლებიდან ახლადბრუნებულმა დემიტრი ყიფიანმა როგორ ჩამოაყალიბა ეროვნული ხსნის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლით საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-გაძლიერებას. მისი მიზანს იყო რუსეთის იმპერიის ფარგლებში ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც დამყარებული უნდა ყოფილიყო ნაციონალური თვითშეგნების ამოღება-გაძლიერებაზე. ამ მხრივ, ის ღირსეული შემკვიდრება სოლომონ დოდაშვილისა და ნინამორბედი ილია ქაჭავაძისა. ამიტომ

მაცაა, რომ დემიტრი ყიფიანი, როგორც გუას აზრით, არის ერთგვარი „ხიდი“ „ცდათორმეტიანელებსა“ და „თერგდალეულებს“ შორის.

1832 წლის შეთქმულებასთან დემიტრი ყიფიანის დამოკიდებულების რკვევისას, მკვლევარი ტრადიციული შეხედულების საპირისპიროდ ადგენს, რომ ის ამ შეთქმულების აქტიური მონაწილეა, რისთვისაც მკაცრადაც ისჯება მთავრობის მიერ. ს. დოდაშვილთან ერთად, დ. ყიფიანი ქართულ სინამდვილეში გამოკვეთილი ევროპული აზროვნული ორიენტაციის მოღვაწეა. ეს პოზიცია, პირველ ყოვლისა, მის საგანმანათლებლო-კულტურულ საქმიანობაში ვლინდება. ამის ერთი გამოხატულებაა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დაარსების ინიციატივა. მას ჩაფიქრებული ჰქონდა ამ ბაზაზე ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურული და სამეცნიერო ცენტრის შექმნა. მართალია, დემიტრი ყიფიანის ამ ჩანაფიქრის სრული რეალიზაცია მაშინ ვერ მოხერხდა, მაგრამ მაინც გამოაცოცხლა მაშინდელი ქართული გარემო და საერთოდ, ბიძგი მისცა ჩვენი ეროვნული, კულტურულ-ინტელექტუალური ყოფის ევროპეიზაციის აუცილებელ, შეუქცევად პროცესს.

თამაზ ჯოლოგუას მონოგრაფიიდან ირკვევა, რომ დემიტრი ყიფიანი, როგორც პრესის ორგანიზატორი, მნიშვნელოვანი ფიგურაა XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. ამ კონტექსტშია დახასიათებული დ. ყიფიანი, როგორც ს. დოდაშვილის ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათაის“ აქტიური მხარდამჭერი და თანამშრომელი; ლიტერატურული კრებულის (აღმანახის) დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი; გ/გ. ერისთავის „ციხის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და შეამავალი მის. ევრონიცოვთან; ივ. კერესელიძის „ციხის“ პროგრამის შემდგენელი. მკვლევრის მიერ გამოვლენილი მასალებით მტკიცდება, რომ დ. ყიფიანს ჩაფიქრებული ჰქონია ფართო პროფილის სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალის დაარსება.

თ. ჯოლოგუას ნიგნის მიხედვით, დიმიტრი ყიფიანი წარმოჩნდება, როგორც თვალსაჩინო ფიგურა 1840-1850-იანი წლების სამეცნიერო-სალიტერატურო ცხოვრებაში. მისი წმინდა სამეცნიერო, სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაწერები ქართული ლიტერატურის, თარგმანის, საქართველოს ისტორიის, ქართული ენის და ზოგად-კულტუროლოგიურ პრობლემებზე თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს დღესაც.

დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურათმცოდნეობითი ღირებულების წერილები მიმოფანტულია ქართულ პრესაში. ამ დიდ მოღვაწეს სისტემური სახე ქართული ლიტერატურული ცხოვრების შესასწავლად თავისი კვლევა-ძიებისთვის არ მიუცია, მაგრამ მის მახვილგონიერულ დაკვირვებებს წმ. ნინოს, რუსთველის, ჩახრუბაძის, შავთელის, ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და სხვათა შესახებ, განსაკუთრებული ღირებულება უნდა მიენიჭოს ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევისას.

თამაზ ჯოლოგუას ნიგნიდან კარგად ჩანს, 1830-იანი წლებიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე, დიმიტრი ყიფიანი თურმე ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. ავტორი გვამცნობს, რომ დ. ყიფიანი თარგმნიდა ინგლისურიდან (შექსპირს), ფრანგულიდან (მოლიერს, ბომარშეს, მიუსეს, მ. ფანლისს, ო. ფიესს, ე. პიუგოს), რუსულიდან (ვევადს, მიტჩელს, მარკოვს). ქართულიდან რუსულად (გ. ერისთავს). თ. ჯოლოგუას დაკვირვებით, დ. ყიფიანი შექსპირისა და მიუსეს პირველი, ხოლო მოლიერის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია. მისი აზრით, მართალია, დ. ყიფიანის მოღვაწეობა ამ სფეროში სადღესოდაც განვილი ვტაპია, მაგრამ მისმა თარგმანებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების განვითარებაში.

თ. ჯოლოგუა საგანგებოდ განიხილავს დიმიტრი ყიფიანის ორიგინალურ მხატვრულ ნაწერებს. მათგან განსაკუთრებით გამოჰყოფს რუსულ ენაზე დაწერილ ნაწარმოებს „ეკატერინე ჩიჩუა – გურიის უკანასკნელი მთავრის ასული“ და ქარ-

თულ ენაზე შექმნილ ლატეჩქრეშუშეჟის მთარგმნა“.

### ბიბლიოთეკა

მკვლევარის ყურადღების მიღმა არ რჩება დიმიტრი ყიფიანის თვალსაჩინო მოღვაწეობა. მისი აზრით, ამ მხრივ ის თვალსაჩინო ფიგურაა XIX საუკუნეში. დ. ყიფიანმა, ახალგაზრდობიდან სიბერემდე, შეინარჩუნა ინტერესი ქართული თეატრისადმი და თავისი საქმიანობით დიდად შეუწყო ხელი, რომ თეატრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის ერთ-ერთ მძლავრ კერად ქცეულიყო. ნიგნის ავტორი არაა პირველი, მაგრამ დასაბუთებულად, ფაქტების ენით მხოლოდ მან აუწყა დღევანდელ საქართველოს, რომ ის ყველგან ერის ინტერესების დაცვის, მისი მოვლისა და წინსვლისთვის იბრძოდა, რასაც შესწირა კიდეც თავისი სიცოცხლე. ამის განცხადება თითქოს არაა აღმოჩენილი, მაგრამ კონკრეტულად ფაქტობრივ მასალის მოხმობის საფუძველზე აქ პირველად დაა ნათელყოფილი, რომ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების მაგალითის გათვალისწინებით, ყოველ დროში ძნელია ქართველობა, მაგრამ შეუძლებელი არა.

ჩვენი ფიქრით, იმდენად თვალნათლივია თ. ჯოლოგუას მიერ განეული მუშაობის პრაქტიკული ღირებულება, რომ მას გვერდს ვერ აუვლის არა მხოლოდ საკუთრივ დ. ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, არამედ ყველა, ვისაც აინტერესებს XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული დ. ყიფიანის ტრავიკულ აღსასრულამდე (1887 წ.) ქართული ინტელიგენციის, კულტურის და ლიტერატურის ისტორიის აქტუალური პრობლემები. ესაა კომპლექსური ხასიათის ნაშრომი, რომელსაც აქვს არა მხოლოდ წმინდა ლიტერატურული, არამედ ზოგადკულტუროლოგიური ღირებულება.

თამაზ ჯოლოგუას მონოგრაფია იმ ხასიათის თხზულება გახლავთ, რომელიც ძალზე სჭირდება მაძიებელ მკითხველს. ესაა ვაზარებული, სათანადო ურუდუციოსა და ნყაროთმცოდნეობის საფუძველზე შექმნილი ნიგნი, სადაც მრავალი მახვილგონიერული დაკვირვება და კორექტივია მოწოდებული ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ინტელიგენციის ისტორ-

## ერქმეწულნი

რიის სადღეისოდაც მნიშვნელოვან პრობ-  
ლემებზე.

თავის დროზე აკაკი წერეთელი იმასაც  
აღნიშნავდა, რომ „იმისთანა დევგმირზე,  
როგორც იყო განსვენებული დიმიტრი  
ყოფიანი, იოქმის, რომ მოვიდა ქვეყნად და  
ქვეყანასაც ბევრი რამ არგოო!“.

მიუხედავად იმისა, რომ მონოგრაფი-  
ის ავტორი მოცემულ შემთხვევაში დიმიტ-  
რი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის  
დღემდე შეუსწავლელი დროითი მონაკვე-  
თით (1830-1860 წწ.) იფარგლება, მშენიე-

რად ნარმოაჩენს ამ მართლაც საჭიჭმ-  
რული“ სულის მამულიშვილის მთლიან  
პორტრეტს.

თამაზ ჯოლოგუამ ამ დიდი ერისკაცის  
რთული და საინტერესო სამყაროს შესწავ-  
ლა წარმატებით წარმართა. დაულაღვი  
გარჯით არა მხოლოდ დიმიტრი ყიფიანის,  
არამედ ქართული ინტელიგენციის ისტო-  
რიის შესწავლის საქმეში ღირსეული  
წვლილია შეტანილი. უფიქრობთ, კარგი  
დასაწყისი კიდევ უფრო უკეთესი მომავ-  
ლის პირობად უნდა იქცეს.

იუზა ევგენიძე





5

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28  
ტელეფონები: მთ.რედაქტორის - 99-51-61  
განყოფილებების - 99-91-00

გადაეცა ასანუბად 13.08.2003 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 10.09.2003 წ.

ტირაჟი 300



გამომცემლობა „სანი“  
თბილისი 0105, შავთელის ქ. №26  
ტელ: (995 32) 98 65 92 e-mail: zazaberishvili@yahoo.com

b<sup>1</sup>/40

ფასი ორი ლარი

ISSN 0132-599 X

060000076125

საქართველოს  
საბჭოთა კავშირის  
საგარეო ურთიერთობების  
საინფორმაციო ცენტრი